ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით
ფასი: 1 ლარი
27.XI-3.XII
2013
№48

სარ

„ქმარს კიდევ ერთ შვილს აუცილებლად გავუჩენ“

„სამოდელო კარიერას თავი დავანებე. ახლა ტელეწამყვანობას ვაპირებ“

გვ.7

სალომე ღვინიაშვილი: „შეიძლება სიყვარულისგან გული გამისკდეს!“

გვ.26

„ვალები მაქვს დაგროვილი და ამ ვალებს გადახდა უნდა“

გელა ჩარკვიანის ღირსეული მარტოობა

გვ.22

ქრისტინე იმედაძე: „უიღბლო ქორწინებამ შიში და კომპლექსი გამიჩინა“

გვ.35

ეკო ფანგანი: „გარეგნობაში ასეთი რადიკალური ცვლილება არ მინდოდა“

გვ.10

თემურ ჩხეიძე: „როცა სპექტაკლში მანანა კოზაკოვას ვათამაშებ, სულ არ მახსოვს, რომ ლევანის ცოლია“

გვ.30

გიორგი აფციაურმა და სალიტა ჩუბინიძემ პირველი შვილი გიორგობაზე მონათლეს

გვ.36

ნანა ნებიერიძეს მაკიაჟის გაკეთება მაკა ჩიჩუამ ასწავლა

ISSN 1987-9369
9 771987 936002

გულახდილი საუბრები
წერილი ყოფილ ცოლს: „მაპატიე, რომ მიგატოვე!“ გვ.12

ოთო ფოლადაშვილი:
„ძლიერ ქარში ჩემი მანქანის გამოყვანა საშიშია“

გვ.38

გუგა კუზანოვს უშბაზე მანქანა დაეწვა

გვ.31

ნანუკა ქორქოლიანი:
„გოიმობაა ის პოპულიზმი, როცა ვიღაც მადლობას იხდის, ამ დაჯილდოებულთა სიაში რომ ვერ მოხვდა“

სააკაშვილის გაუგებარი საჩუქარი ჟურნალისტებისთვის

გვ.9

გვ.33

ირაკლი ჩოლოყაშვილი:
„წინა ქორწინებამ მასწავლა, რომ სიყვარულს უნდა გავუფრთხილდე“

გვ.20

„ჩაც ჯი გამაჩნდა, საჯაშვილმა ყველაფერი წამართვა“

კოკა ყანდიაშვილი:
„მარტო ვარ, სიყვარულს აღარ მაძლევს ღმერთი“

ნომერში

მკვეთრი ნაბიჯი

ზურა ხიზანიშვილი: „საკუთარ თავს ვადანაშაულებ, თამაშის წინ ნაკრებიდან არ უნდა წამოვსულიყავი“ 6

მეორე ნახევარი

სალომე ღვინიაშვილი: „შეიძლება სიყვარულისგან გული გამისკდეს!“ 7

ჟესტი

სააკაშვილის გაუგებარი საჩუქარი ჟურნალისტებისთვის 9

ორი თამაში

თემურ ჩხეიძე: „ლევანთან ბოდიში, მაგრამ სპექტაკლზე მუშაობისას სულ არ მახსოვს, რომ მანანა კოზაკოვა მისი ცოლია“ 10

გულახდილი საუბრები 12

პოლიტიკა

- გია ხუხაშვილი: „საფრთხობელას თამაში მომიწია“ 16
- მამუკა კუდავა: „უკრაინის გარეშე რუსეთის წინაშე მარტო დავრჩით, მოსალოდნელია პროვოკაციები“ 17
- მანანა კობახიძე: „ჩვენ ყველა საფრთხე გააზრებული გვაქვს“ 19

ნაცნობი სახე

კოკა ყანდიაშვილი: „მარტო ვარ, სიყვარულს აღარ მაძლევს ღმერთი“ 20

პირადი გამოცდილება

ქრისტინე იმედაძე: „უიღბლო ქორწინებამ შიში და კომპლექსი გამიჩინა“ 22

ტრაგედია

„ჯვარს რომ ვწერდი, მარიკა თითქოს ტაძარში აღარ იყო, მათ ერთად ველარ ვხედავდი“ — ზეცაში გაგრძელებული ქორწილი 23

შოკი

რა სასჯელი ემუქრება ბიჭს, რომელმაც ნაგაზს თავი მოაჭრა 24

გალერეა

ველა ჩარკვიანის ღირსეული მარტოობა 26

მოზარდები 28

ახალგაზდა მშობლები

გიორგი აფციაურმა და სალიტა ჩუბინიძემ პირველი შვილი გიორგობაზე მონათლეს 30

დედამიშვილები

გუგა კუზანოვს უშბაზე მანქანა დაეწვა 31

ცხოვრების გაკვეთილები

ირაკლი ჩოლოყაშვილი: „წინა ქორწინებამ მასწავლა, რომ სიყვარულს უნდა გავუფრთხილდე“ 33

სარკის წინ

- ეკო ფანგანი: „ვარეგნობაში ასეთი რადიკალური ცვლილება არ მინდოდა, მაგრამ ასე გამოვიდა“ 35
- ნანა ნებიერიძეს მაკიაჟის გაკეთება მაკა ჩიჩუამ ასწავლა 36
- ნინო ჩიხლაძე თავისი სამკაულების კოლექციას გამოამზეურებს 37

ავტომოყვარული

ოთო ფოლადაშვილი: „ძლიერ ქარში ჩემი მანქანის გამოყენება საშიშია“ 38

ცხოვრება ჩემოდნებზე

კახა კოპორიძემ ეგვიპტიდან სიდედრს ლასტები ჩამოუტანა 43

მეგზური

კარიბის ზღვის საოცრება — ადგილი, სადაც არასდროს ცივა და არასდროს ცხელა 44

ასეც ხდება

მოთამაშე ცოლი და ანკესზე წამოგებული ქმრები 46

დედიკოების სკოლა 48

ცოტ-ცოტა ყველაფერზე 50

მხოლოდ ქალებისთვის 52

სპორტის მილვა 53

შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო 54

სახალისო 56

იყავით ჯანმრთელი 58

კროსვორდები 60

ადამიანის ინსტიტუტი 62

სიცილის გვერდი 63

იაკობ ტრიპოლსკი – პოლონელი თავადის ქართული ცხოვრება



ოშვიათად თუ ვინმეს ჰყვარებია საქართველო და ქართველობა ისე, როგორც იაკობ (იაშა) ტრიპოლსკის. მამით პოლონელმა და დედით ქართველმა ბიჭმა მთიულეთის საჯიხვეებში შეითვისა ქართველი კაცის თვისებები და ადათ-წესები. იქვე ეზიარა ქართული პოეზიის საგანძურსაც. გუდამაყარში დაბადებული და გაზრდილი თბილისში ჩამოვიდა და უნივერსიტეტში ჩააბარა. რაღაც პერიოდი სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლადაც მუშაობდა და რომ არა მისი დიდი სურვილი, მსახიობი გამოსულიყო, ალბათ მის შესახებ ვერასოდეს შევიტყობდით. არც მისი ფენომენური ნიჭის შესახებ გვეცოდინებოდა რამე.

მისი სიმდიდრე მაყურებლის სიყვარული და პატიოსანი კაცის სახელი იყო. კიდევ ბევრი რამის მოსწრება შეეძლო, მაგრამ ჯანმრთელობამ უმტყუნა, 69 წლის ასაკში წავიდა ამქვეყნიდან.

იაკობ ტრიპოლსკის ცხოვრების ეპიზოდებს მისი ვაჟი ირაკლი ტრიპოლსკი გვიამბობს.

გვ.14

უცხოური დეტექტივი

წითელი სახლის საიდუმლოება (გაგრძელება) 64

ქალური მოთხრობები

თინათინ ბონი. ოცნების ძიებაში (გაგრძელება) 66

ჭრელაჭრელა 69

წმინდანები

ღვთის სიყვარული მარტო ლაპარაკი რიდია, საქმე უფრო მეტია სარწმუნოებაში — ხსენება მღვდელმოწამისა ბაგრატი ტავრომენელი ეპისკოპოსისა (დასაწყისი) 72

კითხვები მოძღვარს

„ღმერთი სწორედ მაშინაა ჩვენთან, როცა საერთოდ აღარ გვახსოვს თავი“ 74

გზა ტაძრისაკენ

მამა დავითი: „ყოველთვის თაბორის მთაზე, ანუ ლხინში ვერ ვიქნებით, განსაცდელებსაც უნდა გავუმკლავდეთ“ 75

საბავშვო გვერდი

ხელსაქმე 78

№ 48 (813) 27 ნოემბერი — 3 დეკემბერი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 25.11.2013, 21.00 სთ-ზე.



ბიძინა ივანიშვილმა 29 ათას კაციანი პარტია ღარიბაშვილს ჩააბარა

პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 78-მა წევრმა დატოვა, სამაგიეროდ, ბოლო დროს პარტიაში 16 251 ადამიანი შევიდა, დღეს კი ის 29 273 წევრს ითვლის. ამის შესახებ ცნობილი გახდა პარტიის მესამე ყრილობაზე, რომელიც 24 ნოემბერს თბილისში, „ექსპო ჯორჯიაში“ ჩატარდა.

ყრილობაზე „ქართულმა ოცნებამ“ ახალი წესდებაც დაამტკიცა, რომლის მიხედვით, პარტიას უხელმძღვანელებს არა პოლიტიკური საბჭო, არამედ თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილი. ანუ, როგორც მოსალოდნელი იყო, „ქართული ოცნება“ აქამდე უპარტიო პრემიერის საყრდენი გახდა. შემცირდა პოლიტიკური საბჭოს შემადგენლობაც. ახალი წესდების თანახმად, პოლიტსაბჭო 12 ადამიანისგან დაკომშლექტდა, პარტიის გენერალურ მდივნად კი კახი კალაძე დასახელდა.

პოლიტსაბჭოს შემადგენლობა ასე გამოიყურება: კახი კალაძე, ნოდარ ხადური, ირინა იმერლიშვილი, გიორგი ვოლსკი, მანანა კობახიძე, ეკა ბესელია, თამაზ ავალიანი, დავით საგანელიძე, ირაკლი ტრიპოლსკი, თემურ ჭკუასელი, ირაკლი სესიაშვილი, არმაზ ახვლედიანი.

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილიც და პარტიას დემოკრატიულ პრინციპებზე დგომა უსურვა.

— პარტიას საიმედო ხელში ვტოვებ!.. მაგრამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ არ უნდა იქცეს სახელმწიფო ინსტიტუტებთან შეზრდილ პარტიად, რისი მავნე ტრადიციაც ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, ჩვეულებრივ ამბად იქცა. მე ვისურვებდი, რომ ჩვენი პარტია ნამდვილად იყოს იდეოლოგიითა და ღირებულებებით შეკავშირებული ადამიანების ერთობა, პარტია, რომელიც ქვეყნის სამსახურშია და რომელსაც ხალხის დიდი ნდობა აქვს. მე არ მჯერა იმ პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო თანამდებობის პირების დემოკრატობის, რომლებიც საკუთარ პარტიაში არ ამკვიდრებენ დემოკრატიას და არ გრძნობენ ანგარიშვალდებულებას, პირველ რიგში, საკუთარი პარტიის წევრების მიმართ. ამიტომ მინდა დავინახო, რომ ამ პარტიაში ყველა — ლიდერებიც და რიგითი წევრებიც — ერთნაირად გადის შიდაპარტიული დემოკრატიის სკოლას. მე, როგორც ამ პარტიის დამფუძნებელი, ყოველთვის ვიქნები ამის გულშემატკივარი. მინდა მჯეროდეს, რომ თქვენ იქნებით მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მმართველი პარტია, როგორ უნდა მოისმინოს ხალხის აზრი, რადგან ხალხის მონაწილეობის გარეშე არ უნდა წყდებოდეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი არც ერთი საკითხი. ხალხმა უნდა დაიჯეროს, რომ შეუძლია ქვეყნის მართვაში მონაწილეობა, — განაცხადა ივანიშვილმა.

უკვე ყოფილმა პრემიერმა ასევე დასძინა, რომ მან თავისი ამოცანა შეასრულა და პოლიტიკიდანაც საბოლოოდ ოფიციალურად წავიდა.

— დღეიდან მე თქვენ წინაშე ვდგავარ არა როგორც პოლიტიკოსი, არამედ, როგორც ამ ქვეყნის ერთი მოქალაქე. მე მივდივარ პოლიტიკიდან და ვრჩები აქტიურ მოქალაქედ. და არ არსებობს იმაზე დიდი პატივი, იმაზე მეტი პასუხისმგებლობა, მეტიც, იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე იყო შენი ქვეყნის ერთი ჯარისკაცი, შენი საზოგადოების რიგითი წევრი! — აღნიშნა მან.

პრეზიდენტი მერად დავით ნარმანიას კანდიდატურას იწონებს

თბილისის მერის თანამდებობისთვის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია იბრძოლებს. როგორც ბიძინა ივანიშვილის პრესსამსახური იტყობინება, ეს გადაწყვეტილება კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომაზე მიიღეს. კანდიდატურას პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც იწონებს და დასძენს, რომ არჩევნები კონსტიტუციურ ვადაში დაინიშნება.

— არჩევნები დაინიშნება კონსტიტუციურ ვადაში, ხოლო რაც შეეხება თავად დავით ნარმანიას, მე ვმუშაობდი მინისტრთა კაბინეტში რამდენიმე თვე და დათოსთან ერთად მუშაობა უაღრესად სასიამოვნო იყო. ეს არის გაწონასწორებული, მშვიდი ადამიანი, რომელიც ორიენტირებულია პროექტებზე და მათ დეტალურად შესრულებაზე. დათოს ფეხით ჰქონდა მოვლილი ყველა თავისი ობიექტი, რომელსაც საქართველოს მასშტაბით ახორციელებდა. მე მის კანდიდატურას მხარი დავუჭირე ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ეს საზოგადოებისთვის გახდებოდა ცნობილი, — აცხადებს მარგველაშვილი.

თბილისის ახლანდელი მერი გიგი უგულავა კი დავით ნარმანიას მიერ შეჩერებულ პროექტებსა და მის „არაფრისმომცემ“ მინისტრობაზე საუბრობს:

— ნარმანიას კანდიდატურაზე ვერაფერს გეტყვით, ამაზე თბილისელებმა უნდა იმსჯელონ და შემდეგ არჩევნებზე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. მე შემიძლია მასზე ვილაპარაკო, როგორც ინფრასტრუქტურის მინისტრზე. ამ ერთი წლის განმავლობაში ამ ადამიანმა ვერაფერი გააკეთა, ყველა პროექტი გააჩერა, რადგან ვერ გაერკვა, საერთოდ რისი მინისტრი იყო. მისი უშუალო ხრიკებით გაჩერდა თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტი; მისი უშუალო დავალებით შეაჩერეს სამანქანო ხიდის მშენებლობა. მან თბილისს ორი ინფრასტრუქტურული პროექტი წაართვა. ხმა არ ამოუღია, როდესაც 50%-ით შეუმცირა ბიუჯეტი. ნარმანია პარტიული ინერციის ამარაა დარჩენილი და მხოლოდ და მხოლოდ პარტიის ხარჯზე უნდა, რომ გახდეს მერი და არა — საკუთარი ინდივიდუალობის ხარჯზე, — ამბობს უგულავა.

ილია II და ბიძინა ივანიშვილი სამართლიანობის უმაღლესი ორდენით დააჯილდოვეს

■ ილია II და ბიძინა ივანიშვილი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და ყოფილი პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი სამართლიანობის უმაღლესი ორდენით დააჯილდოვეს. ჯილდო უწმინდესსა და ივანიშვილს თბილისში მყოფმა მსოფლიოს იურისტთა ასოციაციის დელეგაციამ გადასცა.

ორგანიზაციის წარმომადგენლებმა პატრიარქს ჯილდო და დიპლომი საპატრიარქოში გადასცეს. დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ მსოფლიო იურისტთა ასოციაციის პირველი ვიცეპრეზიდენტი პაატა ცნობილაძე, მეორე ვიცეპრეზიდენტი კიმ კორლი, მსოფლიო იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი აშშ-ში ბენ გრიფიტი, ორგანიზაციის ყოფილი პრეზიდენტი ვალერი ევდოკიმოვი.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ბიძინა ივანიშვილს მიღებისათვის, მისი ღვაწლისათვის მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრებისა და განვითარების საქმეში. თავის მხრივ, მსოფლიო იურისტთა ასოციაციის წევრებს ბიძინა ივანიშვილმაც გადაუხადა ჯილდოსთვის მადლობა და აღნიშნა, რომ ადამიანისთვის სამართლიანობა უმთავრესი უნდა იყოს.

მსოფლიო იურისტთა ასოციაცია წელიწადში ერთხელ მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრებისთვის მსოფლიოს მასშტაბით ორ — საერო და სასულიერო — პირს არჩევს და აჯილდოებს.

სარკე ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი
მთავარი რედაქტორი
კომერც. დირექტორი

ეპს „სარკე“
მეიდეა სანაია
ვაჟა შენგელია

მთავარი რედაქტორის მოადგილეები – ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა – მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი – ირინე მჭედლიძე, რუსუდან ალვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა – ია გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფიზიო – ქეთი ყირიმლიშვილი. მხატვარი – ქეთი ხარატიშვილი.

კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება – ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი – მარინა ჟღენტი, მია ფიფია. კორექტურა – ლანა გაბუნია, მია ფიფია. სარეკლამო სამსახური – მაჩუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru
მდივანი – ია ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

Cyan Magenta Yellow Black

ოთო ნემსაძეს ლვოვში მომიტინგეებმა კეფაში კასტეტი ჩაარტყეს

სააგენტო „ფრონტ ნიუს ჯის“ ინფორმაციით, 24 ნოემბერს, უკრაინის დროით 22 საათზე, ლვოვში მიმდინარე საპროტესტო აქციის წევრები ქართველ მომღერალ ოთო ნემსაძეს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ოთო დედასთან ერთად ქუჩაში სეირნობდა, როდესაც ნაციონალისტური დაჯგუფების წევრები მათთან მივიდნენ და მომღერალს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

უკრაინაში საქართველოს საკონსულოს წარმომადგენლები „ფრონტ ნიუს ჯისთან“ საუბრისას ამბობენ, რომ საკითხს სწავლობენ და მოგვიანებით გახდება ცნობილი, მიმდინარეობს თუ არა მომხდარზე გამოძიება.

იმავე დღეს მომღერალმა სოციალურ ქსელში „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ ეს არის სრული დეზინფორმაცია და არანაირი დაპირისპირება ეთნიკური ნიშნით არ მომხდარა, ხოლო ცემის ფაქტი საერთოდ უარყო.

ჩვენი თხოვნის მიუხედავად, სოციალურ ქსელში ოთო ნემსაძე არ გამოგვეხმაურა, ამიტომ მის ახლო მეგობრის, გიორგი სუხიტაშვილისგან ვცადეთ ინფორმაციის მიღება. გიორგიმ შემდეგი გვიამბო:

— დღეს ველაპარაკე ოთოს და გავიგე, რომ კარგად არის. გამოძიება დაადგენს, თუ რა მოხდა და რა მიზეზით. ჩემთვის მთავარი ისაა, რომ ოთო თავს კარგად გრძნობს. ვურჩიე, საპროტესტო აქციების დროს ქალაქში არ გავიდეს, გაერიდოს ამ ყველაფერს და დროებით საქართველოში დაბრუნდეს. სხვა დეტალები არ ვიცი, მხოლოდ ის მითხრა, რომ კეფაში კასტეტი ჩაარტყეს.

ხურჩის ინციდენტის საქმეზე დაკითხულმა სამართალდამცავმა თავი მოიკლა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის შს სამმართველოს უფროსის მოადგილე ალექსანდრე დანელია ნაქირავებ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს. 38 წლის სამართალდამცავს გულმკერდის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა აღენიშნებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, წინასწარი ინფორმაციით, სამართალდამცავმა ტაბელური იარაღით მოიკლა თავი. შსს-ში აცხადებენ, რომ საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით არის აღძრული.

გავრცელებული ინფორმაციით, ალექსანდრე დანელია ხურჩის ინციდენტის საქმეში ფიგურირებს და სწორედ ამ საქმეზე დაიკითხა რამდენიმე დღის წინ. მეზობლები და ნათესავები მომხდართან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობენ. მათი თქმით, ბინაში კარი შეამტვრიეს და დანელია გარდაცვლილი იპოვეს.

მწარიაშვილი შაყულაშვილმა შეცვალა, ჭიკაიძე — დალაქიშვილმა

თბილისის პროკურორი მიხეილ შაყულაშვილი გახდა, შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსად კი გიორგი დალაქიშვილი დაინიშნა.

ახალი პროკურორი პროკურატურის ორგანოებში 2001 წლიდან მუშაობს. ამ პოსტზე დანიშვნამდე მას გორის რაიონული პროკურორის თანამდებობა ეკავა. 2009-2012 წლებში ხაშურის რაიონული პროკურორი იყო. 2007-2009 წლებში მცხეთის რაიონული პროკურორის მოადგილედ მუშაობდა, 2006-2007 წლებში შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურაში შსს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის თანამდებობა ეკავა. 2001 წლიდან 2005 წლამდე მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა რაიონულ პროკურატურებში სხვადასხვა თანამდებობაზე.

თბილისის პოლიციის ახალი უფროსი კი აქამდე მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსის, ალექსანდრე ჭიკაიძის მოადგილე იყო. ალექსანდრე ჭიკაიძე შს მინისტრი გახდა.

გიორგობაღლეს თბილისში ორმა ჩოხიანმა ძმები დაჭრა

გიორგობადღეს თბილისში, კოლმეურნეობის მოედანზე, პუშკინის სკვერთან, საღამოს საათებში, ორმა ახალგაზრდა მამაკაცმა, რომლებიც ჩოხაში იყვნენ გამოწყობილი, ორი პიროვნება დაჭრა. დაჭრილები ძმები იყვნენ. შინაგან საქმეთა სამინისტრო საქმეს ჯანმრთელობის განზრახ და ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლით იძიებს. სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა, ნინო გიორგობიანმა „სარკესთან“ აღნიშნა, რომ დამნაშავეების ვინაობა უკვე დადგენილია, დეტალებს კი უახლოეს დღეებში გაახმაურებენ.

ერთ-ერთი ძმა, დაახლოებით 50 წლის მამაკაცი, ინგოროყვას სახელობის კლინიკაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ მიიყვანა. მას ჭრილობები თვალბუდის მიდამოსა და ცხვირის ნესტოსთან ჰქონდა. დაზარალებულს ქალა-ტვინის დახურული ტრავმაც აღენიშნებოდა. ის საავადმყოფოდან მეორე დღესვე გაწერეს. როგორც ამბობენ, ძმები აფხაზეთის ომის ვეტერანები არიან.

როგორც ცნობილია, თავდაპირველად ძმებსა და ჩოხიანებს მცირე კამათი მოუვიდათ, მოგვიანებით კი შელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. თვითმხილველების თქმით, ერთ-ერთი ჩოხიანი ნასვამი იყო.

„სარკე“ საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ჩოხოსანთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ერეკლე საღლიანს დაუკავშირდა. მისი თქმით, ჯერჯერობით დადგენილი არ არის, ეს ადამიანები არიან თუ არა ჩოხოსანთა წარმომადგენლები.

— კაცი ჩოხას რომ ჩაიცვამს და მერე ვიღაცას დაჭრის, ეს ყოვლად მიუღებელია. გარეთ უამრავი ადამიანი დადის ჩოხით და ყველა ჩოხოსანი ხომ არ არის? დამნაშავეების ვინაობა ჯერ ბოლომდე გარკვეული არც არის და ჩოხოსნად რატომ აცხადებენ, არ ვიცი. ვიდეორობოტი შეუქმნიათ და მაჩვენებენ. როგორც მითხრეს, ისინი პატარა ბიჭები არიან. ასეთი ახალგაზრდები ჩვენ არ გვყავს, — გვითხრა ერეკლე საღლიანმა.

მისივე თქმით, თუ ეს ადამიანები მათი საზოგადოების წევრები აღმოჩნდებიან, ისინი ჩოხოსანთა რიგებს დატოვებენ. ერეკლე საღლიანი არც პროვოკაციას გამორიცხავს.

— ერთ რამესაც ვფიქრობ და ეჭვსაც გამოვთქვამ, რომ ეს ხმაური სპეციალურადაა მოწყობილი. არ გამოვრიცხავ, რომ ჩოხები სპეციალურად ჩაიცვეს და ეს სკანდალი გამოიწვიეს. რადგან ჩოხოსანთა საზოგადოებამ ბოლო პერიოდში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, შეიძლება ეს ჩვენი საზოგადოების დისკრედიტაციისთვის იყო მოწყობილი, — ამბობს ერეკლე საღლიანი.

ჩოხოსანთა წესდების მიხედვით, ამ სტატუსის მოსაპოვებლად მსურველს რეკომენდაცია ეკლესიამ და ჩოხოსანთა საზოგადოების რამდენიმე წევრმა უნდა გაუწიოს. პირველ რიგში, მას ეროვნული ფასეულობებისადმი პატივისცემა, სიყვარული და ზნეობრიობა მოეთხოვება. საქართველოს მასშტაბით ამ საზოგადოებაში დაახლოებით ათასამდე ჩოხოსანი ირიცხება.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ზურა ხიზანიშვილი: „საკუთარ თავს ვადანაშაულებ, თამაშის წინ ნაკრებიდან არ უნდა წამოვსულიყავი“

„სალო ახლა უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე ადრე“

„სარკიდან“ მივმართავ თემურ ქეცბაიას: ჩემთან ასე საუბარს თავი დაანებოს!“

საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს, თემურ ქეცბაიას, ფეხბურთელთა „ძველი გვარდია“ აუჯანყდა. ის, რომ ნაკრებში ფეხბურთელებსა და მწვრთნელს შორის დაძაბულობა არსებობდა, ყოველთვის იგრძნობოდა. ქეცბაიასთან უთანხმოების გამო რამდენიმე თვის წინ ნაკრები კაპიტანმა ზურა ხიზანიშვილმა დატოვა, მოგვიანებით იგივე გააკეთეს გოგიტა გოგუამ და ლევან ყენიამ. სულ ცოტა ხნის წინ ნაკრებიდან 31 წლის ფეხბურთელი ალექსანდრე ამისულაშვილიც წავიდა, მიზეზად კი ქეცბაიას მძიმე ხასიათი და ფეხბურთელებთან არაჯანსაღი დამოკიდებულება სახელდება.

ამ ნაბიჯის შემდეგ საფეხბურთო სკანდალი უფრო მასშტაბური გახდა. ზურა ხიზანიშვილმა დუმილი დაარღვია და კატეგორიულად მოითხოვა, რომ ქეცბაიამ ნაკრები დატოვოს. ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები ორივე მხარეს აქვს, ქეცბაიას არ მოსწონს ხიზანიშვილის სპორტული ფორმა, თამაშის სტილი და დისციპლინა, ხიზანიშვილი კი ყოფილ მწვრთნელს შეურაცხყოფისთვის პასუხს სთხოვს. როგორც ყოფილი კაპიტანი აცხადებს, ქეცბაიას მუშაობის სტილი ფეხბურთელების გინებასა და მათ დამცირებაზეა აგებული.

დეტალებზე სასაუბროდ „სარკე“ ზურა ხიზანიშვილს თურქეთში დაუკავშირდა, სადაც ის გუნდ „ქაისერში“ თამაშობს. ფეხბურთელი თავის გულისტკივილზე, განვლილ გზასა და ოჯახზე გვესაუბრა, რომელიც მისთვის ყველაზე ძვირფასია.

— ზურა, რა გახდა თქვენი და ნაკრების მწვრთნელის, თემურ ქეცბაიას დაპირისპირების მთავარი მიზეზი?

— არასოდეს არავისთან კონფლიქტი არ მქონია. ჩემი და მწვრთნელის დაპირისპირებას რომ ჩავუღრმავდე, ძალიან შორს წავალ. საკუთარ თავს ტყუილის თქმის უფლებას არ მივცემ და არც სხვას დავანებებ, თვალებში ნაცარი შეგვაყაროს.

— კონკრეტული ფაქტი გვითხარით, რამაც ნაკრებიდან წასვლა გაიძულათ.

— პირველი, რამაც ნაკრებიდან წამოსვლა მაიძულა, ის იყო, რომ მე და ქეცბაიას ძალიან გაგვიფუჭდა ურთიერთობა. ორი წლის განმავლობაში ერთს მეორე ემატებოდა, აგურს აგური ედებოდა და ასე აშენდა ცუდი კედელი. თუ ვინმე მეტყვის, რომ ჯობდა, ქეცბაიასთვის პირდაპირ მეთქვა ჩემი სათქმელი, დავეთანხმები და მივიღებ ამ შენიშვნას, მეც ადამიანი ვარ და შეცდომებს ვუშვებ. ვხედავდი, რომ ბოლო ორი წელი ქეცბაია ერთსა და იმავე შეცდომებს უშვებდა და ვერაფერსაც ვერ სწავლობდა, წინსვლა არ ჰქონდა და არც დასახული მიზანი, რომ როგორმე პრობლემა მოეგვარებინა. მეც ადამიანი ვარ და ნერვები მაქვს. ბოლოს ჩემი მოთმინების ლიმიტი ამოიწურა.

საკუთარ თავს ვადანაშაულებ, ნაკრებიდან მაინც არ უნდა წამოვსულიყავი და თამაშის წინ ბიჭები არ უნდა დამეტოვებინა. ამ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ. არ ვარ ის ადამიანი, რომელიც მხოლოდ სხვებს აკრიტიკებს და საკუთარ შეცდომებს ვერ ხედავს.

ჯანსაღი კამათი ყველა სფეროში კარგია, მაგრამ, როცა ვიღაც შენს პირადულს ეხება, აქ უკვე მოთმინების გამოჩენა ძალიან რთულია. ქეცბაიას კარგად ვიცნობ და შემიძლია გითხრათ, რომ მასთან ადამიანურად არც კამათი შეიძლება და არც საუბარი, რადგან ყველაფერს პირად დაპირისპირებად იღებს. თუ თქვენ მეტყვით, რომ მე ოდესმე ქეცბაიას პირადულად შევეხე, აუცილებლად დავფიქრდები. ის კი ძალიან ცუდად შემეხო, ბინძური ადამიანი მიწოდა, ჩემს ოჯახსაც გადასწვდა. თურმე ოჯახმა, უბანმა ვერაფერი მასწავლა. თქვენი ჟურნალიდან ვთხოვ, რომ ჩემთან ასე საუბარს თავი დაანებოს, მას ამის უფლება არ აქვს და თუ მაინც გააგრძელებს, შეიძლება ცოტა სხვა რაღაცეები მოჰყვეს.

ჟურნალისტებთან ერთი თხოვნა მაქვს და, თუ გაითვალისწინებთ, მადლობელი ვიქნები: თუ ქეცბაიას გაუმართლა და ორი წელი კიდევ დარჩა ნაკრების მწვრთნელად, აღარ მინდა, ჟურნალისტებმა მასთან საუბარი გამართონ სპორტულ თემებზე. ამ საუბრებმა სასარგებლო არაფერი მოგვიტანა. სირცხვილია, ხალხმა ქეცბაიასგან ის ყველაფერი ისმინოს, რაც არ ხდება. მთელმა საქართველომ იცის, რომ ამ კაცს არ გააჩნია ტაქტი, რომ დადებითად საუბარი შეძლოს და, მით უმეტეს, ქართული ფეხბურთის პრობლემა განსაჯოს. ღიად ვაცხადებ, რომ მინდა, გადადგეს! თამაშის შემდეგ ყველა პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს სულ ჩხუბობს. თემურ ქეცბაიას, რომელსაც ამხელა ფეხბურთი აქვს ნათამაშევი და ამდენი რამ აქვს გაკეთებული, წყალში ვაყრევინებთ ყველაფერს. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ მისი სახელი, რაც საქართველოსთვის გაუკეთებია, როგორც ფეხბურთელს. ვუთხრათ, რომ მას არ აქვს უფლება, საკუთარი სახელი გააფუჭოს. ის კი თავის სახელს ვერ თუ არ იცავს.

„იცით, ქეცბაია პიროვნულად როგორი ადამიანია? შეიძლება ჩემთან მოვიდეს და, მაგალითად, უცებ აგარაკი მაჩუქოს, მანქანაც ზედ მოაყოლოს, ისეთი აღაღი გული აქვს, მაგრამ მეორე დღეს ახაფრის გამო დამარტყას და გინება დამინყოს“.

— ორი წლის წინაც თქვენი დაპირისპირების საფუძველი მისი პირადული თვისებები იყო, რაც ზემოთ ჩამოთვალეთ?

— ფეხბურთელებს შეურაცხყოფას აყენებდა. ვიღაც მეტყვის, აქამდე რატომ ითმენდიო, მაგრამ მე კარგად მაქვს გაცნობიერებული, რას ნიშნავს საქართველოს ეროვნული ნაკრები. 17 წლის ვიყავი, როცა ეროვნულ ნაკრებში დავიწყე თამაში და მან მე ყველაფერი მომცა. მადლობა ღმერთს, რომ ნაკრებში მოვხვდი. ვერავინ მეტყვის, რომ ნაკრებში მთელი გული და სული არ ჩამიდია.

სანდრო ცნობილაძე კარგად მიცნობს და როცა ჩემ წინააღმდეგ გამოდის, უნდა გავახსენო, რომ კონფლიქტური ადამიანი არ ვარ. ტოპ მიულერის დროს პრესატაშე სწორედ სანდრო ცნობილაძე იყო და კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ტოპ მიულერის დროს მე არ მქონდა რამე პრობლემა, მაშინ ნაკრები დამატოვებინეს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ სააკაშვილის სარეკლამო რგოლში მონაწილეობაზე უარი ვთქვი. მაშინ დათო გამყრელიძე იყრიდა კენჭს. დათო ჩემი ოჯახის წევრია, ჩემი მეუღლის ბიძა და მე რომ მაშინ სააკაშვილის სარეკლამო რგოლში მიმეღო მონაწილეობა, მანდილოსანი ბრძანდებით და მიხვდებით, რას იგრძნობდა სალომე. პირდაპირ მითხარით, მე რომ ამ რგოლში მონაწილეობა მიმეღო, როგორ ადამიანად აღმიქვამდით? ძალიან ცუდად. რა უნდა გამეკეთებინა — პრეზიდენტთან კარგად ვყოფილიყავი და საკუთარ ოჯახთან — ცუდად? ჩემთან ასეთი რაღაცეები გამორიცხულია, მე ასე მესმის და ასე ვცხოვრობ. ტოპ მიულერმა სულ არ იცის, ვინ იყო სააკაშვილი და ვინ — გამყრელიძე. ახლაც რომჰკითხოთ, ხიზანიშვილი რატომ გაუშვიო, პირს დააღებს და გეტყვით, მე რა ვიციო.

— თემურ ქეცბაია ამბობს, რომ თქვენს უკან ჯიღაცები დგანან, ვინც მას ებრძვიან. კონკრეტულად ვის გულისხმობს „ჯიღაცებში“?

— დამერწმუნეთ, შვილებს ვფიცავარ, რომ ქეცბაიამ თავადაც არ იცის, ვის გულისხმობს. იცით, ქეცბაია პიროვნულად როგორი ადამიანია? შეიძლება ჩემთან მოვიდეს და, მაგალითად, უცებ აგარაკი მაჩუქოს, მანქანაც ზედ მოაყოლოს, ისეთი ალალი გული აქვს, მაგრამ მეორე დღეს არაფრის გამო დამარტყას და გინება დამიწყოს. სუფთა გულის ადამიანია, მაგრამ ტვინში აქვს პრობლემა.

— რიცა ნაკრების მწვრთნელად ინიშნებოდა, მისი მხარდამჭერი იყავით?

— ჩემგან ასპროცენტიანი მხარდაჭერა ჰქონდა.

— ახლა გეყავთ ფავორიტი, ვინც მას შემცვლელად წარმოვიდგენიათ?

— ფავორიტი — არა, მაგრამ მაქვს სურვილი, შოთი არველაძესთან ვიმუშაო. მასთან „ქაისერშიც“ მაქვს ნამუშევარი. ასევე სიამოვნებით ვიმუშავებდი ხორვატ მწვრთნელთან. ეს ყველაფერი უბრალო სურვილია, ფანტაზიის დონეზე. შოთი არველაძე იმიტომ არ მითქვამს, რომ ეს სამომავლოდ მესიჯი იყოს. დამიჯერეთ, მე შუამავლის როლს არ ვასრულებ, თორემ ისე ჩემს უკან →71

Cyan Magenta Yellow Black

სალომე ღვინიაშვილი: „შეიძლება სიყვარულისგან გული გამისკდეს!“

„ქმარს კიდევ ერთ შვილს აუცილებლად გავუჩენ“



ყოფილი მოდელი სალომე ღვინიაშვილი 8 წელია საქართველოს საფეხბურთო ნაკრების აწ უკვე ყოფილი კაპიტნის,ზურა ხიზანიშვილის მეორე ნახევარია და ფეხბურთელის ცხოვრების ჭაპანს ქმართან ერთად ეწევა, თავისი სტატუსის ყველა პლუსი და მინუსი გამოცდილი აქვს. ზურას მატჩები, ნერვიულობა, ტრავმები, მოგება, წაგება, ხანგრძლივი განშორებები... მათ ცხოვრებას ართულებს, მაგრამ სალომე ქმრისთვის ძლიერი ზურგია, ყველა პრობლემას ერთად უმკლავდებიან. საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ ზურა ხიზანიშვილი არცთუ სასურველ კონტექსტში მოიხსენია, ცოლ-ქმარი ამ გულისტკენასაც ერთად მოერივნენ და ნაკრების დატოვების შესახებ გადაწყვეტილებაც ერთად მიიღეს.

ცოლი თბილისში სამ შვილთან ერთად ცხოვრობს, ქმარი კი თურქეთში, გუნდ „ქაისერში“ თამაშობს. სალომე ხან აქ არის, ხან იქ. მათი ოჯახის ცხოვრებაზე, სიხარულსა თუ პრობლემებზე, ნაკრებში მომხდარ ბოლოდროინდელ სკანდალზე ფეხბურთელის ცოლი „სარკეს“ უამბობს.

— სალომე, საქართველოს ფეხბურთის ნაკრებში სკანდალი არ წყდება. მწვრთნელ თემურ ქეცბაიასა და თქვენს ქმარს შორის კი ბოლო დროს განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა. ეს ყველაფერი თქვენზეც მძიმედ მოქმედებს?

— მე ამ ყველაფრის მომსწრე ვიყავი და ვარ. გული მეტკინა, როცა ბატონმა თემურმა ინტერვიუში ზურას არაპატრიოტი და ბინძური ადამიანი უწოდა. დარწმუნებული ვარ, ეს ცხელ გულზე იყო ნათქვამი. ზურა უკონფლიქტო ადამიანია, არასდროს ჰქონია უთანხმოება არც მწვრთნელთან, არც მეგობრებთან და არც ოჯახში. თუ რამეს არასწორად ფიქრობს ან ამბობს, მის მიმართ ყოველთვის ობიექტური ვარ.

> „როცა ზურა ნაკრებიდან ნასვლის განცხადებას ნერდა, ორივეს ცრემლები მოგვდიოდა“.

ზურა ყოველ მატჩს ტკივილგამაყუჩებლებით თამაშობს. 32 წლის არის და ამ სპორტისთვის პატარა აღარაა, ფეხზე დიდი ტრავმა აქვს, ამ ყველაფრის მიუხედავად, ბავშვივით გახარებული მოდიოდა ხოლმე საქართველოს ნაკრების თამაშებზე.

— ზურამ სატელევიზიო ინტერვიუში თქვა, რომ ქეცბაია იყო ცუდი მწვრთნელი, ის აგინებდა ფეხბურთელებს...

— საკუთარ თავს ამ თემაზე ლაპარაკის უფლებას არ ვაძლევ, რადგან ვთვლი, რომ ეს ფეხბურთელისა და მწვრთნელის ურთიერთობაა. თან მინდა, შეგისწოროთ და გითხრათ, ზურას არ უთქვამს, რომ ბატონი თემური ცუდი მწვრთნელია, პირიქით, თქვა, რომ ქეცბაია კარგი მწვრთნელია და შეუძლებელია, ამაში არ დავეთანხმოთ.

> „სამოდელო კარიერას თავი დავანებე. ახლა ტელენამყვანობას ვაპირებ“.

ზურა ყოველთვის გაგებით ეკიდება ყველაფერს, ისეთი არ არის, წყენა გულში ჩაიდოს. უბრალოდ ცუდია, როცა ტელევიზიით იგებ, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი აღარ ხარ. ეს ამბავი მეც ტელევიზიით შევიტყვე და სიმართლე გითხრათ, მეწყინა, გავბრაზდი და ზურას ვუთხარი, ნაკრებიდან წამოდიმეთქი. გამიბრაზდა და მიპასუხა, ნაკრებში კაპიტნის ლენტის გამო ხომ არ ვთამაშობო. არ მინდოდა ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ გულნატკენი ვარ, რადგან ვიცი სიმართლე და რეალობა. ეს სიმართლე იცის ყველამ, ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში რომ შევდივარ, გამყიდველებიც კი მეუბნებიან, თუ როგორ სტკივათ ამ ამბის

→ 8

იზრუნე მომავალზე „ნატახტარის“ ლიმონათთან ერთად

კომპანია „ნატახტარმა“ ტრადიციულად წელსაც დაიწყო ყველაზე ფართომასშტაბიანი საქველმოქმედო აქცია, რომელიც ლიმონათ „ნატახტარის“ ნებისმიერ მოყვარულს საშუალებას აძლევს, ქველმოქმედი გახდეს. კომპანია „ნატახტარი“ უკვე იწყებს ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ მხარდაჭერითა და საქართველოს პატრიარქის ილია II-ის ფონდისათვის თანხის შეგროვების მესამე ტალღას. სამი თვის განმავლობაში „ნატახტარის“ ლიმონათის თითოეული გაყიდული ბოთლიდან ფონდში ირიცხება 1, 3 და 5 თეთრი, თან ისე, რომ პროდუქტი არ ძვირდება. კომპანია ამ ქველმოქმედებას მხოლოდ საკუთარი მოგებიდან გაიღებს.

„ფონდი ნატახტარი“ 2011 წლის ნოემბერში დაფუძნდა და თავიდანვე ორიენტირებული იყო, უშუალო დახმარება გაეწია მათთვის, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. ფონდმა სამიზნედ 15-18 წლის მოზარდები ამოირჩია, რომლებიც ოჯახური ტიპის სახლებში ცხოვრობენ და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის აბსოლუტურად მოუმზადებლები არიან. ფონდში შემოსული თანხებით მოზარდები ისეთ პროფესიებს ეუფლებიან, რისი წყალობითაც დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებას შეძლებენ.

„ფონდმა ნატახტარმა“ თანხის შეგროვების მესამე ტალღა დაიწყო

პროექტის ფარგლებში შეიქმნა მზრუნველობამოკლებული მოზარდების ბაზა. ფსიქოლოგების მუშაობის შედეგად გამოიკვეთა 15-18 წლის 224 მოზარდის საქმე, რომელთა მომავალიც ფონდმა უკეთესად წარმოაჩინა — თითოეულ მათგანს დღეს აქვს საკუთარი პროფესია, სამუშაო ადგილი და დამოუკიდებელი ცხოვრების წინაშე უსუსურები აღარ არიან.

2013 წლიდან ამ პროექტში 15 წლის მოზარდებიც ჩაერთვნენ. ეს მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს საშუალებას აძლევს, უფრო ადრეულ ასაკში ჩამოუყალიბდეთ პროფესიული უნარ-ჩვევები და განსაზღვრონ თავიანთი მომავალი.

თორნიკე ნიკოლაიშვილი, „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი:

— ჩვენი საქველმოქმედო ფონდი „ფონდი ნატახტარი“ ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალეა საქართველოში, ამიტომაც საზოგადოებას რეგულარულად ვაწვდით ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა თანხები დაიხარჯა. თანხების შეგროვების მესამე ტალღა უკვე დაიწყო და სამ თვეს გასტანს. ლიმონათი „ნატახტარის“ მოყვარულს შეუძლია შენიშნოს ბოთლზე ყვითელი თავსახური, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ავტომატურად ქველმოქმედი გახდა. ჩვენი სტრატეგია უცვლელია, გვინდა, რაც შეიძლება ხარისხიანი პროდუქცია გაიყიდოს და მეტი თანხა შევიდეს ფონდში. ამ აქციაში წელს 0,33 ლიტრიანი ქილის პროდუქციაც მონაწილეობს, რაც უკვე ძალიან პოპულარული პროდუქტია ჩვენს მომხმარებლებში, ამიტომ წელს უფრო მეტი მოზარდის დახმარებას შევძლებთ.

თორნიკე ნიკოლაიშვილი, „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორი

ლელა მერაბიშვილი, ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ წარმომადგენელი:

— ჩვენი ფონდის საქმიანობა უკვე ძალიან თვალსაჩინოა. ვცდილობთ, მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს გავუწოდოთ ის დახმარების ხელი, რომელიც ყველაზე მეტად სჭირდებათ. ჩვენი ფონდის საშუალებით 34 მოზარდმა სხვადასხვა სასკოლო საგნებში გაიარა მომზადება, 52 მოზარდმა პროფ-კოლეჯში ჩააბარა, მართვის მოწმობის აღება 8 ახალგაზრდამ შეძლო, სპორტულ სექციაში კი 5 მოზარდი ჩაერთო. 2013 წლის მისაღები გამოცდები სამმა მოზარდმა გაიარა და სტუდენტი გახდა, ამიტომ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებში ჩვენი იმედი ბევრს აქვს.

Cyan Magenta Yellow Black

გამო გული.

— თემურ ქეცბაიას ოჯახთან თქვენ და ზურას მეგობრული ურთიერთობა გქონდათ?

— ზურა და თემური შოტლანდიის გუნდ „დანტიში“ ერთად თამაშობდნენ. წლებია ერთმანეთს იცნობენ, მე პირადად მასთან ახლო ურთიერთობა არ მქონია.

— ქეცბაიამ თქვა, რომ ზურა ყველაზე სუსტი მოთამაშეა და იმ გუნდის კაპიტანი იყო, რომელსაც თამაში არ მოუგია.

— თუ მწვრთნელი თვლის, რომ ფეხბურთელი სუსტია, უნდა გაუშვას ნაკრებიდან, აღარ უნდა გამოიძახოს. ბატონი თემური კი ზურას მაინც იძახებდა გუნდში.

— როცა ბოლოს ზურამ მაინც გადაწყვიტა ნაკრების დატოვება, როგორ შეხვდით მის ამ ნაბიჯს?

— მისთვის ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან მტკივნეული იყო. როცა ზურა ამ განცხადებას წერდა, მეც მის გვერდით ვიყავი და ორივეს ცრემლები მოგვდიოდა. ზურამ 92 მატჩი ითამაშა ნაკრებში, 17 წლიდან მოყოლებული მთელი ცხოვრება ნაკრებში გაატარა, მისთვის მეორე სახლი იყო... ჩვენს ემოციას სიტყვებით ვერ გადმოგცემთ! რა თქმა უნდა, ყველა სპორტი დროებითია, ზურა ადრე თუ გვიან ისედაც წამოვიდოდა საქართველოს ნაკრებიდან და დაამთავრებდა საფეხბურთო კარიერას, მაგრამ მისი ამ სახით წამოსვლა გულსატკენი იყო.

— სად უფრო გეამაყებოდათ მისი თამაში — საქართველოში თუ საზღვარგარეთ?

— რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრებში თამაშის დროს უფრო დიდი სიამაყით ვუყურებდი. ბუნებრივია, საზღვარგარეთაც ვნერვიულობ მატჩის წინ, მაგრამ ამ ორს ერთმანეთთან არ შევადარებ, ჩემს ნათქვამს კარგად გაიგებენ ფეხბურთელების ცოლები. ყოველთვის, როცა საქართველოს ნაკრების თამაში იმართებოდა თბილისში, ნაკრების მაისურით მივდიოდი. არ აქვს მნიშვნელობა, ზურა ითამაშებს თუ არა ან ბატონი თემური იქნება მწვრთნელი თუ არა, საქართველოს ნაკრების გულშემატკივრობას გავაგრძელებ.

— თემურ ქეცბაიამ თქვა, ზურას უკან ბევრი ადამიანი დგასო. რა კლანზე საუბრობდა?

— მის ამ ნათქვამზე გამეცინა, მართლა მაინტერესებს, რა კლანზე საუბრობდა და თუ რამეს გაიგებთ, მეც შემატყობინეთ.

— როგორ ფიქრობთ, ზურას საქმიანობას საქართველო უფრო დააფასებს თუ უცხოეთი?

— რა თქმა უნდა, თავის ქვეყანაში დააფასებენ. მან 92 მატჩი ითამაშა საქართველოს ნაკრებში და ეს არ არის დასაფასებელი? კობიაშვილმა ითამაშა 100 მატჩი და ზურა არის მეორე, რომელმაც ამდენი მატჩი ჩაატარა საქართველოს ნაკრებში. მას ინგლისშიც აფასებენ, თურქეთშიც, მაგრამ ეს ყველაფერი მეორეხარისხოვანია, მთავარია, როგორ გაფასებენ შენს ქვეყანაში.

— ზურასთან ერთად შვიდმა ფეხბურთელმა დატოვა ნაკრები, ისინიც გულნატკენები წავიდნენ გუნდიდან. ეს ფაქტი თქვენთვის რაზე მეტყველებს?

— კარგია, რომ ეს თემა წამოჭერით. ამ რამდენიმე დღის წინ „პირველ არხზე“ თემურ ქეცბაიას რომ ვუსმენდი, ეს კითხვა დამებადა — შვიდი ფეხბურთელი რატომ წავიდა ნაკრებიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, ჟურნალისტმა ეს კითხვა არ დაუსვა. ნაკრები მხოლოდ ზურამ ხომ არ დატოვა? დანარჩენებიც იმავე პრობლემის გამო წავიდნენ. მე ვთვლი, რომ ზურა ქეცბაიას წინაშე მართალია. რთულია, როცა გაბრალებენ, რომ არაპატრიოტი ხარ. შეიძლება სპორტსმენი არ მოგწონს, მაგრამ მადლობა გადაუხადე, დაემშვიდობე და უთხარი, რომ ასპარეზი ახალგაზრდებს გადასცეს. ამ ფორმით ურთიერთობა ცუდია.

— როცა ქმარი პრობლემების წინაშე დგას, თქვენ ამ დროს რას განიცდით?

— ყოველთვის ვცდილობ, ობიექტური ვიყო. გული მტკივა, როცა მას სტკივა, ისევე განვიცდი, როგორც ის განიცდის.

— როგორ ფიქრობთ, ზურა იღბლიანი ფეხბურთელია?

— ზურა ძალიან შრომისმოყვარეა, პროფესიონალია. 8 წლის განმავლობაში არ მახსოვს, ერთხელ მაინც გაეცდინოს ვარჯიში. 39 ჰქონია ტემპერატურა და მაინც უვარჯიშია, ამას სრულ იპასუხისმგებლობით ვამბობ. ბევრი ფეხბურთელი იყო ზურაზე იღბლიანი და ნიჭიერი, მაგრამ თავიანთი კარიერა ძალიან მალე დაასრულეს. ასე რომ, მთავარი შრომისმოყვარეობაა.

„წუდია, როცა ტელევიზიით იგებ, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი აღარ ხარ. ეს ამბავი მეც ტელევიზიით შევიტყვე და სიმართლე გითხრათ, მენყინა, გავბრაზდი და ზურას ვუთხარი, ნაკრებიდან ნამოდიმეთქი. გამიბრაზდა და მიპასუხა, ნაკრებში კაპიტნის ლენტის გამო ხომ არ ვთამაშობო“.

■ სალომე და ზურა

„ბავშვები რომ იძინებენ, მამას ითხოვენ. როცა ბანაობენ, უნდათ, რომ მამამ დაბანოს. ჩემ ირგვლივ ზურასნაირი მამა ჯერ არ მინახავს“.

— მისი გეგმები როგორია, რას აპირებს?

— რამდენიმე წელი კიდევ აპირებს თამაშს. ძალიან წარმატებით თამაშობს „ქაისერში“. როცა საფეხბურთო კარიერას დაასრულებს, დარწმუნებული ვარ, თავის სფეროში დარჩება.

— ითქვა, რომ კახა კალაძის მსგავსად, ზურაც პოლიტიკაში აპირებს წასვლას. ეს სიმართლეა?

— სისულელეა! ზუსტად ვიცი, რომ პოლიტიკაში წასვლას არ გეგმავს.

— ფეხბურთელის ცოლობა პრესტიჟული და საამაყოცაა და, როგორც უკვე გამოსცადეთ, რთულიც. პირადად თქვენ რა პრობლემებს წააწყდით ამ 8 წლის განმავლობაში?

— როდესაც ზურას მივყვებოდი ცოლად, დედამისმა მითხრა, ფეხბურთელის ცოლობა რთულიაო. მოგეხსენებათ, რომ ზურას მამაც ფეხბურთელი იყო. მაშინ ვიფიქრე, ნეტა, ფეხბურთელის ცოლობაში რა სირთულე უნდა იყოს-მეთქი. ახლა კი მეც ვამბობ, რომ რთულია ფეხბურთელის ცოლობა, უფრო მეტიც, არ მინდა, ჩემი შვილი ფეხბურთელი გახდეს. რასაც ზურას გამო განვიცდი, შვილზეც იმავეს ვერ გადავიტან, ნერვიულობა ტრავმებზე, მოგებაზე, წაგებაზე... აღარ მინდა, ეს ყველაფერი თავიდან გავიარო. სხვადასხვა ქვეყნებში ვცხოვრობთ, ესეც ერთი დიდი სირთულეა.

— როგორ უძლებთ ამ განშორებებს?

— ბუნებრივია, რთულად. ეს ყველაფერი შვილებისთვისაც არ არის ადვილი, რამდენჯერმე შეიცვალეს სკოლა. უცხო თვალისთვის შეიძლება ეს ადვილია ან ფიქრობს, რომ ფუფუნებაში ვცხოვრობთ, მაგრამ რეალურად, ასე არ არის, ყველაფერში უდიდესი შრომაა ჩადებული. ფაქტობრივად, ფეხბურთელს თავისი ცხოვრება არ აქვს. ვერ ჭამს იმას, რაც უნდა, ვერ ერთობა, თავიდან ბოლომდე საქმეზეა დამოკიდებული.

— მშვიდი ოჯახური ცხოვრება როგორ წარმოგიდგენიათ?

— ჩემი და ზურას დიდი სურვილია, დარჩეს ფეხბურთში. მას აქვს იმის პოტენციალი, რომ კარგი მწვრთნელი იყოს. თუ ასე გამოვა, მშვიდი ცხოვრება სიბერეში გველის.

— როცა განშორებების მერე ზურა შვილებს ხვდება, როგორია მათი ურთიერთობა, გაუცხოება ხომ არ იგრძნობა?

— როგორც იცით, უფროსი ვაჟი, დათუნა, პირველი ქორწინებიდან მყავს და ის უკვე 11 წლის ბიჭია. ტასო 7 წლისაა, ნიტა — 5-ის. ზურას მათთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს. ბავშვები რომ იძინებენ, მამას ითხოვენ, როცა ბანაობენ, უნდათ, რომ მამამ დაბანოს. ჩემ ირგვლივ ზურასნაირი მამა ჯერ არ მინახავს. დათუნამ გაიგო ნაკრებიდან ზურას წამოსვლის შესახებ და ძალიან განიცადა. ტასუნა და ნიტა კი პატარები არიან და ასეთ საკითხებზე მათი თანდასწრებით არ ვსაუბრობთ.

— თქვენს 8 წლიან თანაცხოვრებას როგორ შეაფასებდით?

— რაც დრო გადის, ვრწმუნდები, რომ ბედნიერი ადამიანი ვარ, რადგან ისეთი მამაკაცი მყავს გვერდით, როგორიც ზურაა. რაც წლები გვემატება, ზურა მით უფრო მიყვარდება. ასე თუ გაგრძელდა, შეიძლება სიყვარულისგან გული გამისკდეს!

— ამბობენ, რომ მეოთხე შვილს ელოდებით, მართალია?

— არა, ორსულად არ ვარ. მეც და ზურასაც ძალიან გვინდა, რომ კიდევ გავაჩინოთ შვილი, თუმცა ეს ახლო მომავლის გეგმებში არ შედის. ჩვენი გოგოები რომ წამოიზრდებიან, ზურას კიდევ ერთ შვილს აუცილებლად გავუჩენ.

— სალომე, ინტერვიუს დასასრულს გკითხავთ კახა კალაძის ცოლის, ანუკი არეშიძის კოლექციის ჩვენებაზე, რომელიც კიევში გაამართა. თქვენ ამ ჩვენებას ესწრებოდით. რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდით უკრაინიდან?

— პირველ რიგში, ანუკის ვუოლიცავ ამ წარმატებას! ძალიან კარგი კოლექცია შემოგვთავაზა. ანუკი ძალიან ბევრს შრომობს და დარწმუნებული ვარ, წინ დიდი წარმატება ელის. მჯერა, რომ მალე მთელი მსოფლიო გაიცნობს და მის ტანსაცმელს მსოფლიოს მოდური ქალები ჩაიცვამენ. მას ძალიან ლამაზი ჩვენება ჰქონდა კიევში და განსაკუთრებულად შთამბეჭდავი ფინალი იყო ირინა შეიკის გამოსვლა პოდიუმზე.

— თქვენ არ გასულხართ პოდიუმზე?

— მის ჩვენებაზე სტუმრის სტატუსით ვიყავი. მე სამოდელო კარიერას თავი დავანებე. ახლა ტელეწამყვანობას ვაპირებ, ერთ-ერთ არხზე მზადდება გადაცემა, სადაც წამყვანად მოგევლინებით.

✓ ლანა კიკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

სააკაშვილის გაუგებარი საჩუქარი ჟურნალისტებისთვის

ნანუკა ჟოჰჟოლიანი: „გოიმობაა ის პოპულიზმი, როცა ვიღაც მადლობას იხდის, ამ დაჯილდოებულთა სიაში რომ ვერ მოხვდა"

მიხეილ სააკაშვილმა თავისი პრეზიდენტობის დასასრულს „კუდი" ერთხელ კიდევ მოიქნია და საქართველოში ვარდოსანთა ეპოქა რამდენიმე მოულოდნელი და ექსტრაორდინარული ქმედებით დაამთავრა, მათ შორის — უცხოელებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მასობრივი ჩამორიგებით, საშიშ დამნაშავეთა ამნისტიით და სხვ. ერთ-ერთი ასეთი უცნაური ნაბიჯი იყო მხოლოდ მისთვის გასაგები პრინციპით ტელეჟურნალისტთა დაჯილდოებაც.

16 ნოემბერს, თავისი პრეზიდენტობის უკანასკნელ დღეს, მან სახელმწიფოს განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ორდენები მიაკუთვნა — ზოგს თამარის, ზოგს ღირსების — მაია ასათიანს, ნანუკა ჟორჟოლიანს, ნინო შუბლაძეს, დოდო შონავას, ინგა გრიგოლიას, სოფო მოსიძეს. ამის შესახებ საზოგადოებამაც და თავად დაჯილდოებულებმაც მიხეილ სააკაშვილის „ფეისბუქის" ოფიციალური გვერდიდან შეიტყვეს.

„საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო ვადის ბოლო დღე გამორჩეულ ადამიანებს დაუთმო, ადამიანებს, რომლებმაც საკუთარი პროფესიული საქმიანობით დიდი წვლილი შეიტანეს სახელმწიფოს ჩამოყალიბებასა და განვითარებაში და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს თავიანთი მოღვაწეობის სფეროში, ასევე — საქართველოს მეგობრებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას დაეხმარნენ ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში და საერთაშორისო ასპარეზზე ადგილის დამკვიდრებაში", — განმარტებულია მიხეილ სააკაშვილის ოფიციალურ გვერდზე.

16 ნოემბერს სახელმწიფო ჯილდოები ათასზე მეტმა ადამიანმა მიიღო, მაგრამ გაკვირვება და გამოხმაურება მედიის წარმომადგენლების დაჯილდოებას მოჰყვა. თავად ჟურნალისტებიდანაც ზოგიერთმა ვერ გაიგო, თუ რატომ მოხვდა ამ სიაში, ზოგმაც პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება გააკრიტიკა.

განსაკუთრებით გაოცებული ინგა გრიგოლია დარჩა, რომელსაც თამარ მეფის ორდენი ერგო. სწორედ სააკაშვილის 9 წლიანი მმართველობის პერიოდში დაიხურა მისი ყველა გადაცემა სხვადასხვა წლებში სხვადასხვა ტელეარხზე. „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე ინგამ ასეთი სტატუსი დაწერა: „...დილით ჟურნალისტმა რომ დამირეკა, რა კომენტარს გააკეთებ პრეზიდენტის ორდენზეო, მეგონა, ხუმრობდა... ინფორმაცია მერე ვნახე. ცნობისთვის, ჩემთვის არავის დაურეკავს და არც არანაირი ორდენი გადმოუციათ... დაჯილდოებულთა სიაში რატომ მოვხვდი, ამ კითხვას მიშას თავად დავუსვამ, თუ ოდესმე მოვახერხე მასთან ინტერვიუ... მიმაჩნია, რომ ხელისუფლების ორდენები ჟურნალისტებს არ სჭირდებათ, არამარტო ჩვენთან, ყველა ქვეყანაში".

■ დოდო შონავა

თამარ მეფის ორდენოსანი ნანუკა ჟორჟოლიანი ამბობს, რომ მას ეს ჯილდო ჯერ არ მიუღია და არ იცის, კონკრეტულად რა დამსახურებისთვის მისცეს იგი. მიუხედავად ამისა, ყოფილ პრეზიდენტს „ფეისბუქის" საშუალებით მადლობა მაინც გადაუხადა.

— ნანუკა, რა რეაქცია გქონდათ, როცა გაიგეთ, რომ პრეზიდენტმა თამარ მეფის ორდენით დაგაჯილდოთ?

— ჩვეულებრივი, რა რეაქცია უნდა მქონოდა?

— როგორ შეიტყვეთ ამის შესახებ?

— „ფეისბუქიდან". მეგობარმა ლინკი ჩამიგდო.

— რას ნიშნავს ეს ჯილდო თქვენთვის?

— ჩემთვის ეს ჯილდო ჯერ არ მოუციათ და კონკრეტულად რა წერია იქ, არ ვიცი. თუმცა ალბათ იმას ნიშნავს, რაც „ფეისბუქზე" წავიკითხე. ამ ჯილდოსთვის მიხეილ სააკაშვილს „ფეისბუქით" მადლობაც გადავუხადე. ჩემთვის გოიმობაა ის პოპულიზმი, როცა ვიღაც მადლობას იხდის, ამ დაჯილდოებულთა სიაში რომ ვერ მოხვდა.

— ვის გულისხმობთ?

— ჟურნალისტებს, რომლებმაც კოლეგებს უნებლიეთ მიაყენეს შეურაცხყოფა. ეს ჩემთვის მიუღებელია. ინგა გრიგოლია არის ჟურნალისტი, რომელიც ყველა ეტაპზე ყველა კითხვას სვამდა. ის ყველა ეტაპზე ახერხებდა, რეიტინგული ყოფილიყო. ყველამ უნდა ვაღიაროთ, რომ ინგამ ამ ქვეყანაში მედიისთვის გამორჩეულად ბევრი შექმნა.

ნამდვილად არ ველოდი, რომ ამ ჯილდოს მივიღებდი და თქვენი ჟურნალის საშუალებით მიხეილ სააკაშვილს კიდევ ერთხელ ვეტყვი მადლობას.

— როგორ ფიქრობთ, რითი დაიმსახურეთ თამარ მეფის ორდენი?

— ეს უკვე ნამდვილად არ ვიცი.

❖

დოდო შონავას ღირსების ორდენი ერგო. მადლობელი დარჩა, თუმცა ერჩივნა, რაიმე ჟურნალისტური ჯილდო მიეღო. ყოველ შემთხვევაში, არც უფიქრია, ორდენზე უარი ეთქვა და სხვისგანაც ასეთ ნაბიჯს პოპულიზმად მიიჩნევს.

დოდო შონავა:

— ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ ყველა ჯილდო სასიამოვნოა. ალბათ შემდეგში განმარტებულიც იქნება, თუ რა დამსახურებისთვის მომანიჭეს ეს ორდენი. მიმაჩნია, რომ ჯილდოზე უარის თქმა ცოტა პოპულიზმის ელფერს ატარებს. ეს შეიძლება მანამდე თქვა, რომ მთლად იმხელა დამსახურების არ ხარ, ამხელა ორდენი მიიღო, მაგრამ როცა უკვე მონიჭებული გაქვს, ამაზე საუბარი ზედმეტია! დიდი მადლობა მას, ვინც გადაწყვიტა, რომ ეს ორდენი მეკუთვნოდა. მე, პირადად, როგორც ჟურნალისტს, მირჩევნია, ჟურნალისტური ჯილდოები მივიღო.

— ამის შესახებ თქვენც სხვისგან შეიტყვეთ?

— 17 ნოემბერს, პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს, თანამშრომელმა დამირეკა და მომილოცა. ინაუგურაციაზე წასასვლელად ვემზადებოდი, მეგონა, ამ დღეს მილოცავდა, როგორც მოვლენას ქვეყნისთვის. აღმოჩნდა, რომ ჯილდოს მილოცავდა.

— თქვენი აზრით, პრეზიდენტმა ეს ჯილდოები პრეზიდენტობის ვადის ბოლო დღეს რატომ გასცა?

— ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს.

— პირადად იცნობთ მიხეილ სააკაშვილს?

— დიახ. ის ჟურნალისტი ვარ, რომელმაც

■ ნანუკა ჟორჟოლიანი

მიხეილ სააკაშვილი პირველმა მიიწვია რადიოში. როცა ის ნიუიორკში იყო, მაშინ რადიოში, გადაცემა „პიკის საათში" ვმუშაობდი. მიხეილ სააკაშვილი ამერიკიდან გვერთვებოდა, კორუფციის დამარცხებაზე ვსაუბრობდით ხოლმე. სანამ პრეზიდენტი გახდებოდა, მანამდე მქონდა მასთან, როგორც რესპონდენტთან ურთიერთობა, მერე გადაცემაში არ მყოლია. მინდა გითხრათ, რომ ჩემს ჟურნალისტურ საქმიანობაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო რესპონდენტი იყო.

❖

დანარჩენ ორდენოსან ჟურნალისტებს მათი დაჯილდოების შესახებ აზრი საჯაროდ არ გამოუთქვამთ. ფაქტია, რომ ისინი თავს არიდებენ ამ თემაზე ლაპარაკს, ამიტომ უცნობია, სასიამოვნო აღმოჩნდა მათთვის თუ უსიამოვნო პრეზიდენტისგან მოულოდნელი საჩუქარი. მაგალითად, ღირსების ორდენოსანმა სოფო მოსიძემ „სარკის" სატელეფონო ზარს არ უპასუხა. არც თამარის ორდენოსანმა მაია ასათიანმა ისურვა კომენტარის გაკეთება და არც ასევე თამარის ორდენის მფლობელმა ნინო შუბლაძემ.

❖

ტელეჟურნალისტ ეკა ხოფერიას ორდენი არ შეხვდა. ამბობს, რომ მაინც უარს იტყოდა. „ფეისბუქზე" ირონიული კომენტარიც გამოაქვეყნა, თვითონაც არ იცის მიშამ, რა კარგი საქმე გამიკეთა იმით, რომ ორდენი არ მომცაო. მისი აზრით, ასეთი ჯილდო ზოგადად ჟურნალისტს გმირობის ტოლფასი დამსახურებისთვის უფრო ეკუთვნის.

ეკა ხოფერია:

— ჩემი აზრით, პრეზიდენტმა ბევრი კითხვა გააჩინა. თავად ჟურნალისტები კითხულობდნენ, გვაინტერესებს, რისთვის დაგვაჯილდოვაო. ცოტა გაუგებარი სიტუაცია შეიქმნა. ყველა ჩემს კოლეგას პატივს ვცემ და მათი კითხვებიც მესმის. კარგი იქნებოდა, ამ სიაში ომის დროს მომუშავე ჟურნალისტებიც ყოფილიყვნენ.

— ამ სიაში თქვენც რომ ყოფილიყავით, იტყოდით ჯილდოზე უარს?

— ალბათ, რადგან განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია.

— თქვენი აზრით, რა დამსახურების მიხედვით შეარჩია პრეზიდენტმა ეს ადამიანები?

— არ ვიცი. თავის მიმართულებაში ყველა პროფესიონალია, ეს სადაო არ არის. უბრალოდ, მაინც მგონია, რომ ჯილდო თუ ორდენი ადამიანს განსაკუთრებული მიღწევებისთვის უნდა გადაეცეს, მაგალითად, თუ იყო ომში, იბრძოდა ადამიანის უფლებებისთვის, ჩაატარა ჟურნალისტური გამოძიება, რომელმაც მოვლენებზე გავლენა მოახდინა, გადაარჩინა ადამიანი... ეს უფრო გასაგები იქნებოდა.

✓ ეკა ლემონჯავა

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

Cyan Magenta Yellow Black

თემურ ჩხეიძე: „ლევანთან ბოდიში, მაგრამ სპექტაკლზე მუშაობისას სულ არ მახსოვს, რომ მანანა კოზაკოვა მისი ცოლია“

მარჯანიშვილის თეატრის აფიშებს ორი დიდი რეჟისორის სახელი და გვარი ამშვენებს — თემურ ჩხეიძის და ლევან წულაძის. ასეთი რამ კი თეატრში არცთუ ხშირად ხდება. ეს დიდი ფუფუნებაა როგორც მსახიობების, ისე მაყურებლებისთვის.

„ქართული თეატრის პატრიარქი, ბუმბერაზი რეჟისორი“, — ასე დაახასიათა ლევან წულაძემ — ჭოლამ, როგორც მას იცნობენ, უფროსი კოლეგა, ბატონი თემური. საკუთარ თავს კი კაპრალს უწოდებს, რომელიც ლეიტენანტის წოდებისკენ მიისწრაფვის.

ერთმანეთის აზრით ყოველთვის ინტერესდებიან, ერთმანეთის პრემიერებს არ ტოვებენ. „სულ ვფიქრობ, ნეტა რას იტყვის თემური, როცა ჩემს სპექტაკლს ნახავს“, — გვითხრა ლევანმა. უფროსი კოლეგისგან კი ბოლო დროს ხშირად იმსახურებს შექებას. ბატონი თემური „სარკეზთან“ ამბობს, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე განსაკუთრებით მოხიბლულია ლევანის შემოქმედებით და უწინასწარმეტყველებს, კიდევ ორი რანგით ზემოთ აწევას — ლეიტენანტის წოდებასაც უნდა გასცდეს, თუ მოინდომებს და ღმერთისგან ბოძებულ ნიჭს გამოიყენებსო.

■ ლევან წულაძე და თემურ ჩხეიძე

სად და როგორ დაიწყო თეატრის პატრიარქისა და კაპრალის მეგობრობა

დიდმა ასაკობრივმა სხვაობამ დამეგობრებაში ხელი არ შეუშალათ, ზაფხულობით ბობოყვათში ოჯახებით ერთად ისვენებენ და იქაც, რა თქმა უნდა, მუშაობას აგრძელებენ, ოღონდ — ღვინის თანხლებით. ერთმანეთს აზრებს, შეხედულებებს უზიარებენ.

18 ნოემბერს მარჯანიშვილის თეატრმა თემურ ჩხეიძის იუბილე აღნიშნა — 70-ე დაბადების დღე. მართალია, თავად არ უყვარს თარიღების აღნიშვნა, მაგრამ თითოეულმა

თემური: „იუბილეების აღნიშვნა არ მიყვარს, უხერხულად ვგრძნობ თავს. მახსენებენ, რა სპექტაკლები მაქვს დადგმული, მე კი ისედაც კარგად მახსოვს, რაზეც მაქვს ნამუშევარი. ამ ყველაფერს დალევა სჯობს“.

მილოცვამ, თავისი მაყურებლის ყურადღებამ გააბედნიერა. ამ მილოცვებს „სარკეც“ სიყვარულით უერთდება.

— ბატონო თემურ, როგორ ჩაიარა იუბილეემ, რას ნიშნავს თქვენთვის ეს რიცხვი — 70?

თემური: ჩემი იუბილესთვის არანაირად მოვმზადებულვარ. 70 წელი ჩემთვის იმას ნიშნავს, რომ სიბერე უკვე ძალიან ახლოსაა. ჩემს ცხოვრებაში ბოლო ვირაჟი დაიწყო და ვნახოთ, რამდენ ხანს გასტანს. იუბილეზე მეგობრები შევიკრიბეთ, რაღა დაგიმალოთ და, დავლიეთ. მარჯანიშვილის თეატრმა პატივი დამდო და 18-ში, ჩემს დაბადების დღეზე, ჩემი ძველი სპექტაკლი „არტ ხელოვნება“ რიგგარეშედ დანიშნა. სპექტაკლის შემდეგ სმას მივყავით ხელი. დალევას კი რა მომზადება სჭირდებოდა, არა, ბატონო ლევან?

ლევანი: იუბილეს ჩუმად ნამდვილად არ ჩაუვლია.

თემური: განსაკუთრებულიც არაფერი ყოფილა.

— ბატონო თემურ, ვატყობთ, დაბადების დღეების ვადასტდა არ გიყვართ.

თემური: არ მიყვარს. სამწუხაროდ, უკვე ბევრი მრგვალი თარიღი გავიარე და განსაკუთრებულად არც ერთი აღმინიშნავს. მოლოცვები ძალიან მსიამოვნებს, მაგრამ იუბილეები არ მიყვარს, უხერხულად ვგრძნობ თავს. იუბილეზე მახსენებენ, რა სპექტაკლები მაქვს დადგმული, მე კი ისედაც კარგად მახსოვს, რაზეც მაქვს ნამუშევარი. ამ ყველაფერს დალევა სჯობს.

— ორივე რეჟისორმა უკვე საკმაო გზა გამოიარეთ. ერთმანეთის შემოქმედებაში რა ძლიერ მხარეებს ვამჩნევთ?

ლევანი: მე და ბატონ თემურს თანაბრად ნუ გვიხსენიებთ. ბატონ თემურს ქართული თეატრის პატრიარქის წოდება მივანიჭეთ. ქართული თეატრის არქიმანდრიტი გოგი ქავთარაძეა. მე ჯერჯერობით კაპრალი ვარ, რომელიც ლეიტენანტობისთვის იღვწის. თემური ბუმბერაზი რეჟისორია, მე კი აქამდე ბევრი მიკლია.

თემური: იხუმრეთ, ლევან, იხუმრეთ! მე და ლევანი ერთად მხოლოდ ასაკის გამო არ უნდა გვახსენოთ, დანარჩენში ყველაფერში ერთად ვართ. ამას ყოველგვარი იუმორის გარეშე გეუბნებით. ლევანმა ბოლო 10 წლის განმავლობაში მკვეთრი ნაბიჯები გადადგა წინ. სხვა კატეგორიაში გადაინაცვლა. მისი სახით ჩვენ მივიღეთ ერთი ძალიან სერიოზული მოვლენა რეჟისურაში. ვუსურვებ, დიდხანს იყოს ფორმაში, თავს მიხედოს, ჯანმრთელობას გაუფრთხილდეს და მგონია, რომ კიდევ ერთი სართულით მაღლა ასვლას შეძლებს. უახლოეს წლებში ყველანი დაინახავთ და მიხვდებით, რას ვამბობ. თუ ცოცხალი ვიქნები, მეც მოვესწრები მის კიდევ უფრო წინსვლას.

ლევანის ბოლო სპექტაკლებიდან რამდენიმე ძალიან სერიოზულად აღვიქვი. მინდა გითხრათ, რომ მას მაყურებელი ყოველთვის კარგად იღებდა, ყოველთვის უყვარდა და ეს რეჟისორისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვაფასებ, რომ ლევანს შეუმჩნევლად, ძალდაუტანებლად ფაქიზი სიღრმე გაუჩნდა, ამას ყოველგვარი მითითებების და ჭკუის დარიგების გარეშე მიაღწია.

ლევანი: აშკარაა, რომ კაპრალობიდან მაღლა ვიწევ.

თემური: აბა, რა, ლევან! მე ორი რანგითაც მაღლა გწევ. თან ერთი რაღაც არ მესმის, მე სასულიერო იერარქიაში მიხსენიებთ და თქვენ რატომ ხართ სამხედრო წოდებით?

ლევანი: ასე მოხდა, ბატონო თემურ!

თემური: ლევან, ძალიან კარგი წლები გაქვთ წინ, მშურს თქვენი! ახლა ის პერიოდი გაქვთ, როცა იმ ყველაფრის მაქსიმუმი უნდა აჩვენოთ, რაც ღმერთმა მოგცათ.

ლევანი: ეს სიტყვები ჩემთვის ბევრს ნიშნავს. თემური არის ის ადამიანი, რომელზეც სულ ვფიქრობ, ჩემი სპექტაკლის ნახვისას, ნეტა, რას იფიქრებს-მეთქი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სპექტაკლებს მისთვის ვდგამ ან მინდა, რომ კონკრეტულად ამ ერთ ადამიანს მოვაწონო თავი, მაგრამ მისი სახით მყავს სიდიდე, რომელსაც უნდა გავუსწორდე. ბატონი თემურის არსებობა ჩემს გაუწონასწორებელ პროფესიას აწონასწორებს. ვამაყობ, რომ ამ ადამიანის მეგობრად ვთვლი თავს. ერთი შეხედვით, გახსნილი ადამიანი ვჩანავარ, მაგრამ სინამდვილეში ძალიან ჩაკეტილი და საკმაოდ მარტოსული პიროვნება ვარ და ამ ჩემს მარტოსულობაში არსებობს ისეთი ადამიანი, როგორიც ბატონი თემურ ჩხეიძეა.

— როგორ დაუახლოვდით ერთმანეთს?

ლევანი: ბობოყვათში გავიცანი ახლოს და მაშინ გახდა ჩემი პატრიარქი, ჩემი მეგობარი. ახლა უკვე ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია მისი არსებობა, მისი აზრი და, თუ კარგს მეუბნება, სულ მრცხვენია.

თემური: არადა ბოლო დროს საკმაოდ ხშირად გეუბნები საქებარ სიტყვებს.

ლევანი: ქართული თეატრი უფრო ძლიერი და მაგარია, როცა მას ასეთი შემფასებელი ჰყავს. ბატონი თემური ვერც კი წარმოიდგენს, რამდენად მნიშვნელოვანია მისი ორი ფრაზა ჩემთვის.

— ბატონო ლევან, თქვენი თაობა თემურ ჩხეიძის სპექტაკლებზე გაიზარდეთ. რა დაინახეთ მის შემოქმედებაში, რა ისწავლეთ, მისი განვლილი გზიდან რა გამოცდილება გაიზიარეთ?

თემური: ჯერ მე გიპასუხებთ. მე და ლევანი მკვეთრად სხვადასხვანაირები ვართ და ეს ძალიან მომწონს. ჩემი ცოტა სხვანაირი ხედვა ხელს არ მიშლის, მივიღო და აღვიქვა ის სპექტაკლები, რომლებიც განსხვავებულადაა გაკეთებული. დამდეს პატივი და რაც ლევანი ამ თეატრის ხელმძღვანელია, რამდენიმე სპექტაკლი დამადგმევინეს. ორივე ერთ შენობაში ვართ, ერთ ტერიტორიაზე ვიხარშებით და მაინც ვახერხებთ ინდივიდუალურობის შენარჩუნებას. ჩემთვის ყველაზე საინტერესო ესაა.

— ერთმანეთის მუშაობის სტილს იცნობთ, განასაჯეთ ერთმანეთი რეპერტუარის დონის?

თემური: წარმოდგენა არ მაქვს, როგორია მისი რეპეტიციები, ალბათ ჩვენი მუშაობის სტილი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან.

ლევანი: „ბახსნილი ადამიანი ვჩანვარ, მაგრამ სინამდვილეში ძალიან ჩაკეტილი და საკმაოდ მარტოსული პიროვნება ვარ და ამ ჩემს მარტოსულობაში არსებობს ისეთი ადამიანი, როგორიც ბატონი თემურ ჩხეიძეა“.

ლევანი არ ყოფილა ჩემს რეპეტიციებზე. ჩვენ ერთმანეთს უხერხულ მდგომარეობაში არასოდეს ვაგდებთ. რეპეტიცია იმდენად ინტიმური მომენტია, რომ იქ კოლეგის შესვლა უხერხულია, ამიტომ მირჩევნია, ლევანს გამზადებული ვაჩვენო. ასე იმიტომ კი არ ვიქცევი, რომ რამეს ვმალავ, უბრალოდ ყოველთვის მიჩნდება ეჭვი, რომ იმ რაღაცას ლევანი უკეთ გააკეთებდა.

სპექტაკლის კეთებისას არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ კარგი გამოვა. შეიძლება ყველაფერი ისე გააკეთო, როგორც ჩაფიქრებული გქონდა, მაგრამ მაინც არ გამოვიდეს. ზოგჯერ თითქოს ყველაფერი რიგზეა სპექტაკ-

Cyan Magenta Yellow Black

ლში, მაგრამ მაინც არ მუშაობს. ეს საშინელი იმედგაცრუებაა.

ანალიზი იმ სპექტაკლებსაც სჭირდება, რომლებიც წარმატებულია. საკუთარ თავს ხშირად ვეკითხები, რა მიზეზით გამოვიდა ეს სპექტაკლი და რატომ არ გამოვიდა ის სპექტაკლი, რომელსაც სწორედ ასე გადავყევი თან? მაგრამ პასუხები არ არსებობს. ასე მგონია, ბევრი რამ არის ისეთი, რასაც ტანის გრძნობის მიხედვით ვაკეთებთ და პასუხი არ გვაქვს, ასე რატომ ვიქცევით.

ლევანი: სპექტაკლი რომ წარმატებული იყოს, ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული, ხშირად ჩვენგან დამოუკიდებელ რაღაცეებზეც კი, მათ შორის — ბედისწერაზე, ამინდზე, როლების განაწილებაზე. ჩანაფიქრის 70 პროცენტი თუ სრულდება, ეს ძალიან დიდი წარმატებაა, რაც საკმაოდ იშვიათად ხდება. ყველაფრის წინასწარ განჭვრეტა ძნელია. რეჟისორის გულწრფელობა დიდ როლს თამაშობს. აუცილებლად უნდა გაწუხებდეს ის ამბავი, რასაც ყვები.

— ზოგადად რეჟისორები ერთმანეთის ნამუშევრების სანახაოდ არ დადიან. რატომ ხდება ასე, რა არის მიზეზი, ნუთუ ბანალური შური?

თემური: წინა სპექტაკლები მე და ლევანმა პარალელურად, ერთი და იმავე დღეებში გამოვუშვით. მე რომ ლევანთან მოვხვედრილიყავი, ჩემი სპექტაკლი უნდა გამეცდინა ან

თემური: „მე და ლევანი მეკვეთიად სხვადასხვანაირები ვართ და ეს ძალიან მომწონს... ოთივე ერთ შენობაში ვართ, ერთ ტერიტორიაზე ვიხარშებით და მაინც ვახერხებთ ინდივიდუალურობის შენარჩუნებას. ჩემთვის ყველაზე საინტერესო ესაა".

პირიქით. ბოლოს, როგორც იქნა, შევძელით ერთმანეთის ნამუშევრების ნახვა.

ლევანი: არა მგონია, რომელიმე რეჟისორს სხვისი მტრობა, შული ჰქონდეს და ამიტომ არ მიდიოდეს მისი ნამუშევრის სანახავად. არც სხვების პრემიერები მიყვარს და არც ჩემი სპექტაკლების. თეატრალურ „ტუსოვკებს" ვერიდები. ძალიან მინდა, სპექტაკლზე ყველა მსახიობი დავაკავო, მაგრამ ასე არ გამოდის, ამიტომ, როცა მათ ვხვდები, თავს მორიდებულად ვგრძნობ. როცა სპექტაკლს ვუყურებ, მინდა, მარტო ვიყო, დასრულების შემდეგ მაშინვე წამოვიდე ჩემი შთაბეჭდილებებით, მაგრამ ამ დროს საპრემიერო ხმაური, ქოთქოთი ამის საშუალებას არ მაძლევს. მახსოვს, მიშა თუმანიშვილი ამბობდა ხოლმე, მეხუთე ჩვენებაზე უნდა ვნახო ჩემი სპექტაკლიო. მაშინ მეგონა, რომ ცოტას იპრანჭებოდა, მაგრამ ახლა ვხვდები მის დამოკიდებულებას. ეჭვი მაქვს, რომ მასაც სწორედ საპრემიერო ხმაურთან აცდენა უნდოდა.

თემური: რაც დრო გადის, სპექტაკლი, კარგი გაგებით, მშვიდდება. მეხუთე, მეექვსე ჩვენებაზე მსახიობებიც საბოლოო ფორმაში არიან.

— თეატრალური ანტრიგები აქტუალობას არასოდეს კარგავს, თუმცა თქვენ გარშემო მსგავსი რამ არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, არ გახსოვრებულა.

თემური: ჩვენზე მსგავს რამეს ვერც ვერასოდეს მოისმენთ. არსებობს კი პროფესია, რომელშიც ინტრიგა საერთოდ არ არის? ცხოვრებაშია ინტრიგა და ამაშია საქმე.

ლევანი: მსახიობს ყველაზე ნაკლებად სჭირდება ინტრიგა, რადგან მეორე დღეს შეიძლება ნებისმიერი კოლეგის გვერდით დგომა მოუწიოს სცენაზე და მისი შეყვარებულის როლიც კი ითამაშოს. ეს ხალხი ერთმანეთს ძალიან სჭირდება. ჩვენთან ნაკლებია ინტრიგა და მეტია მეგობრობა.

თემური: ვერავინ წარმოიდგენს, ისინი რამდენად შეკავშირებულები არიან ერთმანეთთან. მე და ლევანს დაწყებული პროფესია გვაქვს, არ გვინდა, ვინმეს გული ვატკინოთ, მაგრამ ძალაუნებურად გამოდის, რომ იმ მსახიობებს ვტკენთ გულს, ვინც როლზე არ აგვყავს. ამ დროს სულ მინდება, ყველა იმ მსახიობს ძალიან მოვეფერო, ვისაც როლი ვერ მივეცი.

ადამიანის აღზრდაზეც ბევრია დამოკიდებული. როცა გამიჩნდება კითხვა, რითი მჯობია მე ლევანი, ვაიმე, ხომ არ დავბერდი, რატომ უყვართ ლევანი უფრო, ვიდრე მე — უკვე ინტრიგის საწყისია. როცა ამას ჩავულრმავდები, მერე უკვე ჩემს აღზრდაზეა დამოკიდებული, თუ რა გზებს მივმართავ. შეიძლება იმაზე ზრუნვა დავიწყო, რომ ლევანი აღარ უყვარდეთ, ან გავჩერდე და, მაქსიმუმი, სამზარეულოში ჩემს ცოლს შევჩივლო ჩაის სმის დროს.

— ბატონი ლევან, ბატონი თემური წლების განმავლობაში პეტერბურგის დიდი თეატრის რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. თქვენ ოდესმე გაგჩენიათ საქართველოდან წასვლის სურვილი?

ლევანი: არავის დაუძახია და როგორ გითხრათ?

— რომ შემოგთავაზონ, წასვალთ?

ლევანი: ეს ცოტა რთული საკითხია, გააჩნია, რომელი თეატრიდან მივიღებ შემოთავაზებას. ნებისმიერი სპექტაკლი, რომელიც შენს თეატრში არ არის გაკეთებული, ახალი რომანია.

— ბატონი თემურ, პეტერბურგში თქვენი წასვლა რიგორ მოხდა, ერთბაშად მიიღეთ გადაწყვეტილება თუ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ მიხვედით იქამდე?

თემური: პეტერბურგში ერთი სპექტაკლის დასადგმელად გავემგზავრე, მერე მითხრეს, იქნებ მომავალ წელსაც დაგვიდგაო. პირველი სპექტაკლი რომ გავაკეთე, გამიჩნდა გრძნობა, თითქოს მათთან დიდი ხანი ვმუშაობდი. ბევრი წელი ისე გავიდა, რომ იქ გაკეთებული სპექტაკლის შემდეგ აქ ჩამოვდიოდი და სპექტაკლებს ვდგამდი. მერე თეატრის ხელმძღვანელი გავხდი და თავისუფლად პარპაში აღარ გამოდიოდა. ყოველთვის მქონდა შეგრძნება, როცა მომინდებოდა, ჩემს ქვეყანას დავუბრუნდებოდი. როცა თეატრის ხელმძღვანელი ვიყავი, მაშინაც მოვახერხე აქ ორი სპექტაკლის დადგმა. არასოდეს მიგრძვნია თავი ემიგრაციაში. ჩემთვის თავიდანვე რომ ეთქვათ, წამოდი და აქ იცხოვრეო, დაუფიქრებლად უარს ვიტყოდი და ვერავინ გადამათქმევინებდა.

— ბატონო თემურ, რიგორც ვიცი, ბატონი ლევანის ერთ-ერთ სპექტაკლში თქვენი ცოლი, ნანა ჩიქვანიძე ითამაშებს. თქვენც ვიმუშავათ ბატონი ლევანის ცოლთან, მანანა კიზაკოფასთან. რთულია, რეპეტიციებზე დაიჟიწყო, რომ ის შენი მეგობრის, ცნობილი რეჟისორის ცოლია?

თემური: ლევანსაც დიდ ბოდიშს ვუხდი და ქალბატონ მანანასაც, მაგრამ რეპეტიციაზე სულ არ მახსოვდა, ვისი ცოლი იყო. ის ჩემთვის ერთი რიგითი მსახიობი გახლდათ. დამიჯერეთ, გამორიცხულია, რეპეტიციაზე იმაზე იფიქრო, ვინ ვისი რა არის. იმ მომენტში ის ჩემი მსახიობია და დამთავრებულია! მგონია, რომ ლევანსაც იგივე შეგრძნება უნდა ჰქონდეს და ასე მუშაობდეს.

ლევანი: მანანა რომ ჩემი ცოლია, რეპეტიციებზე მაშინ მახსენდება, როცა საჩხუბარი მაქვს. მანანას ვუყვირი, რომ სხვებმა გაიგონონ.

— სხვათა შორის, ქალბატონ მანანას ჩვენთან ნათქვამიც აქვს, რომ ყველაზე მეტს სწორედ მას ეჩხუბებით.

ლევანი: მეგონა, რომ მას კარგად ესმოდა და ჩივილს არ დაიწყებდა.

თემური: დამიჯერე, ლევან, ძალიან კარგად ესმის, ასე რატომაც იქცევი.

ლევანი: ქალბატონ ნანისთან ახლა დავიწყე მუშაობა და კმაყოფილი ვარ. ბატონი თემურის შვილთან, ეკასთან ერთად კი ოთხ სპექტაკლზე ვიმუშავე. ეკა ჩემი ძალიან ახლო მეგობარია, ის ჩემი ჯგუფელი იყო, ძალიან მიყვარს. მამას

ლევანი: „ახლა სხვების ჰარმონიები მიყვარს და ახლა ჩემი სპექტაკლების. თეატრალურ „ტუსოვკებს" ვერიდები. ძალიან მინდა, სპექტაკლზე ყველა მსახიობი დავაკავო, მაგრამ ასე არ გამოდის, ამიტომ, როცა მათ ვხვდები, თავს მორიდებულად ვგრძნობ".

გარეგნობითაც ჰგავს და ნიჭითაც. საკმაოდ დამოუკიდებელი ადამიანია, მამის დახმარების გარეშე განვითარდა. მე და ეკა პროფესიულად ერთად ვიზრდებოდით.

თემური: ეკა მხოლოდ ორჯერ ვათამაშე ჩემს სპექტაკლში. ის უფრო ფიქრობს იმაზე, თუ რატომ არ აკავებს მამა, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ თუ ეკასავით სხვასაც შეუძლია კონკრეტული როლის თამაში, სჯობს, იმ სხვამ ითამაშოს.

— რატომ ჩაგრაფთ შეიდს?

თემური: იმიტომ, რომ ამ დროს დისტანციიდან ვუცქერი.

ლევანი: ეკა ნამდვილად ვერ იტყვის, რომ არარეალიზებული მსახიობია და როლები აკლია.

თემური: ეკამ მართლაც ყველაფერს მარტომ, ჩემგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად მიაღწია. ამაზე რომ ვფიქრობ, გაცილებით უკეთეს გუნებაზე ვდგები.

— თეატრის მიღმა რიგორია ორი რეჟისორის ურთიერთობა?

თემური: ჩვენ ბობოყვათში თუ ვიმეგობრებთ. აქ ამისი დრო არ გვაქვს, სულ თეატრში ვართ. ლევან, წელს არ წავსულვართ ბობოყვათში და რა ხდება?

ლევანი: შემდეგ ზაფხულს აუცილებლად უნდა წავიდეთ. ბობოყვათი გენიალურია დასასვენებლად, კოლეგები ერთად მივდივართ და იქაც ვაგრძელებთ ღვინით გაჯერებულ მუშაობას.

თემური: ჩემი პატარა შვილიშვილი კარგა ხანს ბობოყვათს ბაყბაყდევს ეძახდა. რომ ეკითხებოდნენ, შენი ბებია-ბაბუა სად არიანო, ბაყბაყდევშიო, პასუხობდა. პერიოდულად ნამდვილად გვჭირდება იქ ჩასვლა. აქ სულ თეატრი, სულ მუშაობა, რეპეტიციები, სპექტაკლებია და თავისუფალი დროის გამონახვას ვერ ვახერხებთ.

✓ ქეთი დინოშვილი

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

წერილი ყოფილ ცოლს — „მაპატიე, რომ მიგატოვე!“

„ისეთი სევდა დაგეუფლა, ისეთი გრძნობა, ფოთლის მაგივრად თითქოს წეღან შენ მოწყდი ხიდან...“ — ოთარ ჭილაძის ამ სიტყვებს ვკითხულობდი ცოტა ხნის წინ და შენი სახე დამიდგა თვალწინ. იმ წუთში მართლაც უღონო, უმწეო ფოთოლს ჰგავდი, ფარფატით რომ ეშვება დიდი სიმაღლიდან და კი არ ვარდება, კი არ ენარცხება, უსულოდ ესვენება მიწაზე. ზუსტად ასეთი იყავი მაშინ. უმწეოდ, უსიტყვოდ მიყურებდი. თითქოს მევედრებოდი, რომ გადამერჩინე, უბეში ჩამეხუტე, მაგრამ იმ დროს თანაგრძნობის გაწევის უნარი დაკარგული მქონდა. რამდენიმე დღის განმავლობაში გაზუთხულ სიტყვებს გეუბნებოდი, რომ ჩემთვის უნდა გეპატიებინა, რომ შენთან ცხოვრება არ შემეძლო. მაშინ ჩემთვის მთავარი იყო, ეს სიტყვები რაც შეიძლება სწრაფად მეთქვა და ყველაფერი დამესრულებინა. იმას კი არ ვუყურებდი, შენი სულის სარკმლებში რა ხდებოდა, ცრემლი როგორ გუბდებოდა. ეს ყველაფერი ჩემმა მეხსიერებამ ფოტოსავით აღბეჭდა და ყოველ შენს გახსენებაზე ამ სურათს თითქოს ცხვირწინ მიტრიალებს.

ჩვენ სიყვარულით არ შეუღლებულვართ, უფრო სწორად, მე არასოდეს მითქვამს, რომ შენ მიმართ დიდ სიყვარულს ვგრძნობდი. ერთადერთი, თავს იმით ვიმშვიდებ, რომ არასოდეს მომიტყუებიხარ. თავიდანვე იცოდი, რომ წლების განმავლობაში ერთი გოგო მიყვარდა, რომელიც სხვა კაცის ცოლი გახდა. ჩვენ ერთმანეთი მეგობარმა გაგვაცნო. შენგან ისეთი სითბო მოდიოდა, თითქოს ჩემს სახლში ვიყავი, თითქოს სადღაც ჩვენს ახლოს ბუხარი გიზგიზებდა და შეშის სურნელს ატრიალებდა — მშობლიურს და ძალიან ახლობელს. ამან მიმიზიდა, ამან მაფიქრებინა, რომ ჩემს დიდ სიყვარულს ეს სითბო გადაფარავდა და ტკივილს დამავიწყებდა. მე, როგორც ბავშვს, ისე გათვალიერებდი, ზოგჯერ ბავშვივითაც გექცეოდი, შენ კი დაბრძენებული ადამიანივით შემიყვარე, ისეთი სიყვარული მაჩუქე, მხოლოდ წიგნებში რომ წერია და ფილმებში რომ აჩვენებენ.

ჩვენი ოჯახური ცხოვრება ისეთივე მშვიდი იყო, როგორიც შენ. ჩემთვის იმედი არასოდეს გაგიცრუებია. ქორწინებამდე რასაც შენგან მოველოდი, ქორწინების შემდეგ ზუსტად იმას ვიღებდი — სითბოს და სიყვარულს. შენს მშვიდ სახეს ჩემი დანახვა ისე აცისკროვნებდა, იმდენი ციცინათელა გიკრთოდა თვალებში... თურმე რა ბედნიერი ვყოფილვარ, თურმე რამხელა ბედნიერებაა, როცა შენს დანახვაზე ქალის თვალებში ათასი ათინათი კრთება. მე კი ეს ყველაფერი მაშინ დავაფასე, როცა აღარ მქონდა.

ჩვენი ქორწინება ერთი წელიც არ გაგრძელდა. ყველაფერი მე დავანგრიე.

ერთ დღეს გავიგე, რომ ჩემი ყოფილი შეყვარებული ქმარს გაშორდა და იმ წუთიდან თავგზა ამებნა. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, რომ მენახა. თავს ვიტყუებდი, რომ მისთვის მხოლოდ კითხვების დასმა მინდოდა. საკუთარ თავს ვეუბნებოდი, შევხვდები და მხოლოდ იმას ვკითხავ, რატომ მიმატოვე, რატომ მომატყუე-მეთქი. მართლაც შევხვდი, ეს კითხვებიც დავუსვი, მაგრამ პასუხი არც მაინტერესებდა, ისე მიზიდავდა, თითქოს მისი სხეულის ნაწილი ვიყავი და უნდა გავმთლიანებულიყავით. იმ დღეს ჩვენი ურთიერთობა განახლდა. მითხრა, უჩემოდ ცხოვრება არ შეეძლო და ქმარს იმიტომ გაშორდა, რომ მე ვერ მივიწყებდა. მეც დავუჯერე და გადავწყვიტე, ქორწინება დამესრულებინა, ჩემს ყოფილ შეყვარებულთან შემექმნა ოჯახი. შენთვის სიმართლის გამხელა ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მაინც გითხარი. შეტრიალდი და უხმოდ გამეცალე. ცრემლებიც კი არ მაჩვენე, არც საყვედური გითქვამს იმ სიყვარულისთვის, რომელიც ჩემთვის გაიღე, რომელიც ასე უშურველად მაჩუქე.

მერე... მერე ჩემი ცხოვრება ტრაგიკომედიას დაემსგავსა. ჩემს შეყვარებულთან ოჯახის შექმნაც ვერ მოვასწარი, ისე სწრაფად გამშორდა. თურმე ქმარს რომ გაშორდა, უცხოეთში გასამგზავრებელ საბუთებს აგროვებდა, იქ გეგმავდა წასვლას. მე უარი იმიტომ არ მითხრა, რომ რეზერვად დამიტოვა. კონსულს რომ უარი ეთქვა მისთვის, მარტო ხომ არ იქნებოდა, გულის გადასაყოლებლად ვინმე ხომ სჭირდებოდა. ყველაფერი რომ მოაგვარა და გასამგზავრებელი ბილეთიც აიღო, სიმართლე მერე მითხრა. სასაცილო მდგომარეობაში ჩავვარდი. ოჯახი დავანგრიე, ქალს, რომელსაც სიგიჟემდე ვუყვარდი, მის გამო ხელი ვკარი, მას კი თურმე არც ვყვარებივარ, თურმე ყოველთვის მატყუებდა.

ხშირად ვფიქრობ, ვინ იყო ის ქალი ჩემს ცხოვრებაში — დიდი ვნება თუ დიდი სიყვარული. მგონია, რომ მხოლოდ ვნება იყო, რადგან მას სხვა არაფრის მოცემა შეეძლო ჩემთვის. სიყვარულს კი სითბო სჭირდება, რომ იცოცხლოს და ამას მხოლოდ ახლა მივხვდი.

ყოფილ ცოლს პატიებას ვთხოვ. ვიცი, ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელია, რადგან უკვე ბევრი რამ გვაშორებს ერთმანეთისგან, მაგრამ მაინც გთხოვ — მაპატიე! ალბათ შენი ღირსი არც ვიყავი, ალბათ ამ დიდ სიყვარულს არც ვიმსახურებდი. ისევ ოთარ ჭილაძის სიტყვები მიტივტივებს თავში: „წამსვლელი თვითონ დგება და მიდის, ზღვებსაც აცოფებთ ზედმეტი წვეთი“. შეიძლება მეც ის ზედმეტი წვეთი ვიყავი, რომელიც შენი ზღვა სიყვარულის ღირსი არ იყო. კიდევ ერთხელ — მაპატიე!

„ხარკის“ ერთგული მკითხველი

„ქმარს ვერ ვუმხელ, რომ ვალის გასასტუმრებელი ფული დავკარგე“

მე თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი ვარ. 30 წლის ვარ და ცხოვრებამ უკვე მაგემა სიმწარე. ქმარი და ორი შვილი მყავს. შორიდან თითქოს ყველაფერი კარგად ჩანს, მაგრამ არავინ იცის ჩემი გაჭირვება. ჩემი ოჯახი ვალებშია ჩაძირული. ბანკების ვალები ცალკე გვაქვს, კერძო პირის — ცალკე. ჩემი ქმარი საზღვარგარეთ მუშაობს, რომ ვალები გადაიხადოს. 2000 დოლარი გამომიგზავნა, რომ ერთ-ერთი ვალი გამესტუმრებინა, მე კი ისეთი გათიშული დავდივარ, რომ ის ფული დამეკარგა.

ჩემი ქმარი ძალიან მკაცრია. ერთხელ ბავშვებს ტანსაცმელი ვუყიდე და ისე მეჩხუბა, მთელი ღამე ტირილში გამათენებინა. ახლა ის რომ ვუთხრა, შენი გამოგზავნილი ფული დავკარგე-მეთქი, გადაირევა. იმ ადამიანმა, ვისი ფულიც გვმართებს, ვადა თვის ბოლომდე მომცა. არ ვიცი, რა მეშველება. დღე და ღამე თავის მოკვლაზე ვფიქრობ. არც ის ვიცი, ვალი როგორ გადავიხადო და არც ის, სიმართლე როგორ გავამხილო.

მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. ეწვიეთ საიტsana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru

ანონიმურობა დაცულია

Cyan Magenta Yellow Black

გამოხმაურება

„გწამდეთ, რომ თქვენს ცხოვრებაში სასწაულები მოხდება“

„სარკის“ 47-ე ნომერში გამოქვეყნებულმა ახალგაზრდა კაცის წერილმა შემძრა. 39 წლის კაცი წერდა, ქორწილის დღეს დავინვალიდდი და საცოლემ მიმატოვაო. ისეთი ქალი გვერდით არც გჭირდებოდათ. ერთ დღეს მაინც აფრინდებოდა ბუდიდან, მიზეზად კი სხვა რამეს გეტყოდათ. ასეთი ქალები სულ ეგრე დაფრინავენ, ერთ ადგილას ვერ ჩერდებიან, ერთგულება არ შეუძლიათ. ასე რომ, დიდად ნუ დაგწყდებათ გული, თუ თქვენ გვერდით არ არის. დამერწმუნეთ, მასთან ყოველთვის პრობლემები გექნებოდათ.

და კიდევ, მინდა, ერთი რამის გჯეროდეთ — ცხოვრებაში ბევრი სასწაული ხდება და თანაც იმ დროს, როცა არ ელი და ისეთი, რასაც ვერ წარმოიდგენ. მინდა, სასწაულების გწამდეთ, იფიქრეთ, რომ ერთ დღეს ყველაფერი კარგით შეიცვლება!

თქვენი მკითხველი

„უსინათლო ქმრის გვერდით ძალიან ბედნიერი ვარ“

ვეხმაურები ჟურნალ „სარკის“ 47-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილს — „ქორწილის დღეს დავინვალიდდი და საცოლემ მიმატოვა“. ამ წერილის ავტორს უნდა ვუთხრა, რომ ის სადარდელი იმ ქალს აქვს, რადგან მან მოსიყვარულე ქმარი დაკარგა.

მე ინვალიდს გავყევი ცოლად. ის უბედურმა შემთხვევამ ინვალიდად აქცია. ცალი თვალით საერთოდ ვერ ხედავს, მეორეთი კი — ოდნავ. ისეთი ადამიანია, შეუძლებელი იყო, არ შემყვარებოდა. როცა ვთქვი, რომ ინვალიდს მივყვებოდი ცოლად, ყველას გაუკვირდა. მშობლები სახლიდან გაგდებით დამემუქრნენ, ძმა ხელითაც კი შემეხო, მაგრამ საყვარელ ადამიანთან ვერავინ და ვერაფერმა დამაშორა. მისი ცოლი რომ გავხდი, დედაჩემი საავადმყოფოში მოხვდა გულის შეტევით, ნათესავები არ მელაპარაკებოდნენ, ახლა კი ყველაფერი სხვაგვარადაა. ჩემი ქმარი ყველას ისე უყვარს, ზოგჯერ ვამბობ, ნუ მაეჭვიანებთ, ასე ნუ ეფერებით-მეთქი.

მე და ჩემს შვილს არაფერს გვაკლებს, ფუფუნებაში გვაცხოვრებს და, რაც მთავარია, სიყვარულს არ გვაკლებს. საკმარისია, რამე მოვისურვო, რომ მაშინვე მისრულებს. მის გვერდით უზომოდ ბედნიერი ვარ და მადლობა ღმერთს, რომ მას შემახვედრა.

იმ წერილის ავტორს მივმართავ: ერთ დღეს ვინმე თქვენშიც იპოვის დიდ სიყვარულს და მთელი ცხოვრება გიერთგულებთ. იმედი არასოდეს დაკარგოთ. სხივი მაშინაც კი ჩნდება, როცა ირგვლივ უკუნი სიბნელეა.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

„თავიდანვე უნდა გეზრუნათ, რომ თქვენს ცოლს და დედას ერთმანეთი არ დაეჭამათ“

ჟურნალ „სარკის“ 47-ე ნომერში გამოქვეყნდა სტატია, სათაურით „53 წლის კაცი დედის და ცოლის ჩხუბმა შემიწირა“. მინდა, ამ კაცს მივმართო: თავიდანვე უნდა გეზრუნათ, რომ დედათქვენს და თქვენს ცოლს ერთმანეთი არ დაეჭამათ. თქვენ კი საყვარელი გაიჩინეთ და ნერვების დამშვიდება სხვა ქალთან სცადეთ. უკეთესი იქნებოდა, ორივესთვის თავ-თავისი ადგილი მიგეჩინათ. თავის დროზე რომ ასე მოქცეულიყავით, ახლა დედასაც მშვიდი სიბერე ექნებოდა და არც თქვენ გაიმწარებდით ამ წლებს.

მაპატიეთ, თუ უხეშად მოგმართეთ, მაგრამ მინდა, ეს ბევრმა კაცმა გაითვალისწინოს და პრობლემა თავიდანვე მოაგვაროს.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

„სასიძოს მშობლები სახლს გვიწუნებენ“

თქვენი ჟურნალი რომ გამოვა, ჩემს გოგონას უკვე გათხოვილი ქალი ერქმევა. ახლა საქორწილო გაწამაწიაში ვართ, მაგრამ მე სულ განმარტოება მინდა, ვინმე რომ მელაპარაკება, პასუხს ვერ ვცემ. სულ იმაზე ვფიქრობ, რომ შევცდი, შვილისთვის ნება არ უნდა დამერთო, ასეთი არჩევანი გაეკეთებინა. ახლა, როგორც იქნა, განვმარტოვდი და თქვენთვის ჩემი გასაჭირის გაზიარება მომინდა.

ჩემი გოგონა 21 წლის არის. ძალიან კარგი განათლება მივეცით, გარეგნობაც ისეთი აქვს, რომ ათას ქალში გამოარჩევ. თაყვანისმცემლები არასოდეს აკლდნენ. ჩემთანაც ბევრი მოსულა, თქვენი შვილი რძლად გვინდაო. შემდეგ კი გამოჩნდა ოჯახი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მათთან დანათესავება გადაგვეწყვიტა. სასიძოც მომეწონა, ჭკვიანი, განათლებული ბიჭია. ჩემს შვილს პლუსები ჩამოვუთვალე და გადაწყვეტილება მივაღებინე. ჩავთვალე, რომ იმ ოჯახში ბედნიერი იქნებოდა, მაგრამ ახლა სხვანაირად ვფიქრობ.

მე და ჩემი ქმარი უმაღლესი განათლებით ვართ, ძალიან კარგი ოჯახი გვაქვს, თუმცა მდიდრები არ ვართ. ოროთახიან ბინაში ვცხოვრობთ, მაგრამ ჩვენი ორი შვილის სამყოფი ყველაფერი გვაქვს. არასოდეს მრცხვენოდა იმის, რომ ძველისძველი რემონტი მქონდა და კედლებიც აქ-იქ გაბზარული იყო, არც იმაზე გავწითლებულვარ არასოდეს, რომ სადა და უბრალო ავეჯი გვედგა. ყოველთვის თავი მომქონდა იმით, რომ ორივე შვილს კარგი განათლება მივეცით და კარგ ადამიანებად გავზარდეთ. ჩემთვის მთავარი ღირებულება სწორედ ეს არის. მინდოდა, ჩემი შვილებიც ისეთ ოჯახში შესულიყვნენ, სადაც ასეთივე ფასეულობები ექნებოდათ, მაგრამ, როგორც ჩანს, წინ ძალიან დიდი იმედგაცრუება მელის.

რამდენიმე დღის წინ სასიძოს დედამ დამირეკა და მითხრა, პატარძალი პირდაპირ ეკლესიაში მოვიდეს, მის წამოსაყვანად თქვენს სახლში არ მოვალთო. გამიკვირდა და ვიკითხე, ასე რატომ უნდა მოხდეს, როცა, წესით, სიძე და მისი ნათესავები მიდიან პატარძლის სახლში და იქიდან მიჰყავთ-მეთქი. იმ ქალმა ხან რა თქვა, ხან რა, ბოლოს კი მომახალა, არ მინდა, ჩემი ნათესავები თქვენს სახლში მოვიდნენო. გაკვირვებისგან ენა ჩამივარდა. თან დააყოლა, არ მინდა, მთელი სანათესაოს სალაპარაკო გახდეს, რომ ჩვენი რძალი ღარიბი ოჯახის შვილია, შეიძლება ისიც თქვან, ჩემს ბიჭს იმიტომ გაჰყვა, რომ ჩვენს სიმდიდრეს დაეშურა, რადგან თვითონ არაფერი აბადიაო. უცებ ისე ავფეთქდი, კარგად არც მახსოვს, რა ვუთხარი. ვუკიოდი, თუ ასე ფიქრობთ, ქორწილს ახლავე ჩავშლი, ღარიბები თქვენ ხართ, რადგან სულიერი სიმდიდრის ფასი არ იცით-მეთქი. ქმარმა შემომისწრო ლაპარაკში და ისიც გადაირია, თქვა, ეს ქორწილი არ შედგებაო. ჩვენი გოგონა საქორწილო ფეხსაცმელების ასარჩევად იყო წასული. იქიდან ისეთი ბედნიერი დაბრუნდა, სიხარულით ისე ულურტულებდა, სიტყვა ვერ დავძარი, ვერ ვუთხარი, რომ ამ ქორწინებაზე დაფიქრება გვმართებდა.

რა თქმა უნდა, სასიძო და მისი ნათესავები ჩვენი სახლიდან წაიყვანენ ჩემს გოგონას, მაგრამ მე უკვე საშინლად ვნერვიულობ. არ ვიცი, იმ ქალის გვერდით როგორ უნდა იცხოვროს ან მე როგორი ურთიერთობა უნდა მქონდეს მასთან. მომავალი ძალიან მაშინებს. ვაითუ, შვილი კი არ გავაუბედნიერე, გავაუბედურე!

თქვენი ერთგული მკითხველი

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

იაკობ ტრიპოლსკი – პოლონელი თავადის ქართული ცხოვრება

„თავისი მამის მკვლელის შვილი ციხიდან გამოიხსნა და შვილივით უვლიდა“

ბევრია ალბათ თუ ვინმეს ჰყვარებია საქართველო და ქართველობა ისე, როგორც იაკობ (იაშა) ტრიპოლსკის. მამით პოლონელმა და დედით ქართველმა ბიჭმა მთიულეთის საჯიხვეებში შეითვისა ქართველი კაცის თვისებები და ადათ-წესები. იქვე ეზიარა ქართული პოეზიის საგანძურსაც. გუდამაყარში დაბადებული და გაზრდილი თბილისში ჩამოვიდა და უნივერსიტეტში ჩააბარა. რაღაც პერიოდი სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლადაც მუშაობდა და რომ არა მისი დიდი სურვილი, მსახიობი გამოსულიყო, ალბათ მის შესახებ ვერასოდეს შევიტყობდით. არც მისი ფენომენური ნიჭის შესახებ გვეცოდინებოდა რამე.

იაკობ ტრიპოლსკი 40 წელი იდგა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. პარალელურად ინგლისურიდან თარგმნიდა პიესებს, პოემებს. ბევრმა არც კი იცის, რომ ბერნარდ შოუს „პიგმალიონი“, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში დღესაც ანშლაგით იდგმება, იაკობ ტრიპოლსკიმ თარგმნა მოსე ქარჩავაძესთან ერთად.

მისი სიმდიდრე მაყურებლის სიყვარული და პატიოსანი კაცის სახელი იყო. კიდევ ბევრი რამის მოსწრება შეეძლო, მაგრამ ჯანმრთელობამ უმტყუნა, 69 წლის ასაკში წავიდა ამქვეყნიდან.

იაკობ ტრიპოლსკის ცხოვრების ეპიზოდებს მისი ვაჟი **ირაკლი ტრიპოლსკი** გვიამბობს:

— მამა 1919 წლის 31 დეკემბერს დაიბადა გუდამაყარში. მამაჩემის პაპა, იაგორ ტრიპოლსკი, საგზაო ინჟინერი იყო, ძლეთა-ფასანაურის სამხედრო გზაზე რაც კი დამცავი ჯებირია დღემდე შემორჩენილი, მისი გაკეთებულია. იაგორი 1832 წელს, რუსეთის წინააღმდეგ პოლონეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, 700 პოლონელ ოფიცერთან ერთად კავკასიაში გადმოასახლეს. მთიულეთში ჩამოვიდა და ფასანაურში დასახლდა, ცოლად ქართველი ქალი მოიყვანა. იაგორ ტრიპოლსკი ისე გარდაიცვალა, რომ ქართული კარგად არ იცოდა, მისმა მეუღლემ კი რუსული არ იცოდა. 7 შვილი ჰყავდათ.

მამაჩემი 3 წლის იყო, როდესაც მამა მოუკლეს. ვიღაც ყაჩაღი, რომელიც ტყეში იმალებოდა, ხელისუფლებასთან შერიგებას ცდილობდა და მთავრობამ მას დაავალა პაპაჩემის მოკვლა, რადგან ქაქუცა ჩოლოყაშვილის აჯანყებაში ჰყავდათ შემჩნეული. იმ ყაჩაღმა პაპაჩემს მაშინ ესროლა, როდესაც ის ფასანაურიდან თბილისში ველოსიპედით (მაშინ ველოსიპედი იშვიათობა იყო) მოდიოდა. ტყვია ღვიძლში მოხვდა. სასამართლოში ის ყაჩაღი იძახდა, განგებ არ მომიკლავს, არაგვის გაღმიდან ვისროლე, მაინტერესებდა, რამდენად ზუსტად მიჰქონდა თოფს ტყვია მიზანშიო.

19 წლის იყო ბებიაჩემი, ირინე წიკლაური, როდესაც დაქვრივდა. ორ მცირეწლოვან ბავშვს (მამა რომ მოუკლეს, იაშა 3 წლის იყო, მისი და ოლღა კი — 1 წლის) მკერავობით არჩენდა. მამიდაჩემი, ოლღა, დღესაც ცოცხალია, 93 წლისაა.

მამა იხსენებდა, რომ ბავშვობაში ძალიან უჭირდათ და კეთილი ადამიანები რომ არ დახმარებოდნენ ობლებს, შეიძლებოდა შიმშილით დახოცილიყვნენ. ერთხელ, როდესაც მეშვიდე კლასში იყო, მასწავლებელს უთქვამს, ხვალ სიტყვით უნდა გამოხვიდე მშობელთა კრებაზე და ობლების დასახმარებლად მოუწოდოო. მამაც გამოსულა სიტყვით, ბოლოს კი ატირებულა. ბავშვის ტირილზე მშობლებიც ატირებულან.

მამამ მუშაობა ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში დაიწყო, მეშვიდე კლასში რომ გადავიდა, ფოსტაში ღამის მორიგე იყო. მეათე კლასში რომ სწავლობდა, მეტეოროლოგიურ სადგურში უფროს დამკვირვებლად მუშაობდა.

14 წლის იყო, როდესაც თბილისში პირველად ჩამოიყვანეს. ცირკის ბილეთის შესაძენად რიგში რომ დამდგარა, ჯიბეში მხოლოდ ერთი მანეთი ჰქონია. როდესაც მისი რიგი მოსულა, მანეთიანი ბილეთი გათავებულა და ორმანეთიან ბილეთებს ყიდდნენ. მამა დამწუხრებული გამოსულა რიგიდან, ვიღაცა კაცს შესცოდებია და ერთი მანეთი უჩუქებია. მამა ხელახლა დამდგარა რიგში. მისი რიგი რომ მოსულა, უკვე სამმანეთიან ბილეთებს ყიდდნენ, იმ კაცს მეორე მანეთიც მიუცია და სამმანეთიანი ბილეთით შესულა ცირკში. წლების მერე, როდესაც მამა მსახიობი გახდა, სულ იმ კაცს ეძებდა, სიკეთე სიკეთით რომ გადაეხადა.

ძალიან კეთილი გულის პატრონი იყო. ზოგისთვის ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ თავისი მამის მკვლელის შვილი, რომელიც ციხეში იჯდა, იქიდან გამოიხსნა და სახლში მოიყვანა, შვილივით უვლიდა.

— ცნობილია, რომ ფასანაურში სკოლა თქვენს სახლში იყო გახსნილი. რატომ ჩამოგართვეს ბინა?

— ფასანაურში ტრიპოლსკებს დიდი სახლი ჰქონდათ. გაკულაკების მერე პირველი სართული ჩამოართვეს და სკოლა გახსნეს. მამა მეორე სართულზე ცხოვრობდა ოჯახით, პირველ სართულზე კი სკოლაში დადიოდა. ბევრი იწვალა იმ სახლის დაბრუნებაზე და 1965 წელს დაიბრუნა.



■ იაკობ ტრიპოლსკი ცოლთან და პატარა ირაკლისთან ერთად

„დედა მამას ცხოვრების სიყვარული იყო. ბედნიერი ქალი გახდათ, რადგან მოსიყვარულე, თბილი და კარგი ადამიანი ჰყავდა მეუღლედ“.

სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და უგამოცდოდ მიიღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ინგლისური ენის განხრით. პირველი კურსის სტუდენტმა იაკობ გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა, მესამე კურსიდან კი მე-14 სკოლაში ინგლისურს ასწავლიდა. მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, სასწრაფოდ დაამთავრებინეს მეხუთე კურსი, მაგრამ, რადგან პოლონელი იყო, ომში არ წაიყვანეს.



„მამას ფენომენური ნიჭი ჰქონდა. პიესა იყო თუ პოემა, ეთქვა ისე ნაიკითხავდა, ზეპირად იცოდა. დიმიტრი უზნაძემ ექსპერიმენტი ჩაუტარა, მთლიანად ნაუკითხეს აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ პირველი კარი და მაშინვე დაიმახსოვრა“.

— თქვენი გვარის ისტორიაზე, თქვენს პოლონურ ფესვებზე ინფორმაცია მოძიებული გაქვთ?

— 1968 წელს პოლონეთში გასტროლებზე იმყოფებოდა ხელოვანთა ჯგუფი. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ქართველებს ერთი ქალბატონი, პანი ნატალია გაეცნო. როდესაც ამ ქალმა გაიგო, რომ ქართველებს პოლონელი მსახიობი ჰყავდათ, თბილისში, მარჯანიშვილის თეატრის მისამართზე წერილი გამოაგზავნა, სადაც მამას თავისი გვარის ზუსტ პოლონურ ტრანსკრიფციას ამცნობდა. როგორც ქალბატონი აღნიშნავდა, ჩვენი გვარი ძველი და თავადური იყო, რომლის წარმომავლობა ტრიპოლინის ადგილმდებარეობიდან მომდინარეობდა. წერილს თან ჰქონდა დართული ამ ადგილის ფოტოც. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში ტრიპოლსკები ცნობილი საგვარეულო ყოფილა. პანი ნატალია მამას სთხოვდა, მასთან სტუმრად ჩასულიყო ვროცლავში, უნდოდა, საგვარეულო ფოტოები ეჩვენებინა, მაგრამ მამამ იქ ჩასვლა ვერ მოახერხა.

— თქვენი მშობლების დიდი სიყვარული ცნობილია. სად შეხვდა იაკობ ტრიპოლსკი შეხვდა თავისი ცხოვრების ქალს?

— არ ვიცი, მამას დედამდე უყვარდა თუ არა სხვა ქალი, მაგრამ დედაჩემი, ნაზიკო მაისურაძე, მისი ცხოვრების სიყვარული იყო. დედა ბედნიერი ქალი გახლდათ, რადგან მოსიყვარულე, თბილი და კარგი ადამიანი ჰყავდა მეუღლედ. დედა დღესაც ცოცხალია, 88 წლისაა. მამა მისი მასწავლებელი იყო. უნივერსიტეტიდან პრაქტიკებზე პირველ საშუალო სკოლაში რომ გაუშვეს, დედა სკოლის მოსწავლე იყო, მაშინ გაიცნო და შეუყვარდათ ერთმანეთი. 3 წლის მერე, 1945 წელს დაქორწინდნენ. სანამ შეუღლდებოდნენ, მამა დედას ძალიან ლამაზ სასიყვარულო წერილებს სწერდა. ერთ-ერთში წერს:

„...ერთი დანახვით მომეწონეთ, არა გარეგნობით, არამედ გამოხედვით. ყველა ადამიანის შინაარსს მისსავე თვალებში ამოიკითხავთ და რატომღაც ის ადამიანი, რომელსაც მე ვეძებდი, თქვენს თვალებში დავინახე. დავინახე და მინდა, დავუმეგობრდე, გამიცნოს, გავიცნოთ და იქნებ საერთო ენა გამოვნახოთ. ენა, რომელსაც ჩვენ ორის მეტი ვერავინ გაიგებს... და როდესაც ჩვენ ერთმანეთს გავუგებთ, ის დროც მოაღწევს, როდესაც თქვენ უკვე „პატარა“ აღარ იქნებით და მაშინ ორივემ ერთად მეგობრობით, ერთმანეთის გატანით და ერთი გრძნობით და სულით ჩამოვხიოთ ცხოვრების ის ჭრელი, მაცდური ფარდები, რომლებიც თვალებწინ ჩამოფარებულან და ორივემ ერთად შევცეროთ ცხოვრების მორევში...

ერთ რამეს გთხოვთ, პასუხი ბარათის მიღებისთანავე დამიბრუნოთ, რადგანაც შეიძლება მე თქვენში თანაგრძნობა ვერ გამოვიწვიე და უარს

Cyan Magenta Yellow Black

მეუბნებით მეგობრობაზე, მაშინ იქნებ მეც დროულად ჩავკლა ჩემში ის გრძნობა, რომელიც წარმოიშვა და არ მივცე საშუალება, ფესვები გაიდგას, რის შემდეგ ძნელი იქნება ამ ამბის გადატანა. თანხმობის შემთხვევაში გავაძლიერებ ამ გრძნობას თქვენსადმი და დავრჩები საუკუნოდ თქვენი მეგობარი". წერილის ბოლოს მითითებულია თარიღი — 23.08.1940 წელი, ღამის 3 საათი.

ჩემს მშობლებს კარგი ცოლქმრობა ჰქონდათ. 43 წელი იყვნენ ერთად. დედა უნივერსიტეტში ბიოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. როცა შეუღლდნენ, მამამ სწავლას თავი დაანებინა და ოჯახში დასვა. მუშაობითაც არსად ამუშავა, შვილებს — სოსოს და ირაკლის ვის დაუტოვებო. ოჯახის სარჩენად მამა დღე და ღამე მუშაობდა, უზარმაზარი შრომა უწევდა, მაგრამ ცოლ-შვილის რჩენა მაინც უჭირდა. ერთხელ დედას ვუთხარი, მეზობელს 3 მანეთი გამოართვი და პურს ვიყიდი-მეთქი, მიპასუხა, გუშინ გამოვართვი და იქნებ დღეს როგორმე გავძლოთ, ხვალ კი მამა ხელფასს აიღებსო.

შემოსავლის გამო მამა საათობით იჯდა ფილმების სადუბლიაჟო საამქროში და იმ უჰაერობაში ფილმებს ახმოვანებდა. სადუბლიაჟოს მთელი შემოქმედებითი ჯგუფი ებღაუჭებოდა მას, რადგან ერთი წაკითხვით შეეძლო ფილმის გახმოვანება და ტექსტის სინქრონულად მოხვედრა გამოსახულებასთან. ფენომენური ნიჭი ჰქონდა. პიესა იყო თუ პოემა, ერთს რომ წაიკითხავდა, ზეპირად იცოდა. დიმიტრი უზნაძემ ექსპერიმენტი ჩაუტარა, მთლიანად წაუკითხეს აკაკი წერეთლის „გამზრდელის" პირველი კარი და მაშინვე დაიმახსოვრა. სახლში როლს არასოდეს ამზადებდა. თეატრში მივიდოდა, წაიკითხავდა და ზეპირად იცოდა.

— თქვენ როგორ გახსენდებათ მამასთან ურთიერთობა?

— ძალიან ყურადღებიანი იყო. ბაზარში და მაღაზიებში სულ მამა დადიოდა. რომ წამოვიზარდე, ბაზარში მეც დავყავდი, ამიტომ დღემდე მიყვარს ეს პროცესი. მამას სანოვაგე კი მოჰქონდა, მაგრამ ხინკლის მეტს ვერაფერს მოამზადებდა. 28-32 ნოჭიანს ახვევდა. ამასაც იშვიათად აკეთებდა, მხოლოდ ჩემი და ჩემი ძმის დაბადების დღეებზე. ბუნებით გულღია და იუმორით აღსავსე გახლდათ, ადამიანები უყვარდა.

მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი ნესტორ ჭილაძე ძალიან ოხუნჯი კაცი გახლდათ. ერთხელ მამას ფეხსაცმელების საყიდლად გაყოლა სთხოვა და ორივემ ერთნაირი ფეხსაცმელი შეიძინა. მამას 44 ზომა ჰქონდა, ნესტორს კი — 42. ერთ-ერთი რეპეტიციის დროს, როდესაც მამას ფეხსაცმელები საგრიმიოროში ეწყო, ნესტორმა შეუცვალა. თავისი ფეხსაცმელები დაულაგა და თანაც შიგნით ბამბები ჩაუტენა. მამამ ფეხსაცმელები რომ ვერ ჩაიცვა, მიხვდა, ნესტორი იხუმრებდაო და ბამბები ამოიღო, მაგრამ იმას ვერ მიხვდა, რომ ფეხსაცმელიც შეცვლილი იყო. სახლში რომ მოვიდა, დედას სთხოვა, ფეხები ცხელ წყალში ჩამაყრევინე, წნევამ ამიწია და დამისივდაო. მერე ნესტორმა დაურეკა და უთხრა, როდის უნდა დამიბრუნო ჩემი ფეხსაცმელებიო.

— ინგლისური ენის სპეციალისტი სცენაზე როგორ მოხვდა?

— თეატრთან შეხება ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ჰქონდა. უნივერსიტეტის სტუდენტთა თეატრში რეჟისორი ვასო ყუშიტაშვილი (ამერიკიდან იყო ჩამოსული) ინგლისურ ენაზე დგამდა პიესას „პატარა კაცი", სადაც მამამ მთავარი როლი შეასრულა. სწორედ ამ როლის შემდეგ ურჩია რეჟისორმა მსახიობობა.

მამამ უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, მეგობარმა ურჩია, მოზარდ მაყურებელთა თეატრში ვაჟები გვაკლია და მოდიო. ერთი თვე ატარეს თეატრში, მერე, რომ გაიგეს, პირველ საშუალო სკოლაში ინგლისურის მასწავლებელი იყო და გვარად ტრიპოლსკი, უთხრეს, ქართული არ გეცოდინებაო და აღარ მიიღეს. ვასო ყუშიტაშვილი მარჯანიშვილის თეატრში დგამდა სპექტაკლს. ერთ-ერთი მსახიობი ავად გახდა და მამა მიიწვია მის მაგივრად. ამის შემდეგ გულმა თეატრისკენ გაუწია. თეატრალურშიც აბარებდა, მაგრამ არ მიიღეს. ასე უთქვამთ, შენისთანა უნიჭო ჯერ აქ არავინ მოსულაო. მას კი ისე უნდოდა მსახიობობა, რომ მარჯანიშვილის თეატრში ვასო ყუშიტაშვილს მიაკითხა და შტატგარეშედ დაიწყო მუშაობა. თავიდან მასობრივ სცენებში მონაწილეობდა, ერთი თვის შემდეგ კი, სპექტაკლ „მეფე ერეკლეში" ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი ავად გახდა და მის მაგივრად ათამაშეს. მერე მამა ვერიკო ანჯაფარიძემ დაიბარა და მთავარი როლი მისცა სპექტაკლში „ინჟინერი სერგეევი", რომელსაც თავად დგამდა. როცა თეატრის სცენაზე გამოჩნდა, ერთხანს დედის სახელი გამოიყენა ფსევდონიმად და ირინაშვილის გვარით გამოდიოდა, მერე თავის გვარს დაუბრუნდა. 40 წელი იდგა სცენაზე.

— ფენომენური მეხსიერება ბოლომდე შერჩა?

— ბოლოს სისხლძარღვების შევიწროება დაემართა და მეხსიერება ისე დაუქვეითდა, რომ

„მამას სანოვაგე ჯი მოჰქონდა, მაგრამ ხინკლის მეტს ვერაფერს მოამზადებდა. 28-32 ნოჭიანს ახვევდა. ამასაც იშვიათად აკეთებდა, მხოლოდ ჩემი და ჩემი ძმის დაბადების დღეებზე".

როლის დამახსოვრება კი არა, ხშირად ახლობლებსაც ვეღარ გვცნობდა. მეხსიერებაში ამოვარდნები ჰქონდა. მელაპარაკებოდა და უცებ შევამჩნევდი, რომ სხვა კაცი იყო, მერე ისევ დაუბრუნდებოდა მეხსიერება.

— ამბობენ, რომ იაკობ ტრიპოლსკის კინოში ხშირად არ იღებდნენ. ამის მიზეზი თუ არის თქვენთვის ცნობილი?

— არ ვიცი, რატომ, მაგრამ კინო არ სწყალობდა. ალბათ სტალინის როლი რომ ითამაშა, იმიტომ. მოსკოვში „მოსფილმში" სტალინის როლზე მიიწვიეს ფილმში „მიზნის არჩევა", რომელსაც ცნობილი რეჟისორი იგორ ტალანკინი იღებდა. ძალიან უყვარდა ეს ფილმი და სულ ამბობდა, ჩემთვის დიდი პატივია, სტალინის თამაში რომ მომანდესო. გადაღების შემდეგ მოსკოვიდან სახლში მატარებლით ბრუნდებოდა. ზაფხული იყო და კუპეში ცხელოდა. ერთი ღამე, როგორც იყო, გაათენა და დილით ვაგონის გამცილებელს სთხოვა დახმარება. მან კი შემადგენლობის უფროსი მოიყვანა. უფროსმა კუპეში რომ შეიხედა და მამა იცნო, სიხარულისგან გადაირია. სახანძრო ნაჯახით მატარებლის დერეფნის რამდენიმე ფანჯარა ჩაამტვრია და მამას უთხრა, მთავარია, თქვენ იმგზავროთ კარგად, ვაგონს კი მერე ეშველებაო. მატარებელი რომელიღაც სადგურზე რომ გაჩერდა, ის კაცი ჩავიდა და ხელდამშვენებული დაბრუნდა. სამტრედიის ბაქანზე კი უამრავი ადამიანი ძღვენით შევიდა მათ კუპეში. მერე გაიგეს, რომ შემადგენლობის უფროსს სამტრედიის რკინიგზის უფროსთან დაურეკავს და უთქვამს, დამხვდით, „სტალინი" მომყავსო.

— სცენის მაღმა რა გატაცებები ჰქონდა მამას?

— ძალიან უყვარდა ჭადრაკის თამაში, თევზაობა, მეგობრებთან ურთიერთობა. არავის არაფერზე ეტყოდა უარს. საათობით მუშაობდნენ გოდერძი ჩოხელი და მამა ერთად. მამაჩემი და გოდერძის დედა, ლელა წიკლაური, ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ. მამა ინგლისურიდან ქართულად თარგმნიდა პიესებს, პოემებს. პიესა „პიგმალიონი", რომელიც მარჯანიშვილის თეატრმა დადგა, მამაჩემის და მოსე ქარჩავაძის ნათარგმნია.

მეგობრები მამას ჰუმანოიდ თამადას ეძახდნენ. ძალიან კარგი თამადა იყო, მაგრამ ერთი ჩვევა ჰქონდა, არასოდეს მიიყვანდა თამადობას ბოლომდე. სანამ ქეიფი დასრულდებოდა, „ტექნიკურად აითესებოდა". ერთხელ მამა, კოტე მახარაძე, კუკური ლაფერაძე, ტარიელ საყვარელიძე და ჯემალ მონიავა რესტორანში შევიდნენ. კოტე მახარაძემ მამას ამბავი რომ იცოდა, პალტო და ქუდი გარდერობში ჩაკეტა, გასაღები კი ჯიბეში ჩაიდო. რაღაცა პერიოდის შემდეგ მამამ მოიწყინა, მერე მეგობრებს გადახედა და უთხრა, ახლა ნაზიკოსთან წავალო (სუფრიდან წასვლა რომ უნდოდა, ცოლს იმიზეზებდა). კოტე მახარაძე მშვიდად იყო, რადგან გასაღები ჯიბეში ედო. მამა ადგა და ბოდიში მოიხადა, ახლავე მოვალო. 20 წუთი რომ გავიდა და აღარ დაბრუნდა, მოძებნეს და დაინახეს, რომ ტაქსს აჩერებდა. თან თავისი ქუდიც ეხურა და პალტოც ეცვა... ამ ამბის შემდეგ ყველამ ჰუმანოიდი თამადა დაარქვა. ყოფილა შემთხვევა, ჩვენს სახლში ქეიფის დროს სტუმრები მიუტოვებია და თავის დასთან გაპარულა.

— მისი სიცოცხლის ბოლო წლები როგორი იყო, რა იყო მისი უკანასკნელი სურვილი?

— მამა ასაკში რომ იყო, ჩვენმა ნათესავმა კაკო კარანაძემ, რომელიც უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე გახლდათ, სახალხო დამცველად წაიყვანა. ძალიან უხაროდა, სულ ამბობდა, ჩემი მართალი სიტყვა იქნებ ვინმეს გამოადგესო, მაგრამ ჯანმრთელობა ხელს აღარ უწყობდა. ინფარქტი გადაიტანა, გულიკო ჩაფიძის საავადმყოფოში იწვა. მერე გიგა ლორთქიფანიძემ სპექტაკლი „შთამომავლობა" დადგა, სადაც მამამ მთავარი როლი შეასრულა. პრემიერის დროს კულისებში ექიმები იდგნენ, მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მამა თავად ამბობდა, რაც უნდა ცუდად ვიყო, სცენაზე რომ გავდივარ, ყველაფერი ნორმაში დგებაო. მოსკოვშიც მყავდა და რომ გასინჯეს, მითხრეს, 6 თვე თუ იცოცხლებსო. მართლაც, 6 თვე გაძლო. ბოლოს საავადმყოფოში რომ მიმყავდა, მივხვდი, იქიდან ცოცხალი ვეღარ გამოვიდოდა. ალბათ თავადაც მიხვდა და მითხრა, ირა, ფულს ვერ გიტოვებ, მაგრამ სახელს გიტოვებო. მართლაც დიდი და ღირსეული სახელი დატოვა. მამა 1988 წლის 3 მარტს, გვიან ღამით გარდაიცვალა.

— დიდუბის პანთეონში რატომ არ დაკრძალეს?

— მაშინ დიდუბის პანთეონი იხურებოდა და მხოლოდ ერთი ადგილიღა იყო დარჩენილი, ისიც კუთხეში, ამიტომ საბურთალოს პანთეონში დავასაფლავეთ. მერე რეზო თაბუკაშვილის ძალისხმევით დიდუბის პანთეონი გაადიდეს.

25 წელია, რაც მამა გარდაიცვალა და დღემდე მისი სახელი ყველაფერში მეხმარება. 62 წლის კაცი ვარ და მეამაყება, რომ დღემდე მამაჩემის სახელი ღირსებით მოიხსენიება.

✓ ლია ოსაძე

Cyan Magenta Yellow Black

გია ხუხაშვილი: „საფრთხობელას თამაში მომიწია“



ახალი ხელისუფლების მოსვლა საქართველოში საბიუჯეტო გარღვევით აღინიშნა. მოვიდა. კატასტროფულია შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი — 1.5 პროცენტი, მაშინ, როცა ნაცმოძრაობის დოკუმენტებში ზრდა 7 პროცენტამდე აღწევდა. ეკონომიკის ექსპერტი და ბიძინა ივანიშვილის ყოფილი მრჩეველი, გია ხუხაშვილი, ამ სტატისტიკაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს. ის ირწმუნება, რომ დიდი ბიუჯეტი არ არის ქვეყნის განვითარების მთავარი ინდიკატორი.

გია ხუხაშვილი:

— წინა ხელისუფლების პირობებში ეკონომიკა აწყობილი იყო ნომენკლატურული კაპიტალიზმის თარგზე, ანუ გარკვეულწილად იქმნებოდა კეთილდღეობის სურათი ციფრებში, რეალურად კი ხელისუფლება ორ მთავარ საკითხს არ აგვარებდა — ეს იყო კონკურენტული გარემოს შექმნა, რაც არის საბაზრო ეკონომიკის მახასიათებელი და პოლიტიკური რისკების გატანა. იმისათვის, რომ დაწყებულიყო ეკონომიკური გრძელვადიანი განვითარება, ამ ყველაფერს სჭირდებოდა რეორგანიზაცია, რაც საკმაოდ რთული პროცესია. ვფიქრობ, ეს ეტაპი გადალახულია და ეკონომიკა დაიწყებს ბრუნვის მატებას.

— ერთი პროცენტი მართლაც კატასტროფულია.

— უნდა გვესმოდეს ერთი რამ — ბიუჯეტი არ არის ქვეყნის განვითარების მთავარი ინდიკატორი. დიდი ბიუჯეტი არ ნიშნავს ჯანსაღ ეკონომიკას. ბიუჯეტი 10-ჯერ გაიზარდა, მაგრამ ადამიანების მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. პირიქით, შეიძლება ქვეყანამ სწრაფი ეკონომიკური განვითარების გამო უარი თქვას დიდ ბიუჯეტზე და რაც შეიძლება დიდი ფული ჩატოვოს ეკონომიკაში, რომ ფულმა ფული მოიტანოს. წინა ხელისუფლება პირიქით აკეთებდა, ეკონომიკიდან ქაჩავდა ფულს და ეს აზარალებდა რეალური ეკონომიკის განვითარებას. 2-3 წელიწადში ვიგრძნობთ, რომ ქვეყნის შიგნით შეიქმნება რეალური შიდა პროდუქტი, მომხმარებელი ქვეყნიდან ნელ-ნელა გავხდებით მწარმოებელი ქვეყანა. ამისთვის გარკვეული პროტექციონისტული პოლიტიკა დაგვჭირდება. კონკურენტული გარემოც იქნება უზრუნველყოფილი და ეს შექმნის ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების საფუძველს. თუ გადახვევა მოხდა, მეც თქვენთან ერთად ოპონენტად მიგულეთ.

„მაშინ, როცა ჯობიტაციის ნიშნით მიღიოდა ყველაფერი, საჭიროა ყოველთვიური, საჭიროა ყოველთვიური აღვოკატი. ახლა ნამდვილი ყოველთვიური გვჭირდება, ჰომელიც დამნაშავის დასჯაზე იქნება ორიენტირებული და არა — ჯობიტაციაზე“.

— ანუ წინა ხელისუფლების მთავარი შეცდომა სახელმწიფოზე ეკონომიკის ჩამოკიდება იყო?

— საბაზრო ეკონომიკის მთავარი საფუძველი არის კონკურენცია, როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური. შიდა ბაზარი უნდა იყოს დაცული, ეს არის ერთ-ერთი მასტიმულირებელი იმისა, რომ ეკონომიკა ჯანსაღად ვითარდებოდეს. ადრე იყო მონოპოლიები, კარტელური შეთანხმებები, ციფრებში გვაჩვენებდნენ რაღაცეებს და ეს ყველაფერი ვიღაც კონკრეტული ადამიანების კეთილდღეობისთვის კეთდებოდა. ასეთი ეკონომიკა ვერ ქმნის დამატებით ღირებულებას, უფრო იმპორტზეა ორიენტირებული და ერს ფაქტობრივად მომხმარებლად აქცევს. ძირითადად საუბარი იყო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, იმაში იდებოდა დიდი ფული, მაგრამ ეს ერთჯერადი პროექტებია, ანუ მიწაში ჩადებული ფულია. ფული კი ჯერ რეალურ სექტორში უნდა ჩაიდოს, სადაც ის იწყებს ბრუნვას, არა — მშენებლობებში, არამედ წარმოებაში.

„ჯაჭიტალი, უძრავი ქონება და ქსელები ისევ ნაციონალების ხელშია და მათ არავინ შეხებია, ანუ ფული ისევ მათ ხელშია. მე მივიღე მონანილეობა მიტაცებული სახელმწიფო აქტივების დაბრუნებაში. თუ ვინმეს ჯონჯიტელად აინტერესებს, ეს ეხება გადაზიდვებს“.

წინა ხელისუფლების დროს ყველაფერი თავდაყირა იყო დაყენებული და ეს იქცა სისტემურ პრობლემად. დღეს თუ არა ხვალ, უკვე გველოდებოდა სერიოზული კრიზისი, ეს პირამიდა აუცილებლად დაინგრეოდა. ახლა გვაქვს შანსი, ისე გამოვიდეთ სიტუაციიდან, რომ დიდი რყევები თავიდან ავიცილოთ.

— დღეს მეორე უკიდურესობაში აღმოაჩნდით. ხელისუფლება უარს ამბობს ჩარეულიყოს ბიზნესი არ არის შიდა ეკონომიკური გამოწვევებისთვის. სათ უნდა წაიდეს ხელისუფლება — ისევ სახელმწიფოს გაძლიერებისკენ?

— არავითარ შემთხვევაში! ეს კატეგორიულად არ უნდა მოხდეს. ბაზარზე უნდა გაჩნდეს საინვესტიციო კაპიტალი, ამ თვალსაზრისით თანაინვესტირების ფონდი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. საკრედიტო რესურსებიც უნდა გააქტიურდეს, მაგრამ ეს ყველაფერი იქნება წყალში ჩაყრილი, თუ არ იქნება ჯანსაღი კონკურენცია.

— რატომ გადაწყვიტა წინა ხელისუფლებამ სწორედ სახელმწიფოს როლის გაძლიერება ეკონომიკაში?

— ამით რამდენიმე ამოცანას ასრულებდნენ: პირველი — ფულს შოულობდნენ, მეორე, ფიქრობდნენ, ვინც აკონტროლებს ფულს, ის აკონტროლებს პოლიტიკასაც, რადგან რესურსის გარეშე პოლიტიკა არ არსებობს. ისინი ფიქრობდნენ, რომ ამით ჰქონდათ ტოტალური კონტროლი დაწესებული, როგორც პოლიტიკაზე, ისე ეკონომიკაზე.

— ამ ერთმა წელმა გაჩვენა, რომ ბიზნესსექტორი მზად არ არის სრული დამოუკიდებლობისთვის. თუ სახელმწიფო ისევ არ ჩაერევა, მაშინ რა მოხდება?

— არა, არ ჩაერევა. უბრალოდ ძველები მიჩვეული იყვნენ პატრონთან მუშაობას და უცებ დარჩნენ უპატრონოდ. მერე დაიწყეს ახლის ძებნა და რომ ვერ იპოვეს, ვერ დაიჯერეს და ამან გამოიწვია პაუზა. ბევრგან თავად ნაციონალები იყვნენ და შეაჩერეს ბიზნესი, ბევრი გაუგებრობაში აღმოჩნდა და ვერ გაიგო, რომ წმინდა სუბიექტური პრობლემების გამო ხდებოდა ეს ყველაფერი. არის მეორე პრობლემაც — ამ კომპანიების მენეჯმენტის დეკვალიფიკაცია მოხდა.

ყველაფერი ბუნებრივად უნდა წამოვიდეს. უკვე დაიწყება საინვესტიციო ფონდიდან ფულის შემოდინება და კომპანიები, რომელთაც პაუზა აქვთ, იძულებული გახდებიან, გაინძრნენ და ეკონომიკაც ამოძრავდება. ეს ერთი წელი იყო ფსიქორეაბილიტაციის კურსი. ახლა გაჩნდებიან ახალი კომპანიებიც და ძველებიც გააქტიურდებიან.

— რამდენადაც მახსოვს, თქვენი დაკალებაც სწორედ ის იყო, რომ ბიზნესების ახალი პატრონი არ გამოჩენილიყო ახალ ხელისუფლებაში. ამ ამოცანას გაართულეთ თავი?

— კი, მე ვიყავი საფრთხობელა. ადამიანი ცოდვილი არსებაა და თეორიული შანსები მაინც არსებობდა, რომ ქვედა რგოლებში გასჩენოდათ „დაკრიშვის“ სურვილი. ამიტომ საფრთხობელას თამაში მომიწია, მაგრამ ეს უსასრულოდ ვერ გაგრძელდება.

— ნაციონალები ამბობენ, რომ ბიზნესში ხელის ფათური და წილების გადაქაჩვა ახლიმ მთავრობამაც დაიწყო. პირადად თქვენზეც ითქვა.

— მოდით, ასე ვთქვათ, კაპიტალი, უძრავი ქონება და ქსელები ისევ ნაციონალების ხელშია და მათ არავინ შეხებია, ანუ ფული ისევ მათ ხელშია. ქონების გადანაწილებაში არ მიმიღია მონაწილეობა. ეს არის ტყუილი! მე მივიღე მონაწილეობა მიტაცებული სახელმწიფო აქტივების დაბრუნებაში. ეს არის სფეროები, რომლებიც სახელმწიფოს უნდა დაუბრუნდეს. იქიდან მე არაფერი მისარგებლია. თუ ვინმეს კონკრეტულად აინტერესებს, ეს ეხება გადაზიდვებს.

— პრიბლემა რაში იყო?

— რკინიგზა ახორციელებს გადაზიდვებს და იმის ნაცვლად, რომ რკინიგზას მიეღო აქედან სარგებელი, იყო ზედნადები კომპანიები, პირდაპირ ვთქვათ, დავით კეზერაშვილის, რომელიც რკინიგზის მომსახურებაში ფულს იღებდა. ეს იყო წურბელა, რომელიც სახელმწიფო სიკეთეს თავზე აჯდა. 12 მილიონზეა საუბარი და ახლა ეს ფული მიდის რკინიგზის სალაროში. ეს ბინძური კამპანიაც ამიტომ მიდიოდა. ეს არის პოლიტიკის ფასი, მაგრამ მე არ ვნანობ. დავალება შესრულდა, თუმცა მომავალშიც არ ვართ ამისგან დაზღვეული, ამიტომ ყურადღებით უნდა ვიყოთ, რომ არ გაჩნდეს ახალი კავშირები. სისტემა უფრო ძნელი დასამარცხებელია, ვიდრე რეჟიმი, რადგან ადაპტაციის უნარი აქვს.

— ნაცმოძრაობა ბიზნესლიმატის გაუარესებაზე საუბრობს და ასევე ამბობს, მაგალითად, ბევრი პოტენციური ბიზნესმენი შემოდის და ისევ ვადის, რადგან საზღვრები ჩაიკეტა, რადაც ეებიც მათთვის გაუგებარი გახდა, თუნდაც მიწების საკითხი და ა.შ.

— კი, მეც მსმენია, მაგრამ ესეც დროებითი პრობლემებია და დალაგდება. საზღვრები არ უნდა ჩაიკეტოს, მაგრამ შიდა პროდუქტის განვითარება იქნება შეუძლებელი, თუ არ იქნება კონტროლი საზღვრებზე. კონკურენტული პროდუქტის შექმნას 2-3 წელი სჭირდება.

— იმპორტს არ ეგულისხმობ, ინვესტიციაზე მაქვს საუბარი, თუნდაც ტურიზმზე.

— საზღვრის გამკაცრება ადამიანების შემოსვლას არ უნდა ეხებოდეს, მაგრამ უნდა გვესმოდეს ერთი რამ — ჩვენ მივისწრაფვით

Cyan Magenta Yellow Black

ევროპისკენ და ეს გარკვეულ რაღაცეებს გვავალდებულებს. დღეს უსაფრთხოების საკითხები ძალიან მწვავედ დგას.

— რადგან ევროკავშირს შეეხეთ, ბარემ გკითხავთ, ევროპაში ეკონომიკური ინტეგრაცია გავაძლიერებს ჩვენს ცხოვრებას?

— საკმაოდ სერიოზულ პრობლემას შეეხეთ. ჩვენ ევროკავშირში შესვლამდე გარკვეული გზა გვაქვს გასავლელი. პარაფირება მოხდება და ეს კარგია, მაგრამ ეს პერიოდი უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ შევქმნათ კონკურენტული ეკონომიკა. თუ ეს ვერ მოვახერხეთ, შეიძლება ეკონომიკურად ძალიან ცუდ დღეში ჩავვარდეთ. ეკონომიკა სწრაფად არ შენდება, მაგრამ უნდა მოვახერხოთ ისეთი პროდუქტის შექმნა, რომელიც შიდა ბაზარზე მაინც იქნება კონკურენტული, თორემ ჩაგვყლაპავენ და ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებით. ევროკავშირს აქვს თავისი პლუსები, რაც უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ ამასთან მზად უნდა დავხვდეთ.

— უკრაინის მხრიდან რატიფიცირებაზე უარი ამ ეკონომიკური პრობლემებით იყო გამოწვეული თუ პოლიტიკით?

— უფრო ეკონომიკურით. უკრაინა მართლა ცუდ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, რადგან მისი ეკონომიკა მთლიანად არის მიბმული რუსულ ენერგომატარებელზე. საბაზრო ფასებში რუსული ენერგომატარებლის ყიდვა მის ეკონომიკას დაანგრევდა. რუსეთმა უთხრა, წადი, მაგრამ ასე მოხდებაო. საქართველოს ეს საფრთხე ნაკლებად ემუქრება, ენერგომატარებლის მიმართულებით არ ვართ მასზე ჩამოკიდებული, საბედნიეროდ, გვყავს სხვა სტრატეგიული პარტნიორი. ასე რომ, ეს საფრთხე — არა, მაგრამ გვაქვს სხვა რისკები.

— ალბათ კონფლიქტურ რეგიონებს გულისხმობთ.

— კი, მაგრამ უკრაინაში ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკური პრობლემაც იყო. ნახევარი უკრაინა რუსეთისკენ უფრო არის. ჩვენ ამ ყველაფერს ომის რეჟიმში ნუ შევხედავთ, ყველაფერი იცვლება, გლობალიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ და სხვა კავშირებია. რუსეთი ჯერ მე-20 საუკუნით ცხოვრობს, დრო გავა და ისინიც მიხვდებიან ამას. არა მგონია, კატეგორიული წინააღმდეგები იყვნენ ევროკავშირში ჩვენს გაერთიანებაზე. ნატო-ს ამბავი კი სხვა თემაა და იქ შეიძლება სირთულეები იყოს.

> **„ყველამ თავი დაგვანებოს, სამართალი არის სამართალი! პოლიტიკური დევნა არ უნდა განმეორდეს, მაგრამ თუ ვინმე არის დამნაშავე, არ უნდა გვითხრან, რომ არ დავსაჯოთ იმის გამო, რომ ის არის პოლიტიკური პარტიის წევრი. თავიანთ ქვეყნებში ასე არ არის და ჩვენ რატომ გვასწავლიან ცუდ რაღაცეებს?!"**

— ეს ერთხელ იყანაშვილმაც თქვა და მანამდეც, ამის გამო ექსპერტებისგან მძაფრი კრიტიკა დამსახურა.

— რუსეთი ველიკოდერჟავულია, მისთვის სამხედრო გავლენაა მნიშვნელოვანი, მაგრამ ევროკავშირი ეკონომიკური გაერთიანებაა. მით უმეტეს, ჩვენ არ ვართ რუსეთისთვის საინტერესო ბაზარი. პირიქით, შეიძლება საქართველო ევროკავშირში რუსეთს უფრო აწყობდეს, იფიქროს, რომ უფრო სასარგებლო იქნება მისთვის.

— ამ ახალ გამოწვევებს რამდენად მზად ხვდებიან თქვენი მეგობარი მინისტრები?

— ამ ერთმა წელმა დამარწმუნა იმაში, რომ ისინი სწორი გზით ივლიან.

— ისე ვამოვიდა, რომ ამ კადრებში მხოლოდ არჩილ კბილაშვილი ყოფილა სუსტი რგოლი.

— მაშინ, როცა კოაბიტაციის ნიშნით მიდიოდა ყველაფერი, საჭირო იყო პროკურორი ადვოკატი. ახლა სამართალი უნდა გათავისუფლდეს პოლიტიკისგან და პოლიტიკური ფიგურები უნდა გავიდნენ ამ სივრცედან. კბილაშვილი მაინც პოლიტიკოსი იყო, ადვოკატიდანაც ძალიან ძნელია პროკურორის შექმნა. ახლა ნამდვილი პროკურორი გვჭირდება, რომელიც დამნაშავის დასჯაზე იქნება ორიენტირებული და არა კოაბიტაციაზე. ესეც იყო დასავლეთის მოთხოვნა საპრეზიდენტო არჩევნებამდე. სხვა შემთხვევაში საფრთხე ექმნებოდა არჩევნების ლეგიტიმაციას. ამისთვის ნაციონალები ყველაფერს აკეთებდნენ. დღეს კი სამართალი გათავისუფლდა პოლიტიკისგან და არავინ იცის, ვინ არის მთავარი პროკურორი, თბილისის პროკურორი და შს მინისტრი. ეს მინისტრები ასაკით პატარები კი არიან, მაგრამ რა მოხდა მერე, უფრო პატარებიც გვინახავს.

— ნაციონალები დაჭერების ახალ ტალღაზე ალაპარაკდნენ. ინაუგურაციის დღეს ვიფრთხილებებიც მოეისმინეთ პარტნიორი ქვეყნებიდან.

— ყველამ თავი დაგვანებოს, სამართალი არის სამართალი! პოლიტიკური დევნა არ უნდა განმეორდეს, მაგრამ თუ ვინმე არის დამნაშავე, არ უნდა გვითხრან, რომ არ დავსაჯოთ იმის გამო, რომ ის არის პოლიტიკური პარტიის წევრი. თავიანთ ქვეყნებში ასე არ არის და ჩვენ რატომ გვასწავლიან ცუდ რაღაცეებს?!

— სააკაშვილის თქმას რიგორ უყურებთ ამ კუთხით?

— როგორც მოქალაქე, გიპასუხებთ, რომ სააკაშვილი ყველა სისტემური დანაშაულის თანამონაწილეა და, ბუნებრივია, რომ ის დასასჯელია, მაგრამ სამართლის ენაზე რამდენად შესაძლებელი იქნება ამის დადასტურება, ცალკე საკითხია. არ მინდა, დავარღვიო უდანაშაულობის პრეზუმფცია. რადგან პრეზიდენტი იყო, ამიტომ არ უნდა დაისაჯოს — ამ ლოგიკას მე საერთოდ გამოვრიცხავ, მაგრამ, თუ ვერაფერი დაუმტკიცდა, ვერაფერსაც ვერ ვიზამთ.

მამუკა კუდავა: „უკრაინის გარეშე რუსეთის წინაშე მარტო დავრჩით, მოსალოდნელია პროვოკაციები"

«წინ სახიფათო 2 წელია»

სერიოზულობა, მოთმინება და საქმის კეთება — პოლიტიკური ექსპერტის, საფრანგეთში საქართველოს ყოფილი ელჩის, მამუკა კუდავას აზრით, ხელისუფლებას მომავალი 2 წლის განმავლობაში ეს სამი რამ აუცილებლად დასჭირდება იმ გამოწვევების საპასუხოდ, რომელთა წინაშეც ჩვენი ქვეყანა უკრაინის მიერ ევროკავშირთან ასოცირებაზე ხელისმოწერის შეჩერების გამო დადგა. უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილების შემდეგ საქართველო რუსეთის პირისპირ მარტო დარჩა, რაც, ექსპერტის აზრით, საფრთხეებს ერთიორად ზრდის.

მამუკა კუდავა:

— ძალიან სამწუხაროა, რაც მოხდა — უკრაინის მთავრობის კაბინეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეაჩეროს მოლაპარაკებები ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესახებ, რაზედაც ხელი უნდა მოეწერათ ვილნიუსის სამიტზე. ალბათ ამის უკან ორი მიზეზი დგას — პირველი, რუსეთის შანტაჟი და მეორე, ხელისუფლების გარკვეული შიში იულია ტიმოშენკოს გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ეს არის ისტორიული შანსის ხელიდან გაშვება. შეიძლება, შეიცვალონ აზრი, მაგრამ როდის დადგება ისევ ასეთი შანსი, ამის თქმა რთულია.

— ჩვენზე რა გავლენას მოახდენს უკრაინის ეს გადაწყვეტილება?

— ჩვენ ვრჩებით რუსეთთან მარტო. თუ უკრაინა მოაწერდა ხელს, ვიქნებოდით სამქვეყნიანი ჯგუფი — მოლდოვა, ჩვენ და უკრაინა. ახლა ჩვენ და მოლდოვა ვრჩებით. მოლდოვა ბევრად წინ არის, რადგან ვიზებზეც კი ლიბერალიზაცია მოხდება ვილნიუსის სამიტის შემდეგ, ანუ ჩვენ მარტო ვართ და ალბათ რუსეთი ზეწოლას გააძლიერებს, როგორც ეკონომიკურად, ისე კონფლიქტურ რეგიონებში შესაძლოა პროვოკაციებიც მოაწყოს. ახლა ჩვენ ძალიან სახიფათო პერიოდი გვიდგას.

— დაახლოებით რა დრო გაგჭირდება, რომ ამ სახიფათო პერიოდს მშვიდობიანად გავუძლოთ?

— ახლა ხდება პარაფირება, მაგრამ ასოცირების ხელშეკრულებას, სავარაუდოდ, ხელი მანამ მოეწერება, სანამ ევროკომისია შეიცვლება, ანუ ეს მოხდება შემდეგი წლის შემოდგომამდე. ხელმოწერის შემდეგ 6 თვიდან ერთ წლამდე უნდა მოხდეს დოკუმენტის რატიფიკაცია 28 ქვეყანაში, ანუ დღეიდან 2 წელი კიდევ არის შანსი, რომ რუსეთმა პირდაპირი წნეხით ან ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის დახმარებით, ხელი შეგვიშალოს.

ეს 2 წელი გასაძლები გვაქვს, მით უმეტეს, რომ, ქვეყნის ეკონომიკური სიტუაცია არცთუ კარგ დღეშია, რაც დაადასტურა ამ ერთმა წელიწადმა და თუნდაც საპარლამენტო მოსმენამ. მთავრობა, იმის მაგივრად, რომ ახალ რადიკალურ ცვლილებებს სთავაზობდეს ქვეყანას, რაღაც ინიციატივებზე ფიქრობდეს, ვერ აცნობიერებს იმას, რაც ხდება, ვერც ნახევარმილიონიანი გარღვევიდან ისწავლა რამე, არც ეკონომიკური გეგმა აქვთ ამ სიტუაციიდან გამოსასვლელად. ეკონომიკური პრობლემა და პოლიტიკური არასტაბილურობა, რაც შესაძლოა გამოიწვიოს ეკლექტური კოალიციის დაშლამ, მოწყვლადს ხდის ამ ქვეყანას და თუ ასე გაგრძელდა, რთული იქნება, საფრთხეს გაუძლოს. ასოცირების შეთანხმებმს პარაფირება კი მოხდება ახლა, არ არის პრობლემა, მაგრამ წინ 2 წელია. საჭიროა პოლიტიკური სტაბილურობა და →18

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ეკონომიკური წინსვლა.

— სულ არის კითხვები იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველ პარტიაში არ არსებობს ევროპისკენ სვლის სურვილი. თქვენ როგორ ატყობთ?

— უმრავლესობაში ამის სურვილი ალბათ არსებობს, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია რეალობა და რეალობაში, სამწუხაროდ, სერიოზული ეკონომიკური პრობლემებია. შეცდომებია დაშვებული კანონ-პროექტებში, ბიზნესკლიმატის შეცვლაში, ეს ყველაფერი დაეტყო ეკონომიკურ სიტუაციას.

— მთავრობა ამაში ისევ თავის წინამორბედს ადანაშაულებს, ექსპერტები კი წინა ხელისუფლების დროს ეკონომიკის 7 პროცენტიან ზრდას ხელოვნურს უწოდებენ და ამ მაღალ პროცენტს იმით ხსნიან, რომ ეკონომიკურ პროექტებს სახელმწიფო ახორციელებდა.

— ეს არაპროფესიონალური მიდგომაა. ქვეყანაში კრიზისის დროს სახელმწიფოს აქვს საშუალება, ფული ჩადოს კონკრეტულ სამუშაოებში, რაც ეხმარება ინფრასტრუქტურას, სამუშაო ადგილების შექმნას. ასე მოხდა ბარაკ ობამას დროს, როცა ამერიკაში კრიზისი შეიქმნა. სტიმულირებები ეკონომიკაში ხდება. ბიზნესზე წნეხი რომ მოიხსნა, კარგია, მაგრამ ამის შემდეგ უფრო არ უნდა მომხდარიყო ზრდა? საქმე ის არის, რომ წნეხი კი მოიხსნა, მაგრამ დაემატა უამრავი უარყოფითი რამ, იგივე კანონმდებლობა, შრომის კოდექსი, მიწებზე მორატორიუმი. ასეთი კიდევ ბევრია. ახლა შემოდის ვიზების გამკაცრება, ეს კი ეკონომიკას ურტყამს. ის, რომ ადამიანი უვიზოდ შემოდის, ფულს ხარჯავს, სამუშაო ადგილებს ქმნის, არის ორჯერ ორი ეკონომიკაში. როცა ასეთ გაუაზრებელ ნაბიჯებს დგამ, შედეგიც არ უნდა გაგიკვირდეს. ნეგატიური ნაბიჯები გადაიდგა, რამაც ბიზნესმენები და ინვესტორები დააშინა და აღარ დებენ ფულს, აღარ აქვთ განცდა, რომ მათი ბიზნესი დაცული იქნება. უამრავი სასტუმროს მშენებლობა შეჩერდა ბათუმშიც და სხვაგანაც, რადგან ეს ბიზნესი იყო მეტწილად მიბმული კაზინოებზე. პრემიერის ჩათვლით, იმდენი ილაპარაკეს — გვინდა, არ გვინდა კაზინოო, რომ ის ხალხი, ვისაც სასტუმროები უნდა აეშენებინა, გაიქცა, რადგან არ იცის, დაუხურავენ თუ არ დაუხურავენ ბიზნესს. ეს არის არაკვალიფიციურობა, თავი რომ დავანებოთ ქსენოფობიურ მენტალიტეტს. როგორ შეიძლება განასხვავო მუსლიმი ინვესტორი დასავლელი და რუსი ინვესტორისგან?

— ექსპერტებიც ამბობენ, რომ საზღვრების ზომაზე მეტად გაღება პრობლემას შეუქმნის საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

— ბიზნესს და ფულს ეროვნება არ აქვს! რაც შეეხება არალეგალებს და მიგრანტებს, ეს აბსოლუტურად სხვა თემაა. იმისთვის არსებობენ სამართალდამცავები, რომ არალეგალური მიგრანტები გააძევონ ქვეყნიდან, ამაზე ორი აზრი არ არის. ყველაზე დიდი ფული ვისაც აქვს ჩადებული დღეს საქართველოში, პირდაპირ ინვესტიციებზე ვსაუბრობ, ესენი არიან თურქეთი და სხვა მუსლიმი ქვეყნები. და როცა ასეთ ქსენოფობიურ განცხადებებს გააკეთებ, რა თქმა უნდა, აღარ ჩამოვლენ.

— მომავალ ორ წელიწადს რა სტრატეგიით მოქმედება სჭირდება ხელისუფლებას, რომ ამ გამოწვევებს გაუძლოს ან ამის პოტენციალს თუ ხედავთ განახლებულ მთავრობაში?

— წარმატებებს ვუსურვებ, მაგრამ ბოლომდე არ მჯერა. სულ ორი ინიციატივა იყო, რაც შეიძლება ჩაითვალოს, რომ სწორად გაკეთდა — პირველი, მცირე ბიზნესის დახმარების საგანგებო შექმნა და მეორე, რომ თქვეს, შემოვლითი რკინიგზის პროექტს განვიხილავთო, ანუ ისეთი უარყოფითი დამოკიდებულება აღარ არის, როგორიც ადრე იყო. მაგრამ ეს არ ცვლის კლიმატს. კლიმატს ცვლის ის, რომ ვიზები შემოაქვთ და მიწებზე მორატორიუმი გამოცხადდა. პლუს ერთი წელი პრემიერი მიდიოდა თუ არ მიდიოდა, არ იყო ცხადი. ამ დამფრთხალი ინვესტორების დაბრუნებას კი ახლა დამატებითი დრო უნდა.

— პოლიტიკურ სიტუაციას ქვეყანაში როგორ ხედავთ, თუნდაც ადგილობრივ არჩევნებამდე?

— ეს კიდევ მეორე თემაა. ის საჩქაროდ შემოგდებული პროექტი, რომელიც უნდათ, რომ ამ კვირაში გაიტანონ კომიტეტებზე მაინც, ითვალისწინებს ქვეყნის ახალ მოწყობას, მოახდენს მუნიციპალიტეტების გაზრდას, რაც გამოიწვევს კონფრონტაციას სოფლებს და ქალაქებს შორის, გაზრდის ბიუჯეტს ბიუროკრატიის ხარჯზე. თან ეს თანხაც, ჯერ არ იციან, რამდენი იქნება. მინისტრის მოადგილე შერგელაშვილს ვკითხე და ვერ მიპასუხა, რა დაუჯდება ეს რეფორმა ქვეყანას. საჩქაროდ ცდილობენ ამის მიღებას მაშინ, როცა ადგილობრივი თვითმმართველობის კონგრესი, რომელიც სტრასბურგშია და მას უნდა შეუთანხმო ასეთი საკითხები, ინფორმირებული არ არის. ვენეციის კომისიასაც არ აქვს გამოთქმული მოსაზრებები, კარგია თუ ცუდი. აქედან გამომდინარე, რთული სათქმელია, ადგილობრივი არჩევნები რა შედეგს მოიტანს. მაისამდე ძალიან ცოტა დროა. საინტერესოა ისიც, რა მოხდება კოალიციის შიგნით.

— ქვეყანა საპრეზიდენტო არჩევნებით ახალ წყობაზე — შერეულ საპარლამენტო მმართველობაზე გადავიდა. რამდენადაა მორგებული ეს ჩვენს ქვეყანაზე?

— არც იურისტი ვარ და არც — კონსტიტუციონალისტი, მაგრამ რამდენადაც ვეცნობი ანალიზს, არის გაურკვევლობა ფუნქციებს შორის და ბევრი საკითხი დასალაგებელი იქნება. ჩემი აზრით, ახალ კონსტიტუციაში აუცილებელია — პირველი, უფლებების ცალსახად გამიჯვნა და მეორე, საარჩევნო ციკლების შემოღება, რომ არჩევნები ყოველ წელს არ გვქონდეს. ჯერ იყო საპარლამენტო არჩევნები — 4 წელიწადში ერთხელ, მერე — საპრეზიდენტო — 5 წელიწადში ერთხელ და ამას მოჰყვება ადგილობრივი, ანუ 3 წელი ზედიზედ არჩევნებია, რაც ცუდია ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი დაგეგმვისთვის. არჩევნები გართმევს დროს და ყურადღებას. ამ რთულ პერიოდში კი საჭიროა გრძელვადიანი დაგეგმვები საშუალო დროით მაინც, რომ ქვეყანა სწრაფად წავიდეს წინ.

— თქვენ რა ციკლს სთავაზობთ ხელისუფლებას, ერთ წელიწადში ჩატარდეს?

— თუნდაც — ერთ დღეს ან რამდენიმე თვის განსხვავებით. მაგალითად, საფრანგეთში აპრილში არის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური, მეორე ტური მაისში გამოდის და მერე ივნისში არის საპარლამენტო არჩევნები. ორ თვეში უკვე ყველაფერი დამთავრებულია, რაც სტაბილურობის განცდას ქმნის. არ გვაქვს ამდენი არჩევნების ფუფუნება. ალბათ ამისთვის ის 4 და 5 წელიც უნდა გათანაბრდეს, ანუ ბევრი რამ იქნება გასათვალისწინებელი, მაგრამ, რომელი მმართველობა ჯობს ქვეყნისთვის — საპარლამენტო, საპრეზიდენტო თუ შერეული, ყველას სხვადასხვა აზრი აქვს. ვფიქრობ, რომ გარდამავალ ეტაპზე ძლიერი საპრეზიდენტო რესპუბლიკა შეესაბამება ჩვენს კულტურასაც და ქვეყანასაც, მაგრამ არა — ისეთი უფლებებით, როგორიც აქამდე იყო. საპარლამენტო წყობა ნაკლებად მდგრადია, უფრო მერყევია.

— საგარეო მიმართულებით რა სვლები უნდა გააკეთდეს, რომ ეს 2 წელიწადი სანანებელი არ გაგიხდეს?

— მთავრობამ თვითონ აღიარა, რომ იმაში, რაც ახლა მიიღება ვილნიუსში, დიდი წვლილი აქვს შეტანილი წინა ხელისუფლებას და ეს კარგია, რადგან ეს უწყვეტობას ნიშნავს პოლიტიკაში. მეორე, დეოკუპაციის პოლიტიკა აქტიურად უნდა განიხილებოდეს, ანუ, კარგი გაგებით, აგრესიული პოლიტიკა უნდა გაგრძელდეს და დიალოგი რაც უფრო გაღრმავდება რუსეთთან, დეოკუპაციის მომენტი არ უნდა დავივიწყოთ, თორემ ილუზია შეიქმნება, რომ ჩვენ ეს თემა აღარ გვაინტერესებს.

— ნაცმოძრაობის ტაქტიკა რუსეთთან იყო აგრესიული. პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის აქცენტებზე რას იტყვით, რომლებიც ჯერ რუსეთის ტელევიზიასთან საუბრისას გააჟღერა და მერე ინაუგურაციაზე?

— მარგველაშვილის ინტერვიუ ძალიან სუსტი იყო, რადგან მთავარი აქცენტები არ ჩანდა — ტერიტორიული მთლიანობა, ლტოლვილები, ოკუპაციის თემა, ევროატლანტიკური ინტეგრაცია, მაგრამ ინაუგურაციაზე ეს ყველაფერი დააფიქსირა. იყო მომენტი, რაც შეიძლებოდა დაემატებინა, მაგრამ ძირითადი პრინციპები — ნატო, დეოკუპაცია, ქვეყნებისთვის, ვინც გვეხმარებიან, მადლობის თქმა... ამ მხრივ, სწორ აქცენტებს იძლეოდა. ნახსენები იყო რუსეთთან დიალოგიც.

— რუსეთთან პრობლემა ბევრისთვის ის ჩანაა, საიდანაც გამოსასვლელი არ ჩანს.

— დროის ფაქტორია, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ სწრაფი სვლა ევროპისკენ და თან ილუზიების გარეშე, რომ რუსეთთან ყველაფერს დიალოგით დაალაგებ. მეორე, უნდა გავაგრძელოთ ეკონომიკის განვითარებაც. 1-2 პროცენტიანი ზრდა დამღუპველია ჩვენთვის. ჩვენ გვჭირდება ორციფრიანი — 10-ის ირგვლივ თამაში კარგა ხანს, რომ სერიოზული წინსვლა გვქონდეს და მესამე, როგორც არასდროს, საჭიროა მოთმინება, ანუ დაელოდო ისეთ სიტუაციას რეგიონში, როცა ბუნებრივად მოხდება კონფლიქტების გადაწყვეტა. ანუ რუსეთიც მზად უნდა იყოს ამისთვის ან ისეთი სიტუაცია უნდა შეიქმნას, როგორიც 1999 წელს, როცა მოვახერხეთ და დასავლეთის ზეწოლით და ჩვენი მოლაპარაკებებით, ხელი მოაწერეს სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანას. მაგრამ ასეთ მომენტს უნდა შევხვდეთ პოლიტიკურად და ეკონომიკურად გამართული.

— მაგრამ პოლიტიკაში ბევრი სკეპტიკოსია, ვინც ნატო-ს და ევროკავშირს ილუზიად ან ძალიან შორ პერსპექტივად მიიჩნევენ.

— ეს არის წაგებაზე ორიენტირებული ხალხი. ნატო და ევროპასთან ინტეგრაცია რეალურია და ისე მალე შეიძლება შეიცვალოს სიტუაცია, რომ... ასეთი რამ ბევრჯერ მოხდა ამ ბოლო 20 წლის განმავლობაში — საბჭოთა კავშირის დაშლა, დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა, რუსეთის ბაზების გაყვანა ყველა ქვეყნიდან, ნატო-ს, ევროკავშირის გაფართოება... ამ გზას ალტერნატივა არ აქვს. მაგრამ ეს ყველაფერი არის მოსაპოვებელი, რუსეთისთვის ძალით, ზეწოლით წასართმევი. სხვათა შორის, თვითონ რუსეთისთვისაც პრობლემაა აფხაზეთი და ოსეთი. დიდი მინუსია მათთვის იმიჯის მხრივ და ეკონომიკურადაც. რუსეთი ძალიან დიდ ფულს დებს ამ რეგიონებში, მაგრამ იკარგება, რადგან იქ ყველა იპარავს — რუსებიც და ადგილობრივებიც.

და კიდევ, საქართველო შეიძლება კარგი მეზობელი იყოს რუსეთისთვის, თუ შევთანხმდებით მთავარ საკითხებზე. ომის შემდეგაც კი საქართველოში არ ყოფილა ანტირუსული მისტერია ხალხის მიმართ. ყველა პრობლემა მხოლოდ კრემლთანაა დაკავშირებული.

Cyan Magenta Yellow Black

მანანა კობახიძე: „ჩვენ ყველა საფრთხე გააზრებული გვაქვს“

ნაცმოძრაობა რეპრესიების მოლოდინშია. მთავრობაში მხოლოდ ძალოვანი პერსონების შეცვლა შიშს უმძაფრებთ. პროკურატურა რომ ამ კუთხით ბევრად უფრო ქმედითი გახდება, ამას საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერი მანანა კობახიძეც ადასტურებს. როგორ აპირებს ახალი მთავრობა სამართლიანობის აღდგენას თუ დადგენას კოაბიტაციის დასრულების შემდეგ ან წართმეული ქონების დაბრუნებას?

მანანა კობახიძე:

— ახალ მთავრობას იმედიანად ვუყურებ, იმასაც ძალიან პოზიტიურად ვაფასებ, რომ საპრეზიდენტო მმართველობიდან გადავედით საპარლამენტო წყობაზე. საკონსტიტუციო კომისია ერთი წლის განმავლობაში იმუშავებს იმისთვის, რომ კიდევ უფრო დაბალანსებული გახდეს ხელისუფლების ყველა შტო. გაგრძელდება რეფორმები. იმედისმომცემია, რომ ხელისუფლების ყველა შტოში არის გუნდი, რომელიც ორიენტირებულია სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრაზე. ჩვენი მიზანია, ბიზნესი, ეკონომიკა იყოს თავისუფალი, გარემო — კონკურენტუნარიანი. ამით კი ხელი შევუწყოთ ინვესტიციების მოზიდვას.

ბევრი წამახალისებელი ღონისძიებაც იქნება გატარებული. იცით, რომ საინვესტიციო ფონდი იქნება. ისიც იცით, რომ კორპორციის შესახებ კანონი მივიღეთ და წახალისდებიან ისინი, ვინც კოოპერატივებს შექმნიან — დაბალპროცენტიან სესხს მიიღებენ, რაც აგროსფეროს განვითარებას ხელს შეუწყობს. ეს სფერო მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, რათა პარაფირების და ევროპასთან ვაჭრობის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ჩვენი პროდუქცია იყოს კონკურენტუნარიანი და ეკოლოგიურად სუფთა, რათა შევძლოთ ეკონომიკური ინტეგრაცია ევროპაში.

ასევე საჭიროა რეფორმები პროკურატურასა და სასამართლოში, რომ საქმეთა წარმოების მიმართ ყოველგვარი ეჭვი გამოირიცხოს. ადამიანებს, ვისაც იმ რეჟიმმა ზიანი მიაყენა, სამართლიანობის განცდა უნდა დაუბრუნდეთ იმ ფარგლებში მაინც, რისი შესაძლებლობაც სახელმწიფოს აქვს.

— საკუთრების უფლებაზე საუბრობთ?

— დიახ, თუ ამ საკუთრების დაბრუნების მთელ ტვირთს დავაკისრებთ სახელმწიფოს, ეს იქნება პრაქტიკულად შეუძლებელი. ეს გამოიწვევს ეკონომიკის დანგრევას. ამას ბიუჯეტი ვერ გასწვდება და ეს იმ ადამიანებმაც კარგად იციან. ცხადია, მათ არ უნდათ, რომ საკუთრების უფლების აღდგენა მოხდეს სხვა მოქალაქეების ხარჯზე — ვიღაცამ არ მიიღოს პენსია, შემწეობა და ა.შ.

— მაშინ როგორ უნდა აღიდგინოს შელახული უფლებები?

— კეთილი ინებონ და, დანაშავეებმა ზღონ ქონებით, ანუ დამნაშავე ვალდებულია, მატერიალური ზიანი აანაზღაუროს. თუ რამე გააჩნია, უნდა დაუყადაღდეს.

— და თუ მის სახელზე არაფერია?

— მაშინ უნდა მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა. ადამიანი მორალურად მაინც იგრძნობს თავს კარგად, როცა ნახავს, რომ პიროვნება, ვინც მას წაართვა ქონება, ციხეშია. ძნელია, დირექტივები მისცე პოლიტიკოსმა პროკურატურას, მაგრამ პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ დანაშაულის გარდაუვალობის პრინციპი იყოს მთავარი.

— რადგან ამ ახალ მინისტრთა კაბინეტში მხოლოდ არჩილ კბილაშვილი შეიცვალა, უნდა ვიფიქროთ, რომ სამართლიანობის აღდგენა მართლა სწრაფი ტემპით წავა?

— ჩვენ ზურაბ ადეიშვილის პროკურატურით მივიღეთ მანქანა, რომელიც საერთოდ არ ცნობდა ადამიანის უფლებებს, ამიტომ პროკურატურის გაადამიანურებისთვის მაშინ კბილაშვილის იქ დანიშვნა იყო აბსოლუტურად ლოგიკური. რეფორმების დაწყებაც კბილაშვილს უკავშირდება, კონცეფციის საკითხებიც, ასევე იმ საქმეების გამოძიების დაწყება, რომლებიც წლების განმავლობაში თაროებზე იდო. ახლა მათი ნაწილი სასამართლოშია, მაგრამ თუ იქ გამამართლებელი განაჩენებია, ამისთვის არის ზედა ინსტანცია, რომ საბოლოოდ დადგინდეს, ვინ არის მართალი. ჯერჯერობით არ ამოწურულა ბაჩო ახალაიას გამამართლებელ განაჩენებზე სამივე ინსტანცია, მაგრამ თუ ყველა ინსტანცია გაამართლებს, მაშინ, ცხადია, ეს ძალიან დიდი სისუსტე იქნება პროკურატურის. ჩვენ ვალდებულები ვართ, რომ იმედები, რის გამოც ხმა მოგვცა ხალხმა, გავამართლოთ. უამრავი საქმეა. ასე რომ, მგონი, ინტერვიუები უფრო ნაკლები უნდა მივცეთ და მეტი უნდა ვიმუშაოთ.

„კეთილი ინებონ და, დამნაშავეებმა ზღონ ქონებით, ანუ დამნაშავე ვალდებულია, მატერიალური ზიანი აანაზღაუროს. თუ რამე გააჩნია, უნდა დაუყადაღდეს“.

— ისეთი აქცენტები გააკეთეთ, მგონი, მართლა დაიწყება დაჭერების ახალი ტალღა, როგორც ამას ნაციონალები წასწარმეტყველებენ.

— არავის უხარია ეს დაჭერები. რომ არ გვინდოდა ამდენი პატიმარი, ამიტომაც გავაკეთეთ ამნისტიები, არ ვართ სასჯელზე ორიენტირებული ხელისუფლება, გვირჩევნია, უფრო პრევენციაზე ვიყოთ ორიენტირებული. გეგმა, ამდენი ადამიანი დავიჭიროთო, არ არსებობს და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ არსებობდეს! ლოგიკური პროცესი წავა — რაც საჩივრებია, უნდა გამოიძიონ; საქმეები, რომლებიც დაწყებულია, უნდა დასრულდეს და, ბუნებრივია, რომ ვიღაც ახალიც შეიძლება აღმოჩნდეს საბრალდებო სკამზე. ესენიც მუდმივად იყვირებენ, პოლიტიკური დევნაა, მაგრამ ნუ ჩაიდენდნენ და არავინ მოსთხოვდათ პასუხს. ამ საქმეების გამო ჩვენს ინტეგრაციას ევროპაში ხელი არ შეეშლება.

— ამაზე ლიტვის პრეზიდენტმა ხმამაღლა გითხრათ ინაუგურაციაზე, უკრაინაც შეგახსენათ.

— უკრაინის არანაირ მაგალითს არ გავიმეორებთ. ღმერთმა ის სიკეთე მაინც მოგვცა, რომ მოსახლეობის ძალიან დიდი პროცენტი ევროპული ინტეგრაციის მომხრეა და ეს არც ნაცმოძრაობის დამსახურებაა, არც „ქართული ოცნების“, ეს არის ქართველი ხალხის არჩევანი. იმას, რომ უკრაინის პრეზიდენტისგან ძალიან განსხვავებული შეხედულება აქვს ჩვენს პრეზიდენტს, ისევე როგორც ჩვენს პრემიერს, დაკონკრეტება არ უნდა. დაბოლოს, აიღეთ ჩვენი პარლამენტის რეზოლუცია. ევროკავშირს უნდა კი ისეთი ქვეყანა, სადაც კონკრეტული დამნაშავეები დაუსჯელები არიან? ეს პრინციპები იქიდან შემოტანილია და რა ვქნათ, ყოფილი დამნაშავე, პრეზიდენტი თუ მინისტრი დანაშაულის დამსახურებულ პენსიაზე გავუშვათ?

ჩვენ გვაქვს სხვა პრობლემა რუსეთთან — ოკუპაციის. ჩვენ გვინდა ტერიტორიების დაბრუნება, მაგრამ აფხაზებს და ოსებს განვიხილავთ, როგორც ძმებს და პარტნიორებს, რომლებმაც ჩვენთან ერთად უნდა მიიღონ ის სიკეთე, რომელიც ამ ქვეყანაში იქნება.

— რადგან ეს თემა ახსენეთ, აშშ-ის ელჩის სიტყვები მანდა გაგახსენთ, რომელმაც თქვა, რომ ჩვენ ისე ვექცეოდით აფხაზებს და ოსებს, როგორც ჩვენ გვექცეოდნენ რუსები. დიპლომატის ამ სიტყვებს კი „ფეისბუქზე“ მოჰყვა სტატუები მეგრელ სეპარატიზმზე აქცენტებით — თუ საქართველო კურსს შეიცვლის, სეპარატიზმის თემა გააქტიურდება ამერიკის ხელშეწყობითო. იქვე იდო კრების ჩანაწერი, სადაც რამდენიმე მეგრელი მეგრული ენის საკითხზე მსჯელობდა ოსაადის ბალბორდის ფონზე.

— ჩვენ გვაქვს პოლიტიკური კურსი ძალიან მკაფიო და ნათელი — ევროკავშირში შესვლა. ამას სჭირდება მუშაობა და ყველა დავალების თუ მოთხოვნის შესრულება. ამ მიზანზე უარს ვერასოდეს ვიტყვით. ეს არჩევანი საუკუნეების წინ არის გაკეთებული. ჩვენ გვინდა რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, მაგრამ არსებობს წითელი ხაზები, რასაც ვერ გადავალთ. ჩვენი ამოცანა აფხაზი და ოსი საზოგადოების დაბრუნებაა. არსებობს რთულად გადასაჭრელი პრობლემები, მაგრამ ამის გაკეთების შანსი არის. ამიტომ მე ვერ გავიზიარებ პოზიციას, რომ ჩვენ ისე ვექცეოდით აფხაზებს, როგორც რუსები გვექცეოდნენ ჩვენ. ასეთი შთაბეჭდილება თუ შეექმნა ბატონ ელჩს, ალბათ გარკვეული გარემოებიდან გამომდინარეა. თუ ღრმად ჩაიხედავს ჩვენს ისტორიაში, მიხვდება, რომ აფხაზეთი არის საქართველოს ტერიტორია და აფხაზები ქართველებად იწოდებოდნენ.

— შესაძლებელია, რომ სამეგრელოში სეპარატიზმი გაღვივდეს?

— გამოვრიცხავ, ამ თემებით ყოველთვის მანიპულირებდნენ ჩვენი ქვეყნის მტრები. სამეგრელოს მოსახლეობისთვის შეურაცხმყოფელია, როცა ეუბნებიან,სხვანაირი ხარ ან სხვანაირად ფიქრობო. უნდა დასრულდეს ეს პროვინციალიზმი, ყველაზე ცუდი გაგებით.

— ვარაუდობენ, რომ მომავალი 2 წელი ძალიან მძიმე იქნება საქართველოისთვის, თუნდაც იმის გამო, რომ ევროპასთან ჩვენს ინტეგრაციას რუსეთი ასე მარტივად არ შეეგუება. ახალი ხელისუფლება არის მზად, ამ სართულებს გაუძლოს?

— სრულიად შეიცვალა სტრატეგია რუსეთთან მიმართებაში, შევეცადეთ კულტურული, ეკონომიკური კავშირების აღდგენას. რაც შეეხება ჟენევის ფორმატს, ის უნდა შენარჩუნდეს. ჩვენ გააზრებული გვაქვს ყველა საფრთხე, მაგრამ ამის გამო არ ვაპირებთ, გავჩერდეთ და ევროკავშირისკენ ნაბიჯი არ გადავდგათ.

✓ **პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგიამ**

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

ქ-ნი ქეთევანი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

Cyan Magenta Yellow Black

კოკა ყანდიაშვილი: „მარტო ვარ, სიყვარულს აღარ მაძლევს ღმერთი“

„რაც კი გამაჩნდა, სააკაშვილმა ეველაფერი წამართვა“

„ჩვენთან ეუჩნაღლისტიკის ძირითადი ნანილი გოიმუჩია. სხეი სიქაჯეში ვართ!“.

საქართველოს მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კოკა ყანდიაშვილი, ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოდან წავიდა. მანამდე ის და მიხეილ სააკაშვილი მეგობრობდნენ. მერე კი ჟურნალისტისთვის, რომელსაც „პირველ არხზე“ საავტორო გადაცემა და საკუთარი სტუდია „აუდიენცია“ ჰქონდა, ყველა ტელეკომპანიის კარი დაიხურა.

კოკა ყანდიაშვილი ახლა 43 წლისაა. ნაქირავებ ბინაში მარტო ცხოვრობს. ცოლს, ნონა ყანდიაშვილს, რომელთანაც ორი ქალიშვილი ჰყავს, დიდიხნის წინ გაშორდა. რა მოხდა მისი და სააკაშვილის ურთიერთობაში, როგორ აღმოჩნდა ივანიშვილის მთავრობაში და რას აკეთებდა ამ წლების განმავლობაში, ამ ყველაფერზე კოკა ყანდიაშვილი „სარკეს“ უამბობს.

— ბატონო კოკა, საქართველოში მას შემდეგ გამოჩნდით, თან საჯარო პირად, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა. სად იყავით და რატომ წასულიხართ?

— სააკაშვილის და მისი სისხლისმსმელი რეჟიმის გამო წავედი საქართველოდან, არც ისე ბევრი წელი ვიყავი და ჩამოვედი. ძალიან რთულია სამშობლოდან რომ მიდიხარ და სხვაგან ცხოვრობ იმის გამო, რომ პოლიტიკურ დევნაში ხარ.

სააკაშვილმა მთელი ჩემი ცხოვრება მოიპარა. მე ვიყავი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წამყვანი, ჟურნალისტი, პროდიუსერი, მქონდა ჩემი სტუდია და ვაკეთებდი საქმეს. ერთ დღეს კი ეს ყველაფერი გაქრა იმიტომ, რომ სააკაშვილის რეჟიმისთვის მე ვიყავი მტერი.

— თქვენი ეკრანიდან გაქრობის ერთ-ერთ მიზეზად ითვლებოდა ის, რომ შევარდნაძის კარის ჟურნალისტს გიწოდებდნენ და დღემდე ასე ახსოვხართ ტელემაყურებელს.

— იმ „შევარდნაძის ჟურნალისტს“ ყველა უყურებდა. სხვა „შევარდნაძის ჟურნალისტებს“ ყველა არ უყურებდა და ამიტომ ვიყავი მე მტერი. ჯერ ერთი, შევარდნაძის ჟურნალისტი არ ვყოფილვარ. ეს სააკაშვილის პიარის შედეგია. შევარდნაძის ჟურნალისტები იმდენად არ მახსოვს და სააკაშვილის ჟურნალისტები კი მახსოვს ბევრი. დღესაც არიან ასეთები.

— შევარდნაძის ეპოქაში „პირველ არხზე“ არავინ გამოუშვებდათ, თუ მაშინდელი მთავრობის მიმართ არ იყავით.

— არ იყო ასე. მგონია, რომ „პირველ არხზე“ გადაცემა „რა ხდება?!“ ყველაზე პოპულარული იყო და არ მგონია, რომ ის ხელისუფლებას ემსახურებოდა. გადაცემას, რომელიც ხელისუფლებას ემსახურება, არავინ უყურებს და არავის უყვარს. „რა ხდება?!“ მხოლოდ 7 თვე მიმყავდა. მას შემდეგ 10 წელი გავიდა და ყველას ახსოვს. რატომ ახსოვთ, იმიტომ, რომ ხელისუფლებას ემსახურებოდა?! ესენი ასე ადებდნენ იარლიყებს — „შენ ხარ ფაშისტი“, „შენ ხარ აგენტი“, „შენ ხარ გათახსირებული“, „შენ ხარ შევარდნაძისტი“ და ა.შ. შევარდნაძესთან ერთად გამოვლილი მაქვს ცხოვრების დიდი ნაწილი. ეს კაცი ნანახი მყავს, როცა დანგრეულ საქართველოში ჩამოვიდა და მახსოვს, როგორი საქართველო დაუტოვა სააკაშვილს. ახლაც ვხედავ, როგორი საქართველო დატოვა უკვე სააკაშვილმა. ჩემთვის შევარდნაძის ეპოქის წლები მნიშვნელოვანი და დასაფასებელია.

შევარდნაძესთან ერთად ომში ვარ ნამყოფი და ის არსად ფორთხავდა. როცა სოხუმი იბომბებოდა, შევარდნაძე მე-11 სართულზე იყო და დაცვამ ვერ ჩაიყვანა სარდაფში, არ ჩავიდა. რა თქმა უნდა, ბევრი შეცდომა ჰქონდა, მაგრამ არ მგონია, რომ ტალახი უნდა ვესროლოთ და გადავუაროთ, ისევე როგორც მიშას, რომელმაც ასევე ბევრი რამ გააკეთა. ადმინისტრაციული მენეჯმენტი უფრო საინტერესო გახდა ქვეყანაში და ა.შ. არც ეს უნდა დავივიწყოთ.

— ვარდების რევოლუციამდე მიხეილ სააკაშვილთან მეგობრობდით. შემდეგ რატომ იქცა თქვენს პირად მტრად?

— იმიტომ, რომ მე არ გავყევი იმაში, რაც შემომთავაზა.

— რა შემოგთავაზათ?

— მედიის კონტროლი. უარი ვუთხარი და ამით დამთავრდა ჩვენი ურთიერთობა. ამის შემდეგ ყველა ტელევიზიას და მედიასაშუალებას აკრძალული ჰქონდა ჩემთან ნებისმიერი სახის ურთიერთობა. მხოლოდ თანამშრომლობა კი არა, ინტერვიუს დონეზეც დაბლოკილი ვიყავი, პრესის ზოგიერთი გამოცემის გარდა.

— თუ გახსოვთ, ამ ზოგიერთ გამოცემაში შედიოდა დამოუკიდებელი ჟურნალი „სარკეც“. კონკრეტულად როგორ შემოგთავაზათ მედიის კონტროლი?

— რესტორან „ტაილანდურში“ დამპატიჟა ჯერ კიდევ პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალამდე და მითხრა, ტელევიზია გააკონტროლეო. ამაში გულისხმობდა იმას, რომ, რის გამოც „რა ხდება?!“ დავხურე, ის პოლიტიკა უნდა გამეტარებინა ყველგან. გადაცემა დავხურე იმის გამო, რომ ერთადერთი, რაც არ მომწონდა შევარდნაძის ხელისუფლების დროს, იყო ის, რომ ვიღაცეების მოწვევა ხელმძღვანელობასთან უნდა შეგეთანხმებინა. ეს გავაპროტესტე და დავხურე გადაცემა. სააკაშვილს ვუთხარი, შენ პრეზიდენტი ხდები, ზურა ჟვანია — პრემიერმინისტრი, ნინო ბურჯანაძე — პარლამენტის თავმჯდომარე და კიდევ მე უნდა „მაპახაოთ“ და სიგიჟეები მაკეთებინოთ?! მე მგონია, რომ ყველაფერი უნდა გათავისუფლდეს და შენ მეუბნები, რომ ყველაფერი ვაკონტროლო-მეთქი. ვუთხარი, მე კუბაში მივდივარ-მეთქი და წავედი.

— წლების შემდეგ დაბრუნდით და დაახლოებით იმ თანამდებობაზე მოგვეყლინეთ, რასაც თურმე სააკაშვილი ადრე გთავაზობდათ. თქვენზე ამბობენ, რომ სწორედ მედიის კონტროლით ხართ დაკავებული.

— ვინ ამბობს ამას, ვინ?! მიშა, ანდრო ბარნოვი, გივი თარგამაძე... საერთოდ არ მაინტერესებს იმ ხალხის აზრი, ვისაც მიაჩნია, რომ მე ვინმეს ჟურნალისტი ვიყავი. მე ჩემი ცხოვრება მაქვს, ამ ქვეყნის შვილი ვარ, აქ დავიბადე. ვიცხოვრე ხან ცუდად, ხან კარგად. ახლაც ვცხოვრობ, კიდევ დიდხანს ვიცოცხლე და კიდევ ბევრ რამეს გავაკეთებ. უფრო თავისუფალი მედია საქართველოში ჯერ არასდროს ყოფილა. თუ სადმე ნახავთ, რომ ხელისუფლების მხრიდან მედიის კონტროლია, მერე დამისვით ეს კითხვა.

— წლების განმავლობაში საქართველოში არ ცხოვრობდით. დაბრუნდით და ჩაგბარეს საქართველოს მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი. თქვენი აზრით, თქვენ რატომ შეგარჩიეს ამ თანამდებობისთვის?

— 2013 წელს არ დავბადებულვარ, 1970 წელს დავიბადე და ყველა მიცნობს. ეს თანამდებობა ბიძინა ივანიშვილმა შემომთავაზა.

— იცნობდით მას?

— კი, ადრიდან ვიცნობდი.

— სად გაიცანით?

— არ ვაპირებ ჩემს პირად ცხოვრებაზე საუბარს.

— ეს პირადი ცხოვრება არ არის, საინტერესოა, ბიძინა ივანიშვილმა როგორ და რატომ შეგარჩია თქვენზე არჩევანი.

— ეს პირადი ურთიერთობაა და არა — ჩემს საქმეზე საუბარი. დამნიშნა ივანიშვილმა. არ მაქვს უფლება, ვიჭორაო, ივანიშვილი როგორ და სად გავიცანი. ივანიშვილი მე არ მიყურებს ისე, როგორც ვიღაც ახლობელს. მე მისთვის ვარ თანამშრომელი, რომელიც კარგად მუშაობს. მხოლოდ ამის გამო ვმუშაობ აქ. სენტიმენტების და ლამაზი თვალების გულისთვის ივანიშვილი არსად არავის ნიშნავს. ძალიან მკაცრია, მაგრამ რადიკალური არ არის.

— ივანიშვილის ურთიერთობის სტილი მასმედიასთან ყოველთვის ხდება კრიტიკის საგანი. ამბობენ, რომ მას ამ საკითხში რჩევებს თქვენ აძლევდით.

— ისეთ საინტერესო ადამიანთან, როგორიც ივანიშვილია, არასოდეს მიმუშავია. ვინ რას მაბრალებს, არავისთვის არის საინტერესო. საინტერესოა, რას ვაკეთებ და ეს კარგად ჩანს. თუ ვინმე რამეს მაბრალებს, ეს სააკაშვილია. სააკაშვილის ბინძური გუნდი მოვიდა, ყველას ყველაფერი დააბრალა, 10 წელი ყველა ჩარეცხა და ახლა არის ის დრო, როცა ყველაფერი ნათდება, ყველა ყველაფერს ხედავს.

— ბატონო კოკა, ივანიშვილის ურთიერთობის ფორმა ჟურნალისტებთან მოგწონდათ? ბატონ ბიძინას ბოდიშის მოხდაც კი მოუწია, საყვარაულიდან, თქვენ მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამო.

— დიახ, მომწონდა! უამრავ ადამიანს ჰქვია

Cyan Magenta Yellow Black

ჟურნალისტი და მათ ამ სფეროზე წარმოდგენა არ აქვთ. ივანიშვილი რეალისტი და იდეალისტია. მესმის, ვაიჟურნალისტისთვის როგორი რთულია მასთან დიალოგი, კონტაქტი და ა.შ. ივანიშვილი ყველაფერს თავის სახელს არქმევს მოკრძალებულ ფორმაში. ჟურნალისტმა, რომელმაც იმ შეხვედრაზე ბოლომდე გაიტანა ეგ საკითხი, უნამუსოდ მოიქცა.

— ვანო სანაიაზე ამბობთ?

— სახელს და გვარს არ ვასახელებ, მაგრამ ის, ვისაც თქვენ წინა კითხვაში გულისხმობდით, ცრუობდა, იტყუებოდა!

— გადაამოწმეთ და დარწმუნდით, რომ ცრუობდა?

— არ გადმიმოწმებია. ჩვენთან მთელი დეპარტამენტია, რომელიც მუშაობს და იცის, რა და როგორ არის. ჩვენთან ჟურნალისტიკის ძირითადი ნაწილი გოიმურია. სრულ სიქაჯეში ვართ! არ მინდა გამოვიდეს, რომ შეურაცხყოფას ვაყენებ ყველა ჟურნალისტს და არც ყველას ვგულისხმობ, მაგრამ ბევრი, ვისაც ჟურნალისტი ჰქვია, არ არის ჟურნალისტი. ისევე როგორც ბევრს ჰქვია პოლიტიკოსი თუ ექიმი და არ არიან ნორმალური პოლიტიკოსები თუ ექიმები.

ქართულ ჟურნალისტიკას დიდი მომავალი აქვს. აქამდე ჟურნალისტიკა ხელოვნურად იკვებებოდა, რომელიც ორიენტირებული იყო არა ბაზარზე, არამედ დამფინანსებლის კეთილგანწყობაზე. დღეს აღარ ჰყავს დამფინანსებელი — მთავრობა თუ ბიზნესმენები და მედია მთლიანად გადაეწყობა, გახდება ბაზარზე ორიენტირებული, სადაც ცუდი გაიცხრილება, ვეღარც ტყუილზე ორიენტირებული იქნება.

— არ ვიჭორაოთ, ისე მითხარით, რატომ გეჩვენებათ ივანიშვილი ყველაზე საინტერესო ადამიანად?

— რაც მასთან ერთად ვმუშაობ, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როცა მის რომელიმე გადაწყვეტილებას შინაგანად არ ვეთანხმებოდი. რა თემაზეც უნდა იყოს საუბარი, მისი ხედვა ძალიან საინტერესოა. როგორც ვხედავ, მას აქვს ცოდნა არამხოლოდ ამა თუ იმ თემაზე, არამედ ინფორმაციასაც ფლობს თემის გარშემო. აქვს უნიკალური ანალიზის უნარი და გასავლელი ნაბიჯების ზუსტად გათვლა ეხერხება. მე თუ შემიძლია გავითვალო 2-3 ნაბიჯი, ამ კაცს 10-15 ნაბიჯის გათვლა შეუძლია. ის მასშტაბები, რითიც ის ცხოვრობს, ჩემთვის იმდენად შორს არის, რომ არც ვიცი, როგორ შევაფასო. მასთან თითოეული შეხვედრა არის გაკვეთილი. მისგან ბევრს ვსწავლობ და ვიზრდები. ყველაზე მაგარი გრძნობაა, როცა ხედავ, შენი განვითარება კი არ გაჩერდა, გრძელდება.

შევარდნაძეს პატივს ვცემდი და მასზე ბევრი ქვეყნის პირველ პირთან მისაუბრია, მაგრამ შევარდნაძე რაღაცაზე რომ გეტყოდა, კიო, სულაც არ ნიშნავდა კი-ს. სულ მკითხაობაში ვიყავით. ივანიშვილთან ეს ბევრად ადვილია, არ იტყუება. ეს არის მისი პოზიცია და ასე მუშაობა ძალიან მაგარია. მგონია, რომ დანდობა შეუძლია და იმათ ინდობს, ვინც სულაც არ არის დასანდობი.

— მაგალითად, სააკაშვილს ინდობს, თქვენ კი არ დაინდობდით?

— კი, მე მაქვს მის მიმართ ეს გრძნობა. ივანიშვილი მასზე არანაკლებ გაბრაზებულია

„სააკაშვილმა ჰესტოჰანში დამპატიჟა და მითხრა, ტელევიზია გააჯონტოოლეო. ვუთხარი, მენ პრეზიდენტი ხდები, ზუჰა ჟვანია — პრემიერმინისტრი, ნინო ბურჯანაძე — პარლამენტის თავმჯდომარე და ჯიდევ მე უნდა „მაპახაოთ" და სიგიჟეები მაჯეთებინოთ?! მგონია, რომ ყველაფერი უნდა გათავისუფლდეს და მენ მეუბნები, რომ ყველაფერი ვაჯონტოოლო-მეთქი?! ვუთხარი, მე ჯუბაში მივდივარ-მეთქი და ნავედი".

და ხედავს, რაც ჩაიდინა ჩვენი ქვეყნის მილიონობით მოქალაქის მიმართ, მაგრამ მას არ აქვს იგივე განცდა, რაც მე. ბევრ რამეზე თვალი დახუჭა, რასაც მე არ და ვერ ვიზამდი. მე რომ მქონდეს საშუალება, სააკაშვილს გავუსწორდე, სერიოზულად გავუსწორდებოდი და ვანანებდი მთელ დარჩენილ ცხოვრებას.

— სცემდით?

— კი, სიამოვნებით ვცემდი მაგრად.

— როგორ გგონიათ, ფიზიკურად მოერეოდით?

— კი, ის ისეთი თხლეა, რომ ვაჯობებდი. მიმაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანაში მიშას მიმართ სამართლიანობა არ დამდგარა და ეს უნდა დადგეს. უნდა აგოს პასუხი იმაზე, რაც ქვეყანაში გააკეთა. ჯერ გული არ მომიფხანია.

— მთავრობის ახალი მეთაური გვყავს. თქვენ ისევ დარჩებით ამ სამსახურში?

— არ ვიცი. ამას ახალი პრემიერმინისტრი გადაწყვეტს. ირაკლი ღარიბაშვილი ძალიან ნიჭიერი და კომპეტენტური კაცია, მობილიზებული და მოწესრიგებული. ფიცხია.

— სიფიცხე კარგია?

— შეიძლება მისი ასაკისთვის კარგია. არ მახსოვს, როგორი ვიყავი 11-12 წლის წინ, მაგრამ ალბათ მეც ფიცხი ვიქნებოდი. მომწონს ეს სიფიცხე. ბოროტი არ არის. საკმაოდ მკაცრი და მომთხოვნია. ახალი თაობის პოლიტიკოსი გვყავს და მგონია, რომ ყველაფერი გამოუვა.

— მისი პოზიცია სააკაშვილთან დაკავშირებით, იცით? თქვენს გულისმოფხანას მოახერხებს?

— არ მისაუბრია ამაზე. მე, რა თქმა უნდა, მიშას ასე ზემოთ-ქვემოთ არ ვასეირნებდი. ეს ჩემი, კოკა ყანდიაშვილის პოზიციაა და გაძლევთ პირობას, რომ მიშას მაინც ამოვთხრი!

— ეს წლები აქამდე სულ კუბაში გაატარეთ?

— არა, კუბაში 2003 წლის ახალ წელს წავედი და იმიტომ ვუთხარი მიშას ასე. აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში ვმუშაობდი ჩემი პროფესიით — ეგვიპტე, იემენი... სხვა კონტინენტია, სხვა ენა, სხვა კულტურა და საინტერესოა, ენები ვიცი და ჩემთვის ადვილი იყო მუშაობა, მაგრამ ვერ გეტყვით, ბედნიერი წლები იყო-მეთქი. ვერ ვნახულობდი ჩემს ოჯახს, შვილებს, საყვარელ ადამიანებს.

— ყარდების რევოლუციის შემდეგ ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდით. შეიძლება სახლი?

— არა, ახლაც ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ. არ მაქვს არც ბინა, არც მანქანა... ჩემი კომპიუტერი მაქვს და კბილის ჯაგრისი. დანარჩენი, რაც მანამდე მქონდა, სააკაშვილმა წამართვა.

— როგორ წაგართვათ?

— ჩვეულებრივად. შემიქმნა ისეთი პირობები, რომ, რაც გამაჩნდა, ყველაფერი დავკარგე. ჩემი შექმნილი სტუდია „აუდიენცია" რომ აღარ არსებობს, როგორ გგონიათ, რატომ?

— ყარდების რევოლუციამდე თურმე აბანოშიც კი ერთად დადიოდით.

— ერთად არ დავდიოდით. აღმოჩნდა, რომ ნამყოფი არ იყო გოგირდის აბანოებში. არ იცოდა, რა არის ქისა და ა.შ. ჩვენი წინაპრები დადიოდნენ და ეს მამაკაცებისთვის ერთგვარი ტრადიცია იყო. მე წავიყვანე ზუსტად რევოლუციის წინ. ვმეგობრობდით, კარგი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ სააკაშვილმა მთელი ერი მოატყუა. ძალიან ბოროტი ადამიანია. 2003 წლამდე მიშა სულ სხვა იყო და მერე — სულ სხვა. ცხონებული ჟვანია ამბობდა, გახდება ეს დორბლიანი პრეზიდენტი და მერე ნახავთ, რეებს იზამსო. მართალი აღმოჩნდა.

— მარტო ცხოვრობთ?

— დიახ, მარტო ვარ.

— მამაკაცისთვის მარტო ცხოვრება ალბათ ძალიან ძნელია.

— არ მიჭირს, რადგან აფრიკაშიც მარტო ვცხოვრობდი. სიყვარულს აღარ მაძლევს ღმერთი. იმედი მაქვს, კიდევ შემიყვარდება ვინმე. ახლა არ მცალია და არც არავინ მიყვარს.

— ადვილად არ გიყვარდებათ?

— არა, ალბათ უფრო ადვილად. არც მახსოვს, როგორ მიყვარდებოდა. ცოტა ხნით ადვილად მიყვარდება და დიდი ხნით — უფრო რთულად.

✓ **რუსუდან ადვაძე**

სტუდენტები სოლიდური სიმსივნით დაავადებულ ბავშვებს ეხმარებიან

29 ნოემბერს, 18 საათზე, „თბილისი არტ ჰოლში" გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ტარდება საქველმოქმედო საღამო „ნაბიჯი ერთად — ნაბიჯი წინ". გაიმართება კონცერტი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ პოპულარული ახალგაზრდა მომღერლები, მოცეკვავეები და ილუზიონისტები. ბილეთის ფასი 5 ლარია და შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება ბერი ანდრიას ფონდში — სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვებისათვის. თანხა შეგიძლიათ გადარიცხოთ „პროკრედიტ ბანკში". მიმღები შპს „დათა"GE20PC0453600100003075. ბანკის კოდიMIBGGE22 ან დარეკოთ ნომერზე — 595 943 338. ორგანიზატორი ლიკა კაჭარავა.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ქრისტინე იმედაძე: „უიღბლო ქორწინებამ შიში და კომპლექსი გამიჩინა“

ჟურნალისტი ქრისტინე იმედაძეს პირველად ოჯახი 24 წლის ასაკში შექმნა. მისი და ფეხბურთელ ლაშა ჯაკობიას ქორწინებამ წელიწადნახევარს გასტანა და ამ კავშირმა წყვილს საერთო გოგონა ტაისია დაუტოვა, რომელიც უკვე სკოლის მოსწავლეა. ცალად დარჩენილმა ქრისტინემ ერთი პერიოდი მომღერლის კარიერის აწყობა უკრაინაში სცადა, მაგრამ 9 თვის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და სცენიდან ტელესტუდიაში გადაინაცვლა, „რუსთავი 2“-ის გადაცემა „შუადღის“ ერთ-ერთი წამყვანია. პირად გამოცდილებასა და გეგმებზე მომღერალმა „სარკეს“ საკმაოდ გულახდილი ინტერვიუ მისცა.

— ქრისტინე, უკრაინასთან დაკავშირებულმა გეგმებმა არ გაამართლა?

— კიევში 9 თვე ვიყავი. იქ წასვლას 2 წელი ვგეგმავდი, უკრაინაში ბევრი ჩემი მეგობარი ცხოვრობს. საბოლოო გადაწყვეტილება მას შემდეგ მივიღე, რაც ტელევიზიით ციხის სკანდალური კადრები ვნახე. მაშინვე ვიყიდე ბილეთი და გავემგზავრე. 2 კვირით ვგეგმავდი იქ დარჩენას, მაგრამ იმდენად საინტერესო შემოთავაზებები მივიღე, რომ დარჩენა გადავწყვიტე. სიმართლე გითხრათ, რაც წამოვიწყე, ყველაფერი შუა გზაში მივატოვე. ბებიაჩემი ძალიან ცუდად გახდა და გარდაიცვალა, ამის გამო დავბრუნდი საქართველოში. მას მერე აღარც მიფიქრია იქ წასვლაზე. ოჯახი მომენატრა და მათთან ყოფნა ვარჩიე. ჩემი შვილი სკოლაში მივიდა და მინდოდა, მნიშვნელოვან წუთებში მის გვერდით ყოფილიყავი.

— მოდით, თქვენს ცხოვრებას გადავავლოთ თვალი და მნიშვნელოვანი ეტაპები გამოვყოთ.

— მნიშვნელოვანი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში იმ დღიდან დაიწყო, როცა დედა გავხდი. მას შემდეგ დასრულდა ჩემი სილაღე და გაჩნდა უამრავი პასუხისმგებლობა. საკუთარ თავს მოდუნების უფლებას ერთი წუთითაც არ ვაძლევ. რაც უნდა დაღლილი ვიყო, შვილთან ურთიერთობა ყოველთვის მსიამოვნებს. დედობაზე დიდი საჩუქარი არ არსებობს. 29 წლის ვარ და ვთვლი, რომ ახლა უკვე დიდი გოგო ვარ.

— ასაკის მატებასთან ერთად რამე შეიცვალა თქვენს პიროვნებაში?

— ადვილად ვცივდები და დიდი ხანი მჭირდება გამოსაჯანმრთელებლად. იმუნიტეტი დამიქვეითდა. გართობა მეზარება, ვერ ვიტან ხალხმრავლობას. ადრე ძალიან აქტიური ვიყავი, შემეძლო, დილის 6 საათამდე კლუბში ვყოფილიყავი, შინ დავბრუნდებოდი, თავს მოვიწესრიგებდი და ლექციაზე მივდიოდი. ახლახან, სამთვიანი პაუზის შემდეგ, ნინი ბადურაშვილის კონცერტზე მივედი და მივხვდი, რომ გართობა ჯერ კიდევ შემიძლია. გამიხარდა. ფაქტია, რომ 25 წლიდან ქალის ორგანიზმი უკუსვლას იწყებს.

— უკვე დაიწყეთ თავის სერიოზული მისვლა პლასტიკური ოპერაციები და ასე შემდეგ?

— მხოლოდ კბილის ექიმთან დავდივარ. ფილტვების გასასინჯადაცვსტუმრობ ხოლმე ექიმებს. რაც შეეხება ქირურგიულ ჩარევას, მხოლოდ ბრმანაწლავისა და გლანდების ოპერაციები მაქვს გაკეთებული. ვცდილობ, ჯანსაღი ცხოვრების წესი დავიცვა — ვვარჯიშობ, სწორად ვიკვებები. რაც შეეხება თავის მოვლას, ბებიების რეცეპტებით შემოვიფარგლები — კვერცხის გული, თაფლი, კიტრის ნათალი, შვრიის ფაფას სამ კოვზს ვჭამ და სამ კოვზს სახეზე ვისვამ, ეს არის და ეს. ძვირადღირებულ კოსმეტიკას ნაკლებად ვიყენებ.

— ამბობენ, რომ ფეხის წყიტები დაიწყრილეთ. მართალია?

— არა! როგორც გინდათ, შემამოწმეთ! ეს ყველაფერი ჩემმა ერთმა ნაცნობმა თქვა, რაზეც გამეცინა. წვივის ძვალს რომ ხერხავენ, რეაბილიტაციისთვის 8 თვე ლოგინში წვანან, რასაც არასდროს გავაკეთებ. რატომ, ცუდი ფეხები, წვივები მაქვს?!

— პირიქით, შესანიშნავი.

— ჰოდა, მაშინ რა გინდათ?! ვერ გადმოგცემთ, ოპერაციების ისე მეშინია. რაც მჭირდება, იმას ვერ ვიკეთებ და... მომწონს ასაკისთვის შესაფერისი ნაოჭები. კარგია, რომ ღმერთმა არ გამიმეტა და სახეზე რაღაც უბედურება არ მჭირს. არ ვთვლი, რომ ისეთი სავალალო მდგომარეობა მაქვს, პლასტიკური ოპერაციები ვიკეთო. ყველა ერთანაირად ლამაზად ხომ არ ბერდება? ვნახოთ, მომავალში რა იქნება, მაგრამ ერთი კი ვიცი, რომ დანის ქვეშ არასოდეს დავწვები, ბოტოქსს კი არ გამოვრიცხავ. რაც ჩემზე ჭორები გავრცელებულა, 100-დან 99 პროცენტი ტყუილია.

> „მნიშვნელოვანი ეტაპი ჩემს ცხოვრებაში იმ დღიდან დაიწყო, როცა დედა გავხდი. მას შემდეგ დასრულდა ჩემი სილაღე და გაჩნდა უამრავი პასუხისმგებლობა“.

— უკვე რამდენიმე წელია მარტო ხართ. ოჯახის ხელმეორედ შექმნაზე არ ფიქრობთ?

— არცთუ პატარამ, 24 წლის ასაკში შევქმენი ოჯახი, მაგრამ... როცა ოჯახი გენგრევა, ხელმეორედ ქორწინება რთული საკითხია. შიში და კომპლექსი ჩნდება. ზოგი ძალიან მარტივად ქორწინდება მეორედ, მესამედ და მეოთხედ. ჩემთვის კი ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. მეორედ ამ ნაბიჯს ერთი ხელისმოსმით აღარ გადავდგამ. როცა გათხოვებაზე ვიფიქრებ, მაქსიმალური გარანტია უნდა მქონდეს, რომ ჩემი ოჯახი იქნება მყარი და სამუდამო.

— არც შეცდარებული ხართ?

— არა.

— ამბავი გავრცელდა, რომ თაყვანისმცემელმა ვარდები და მოიერიოყილი ტელეფონი, აიფონი გაჩუქთ. ასეთ საჩუქრებს ხშირად იღებთ?

— არიან ერთეულები, ვისაც პირად ცხოვრებაში უმართლებთ, მაგრამ მე მათ რიცხვში არ ვარ — არ მიმართლებს. ამიტომ საქმესა და შვილზე ვარ ორიენტირებული. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ნამდვილად არ ვიცი, ეს საჩუქარი ვინ გამომიგზავნა და არც არავისზე მაქვს ეჭვი. ვარდები დაჭკნა, აიფონს ვიყენებ.

> „არიან ერთეულები, ვისაც პირად ცხოვრებაში უმართლებთ, მაგრამ მე მათ რიცხვში არ ვარ“.

— როგორ ფიქრობთ, რატომ არ ამჩნევს თაყვანისმცემელი?

— არ ვიცი, არადა ძალიან მაინტერესებს, ვინ არის. თავიდან მეგონა, რომ მეგობრები მეხუმრებოდნენ, რადგან, სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, წინა დღით მათთან ვამბობდი, ადრე თაყვანისმცემლები საჩუქრებით, თაიგულებით მანებივრებდნენ, ამ ბოლო დროს კი არავინ არაფერს მჩუქნის-მეთქი. მეორე დღეს კი ეს საჩუქარი მომიტანეს და დიდ ეჭვებში ვიყავი. ველოდები ამ საჩუქრის ავტორს, გაამხილოს ვინაობა!

— თქვენი ყოფილი ქმარი როგორი მამაა ტაისიასთვის?

— ტაისია მამას ძალიან ჰგავს და მასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს, უქმეებს ბებიასთან და მამასთან ატარებს. ძალიან დამჯერი, მოწესრიგებული ბავშვია. ამ მხრივ, ძალიან გამიმართლა. მის გაზრდაში დედა მეხმარება. ტაისია დადის ძერწვაზე, ტანვარჯიშზე, ცურვაზე, მუსიკაზე, ხალხურ სიმღერაზე, ეუფლება ფანდურზე დაკვრას. მე და ჩემს მეგობრებს ერთი სული გვაქვს, ტაისია როდის მოგვიწყობს ფანდურის საღამოს. ფაქტობრივად მასთან საურთიერთოდ ცოტა დრო მრჩება, რადგან ოჯახში მხოლოდ მე ვმუშაობ და ვცდილობ, მათ არაფერი მოვაკლო.

— 29 წლის ასაკში ოჯახის რჩენა ალბათ არ არის ადვილი.

— მე ამას 15 წლიდან ვახერხებ, ასე რომ, ასაკი ამ შემთხვევაში ხაზგასასმელი არ არის. თვითონაც არ ვიცი, ამ ყველაფერს თავს როგორ ვაბამ. ადრე თუ რაღაც კონცერტებზე შემეძლო უარის თქმა დაზარების გამო, ახლა ამას აღარ ვაკეთებ, რადგან მარტო ჩემი თავი აღარ მაბარია. ვიცი, დილას ადრე უნდა ავდგე და ყველა საქმე გავაკეთო ჩემი შვილის გამო. თავიდან ბოლომდე მომართული ვარ, რომ შვილს უკეთესი ხვალინდელი დღე ჰქონდეს. მინდა, არ მინდა და დაზარება, აღარ არსებობს ჩემთვის.

— ქეთა თოფურიას ქორწილში მთელი რუსული ბომონდი ნახეთ. რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდით იქიდან?

— ქეთას არაჩვეულებრივი ქორწილი ჰქონდა, ულამაზესი პატარძალი იყო. ისე გავერთე, რომ არც სტუმრები მახსოვდა და არც არავინ. ყველაზე მეტად მე და ქეთა გავერთეთ ქორწილში. მთელი ცხოვრება გაიძახოდა, რომ ქორწილი არ უნდოდა, მაგრამ ძალით გადაახდევინეს. ბოლოს მე და ქეთა ფეხშიშველები დავრბოდით. დაიანა კინგი გვეკითხებოდა, რომელი სიმღერა გინდათ, რომ ვიმღეროო.

— საჯაშვილის ხელისუფლების ფაკიზრიტთა რიცხვში მიიაზრებოდით, კონცერტებში აქტიურად მონაწილეობდით. ახლა რა ხდება თქვენს შემოქმედებაში?

— მე შევარდნაძის ხელისუფლების დროს უფრო აქტიური ვიყავი. ჩემთვის დრო მთავრობის ცვლილების მიხედვით არ იყოფა, პოლიტიკური ადამიანი ვარ. მყავს ბევრი მეგობარი, ვიღაც მთავრობის წარმომადგენლის ცოლია, ვიღაც დაა, ვიღაც შვილია, მაგრამ ჩემთვის მათი სტატუსები უმნიშვნელოა, მთავარია ურთიერთობები. რაც შეეხება ახლანდელ რეალობას, ქვეყანა დალაგების პროცესშია და შოუბიზნესისთვის არავის სცალია. ჩვენ, მომღერლებმა, ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ. მაქვს რამდენიმე ახალი სიმღერა, რაც ჯერ საზოგადოებამ არ იცის, მათ შორისაა რამდენიმე რუსულენოვანიც. იმედია, მათ მალე მოისმენს მსმენელი.

— თქვენს ახალ სიმღერას „ტკბილა და მარო“ „ოუთუბზე“ ბევრი ნახვა აქვს, რადიოჩარტებშიც ლიდერობს. ეს სიმღერა რატომ ჩაწერეთ, კრიტიკის არ შეგეშინდათ?

— დათუნა კენჭიაშვილს აქვს თავისი სტუდია და ხუმრობა-ხუმრობაში ჩავწერეთ ეს დუეტი. ჩვენი მიზანი არ იყო ამ სიმღერით სცენაზე გამოჩენა, უბრალოდ ასე მოხდა. ამ სიმღერის გამო რომც გამლანძღონ, არ მეწყინება.

✓ ლანა კოკნაძე

Cyan Magenta Yellow Black

„ჯვარს რომ ვწერდი, მარიკა თითქოს ტაძარში აღარ იყო, მათ ერთად ვეღარ ვხედავდი“

ზეცაში გაგრძელებული ქორწილი

18 ნოემბერს თბილისში გაუგონარი ტრაგედია დატრიალდა. ქორწინების მეორე დღეს პატარძალი ქმარს საწოლში გარდაცვლილი დახვდა.

17 ნოემბერს პოეტმა დავით ბაზუაშვილმა და ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა მარიკა ჩემიამ ჯვარი დაიწერეს და ქორწილი გადაიხადეს. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ახალჯვარდაწერილი, ქმარზე უზომოდ შეყვარებული პატარძალი იმ დღეს საოცრად ბედნიერი იყო. ქორწილი გვიანობამდე გაგრძელდა და ცოლ-ქმარი ახალნაყიდ ბინაში გამთენიისას დაბრუნდნენ. დავით ბაზუაშვილს დილის 9 საათისთვის გამოეღვიძა და ახალშერთული ცოლის სხეული უჩვეულოდ ცივი ეჩვენა...

სასწრაფო დახმარების ბრიგადამ, რომელიც დავითმა მაშინვე გამოიძახა, მარიკა ჩემიას გარდაცვალება დაადასტურა და სავარაუდო დიაგნოზიც დასვა — ფილტვის ინფარქტი.

პატარძალი 34 წლის იყო. ლანჩხუთში დაიბადა და გაიზარდა. თბილისში სტუდენტობიდან ცხოვრობდა. ჯანმრთელი, გულღია, თბილი, ენერგიული, მხიარული — ასე ახასიათებენ მას მეგობრები. გალერეა „ვაჩეს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი იყო, მერე კი ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი.

დავით ბაზუაშვილმა ოროთახიანი ბინა საბურთალოზე ქორწინებამდე ცოტა ხნით ადრე შეიძინა. ის ლექსებს წერს. სასულიერო აკადემია აქვს დამთავრებული. წლების განმავლობაში ზედაზნის მონასტერში ბერებთან ერთად ცხოვრობდა. ამბობენ, მარიკას გაცნობამდე ბერად შედგომას აპირებდაო.

მარიკა ჩემიას გარდაცვალების ფაქტზე შს სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოში სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღიძრა. პროკურატურის პრესსამსახურში გვითხრეს, როცა მსგავსი შემთხვევაა და გარდაცვალების მიზეზი ვერ დგინდება, საქმე ყოველთვის ამ მუხლით აღიძვრება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ამის საფუძველი არ არსებობს. მეგობრები ამბობენ, რომ მარიკა მორწმუნე იყო და თავს არაფრით მოიკლავდა, მით უმეტეს, რომ ამის მიზეზი არ ჰქონდა. წინასწარი ინფორმაციით, ჩემიას ცხედარს გარეგნული დათვალიერებით სხეულზე რაიმე სახის დაზიანება არ აღენიშნებოდა. სამედიცინო ექსპერტიზის პასუხები რამდენიმე კვირაში გახდება ცნობილი.

მომხდარ ტრაგედიაზე „სარკეს“ მარიკა ჩემიას თანამშრომლები და მეგობრები ესაუბრნენ.

ინგა ვაჩეიშვილი, გალერეა „ვაჩეს“ დამფუძნებელი: მე და მარიკამ გალერეა ერთად დავაარსეთ. მისი დამსახურებაა ამ გალერეის პოპულარობა. ბევრი საინტერესო გამოფენა გააკეთა. ერთი წლის წინ სადოქტორო დაიცვა და ეროვნულ მუზეუმში მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობდა. პროფესიით არქეოლოგი გახლდათ. საუკეთესო აღმოსავლეთმცოდნე იყო. მისთვის საქმეში წინაღობა არ არსებობდა. ყველაფერში ბოლომდე იხარჯებოდა. მეტყოდა ხოლმე, ეს გალერეა შვილივით მიყვარსო.

— რიგორი ჯანმრთელობის პატრონი იყო, რამე აწუხებდა?

— საერთოდ არაფერი, ყოველ შემთხვევაში, მე არაფერი ვიცი. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფილტვის ინფარქტი დაემართა, მაგრამ ჯერ ექსპერტიზის პასუხი არ ყოფილა.

მაიკო კვიტაიშვილი, მარიკა ჩემიას მეგობარი: ბავშვობის მეგობრები ვიყავით. არასოდეს გამიგია, ავად ყოფილიყო. ქორწილის შემდეგ წასულან სახლში და დაღლილს საპატარძლო კაბით მისძინებია. არ არსებობს რაიმე ვერსია, რითი შეიძლებოდა მარიკა გარდაცვლილიყო. დედა ამბობს, ეს ყველაფერი უფლის ნება იყოო.

ნოდარ ბახტაძე, ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი: მარიკა ჩვენთან დაახლოებით 14 წლის წინ მოვიდა. ჯერ ლაბორანტად დაიწყო მუშაობა, მერე — უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. სამეცნიერო დარგში ისეთი ჟინი გამოიჩინა, რომ დოქტორანტურაში ჩაბარა და სადოქტორო დისერტაციაც დაიცვა. ჩემი

მარჯვენა ხელი იყო. პასუხისმგებლობით აღსავსე, ნიჭიერი, ცოცხალი გონების პატრონი გახლდათ. თვეობით ვიყავით ერთად ექსპედიციებში და იქ ადამიანს რაიმე პატარა დაავადება თუ აქვს, ყველაფერს ვიგებთ. მარიკას არაფერი სჭირდა. აღნაგობით გამხდარი, სუსტი იყო, მაგრამ — ჯანმრთელი.

— მას საქმრის იცნობდით?

— დიახ. ერთხელ ექსპედიციაში ყოფნის დროს ჩამოაკითხა და მარიკამ გამაცნო, ჩემი მომავალი მეუღლეაო. მაღალი, კარგი შესახედაობის ბიჭი იყო. მარიკა ბოლოს ძალიან ბედნიერი ჩანდა, როგორც ყველა, ვინც სიყვარულით თხოვდება. იპოვა საყვარელი ადამიანი, კარგი ბიჭი, პოეტი, გაუგეს ერთმანეთს და ბედნიერი იყო.

ვაჟა მამიაშვილი, მარიკა ჩემიას მეგობარი: მარიკა ექსპედიციაში გავიცანი. ძალიან კარგი გოგო იყო — ხალისიანი, ენერგიით სავსე. ველიდან რომ ვბრუნდებოდით, სუფრას მარიკა გვიშლიდა, მუდმივად საქმიანობდა. ჯანმრთელობის მხრივ არაფერს უჩიოდა. ერთხელ შეყვარებულმაც ჩამოაკითხა ორი დღით. ძალიან თბილი ურთიერთობა ჰქონდათ. ბედნიერი იყო.

„მარიკა ქორწილისთვის დიდხანს ემზადებოდა. საქორწინო კაბას დიდხანს არჩევდა. უნდოდა, ამ დღეს ყველაზე ლამაზი ყოფილიყო. ეგიპტეში საქორწინო მოგზაურობაში გასაფრენი ბილეთები დაჯავშნული ჰქონდათ. მილოცვებითა და კეთილი სურვილებით, ბევრი ყვავილით, მუსიკით, მხიარულებით ივსებოდა გარემო. გამთენიისას მეუღლესთან ერთად ახალშეძენილ ბინაში დაბრუნდა დასასვენებლად, ვიდრე სამოგზაუროდ გაფრინდებოდნენ. ემოციებით სასიამოვნოდ დაღლილს მიეძინა. რამდენიმე საათის შემდეგ დათომ გაღვიძება სცადა, მაგრამ ამაოდ. მარიკა ჩემიას ქორწილი ზეცაში გაგრძელდება“, — ეს სიტყვები გარდაცვლილი პატარძლის „ფეისბუქის“ გვერდზე მერვეკლასელმა მოსწავლემ, ლინა კობიაშვილმა გამოაქვეყნა.

ნონა მებზევიშვილი, მარიკა ჩემიას მეგობარი: მარიკამ ქორწილამდე ორი დღით ადრე „სკაიპით“ თავისი საპატარძლო კაბა ჩაიცვა და დაგვენახა. ფეხსაცმელებიც გვაჩვენა. მეკითხებოდა, ხომ ლამაზია, ხომ მოგწონსო. მამა არ ჰყავდა. ნათქვამი აქვს, პატარა ვიყავი, მამაჩემი სისხლის გათეთრებით რომ გარდაიცვალაო. თვითონ ფრჩხილი არ წამოსტკივებია, ჯანმრთელი გოგო იყო და საგონებელში ვართ ჩავარდნილი, ეს რატომ უნდა დამართნოდა.

ვახტანგ ცინცაძე, მარიკას მეგობარი და თანამშრომელი: მომღიმარი მარიკა, მხოლოდ იღიმის და ნათელი თვალები აქვს — ასე დამამახსოვრდება.

— სხვადასხვა ვერსია ვრცელდება, ამბობენ, შესაძლოა მარიკამ თავი მოიკლა, საუბრობენ მოწამვლაზეც, თითქოს ქორწილში დავით ბაზუაშვილის ყოფილი შეყვარებული იმყოფებოდა, რომელმაც შესაძლოა პატარძალი მოწამლაო.

— სრული აბსურდია! რამდენიმეკაციანი ქორწილი იყო. ბიჭმა გადაიხადა და მხოლოდ ძალიან ახლო ნათესავები იყვნენ. ვინმე ეგეთი რომ გამოჩენილიყო, მაშინვე დააფიქსირებდნენ. ენას ძვალი არ აქვს და ხალხი რას არ იტყვის. ექსპერტიზის პასუხი ყველაფერს ნათელს მოჰფენს. ვინმეს დადანაშაულება ცოდვაა. არც რაიმე წინაპირობა არსებობდა და არც პიროვნულად ყოფილა ისეთი, რომ თვითმკვლელობა ჩაედინა. ოჯახის წევრები ამბობენ, რომ მარიკა ქორწილში უზომოდ ბედნიერი იყო და ყველას ემუდარებოდა, ეცეკვათ და ემხიარულათ.

— თუ იცით, დავით ბაზუაშვილი ბერობას მართლა აპირებდა?

— ასე ამბობენ. ბერობას რამდენად აპირებდა, ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ რელიგიური პიროვნება რომაა, ვიცი.

■

სოციალურ ქსელში მარიკა ჩემიას მოძღვრის, მამა ბასილ წიკლაურის ნათქვამი გავრცელდა: „მარიკას ძალიან კარგად ვიცნობდი, დავითს კი — შორიდან. მარიკა საკმაოდ ხალისიანი, ჯანმრთელი, გულღია და თბილი ადამიანი იყო. არასოდეს დაუჩივლია ჩემთან ავადმყოფობის შესახებ. საკვირველი რამ მოხდა. ჩემთვის ცნობილია, რომ თავდაპირველად დავითს უყვარდა მარიკა. მერე ორივეს შეუყვარდათ ერთმანეთი. მე, როგორც მოძღვარი, მარიკას ვურჩევდი, რომ ერთმანეთი კარგად და ახლოს გაეცნოთ და ამის მერე მიეღოთ გადაწყვეტილება, მაგრამ დაიჩქარეს ქორწინება. როცა ჯვარს ვწერდი, მარიკა ტაძარში აღარ იყო. ფიზიკურად იქ იდგნენ ორივენი, მაგრამ მარიკა თითქოს სხვაგან იყო. ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს მათ ერთად ვეღარ ვხედავდი. ალბათ უფლის ნება იყო ყველაფერი“.

■

მარიკა ჩემია 23 ნოემბერს მშობლიურ ლანჩხუთში საქორწინო კაბით დაკრძალეს.

✓ **რუსუდან ადვაძე**

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:

სწრაფი და ეფექტური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია. ქ-ნი ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83

Cyan Magenta Yellow Black

რა სასჯელი ემუქრება ბიჭს, რომელმაც ნაგაზს თავი მოაჭრა

„ამდენი წელი საშინელებები ვითმინეთ და, მოდით, მანანწალა ძაღლებიც მოვითმინოთ"

ქართულ ინტერნეტსივრცეში გავრცელებულმა ფოტომ, სადაც ახალგაზრდა მამაკაცს ხელში ძაღლის მოჭრილი თავი უჭირავს, საზოგადოება შოკში ჩააგდო. „თამაზ ხუსკივაძემ ორლულიანი თოფით 2 წლის კავკასიური ნაგაზი მოკლა, შემდეგ ნაჯახით თავი მოაჭრა და სიამაყის გრძნობით სურათიც გადაიღო", — წერდნენ ინტერნეტში. ქართული ნაგაზი, რომელსაც ბიბი ერქვა, ბოლო თვეების განმავლობაში ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთაში, კიკნაველიძეების ოჯახში ცხოვრობდა. თამაზ ხუსკივაძე კიკნაველიძეების მეზობელია.

ცხოველთა დაცვის ორგანიზაციებმა პროკურატურაში სასწრაფოდ სარჩელი შეიტანეს. მომხდარ ფაქტზე გამოძიება მიმდინარეობს. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით აღიძრა, რომელიც ცხოველისადმი სასტიკ მოპყრობას გულისხმობს და ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით.

თამაზ ხუსკივაძე 20 წლისაა. ადასტურებს, რომ ბიბის თოფი ესროლა, მაგრამ ძაღლისთვის თავის მოკვეთის ფაქტს უარყოფს. თამაზის და მისი ოჯახის მტკიცებით, ძაღლს მატარებელმა გადაუარა.

სოციალურ ქსელში ხუსკივაძეს დამცველებიც გამოუჩნდნენ და მოწინააღდეგეებიც:

„ერთხელ მაინც გიკბინოთ ცოფიანმა ძაღლმა და დაგარჭონ ნემსები, უპატრონო ძაღლების დამცველებო! არა, გაცოფებას ნამდვილად არ გისურვებთ, მაგრამ მერეც იყეფებთ მასე?!"

„ეს ფაქტი მიგვანიშნებს ყველას, რომ სასწრაფოდ კანონია მისაღები ცხოველთა დაცვისთვის. ამით ადამიანობას დავიცავთ, ხალხო და არამხოლოდ ცხოველებს"

„ვგმობ ამ ფაქტს, მაგრამ ფაქტია, ამ ხალხს „დაბალი ღობის" დაჩაგვრა ეადვილება და სწორედ ასეთია ეს ბიჭი... აბა, თქვენი იცით, გადაუარეთ ამ ბიჭს!"...

■

თამაზ ხუსკივაძის მამა, **ფრიდონ ხუსკივაძე** ირწმუნება, რომ მის შვილს ძაღლისთვის თავი არ მოუჭრია, მან თავდაცვის მიზნით ესროლა და დაჭრა, შემდეგ კი დაჭრილ ცხოველს მატარებელმა გადაუარა:

— ჩვენი სოფლის ქვედა მხარეს არის ცენტრალური რკინიგზა, ზედა მხარეს — ცენტრალური ტრასა და თუ ვინმეს ძაღლი აღარ უნდა, აქ ტოვებენ. სოფელი სავსეა მაწანწალა ძაღლებით. ეს ძაღლიც ასე იყო გადმოგდებული და კიკნაველიძეების ოჯახმა შეიფარა. ბავშვები, რომლებმაც ძაღლს უპატრონეს, სწავლა რომ დაიწყო, თბილისში დაბრუნდნენ. ამის შემდეგ ძაღლი აგრესიული გახდა, ხალხს დასდევდა, უღრენდა. ბევრმა გააფრთხილა კიკნაველიძეები, ძაღლს მიხედეთო. ერთხელ მე და ჩემს ცოლს გამოგვეკიდა, ჭიშკარში ძლივს შევასწარით. ძაღლის პატრონის, ლეილას დედ-მამამ გვითხრეს, ჯაჭვით ვერ დავაბით, აღარ გვემორჩილება და, თუ გინდათ, წაიყვანეთ და მოკალითო. სოფელში არის ხალხი, რომელიც ამ ნათქვამს დაადასტურებს. სხვებთანაც უთქვამს, იქნებ ვინმეს მოვაკვლევინოო. მათი ღობე დაგლეჯილია — იქიდან ხტებოდა, აგრესიული იყო.

— გამოდის, თქვენმა შვილმა ამ ძაღლის მოკვლით პატრონების ნება აასრულა?

— ჩემი შვილი სანადიროდ რომ მიდიოდა, თურმე მაშინ გაეკიდა. მან კი თოფი ესროლა. ძაღლი დაიჭრა და გაიქცა. მერე კი მატარებელმა გადაუარა და თავი მოაჭრა. იმავე თუ მეორე დღეს ისევ ჩემმა შვილმა ნახა მკვდარი. გადმოათრია და კანალიზაციის არხში ჩააგდო. ამ დროს, როცა თავს მოათრევდა, ვიღაცამ სურათი გადაუღო და ინტერნეტით გაავრცელა. კანალიზაციის არხში რომ არ ჩაეგდო, აყროლდებოდა. ამბობს, იქ ჩავაგდე და წაიღო წყალმაო.

ჩემი შვილი მონადირეა და ხშირად დადის იმ გზაზე. მთელი სოფელი გამოვიდა, ჟურნალისტები რომ ჩამოვიდნენ და ყველამ ილაპარაკა, რა როგორ იყო. ყველას ჩამოართვეს ჩვენებები. თქვეს, რომ ის ძაღლი მთელ სოფელს აწუხებდა.

> **ფრიდონ ხუსკივაძე:**
> **„ნახმოიდგინეთ, რომ ქუჩაში 60 კილოიანი ძაღლი გამოგეკიდათ. ან უნდა გაიქცეთ, ან რაღაც ესროლოთ, თავი დაიცვათ. ამ ძაღლს არაფერი ეყურებოდა, არც წადი, არც მოდი".**

— მატარებელმა ისე ზუსტად მოაჭრა თავი?

— მე შევსწრებივარ, ზესტაფონში თუ როგორ გადაუარა მატარებელმა კაცს და ფეხი ისე მოაჭრა, სამართებლით გადაჭრილი გეგონებოდათ. რკინიგზის პირას ვცხოვრობთ და ხშირად მინახავს, მატარებელი საქონელსაც ისე სჭრის თავს და ფეხს. ამ რკინიგზამ უამრავი საქონელი გაგვიწყვიტა... ჩემს შვილს მისდევდა ძაღლი, შეეშინდა და თოფი ესროლა. მანამდე, ორ-სამჯერ რომ გაეკიდა, ხან ჭიშკარს გადაახტა, ხან ხეზე ახტა. ახლა კი თოფი ეჭირა ხელში და გაისროლა. იფიქრა, შეეშინდება და გაიქცევაო. ბავშვი განადგურებულია. ჩვენც, მთელი ოჯახი ასე ვართ. ინტერნეტი მაქვს ჩართული და რა ამბავია ატეხილი! გვლანძღავენ. ორივე მხარის პოზიცია არ უნდა გაიგონ?! რომ არაფერს გვეკითხებიან და ისე წერენ, შეიძლება?!

შარშან ზედა არგვეთაში 37 წლის ბიჭი მოკვდა ძაღლის ნაკბენით, ცოფი დაემართა. ეს ბიჭი თბილისში ჰყავდათ წაყვანილი. მის სანახავად წავიდა მეზობელი ბიჭი. უკან რომ ბრუნდებოდა, ზესტაფონში ტრაილერიდან რაღაცეები გადმოცვივდა და იმ სამარშრუტო ტაქსს დაეცა, სადაც ეს მეზობელი იჯდა, ისიც გარდაიცვალა. ასე შეიწირა ორი ახალგაზრდა მაწანწალა ძაღლმა. ორივე ერთ დღეს გაასვენეს.

ამ ძაღლზე კი ამბობენ, აცრილი გვყავდაო, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ქუჩაში მიდიხართ, შებინდებულია და 60 კილოიანი ძაღლი გამოგეკიდათ — ან უნდა გაიქცეთ, ან რაღაც ესროლოთ, თავი დაიცვათ. ამ ძაღლს არაფერი ეყურებოდა, არც წადი, არც მოდი.

— ძაღლის პატრონის ახლო მეზობელი ხართ?

— ერთი ღობე გვაქვს, არასოდეს გვქონია კონფლიქტი. არც ახლა ვჩხუბობთ. ლეილას ვიღაცამ მიაწოდა მცდარი ინფორმაცია და გულმოსულმა ილაპარაკა რაღაც. მისი მშობლები კი ამბობენ, ეს ძაღლი მოსაკლავი იყოო.

■ თამაზ ხუსკივაძე ბიბისთან ერთად

— თქვენ თუ გყავთ ძაღლი?

— კი და ჩემს შვილს ისე უყვარს, ლოგინში იწვენს. ორი კატაც გვყავს. ჩემს შვილს ცხოველები ძალიან უყვარს. ადრე მონადირე ჯიშის ძაღლი გვყავდა, რომელიც მანქანამ გაიტანა. ჩემმა ბიჭმა ეს რომ დაინახა, საათნახევარი გულში ჰყავდა ჩაკრული, მიწაზე ეგდო და ღრიალებდა, ისე განიცადა.

— რას საქმიანობს თქვენი ვაჟი?

— სკოლა დაამთავრა და სამუშაო სად არის, რომ იმუშაოს?! სოფელში ღორი, ძროხა გვყავს და გვეხმარება, შრომა არ ეზარება. ბავშვი ჭკუაზე არ არის, საჭმელსაც აღარ ჭამს წესიერად.

— ერთ-ერთ ფოტოზე თქვენს შვილს ეს ძაღლი ხელში უჭირავს. როგორ დაიჭირა ხელში ასეთი აგრესიული ძაღლი?

— ეგ ფოტო ალბათ დამონტაჟებულია. ჩემი შვილს ის ძაღლი ხელში არ სჭერია.

■

ძაღლის პატრონი, ლეილა კიკნაველიძე, დარწმუნებულია, რომ მისმა მეზობელმა ძაღლი შურისძიების მიზნით მოკლა.

ლეილა კიკნაველიძე: ზაფხულობით ჩავდივართ სოფელში დასასვენებლად. ეს ძაღლი ივნისში შევიფარეთ. ეტყობოდა, პატრონს ჰყავდა გამოგდებული, ფეხი ჰქონდა მოტეხილი. შემეცოდა, რადგან ჭკვიანი იყო და სახლში წავიყვანეთ. გაწვრთნილი აღმოჩნდა, სანამ არ ვეტყოდი, შეჭამე-მეთქი, პირს არაფერს აკარებდა. ძალიან შეგვიყვარდა. არავის ერჩოდა. ერთხელ ჩემი გოგონა ასეირნებდა და იმ პიროვნებამ, ვინც ძაღლი მოკლა, ბავშვის თვალწინ ძაღლს ქვა ჩაარტყა. მაშინ ვთხოვე, ასეთ რამეს ბავშვის თანდასწრებით მაინც ნუ აკეთებ-მეთქი. მან კი მიპასუხა, როგორც კი საშუალება მომეცემა, მოვკლავო. ამის მერე ვერიდებოდი ძაღლის გარეთ გაშვებას. ამ ბიჭს მაშინ უყეფდა, როცა ის ნასვამი დადიოდა და თან ღრიალებდა. არ მახსოვს, იმ ძაღლს ვინმესთვის ეკბინა ან ვინმეს ფრინველი შეეჭამა.

— სოფლის მცხოვრებნი კამერების წინ ყვებიან, როგორ აშინებდა მათ ძაღლი.

— იმდენად მიუღებელია მათთვის ადა-

Cyan Magenta Yellow Black

მიანის დასჯა ძაღლის გამო... ყველამ კარგად იცის, რაც იქ მოხდა. გამოძიება მიმდინარეობს და, იმედი მაქვს, სიმართლე გამოაშკარავდება. ვიცი, რომ ზოგმა მეზობელმა ჩვენ სასარგებლოდ მისცა ჩვენება. გვაქვს ოფიციალური საბუთი, რომლის მიხედვით ეს ძაღლი აცრილი იყო. ჭიაზეც დამუშავებული იყო და ის მედიკამენტებიც გვაქვს, რითიც ვმკურნალობდით.

— თუ პრობლემას არაყის უქმნიდა, ძველი პატრონები რატომ გააგდებდნენ გარეთ?

— ბევრს ჭამდა და შეიძლება იმ პატრონს მობეზრდა, აღარ უნდოდა ხარჯის გაწევა. სუფთა ჯიშის ქართული ნაგაზი იყო, ეს ვეტერინარებმაც დაადასტურეს. ზოგმა თქვა, კავკასიურ ნაგაზსაც ჰგავსო.

— ნუსკიყაძე ამბობს, რომ ძაღლს თავი მატარებელმა მოაჭრა.

— ამ ბიჭმა ორლულიანი სანადირო თოფით მოკლა და შემდეგ ნაჯახით მოაჭრა თავი! მერე ნახევარი საათი ამ მოჭრილი თავით დადიოდა სოფელში. ყველამ ნახა, როგორ დაატარებდა ძაღლის თავს და ამბობდა, ვინც ჭკვიანად არ იქნება, ყველას ასე მოუვაო. თუ ეს ამბავი ლიანდაგებთან მოხდა, სურათი რატომაა გადაღებული სოფლის მეორე მხარეს და არა იქ, სადაც ამბობს? აიღო თავი და დასამარხად დასახლებული პუნქტისკენ წაიღო? ან ისე როგორ დაწვა ძაღლი ლიანდაგზე, რომ თავი ზუსტად გადაეჭრა მატარებელს?

— როგორი ურთიერთობა გაქვთ სოფელში მეზობლებთან?

— მეზობლები ძალიან მიყვარს. ამ ბიჭის დედა კარგი ქალია, გულით მეცოდება. იმ ბიჭთან ურთიერთობა იმ შენიშვნის შემდეგ დამეძაბა, ერთმანეთთან კონტაქტს ვერიდებოდით.

— ხომ შეიძლება, ეს ბიჭი მართალს ამბობდეს?

— გამორიცხულია! უამრავი ადამიანი იმეორებს, რომ ნაჯახით მოაჭრა თავი და ნაგავსაყრელზე დააგდო.

— ძაღლისთვის თავის მოჭრა მართლაც სასასტიკეა, მაგრამ, როცა გაგეშებული ძაღლი მოგდევს, რთულია თავი შეიკავო და ქვა არ ესროლო ან თუნდაც თოფი, რომელიც ამ დროს ხელში გიჭირავს.

— თუ გამოგეკიდება — კი, მაგრამ ეს ძაღლი არავის ერჩოდა. რაღა მაინცდამაინც მაშინ გაეკიდა, როცა თოფი ეჭირა ხელში?

■

არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰუმანიმალის“ თავმჯდომარე, სოფო ჯიბუტი, ამბობს, რომ საქართველოში ეს პირველი საქმეა, რომელიც 259-ე მუხლით აღიძრა, აქამდე ცხოველთა უფლებები ოფიციალურად არავის დაუცავს:

სოფო ჯიბუტი: ამ ძაღლის ვეტერინარს, სრულიად საქართველოს ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ვახო მამალაძეს დაუკავშირდა ძაღლის პატრონი და ეს ამბავი შეატყობინა. ჩვენ კი სპონტანურად გადავწყვიტეთ, საჩივარი დაგვეწერა. ამ ქალბატონმა შუამდგომლობა გვთხოვა, რადგან თავად ერიდებოდა სოფლის მოსახლეობასთან კონფლიქტს. ოთხმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მივმართეთ პროკურატურას და მათგან იყო რეაგირება. ძალიან დაგვეხმარა სოციალური ქსელი, რადგან კარგად გახმაურდა ეს ამბავი.

წლების განმავლობაში ვითხოვდით 259-ე მუხლის ამოქმედებას, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. ამხელა გამოხმაურებამ კი თავისი საქმე გააკეთა. ამ მუხლს არათუ არავინ იყენებდა, დაგვცინოდნენ კიდეც. პატრულს რომ ვიძახებდით, მოდიოდნენ და ცინიკურად გვეუბნებოდნენ, რა დროს ეგ არის, უფრო სერიოზული საქმეები გვაქვსო. ეს გოგოც ძლიერი პიროვნება აღმოჩნდა. არ დაყარა ფარ-ხმალი და ბოლომდე მიჰყვა ამ საქმეს.

— სოფო, თქვენი კომენტარი ვნახე სოციალურ ქსელში, სადაც კიკნაველიძის ოჯახის წინაშე დამდგარ საფრთხეზე წერდით. რა საფრთხე დაემუქრათ მათ?

— საფრთხე ნამდვილად იყო. როგორც კი სოციალურ ქსელში გავრცელდა ეს ამბავი, ლეილას ოჯახზე ზენოლა ხორციელდებოდა. ემუქრებოდნენ მეზობლები — ამ ბიჭს თუ დაიჭერენ ან ვინმე რამეს დაუშავებს, თქვენ უარესი დაგემართებათო. რაც გამოძიება დაიწყო, ყველა მიჩუმდა. მიხვდნენ, რომ ეს დასჯადია, კანონი იცავს და ლეილას და მის ოჯახს საფრთხე აღარ ემუქრება. ფოტო გავრცელდა, სადაც ამ ბიჭს ძაღლი ხელში უჭირავს და ეხუტება. თუ დასდევდა და აშინებდა, რატომღა ჩაეხუტებოდა? ის ფოტო, სადაც ბიჭს ძაღლის მოკვეთილი თავი უჭირავს ხელში, ვიცით, ვინც გადაიღო, მაგრამ არ ვახმაურებთ, რადგან გამოძიება მიმდინარეობს. ექსპერტ-კრიმინალისტებმა იმუშავეს და ლიანდაგებიც დაათვალიერეს. იქ არანაირი სისხლის კვალი არ არის. თავი აშკარად მოაჭრა ამ ბიჭმა.



ლეილა ჯიკნაველიძე: „ამ ბიჭმა ორლულიანი სანადირო თოფით მოკლა და შემდეგ ნაჯახით მოაჭრა თავი! მერე ნახევარი საათი ამ მოჭრილი თავით დადიოდა სოფელში და ამბობდა, ვინც ჭკვიანად არ იქნება, ყველას ასე მოუვაო“.

— წვიმა იყო და სისხლი გადარეცხაო, ბიჭის მამა ამბობს.

— წვიმა ისე როგორ გარეცხავდა იქაურობას, რომ კვალი არ დარჩენილიყო?!

— მსგავსი შემთხვევა გახსოვთ?

— ასეთი — არა, მაგრამ იყო ორგანიზაცია „დებიუტი“, რომელიც ძაღლებს პირდაპირ ქუჩაში ხოცავდა მაშებით თუ თოფებით. ახლაც ხდება ასეთი რამ რეგიონებში. თბილისში კი გამოსწორდა სიტუაცია. გვქონდა შემთხვევა, როცა ბავშვი ძაღლს აწვალებდა და ჩვენ დაგვიკავშირდნენ — მოდით და მშობლებს დაელაპარაკეთო. მშობელი სრულიად შეუვალი აღმოჩნდა, ვერ დაველაპარაკეთ და პატრული გამოვიძახეთ. ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ჰუმანური ადამიანებისგან შემდგარი პატრულის ბრიგადა გვერდში დაგვიდგა. შეადგინა ოქმი და ყველაფერი გააკეთა ისე, როგორც ზემოთ ნახსენები მუხლი მიუთითებდა. მას მერე უამრავი შემთხვევა ვნახეთ, კატები გატყავებული და ა.შ., მაგრამ პატრული ასე გვპასუხობდა, რა დროს ეგ არისო.

— რას ეძახით სიტუაციის გამოსწორებას? ორიოდე დღის წინ, სადამოს, სამი მაწანწალა ძაღლი გადამიდგა წინ, თავი ძლივს დავაღწიე. ქალაქი სავსეა ასეთი ძაღლებით.

— გასაგებია, მაგრამ ამ ძაღლებს ვერაფერს ვუზამთ, სანამ არ დაიწყება საყოველთაო სტერილიზაცია, რაც გულისხმობს ოპერაციულ ჩარევას და მათი საკვერცხეების თუ სათესლეების ამოჭრას. ამის გარეშე მუდმივად გამრავლდებიან. ამდენი წელი საშინელებები ვითმინეთ და, მოდით, ესეც მოვითმინოთ. თბილისში გაიხსნა ძაღლების მუნიციპალური თავშესაფარი, რომელიც სტერილიზაციას აკეთებს. ყველა ძაღლი, რომელიც იქ შედის, სტერილდება და ბრუნდება ადგილზე. იმ ადგილზე სტერილური ძაღლი რომ არ დააბრუნონ, მოვა სხვა, გამრავლების უნარის მქონე დაავადებული ძაღლი და უარესი შედეგი მოჰყვება. ამ თავშესაფრისთვის კოლოსალური თანხა დაიხარჯა, რომელიც რეგიონებს არ აქვთ.

ასევე პრობლემაა პატრონიანი ძაღლების, რომლებსაც ქუჩაში აგდებენ. ვაპირებთ კანონპროექტის დაწერას და კანონის გამკაცრებას, რომლის მიხედვით, ძაღლის გაგდება ქუჩაში დაისჯება. თუ ვინმეს სახლში არასასურველი ძაღლი ჰყავს, თავშესაფარში უნდა ჩააბაროს, სადაც სტერილიზაციას გაუკეთებენ და ისე გაუშვებენ.

— თუ ნუსკიყაძემ ძაღლს თავი მართლა თვითონ მოაჭრა, როგორ ფიქრობთ, რამ მიიყვანა იგი ამ მდგომარეობამდე?

— ვერ გეტყვით. როგორც მითხრეს, ეს ადამიანი არაფხიზელ მდგომარეობაში იყო.

— თუ სარჩელი დაკმაყოფილდა, ამ ბიჭს რა ემუქრება?

— ჩვენი ვარაუდით, უფრო ფულადი ჯარიმა ემუქრება, 1.500-დან 2.000-ლარამდე ან გამოსასწორებელი სამუშაო 2 წლის ვადით. თუ გამოძიების მსვლელობაში გამოიკვეთა, რომ იარაღი უკანონოდ ჰქონდა, მერე ალბათ თავისუფლების აღკვეთაც დაემუქრება.

✓ **რუსუდან ადვაძე**

ნათელმხილველი ნელი ბიჩიკაშვილი

სამწუხაროდ, დღევანდელ ყოფაში პრობლემები ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრი გახდა. თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვ. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქ-ნი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქ-მა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება.

მერწმუნეთ, ქ-ნი ნელის წინასწარმეტყველება ბევრ სიურპრიზს გაპირდებათ...

ჩანერა ხდება წინასწარ.

☎ 214-20-65 (ბინა), 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.

Cyan Magenta Yellow Black

გელა ჩარკვიანის ღირსეული მარტოობა

„ვგრძნობ, რომ რაღაც ვალები მაქვს დაგროვილი და ამ ვალებს გადახდა უნდა“

ცნობილმა დიპლომატმა და მწერალმა, გელა ჩარკვიანმა, თავისი მეორე ნახევარი — ერთგული მეგობარი და საყვარელი ქალი ნანა თოიძე, 2 წლის წინ, 72 წლის ასაკში დაკარგა. მათი ერთობლივი ცხოვრება იმ დროისთვის 54 წელს შეადგენდა. ეს ურთიერთობა სიკვდილმა ვერ გაწყვიტა, ძველებურად გრძელდება.

— მისაღებ ოთახში ნანას 15 ფოტო მაქვს დაკიდებული. ზოგჯერ, ღამღამობით, ამ სურათების წინ დივანზე ჩამოვჯდები და ჩემს ცოლს ველაპარაკები. ადრე ვეუბნებოდი, მალე მოვალ-მეთქი. ახლა კი ვეუბნები, რომ უკვე გზაში ვარ, — გვითხრა ბატონმა გელამ.

უფრო ადრე, მაშინ, როცა ნანა ცოცხალი იყო, ცოლ-ქმარს შვილის, ირაკლის დაკარგვის ტრაგედია დაატყდათ თავს. ბატონი გელა სულიერ ტკივილებს შემოქმედებით იყუჩებს. შვილს მუსიკალური ნაწარმოებები მიუძღვნა და „ირაკლიანა“ დაარქვა. მისი ყოველი დილა ამ მუსიკით იწყება. შვილის დაბადების და გარდაცვალების დღეებში კი ირაკლის წიგნს „მშვიდ ცურვას“ კითხულობს. ვალებს — როგორც თავად უწოდებს, რომლებიც საყვარელი ადამიანების წინაშე დაუგროვდა, თავის ნაწარმოებებს უძღვნის და ასე „ისტუმრებს“.

— ბატონო გელა, მას შემდეგ, რაც დიპლომატიურ სამსახურში აღარ ხართ, რითი შეაგსეთ გამოთავისუფლებული დრო?

— ჩემს გეგმებს თვითონ ვაწყობ, ვაკეთებ იმას, რაც მსურს. ასე თავისუფალი არასდროს ვყოფილვარ. აქამდე სულ ისე ხდებოდა, რომ სხვის მიერ დადგენილი დღის წესრიგით ვხელმძღვანელობდი. მეტყოდნენ, ამ დროს აქ უნდა იყო, ამ დროს ეს უნდა გააკეთოო. ახლა კი ჩემი განრიგი მაქვს შედგენილი. დღეში 12 საათიან მუშაობას ვიყავი შეჩვეული და ახლა რომ უსაქმურად დავჯდე, ამას მირჩევნია, თავი მოვიკლა. თანაც ცხოვრებაში ბევრი უბედურება შემემთხვა, ამიტომაც აუცილებელია, რომ ყურადღება საქმეზე გადავიტანო და ამ ტრაგედიებზე გამუდმებით არ ვიფიქრო. გამოვეცი კრებული, რომელშიც ჩემი 20 საფორტეპიანო მინიატურაა შესული. ეს მუსიკალური ნაწარმოებები ჩემთვის მნიშვნელოვანია, რადგან, ემოციური თვალსაზრისით, მთელი ჩემი ბიოგრაფიაა. მუსიკა ხომ წმინდა, განყენებული და მისტიკური ხელოვნებაა და მისი საშუალებით ჩვენს ყველა ემოციას გამოვხატავთ. ასე რომ, ამ 20 მინიატურით შევეცადე, ჩემი გრძნობები გადმომეცა. მათი დაწერა ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში დავიწყე. ვგრძნობ, რომ რაღაც ვალები მაქვს დაგროვილი და ამ ვალებს გადახდა უნდა.

— ვის მიმართ დაგროვდათ ვალები, ბატონო გელა?

— ადამიანებს ცხოვრებისეული ვალები ყოველთვის გვაქვს, როგორც შვილებს, მამებს, ქმრებს, მეგობრებს და ა.შ. მას

„დავიდებ ხოლმე „იჰაკლიანას“ და ყოველდღე ვუჯავ. ჩემი დილა ამ მუსიკით იწყება. ეს ჩემთვის ძალიან ემოციური მომენტია, ვგრძნობ, ჰომ იჰაკლი ჩემთან ჰარის“.

შემდეგ, რაც ჩემი მეუღლე ნანა გარდაიცვალა, გამუდმებით იმაზე ვფიქრობ, რომ მის წინაშე ძალიან დიდ ვალში ვარ. თავის დროზე ნანამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მისი ქმარ-შვილი ბედნიერები ყოფილიყვნენ. მან მაჩუქა ორი ღამაზი და ძალიან ნიჭიერი შვილი. ჩემთვის დიდი სიხარული იყო სახლში დაბრუნება. ფროიდი ამბობდა, თუ მუშაობ და გიყვარს, მაშინ ბედნიერი ხარო. მართლაც, ბედნიერება სწორედ ის არის, როცა აკეთებ საყვარელ საქმეს და გვერდით გყავს საყვარელი ადამიანი.

■ ჯანდიდ ჩარკვიანი მეუღლესთან ერთად

„1989 წელს, მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში, ოცა საავადმყოფოში ინვა, მამასთან მივედი და დიქტოფონზე ინტერვიუ ჩავნერე. 9 საათის განმავლობაში ვესაუბრებოდი. ჯანდიდს ჰვასგვერდიანი მემუარებიც აქვს დანერილი, მაგრამ ინტერვიუ სულ სხვაა. მემუარებში აწონილდანონილად ლაპარაკობ, ინტერვიუში კი უფრო გულახდილი ხარ, მით უმეტეს, ოცა შვილთან საუბრობ და არა — ჟურნალისტთან“.

არ გეგონოთ, სიყვარული ადვილია. ჯერ ერთი, უნდა იპოვო ის ადამიანი და მეორეც, შეყვარების ნიჭი უნდა გქონდეს, რაც ყველას არ გააჩნია. შევხვედრივარ ადამიანებს, რომლებსაც არავინ უყვართ. თუ არავინ გიყვარს, თავისუფალი ხარ, არანაირი ვალდებულება არ გაგაჩნია, მაგრამ ეს რამდენად არის ბედნიერება, რთული სათქმელია. სიყვარულს დიდი სიძნელეები მოაქვს, მაგრამ ამის გარეშე ბედნიერება შენთან არ მოვა.

— ქალბატონ ნანას რა მიუძღვენით, ასე ვთქვათ, რითი დაუბრუნეთ ვალი?

— რაღაცეები დავწერე. ამას ისევ და ისევ იმ ვალის დაბრუნების გრძნობა მაწერინებს. ნანას ესსე მივუძღვენი, რომელიც დაიბეჭდა. შემდეგ კი ფილმის გაკეთება დავიწყე. მას შემდეგ, რაც ვიდეოფირები გაჩნდა, ჩვენი ცხოვრების საინტერესო მოვლენებს ვიღებდი. ახლა რომ გადავხედე, ძალიან ბევრი მასალა აღმოვაჩინე. მოკლედ, გავაკეთე ფილმი და „იუთუბიზე“ ავტვირთე. ფილმს ჩემი და ირაკლის მუსიკა დავურთე. ტრაგედიის კადრებს ირაკლის მუსიკა ახლავს, უფრო მსუბუქს კი — ჩემი მინიატურები. ყველაზე საზარელი ის კადრია, რომელიც ირაკლის გარდაცვალების შემდეგ ნანას გადავუღე. მან არ იცოდა, რომ ვიღებდი და აბსოლუტურად გულწრფელად იქცეოდა.

ირაკლისთანაც მქონდა ვალები. ის ჩემი შვილი იყო, რომელიც მისი დაბადების მომენტიდან მახსოვს. მისი სიხარული თუ ავად ყოფნა ყოველთვის ვიცოდი. ირაკლი დიდი ხელოვანი იყო თავის საქმეში, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, მაგრამ ჩემთვის ისევ ბავშვად დარჩა. მამისთვის ძნელია იმის აღქმა, რას აკეთებს მისი შვილი, სანამ ამას სერიოზულად არ გადახედავს. გადავწყვიტე, წელს მისი შემოქმედებისთვის საფუძვლიანად გადამეხედა. შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვსო, ხომ გაგიგიათ? ჰოდა, მეც ასე ვიყავი ჩემს შვილთან მიმართებაში, თუმცა მისი რომანი „მშვიდი ცურვა“ პირველად რომ წავიკითხე, ძალიან მომეწონა.

მას შემდეგ ყოველ მის დაბადების დღეს (ირაკლი 19 ნოემბერს იყო დაბადებული) და მისი გარდაცვალების დღეს (24 თებერვალი) ამ რომანს თავიდან ბოლომდე ვკითხულობ. ასე მგონია, რომ იმ ფურცლებიდან ირაკლი მესაუბრება. ამის მიუხედავად, მაინც ვთვლი, რომ მის შემოქმედებასთან ახლოს არ ვიყავი. ყველაფერი კარგად რომ გავარჩიე, სამი საფორტეპიანო სუიტისგან შემდგარი ტრიპტიქი დავწერე და გამოვეცი. მას „ირაკლიანა“ დავარქვი, რადგან ირაკლის 20 სიმღერის მელოდიებზეა შექმნილი.

„ირაკლიანას“ მალე დისკზეც ჩავწერ. დავიდებ ხოლმე ამ სანოტო რვეულს და ყოველდღე ვუკრავ. ჩემი დილა ამ მუსიკით იწყება. ეს ჩემთვის ძალიან ემოციური მომენტია და ვგრძნობ, რომ ირაკლი ჩემთან არის. ჩემი მეზობლები ამას უკვე შეეჩვივნენ. თუ ისე მოხდა, რომ ვერ დავუკარი, მკითხავენ ხოლმე, დღეს რატომ არ დაუკარითო.

— ორიოდე თვის წინ მამათქვენსაც მიუძღვენით წიგნი, რომელსაც „ინტერვიუ მამასთან“ ჰქვია. ესეც ერთ-ერთ ვალი იყო?

Cyan Magenta Yellow Black

— კი, რა თქმა უნდა. მე ვთვლი, რომ მამას წინაშეც მმართებდა ვალი და ამ წიგნით ეს გადავიხადე. როგორც იცით, კანდიდ ჩარკვიანი 14 წელი ცკ-ის პირველი მდივანი იყო. 1989 წელს, მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში, როცა საავადმყოფოში იწვა, მამასთან მივედი და დიქტოფონზე ინტერვიუ ჩავწერე. 9 საათის განმავლობაში ვესაუბრებოდი. სახლში რომ გამოწერეს, მერე უკვე ვიდეოინტერვიუ ჩამოვართვი. ამ ყველაფერს ერთად მოვუყარე თავი და წიგნად გამოვეცი. მიხარია, რომ ის ბესტსელერების რიცხვშია. კანდიდს რვაასგვერდიანი მემუარებიც აქვს დაწერილი, მაგრამ ინტერვიუ სულ სხვაა. მემუარებში აწონილ-დაწონილად ლაპარაკობ, ინტერვიუში კი უფრო გულახდილი ხარ, მით უმეტეს, როცა შვილთან საუბრობ და არა — ჟურნალისტთან.

— მეგობრებს რომ მიუძღვენით ოპერა, ამაზეც გვიამბეთ.

— ჩემს ახალგაზრდობას მივუძღვენი მუსიკალური დრამა „ნარგიზა“, რომელიც სულ მალე წიგნად გამოიცემა. ახალგაზრდობა, ხომ იცით, ჩვენი შორეული წარსულია, რომელიც მუდამ გვახსოვს, გვენატრება და მის მიმართაც გვაქვს გარკვეული ვალდებულებები. ეს დრამა ნიძლავზე დავწერე და მას თავისი ისტორია აქვს:

მე და ჩემმა მეგობარმა ოთარ წერეთელმა მისი წერა ერთად დავიწყეთ. 1973 წელს ოპერის თეატრში რევაზ ლაღიძის ოპერა „ლელა“ დაიდგა, რომელსაც მან თავისი ქალიშვილის სახელი დაარქვა. მე და ოთარი ოპერის ფოიეში ვიდექით. დავინახეთ ლელა ლაღიძე, რომელიც თავის მეგობარ ნარგიზა გარდაფხაძესთან ერთად მოდიოდა. მამამისი, კარლო გარდაფხაძე, საქართველოს ტელევიზიის ხელმძღვანელი იყო. შევატყვე, რომ ნარგიზა მოწყენილი იყო. ვკითხე, გოგო, სახე იმიტომ ჩამოგტირის, მამაშენმა

„მახტო ვახ, მაგრამ თითქმის ყოველდღე მეგობრები მოდიან. ყველას ვეუბნები, რომ 5-დან 6 საათამდე მოვიდნენ, რადგან ამ დროს ვსადილობ ხოლმე. მახტო საღილობას ახ ვახ მიჩვეული და მინდა, გვერდით თანამოსაუბრე მყავდეს. წესად მაქვს, ყოველ საღილზე ორ ჭიქა ღვინოს ვსვამ, ერთს — თეთრს და ერთს — წითელს. მენიუც ყოველთვის ერთნაირი მაქვს, ისეთი, როგორიც ნანასთან ერთად მქონდა.“

ოპერა რომ ვერ დაგიწერა-მეთქი. მას გაეცინა. დავაყოლე, არ ინერვიულო, ერთ თვეში მე და ოთარი დაგიწერთ-მეთქი. ამის შემდეგ ჩვენ მართლაც დავიწყეთ წერა. მე დავწერე პიესა და მუსიკა, სიმღერების ტექსტები კი მე და ოთარმა ერთად შევქმენით.

1974 წლის 1 მარტს, ჩემს დაბადების დღეზე, ჩემსავე სახლში, სამოცკაციანი ზეიმი გავმართეთ და ამ დრამის პრეზენტაცია მოვახდინეთ. „ნარგიზა“ კვლავ დავდგით 1976 წლის 1 მარტს და ამჯერად ეს მოვლენები 8 მილიმეტრიან კინოფირზე ავსახეთ, რადგან მაშინ ვიდეო არ იყო. ამიტომ შავ-თეთრი ფირია და თანაც უხმო. მიუხედავად ამისა, მაინც ისტორიულია, რადგან ამ წვეულებას ესწრებოდნენ საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები, რომლებიც დღეს ცოცხლები აღარ არიან.

■ მარცხნიდან: ირაკლი, ქეთათო, გელა და ნანა

„ნანას უკვე მწვავე ახთხიტი ჰქონდა, მაგრამ მე ყველგან მიმყავდა, ხელით დამყავდა ხოლმე. ყველა დიპლომატმა იცოდა, რა სჭირდა ნანას. ინგლისის დედოფალი ელიზაბეტ მეორე მივიდოდა და ჰკითხავდა, ფეხი როგორ გაქვთო. ახ მინდოდა, ნანას ეგრძნო, რომ შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდა, ამისთვის ყველაფერს ვაკეთებდი“.

— **თქვენს მეუღლეს გაცნობის დღიდან ლექსებს უძღვნიდით. მას შემდეგ, რაც თქვენ გვერდით აღარ არის, დაუწერეთ რამე?**

— არა, რატომღაც ლექსი ჯერ არ დამიწერია. სხვათა შორის, ამ სეგმენტში ჩემი და მამას ბიოგრაფია ერთმანეთს ძალიან ჰგავს. კანდიდი 84 წლის იყო, დედაჩემი რომ გარდაიცვალა, მე ცოტა უფრო ახალგაზრდა ვიყავი, ნანა რომ დავკარგე. მეც და მამასაც, ორივეს ძალიან გვიყვარდა ჩვენი მეუღლეები. მან საშინლად განიცადა ცოლის გარდაცვალება. თვალზე სულ ცრემლი ედგა და ვერ დაელაპარაკებოდით. დასაფლავების შემდეგ აიჩემა, საფლავის ქვაზე აუცილებლად ჩემი ლექსი უნდა დავაწეროთო. მაშინ ვფიქრობდი, საფლავის ქვაზე ლექსის დაწერა სტილისტურად მისაღები არ იყო, მაგრამ ახლა რომ ვუფიქრდები, ტრაგედიის ფონზე ასეთი გადაწყვეტილების მიღება მისი მხრიდან ალბათ ნორმალური იყო. მაშინ მამისგან ასეთი სტილისტური გადაცდომა გამიკვირდა. კაცი საოცრად წერდა, ჰაინეს თარგმნიდა და ა.შ. მაგრამ აი, ეს არის ტრაგედია. ის ყველაფერს გაგაკეთებინებს.

მე იგივე არ გამიკეთებია, ნანას საფლავზე ლექსი არ დამიწერია, თუმცა ჩემმა ტრაგედიამ სხვანაირი გამხადა. ზოგჯერ მგონია, რომ ბავშვურ სისულელეებს ვაკეთებ. მისაღებ ოთახში ნანას 15 ფოტო მაქვს დაკიდებული. ზოგჯერ, ღამღამობით, ამ სურათების წინ დივანზე ჩამოვჯდები და ჩემს ცოლს ველაპარაკები. ადრე ვეუბნებოდი, მალე მოვალ-მეთქი. ახლა კი ვეუბნები, რომ უკვე გზაში ვარ...

— აქტიურ ცხოვრებას, მიღებებსა და წვეულებებზე სიარულს იყავით მიჩვეული. ახლა რაოდენობა თქვენი რეჟიმი?

— მეუღლის დაკარგვის შემდეგ გარეთ გასვლა ძალიან მიჭირდა. განსაკუთრებით ვერიდებოდი ისეთ ადგილებს, სადაც ბევრი ადამიანი იყო, რადგან ეს გარკვეულ ასოციაციებს უკავშირდება. ჩვენ ხშირად დავდიოდით კონცერტებზე, მიღებებსა და სხვადასხვა ღონისძიებაზე. ლონდონში ყოველდღე დიპლომატიურ მიღებაზე ვიყავით. მართალია, ნანას უკვე მწვავე ართრიტი ჰქონდა, სიარული უჭირდა, მაგრამ მე ყველგან მიმყავდა, ხელით დამყავდა ხოლმე. ყველა დიპლომატმა იცოდა, რა სჭირდა ნანას. როცა სამეფო რანგის ზეიმებს ვესწრებოდით, ინგლისის დედოფალი ელიზაბეტ მეორე მივიდოდა და ჰკითხავდა ხოლმე, ფეხი როგორ გაქვთო. მე არ მინდოდა, ნანას ეგრძნო, რომ შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდა, ამისთვის ყველაფერს ვაკეთებდი.

ალბათ იმის გამო, რომ მეუღლესთან ერთად სულ ბევრ ხალხში ტრიალი მიწევდა, მისი გარდაცვალების შემდეგ ხალხში ყოფნა აღარ შემეძლო. ერთი თვის წინ წავედი პირველად დიპლომატიურ მიღებაზე, მანამდე უარს ვამბობდი.

— სახლში მარტო ცხოვრობთ?

— მარტო ვარ, მაგრამ თითქმის ყოველდღე მეგობრები მოდიან. ყველას ვეუბნები, რომ 5-დან 6 საათამდე მოვიდნენ, რადგან ამ დროს ვსადილობ ხოლმე. მარტო სადილობას არ ვარ მიჩვეული და მინდა, გვერდით თანამოსაუბრე მყავდეს. წესად მაქვს, ყოველ სადილზე ორ ჭიქა ღვინოს ვსვამ, ერთს — თეთრს და ერთს — წითელს. მენიუც ყოველთვის ერთნაირი მაქვს, ისეთი, როგორიც ნანასთან ერთად მქონდა. ჩემი სადილი ყოველთვის იწყება ბოსტნეულის სალათით და ყველით. მეორეზე რამე მსუბუქს ვამზადებ, რომელსაც ზემოდან ჩემს მოგონილ საფირმო სოუსს ვასხამ. მას „გელასი“ დავარქვი და იმაზეც ვფიქრობ, რომ დავაპატენტო. გარდა მეგობრებისა, ჩემი ქალიშვილი და შვილიშვილებიც მსტუმრობენ.

სულ მარტო რომ ვრჩები, უფრო მეტად ვფიქრობ ჩემს ტრაგედიაზე. მამა წერდა, ცოლის გარდაცვალების შემდეგ ჩემს აღსასრულს მშვიდად ვუყურებო. მე კი არამარტო მშვიდად ვუყურებ, არამედ აღსასრულის პერსპექტივას დადებითად განვიხილავ.

✓ **თეონა კენჭიაშვილი**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

„არ მინდა, მშობლები ჩემ გამო ვაჭრობდნენ“

— შენს შვილს ქურთუკი სჭირდება, კიდევ — ჩექმები.

— ვიცი და ექნება.

— როდის ექნება? შეხედე, დახეული ფეხსაცმელებით და გაქუცული ქურთუკით დადის. ხალხის არ გრცხვენია?

— დედაშენმა წაგიყვანა და უთხარი, მან უყიდოს!

— ჩემი მშობლები შენს შვილს აჭმევენ და ტანსაცმელიც აღარ გინდა უყიდო?!

— ჰო, მაშინ გაგახსენდე, როცა რაღაც დაგჭირდება. ყოველთვის ღორი იყავი!

— ღორი შენი ცოლ-შვილია. ხომ კარგად გწველავენ, შენი შვილი კი რაღაში გჭირდება.

— სიტყვებს დაუფიქრდი. შუა ქუჩაში ნუ მაყვირებ!..

დიახ, შუა ქუჩაში, უამრავი ადამიანის თვალწინ, ასეთი დიალოგი გაიმართა ჩემს მშობლებს შორის. ეს რამდენიმე დღის წინ იყო, მაგრამ მსგავსი რამ ძალიან ხშირად ხდება. ჩემ თვალწინ ვაჭრობენ რაღაცეებზე, რაც საშინელ მდგომარეობაში მაყენებს. 13 წლის ბიჭი ვარ და ვოცნებობ, როდის გავა კიდევ 3-4 წელი, რომ ვიმუშაო და მათი ხელის შემყურე არ ვიყო.

თქვენ გგონიათ, მინდა რამე? მათი არაფერი მჭირდება! საერთოდ არაფერი! არ მინდა, ჩემ გამო ვაჭრობდნენ, თანაც უამრავი ადამიანის დასანახად. მათთვის დიდი ტვირთი ვარ. ალბათ როგორ ნანობენ, რომ საერთოდ გავჩნდი. ბებიის და პაპისაც არაფერი მჭირდება. მათი დასამადლებელი ლუკმა არ მინდა. ვნატრობ, სახლში არ მიმიყვანა. რატომ გამაჩინეს?! ასეთი ცხოვრება არ მინდა!

„სარკის“ მკითხველი

„სკოლაში მკითხავს მეძახიან“

ულასელი გოგონები საშინლად მომექცნენ. ჩემი სიალალე გამოიყენეს და ახლა მთელი სკოლის დასაცინი ვარ. ჩემს ამბავს მოგიყვებით და მიხვდებით, რა მდგომარეობაშიც ვარ.

კლასელი გოგონები სახლში დავპატიჟე. დედამ სპეციალურად ამ დღისთვის ტორტი გამომიცხო, მერე კი მარტო დაგვტოვა, რომ გოგოები თავისუფლად ვყოფილიყავით და ჩვენს ნებაზე გვემხიარულა. ვიცეკვეთ, ვიმღერეთ და მერე, სტუმრები რომ გამერთო, ვუთხარი, გიმკითხავებთ-მეთქი. რა თქმა უნდა, მკითხაობა არ ვიცი, მაგრამ მათი გართობის მიზნით მოვიგონე.

ბებოს მეზობლად ერთი ქალი ცხოვრობდა, რომელიც სამეზობლოს ბანქოს უშლიდა ხოლმე, ზოგჯერ ყავაშიც იხედებოდა. დიდი მკითხავი ისიც არ იყო, უბრალოდ ქალებს ართობდა. თან უხსნიდა, ესა თუ ის ბანქო ან ყავის ფიგურა რას ნიშნავდა. მეც ძალაუნებურად რაღაცეები დავიმახსოვრე და ჩემი „ცოდნა“ მეგობრებთან გამოვავლინე. ისინიც ძალიან გაერთნენ, ბევრი იცინეს, მერე კი...

მეორე დღეს ყველამ იცოდა, რომ ბავშვებს ვუმკითხავე. ჯერ ჩემმა კლასელმა ბიჭებმა დამცინეს, მერე — მთელმა სკოლამ. ეს კიდევ არაფერი, მასწავლებლების ყურამდეც კი მივიდა ეს ამბავი. დამრიგებელმა მთელი ლექცია წაიკითხა, მკითხაობა როგორი ცოდვაა, რომ ამის შემდეგ მღვდელი ზიარების უფლებას არ მოგვცემს. გარდა იმისა, რომ შემეშინდა, ძალიან შემრცხვა. აღარ ვიცი, ეს იარლიყი როგორ ჩამოვიხსნა. გთხოვთ, დამეხმარეთ!

თქვენი ერთგული მკითხველი

გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე
ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.

თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:

1. **ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დაანკაუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
2. **გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**
3. **ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru**

ანონიმურობა დაცულია

გამოხმაურება

„დედამ და ბიცოლამ ბიძაშვილებს ჩამომაშორეს“

ჟურნალ „სარკის“ 47-ე ნომერში დაიბეჭდა წერილი, სათაურით „დედა ჩემს ნახევარ და-ძმასთან ურთიერთობას მიკრძალავს“. ამ წერილმა გული ამიჩუყა, რადგან საკუთარი თავი გამახსენდა. კარგად ვიცი, რას ნიშნავს, როცა ადამიანებთან ურთიერთობას გიკრძალავენ. დედა მეც ასე მომექცა და ახლა ძალიან ვნანობ, რომ დავუჯერე.

მე და ჩემი ბიძაშვილები ერთად გავიზარდეთ. ადრე ყველა ერთ დიდ სახლში ვცხოვრობდით. მე დედისერთა გოგო ვარ, ჩემი ბიძაშვილები ბიჭები არიან, ორნი, თითქმის ჩემი თანატოლები. არასოდეს მიგრძვნია, რომ დედისერთა ვიყავი, რადგან გვერდით ორი ძმა მყავდა. ერთმანეთთან საოცარი სიყვარული გვაკავშირებდა. ერთ-ერთი ბიძაშვილი ჩემს კლასში სწავლობდა და ის განსაკუთრებით მიყვარდა, მის გარეშე ვერ ვძლებდი. ბიჭები სულ მეფერებოდნენ და მიფრთხილდებოდნენ.

მეოთხე კლასში ვიყავი, როცა მე, მამა და დედა ცალკე გადავედით საცხოვრებლად. მამამ ბინა იყიდა, ბიძის ოჯახი კი ძველ სახლში დარჩა. მერე ბიძას და ბიცოლას ურთიერთობა დაეძაბათ. სულ ჩხუბობდნენ, ერთ დღეს კი მათი კონფლიქტი გაყრით დამთავრდა. ბიცოლამ შვილები მშობლების სახლში წაიყვანა. თავიდან მე და ჩემს ბიძაშვილებს გვქონდა ურთიერთობა, მერე კი ჩვენ შორის უფროსები ჩადგნენ და...

ბიჭებმა მამას ვერ აპატიეს, რომ მათ დედას ასე მოექცა. ბიძაჩემმა შვილებთან კავშირი გაწყვიტა, მერე სხვა ქალი შეირთო ცოლად, მასთან ტყუპები, ბიჭი და გოგო ეყოლა და მთლიანად მათზე გადაერთო. ჩემი ბიძაშვილები ძალიან მენატრებოდნენ, მათ ვუკავშირდებოდი, ვნახულობდი, მაგრამ დედამ ამიკრძალა. მითხრა, ბიძაშენს და ბიცოლაშენს ეწყინებათ, მათთან სახლში რომ მიდიხარო.

თავიდან დედას არ ვუჯერებდი, მაგრამ მერე ჩვენს ოჯახში ამის გამო კონფლიქტი მოხდა. ბიძაჩემის ახალმა ცოლმა ეჭვიანობა დაიწყო. დედას შარი მოსდო, ჩემი ქმრის ყოფილ ცოლთან ბავშვს იმიტომ აგზავნი, რომ გინდა, ისინი შერიგდნენ და მე ოჯახი დამინგრიოო. არადა დედას მათთან ურთიერთობა თითქმის არ ჰქონდა, ტელეფონით თუ მოიკითხავდა ხანდახან.

ბიცოლა მეც მეჩხუბა, გამომიცხადა, ჩვენს სახლში აღარ მოხვიდე, ჩემი ოჯახის დანგრევის უფლებას არ მოგცემო. ეს აზრადაც არ მომსვლია. უფროსების საქმეში მე როგორ ჩავერეოდი? ავუხსენი, რომ ბიძაშვილებთან ურთიერთობის უფლება მქონდა, მაგრამ ის მაინც თავისას გაიძახოდა. ბოლოს დედამ მთხოვა, ოჯახი მართლა არ დაენგრეთ და ამაში შენ არ დაგადანაშაულონო. დავუჯერე და ჩემს ბიძაშვილებს ჩამოვშორდი. ისინი ყოველთვის მენატრებოდნენ, მაგრამ დედის და ბიცოლას შიშით აღარ ვეკონტაქტებოდი.

ისინი უკვე დიდი ბიჭები არიან. მხოლოდ ერთხელ მითხრეს საყვედური, ჩვენს თავს სხვები ამჯობინეო, ბიძაჩემის ახალი ცოლი და შვილები იგულისხმეს. არადა ასე მართლა არ ყოფილა, მაგრამ მათ სიმართლესაც ვერ ვეტყოდი. ისინი ახლაც მენატრებიან, სოციალურ ქსელში მათ ფოტოებს რომ ვუყურებ, მინდება, შევეხმიანო, ვნახო, მაგრამ უკვე მრცხვენია. ვნანობ, რომ თავის დროზე დედას და ბიცოლას შიშით მათთან კონტაქტი გავწყვიტე.

თქვენი ერთგული მკითხველი, 17 წლის

„მამიდაშვილებს დაცინვა სიკეთით გადაუხადე“

ჟურნალ „სარკის“ 47-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი, სადაც გოგონა წერდა, მამიდაშვილები დამცინიან, სოფლელი ხარო. გეთანხმები, რომ იოლი არ არის ასეთი სიტყვების მოსმენა, მაგრამ მათაც უნდა გაუგო. შენმა მამიდაშვილებმა დიდი ტრავმა გადაიტანეს, მამასთან განშორება ასე ადვილი არ არის.

გირჩევ, დაცინვას ჩხუბით და გაბუტვით კი არ უპასუხო, სიკეთით გადაუხადე. ასე თავიანთ საქციელზე დაფიქრდებიან და გულს აღარ გატკენენ.

შენი უფროსი მეგობარი

Cyan Magenta Yellow Black

„დაქალის ჭირვეულობას ვეღარ ვუძლებ“

ერთ გოგოსთან საბავშვო ბაღიდან ვმეგობრობ. მერე ერთ კლასში მოვხვდით და ჩვენი ურთიერთობა უფრო განმტკიცდა. ის დედისერთა, განებივრებული გოგოა და სხვებსაც სთხოვს, რომ პატივისცემით მოეპყრან. თუ რამე არ მოეწონება, მაშინვე ტირილს იწყებს ან იბუტება. მისი ჭირვეულობის ატანა ძალიან მიჭირს, მაგრამ მეგობრობაზეც ვერ ვეუბნები უარს.

ამას წინათ მეზობლის დაბადების დღეზე მივდიოდი. დაქალს მაღალი ტემპერატურა ჰქონდა და მთხოვა, ჩემთან მოდიო. ვუთხარი, რომ დაბადების დღეზე მივდიოდი, მან კი ვერ გამიგო, მითხრა, შენ ის გოგო უფრო გიყვარს და მასთან იმეგობრეო. ვერაფრით გავაგებინე, რომ უბრალოდ მოვალე ვიყავი, წავსულიყავი.

იმის შემდეგ ცოტა ხანს გაბუტული იყო, ხმას არ მცემდა, მერე კი შემირიგდა, მაგრამ უკვე ძალიან დავიღალე. მისი ჭირვეულობის ატანა აღარ შემიძლია. დედაც მეუბნება, თუ ნერვებს გიშლის, მასთან ნუ იმეგობრებ, თავი დაანებეო. ასე რომ გავაკეთო, კარგი საქციელი არ იქნება. ჩვენ ხომ ძალიან პატარები ვიყავით, როცა დავმეგობრდით. ახლა რომ მივატოვო, ცუდი იქნება. იქნებ თვითონ მოეგოს გონს და მიხვდეს, რომ ზოგჯერ ზედმეტები მოსდის და ძალიან ბევრს ითხოვს ჩემგან.

თქვენი მკითხველი, 13 წლის

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

გამოხმაურება

„ვნანობ, რომ ძმაკაცის გამო ფული ვისესხე“

ჟურნალ „სარკეში“ გამოქვეყნებული წერილის შემდეგ გადავწყვიტე, თქვენთვის მომემართა. ერთ-ერთ სტატიაში ბიჭი წერდა, ძმაკაცმა ჯიბიდან ფული ამომაცალაო. მასზე ერთი წლით უფროსი ვარ, ანუ 15 წლის ბიჭი. მართალია, პირდაპირი გაგებით არავის გავუძარცვივარ, მაგრამ მეც ცუდად მომექცნენ.

ერთ დღეს ჩემთან ძმაკაცი მოვიდა და მთხოვა, შეყვარებულის დაბადების დღე მოდის, მისთვის საჩუქრის ყიდვას ვერ ვახერხებ და იქნებ ფული გქონდეს გადანახული, მასესხე და მალე მოგცემო. არ მქონდა და ძალიან შეწუხდა. ინერვიულა, ახლა რა ვქნა, მამაჩემი მპირდება, ერთ კვირაში მომცემს, მაგრამ დაბადების დღეზე უსაჩუქროდ როგორ მივიდეო. გადავწყვიტე, დავხმარებოდი და მეზობლის ბიჭს ვთხოვე ფული. ზუსტად წინა დღით მეუბნებოდა, ფული შევაგროვე, კომპიუტერის ნაწილები უნდა ვიყიდოო. მას დავურეკე, ერთი კვირით მასესხე-მეთქი და უარი არ უთქვამს.

ძმაკაცი გადაირია, მადლობები მიხადა, სირცხვილისგან მიხსენიო. მერე კი გადაიკარგა. ერთი კვირა რომ გავიდა, მორიდებით დავურეკე, ფული უნდა დავუბრუნოთ-მეთქი. ვითომ ძალიან შეწუხდა, მითხრა, მამაჩემს ჯერ არ მოუცია, მაგრამ დღეს-ხვალ მომცემსო. ორის დღის შემდეგ ისევ დავურეკე და იგივე პასუხი გამცა. ორი დღის გასვლის მერე რომ დავურეკე, ტელეფონზე საერთოდ არ მიპასუხა.

ვიცოდი, რომ ჩემს მეზობელს ფული ძალიან სჭირდებოდა და თქმა ერიდებოდა. ძმაკაცს ახლა სხვა ტელეფონით დავურეკე და ბოლოს და ბოლოს მიპასუხა. იცით, რა მითხრა? ეგ რა ძმაკაცობაა, რა შემჭამე, რომ მქონდეს, ხომ მოგცემდიო. ჩვენს საერთო მეგობრებთანაც ისეთი ლაპარაკი დაიწყო, თითქოს მე შეუგნებელი ვიყავი და ძმაკაცს ფულის გამო ვახრჩობდი. ჩემი ფული ხომ არ იყო? მეზობლისთვის რა მიმეცა? ვმუშაობდი თუ ჩემი ბიზნესი მქონდა?!

ეს ყველაფერი ბებიას ვუამბე და მან გამიგო. თავისი ერთი თვის პენსია მომცა, რომ მეზობლის ბიჭისთვის მიმეცა. ბებოს ოდესმე მილიონი რომ დავახარჯო, მის ამ პატივისცემას მაინც ვერ გადავიხდი, რადგან საშინელი სიტუაციიდან მიხსნა. იმ ძმაკაცს კი შევეშვი, რადგან მასთან ურთიერთობის არანაირი სურვილი არ მქონდა.

„სარკის“ მკითხველი

www.abdiibrahim.com.tr

ეეფუთნეთ „ზაქთრის ინფექციებს“ თქვენი ოჯახის ერთგული მეგობრების დახმარებით

ბენეტი
ორალური სპრეი

ბენეტი პლიუსი
ორალური სპრეი

ყელის ტკივილისა და პირ-ხახის ინფექციურ-ანთებითი დაავადებების ეფექტური, სწრაფი და უსაფრთხო მკურნალობა

- სწრაფად ხსნის ტკივილსა და დისკომფორტს
- უზრუნველყოფს ხანგრძლივ გაუტკივარებას
- აუმჯობესებს ღეჭვისა და ყლაპვის ფუნქციებს
- გამოიყენება ყველა ასაკობრივ ჯგუფში: ბავშვებში, მოზრდილებსა და ხანდაზმულებში
- აქვს სასიმოვნო გემო

ბენეტი სპრეის გამოყენება შეიძლება 6 წლამდე ასაკის ბავშვებში, ხოლო ბენეტი პლიუსი ბავშვებში ინიშნება 6 წლის ასაკიდან.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

საქართველო, თბილისი 0112,
დ. აღმაშენებლის გამზ. 148/III

PSP №1

ABDiIBRAHIM

ბენეტი
ბენზიდამინი

ბენეტი პლიუსი
ბენზიდამინი/ქლორჰექსიდინი

Cyan Magenta Yellow Black

გიორგი აფციაურმა და სალიტა ჩუბინიძემ პირველი შვილი გიორგობაზე მონათლეს

„ჩვენი შვილი ტიპური ქართველი მამაკაცია — სძინავს, ჭამს და უმუშევარია“

მიშა სააკაშვილის ცნობილი პაროდისტი, პოპულარული იუმორისტი გიორგი აფციაური და მისი ცოლი, ასევე იუმორისტი, სალიტა ჩუბინიძე, სულ ცოტა ხნის წინ ბიჭის მშობლები გახდნენ. პატარა გაბრიელს გიორგობაზე ორმოცი დღე შეუსრულდა და, წესისამებრ, მონათლეს კიდეც ამ დღეს.

ტელეეკრანიდან გაუჩინარებული წყვილი მთელ დროს ოჯახის ახალ წევრს უთმობს. ყოფილი პრეზიდენტის პაროდისტი, ისე როგორც მიშა სააკაშვილი, ამბობს, რომ მისი დრო არ წასულა და მაყურებელს მალე დაუბრუნდება. ამჟამად ის პროფკავშირების ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელია. გარდა ამისა, სტუდენტურ ჯგუფებს ამზადებს მხიარულთა და საზრიანთა კლუბისათვის. სალიტა კი ჯერჯერობით მხოლოდ ჩვილის მოვლითაა დაკავებული.

ცოლ-ქმარი შვილს დამოუკიდებლად, ძიძის გარეშე ზრდიან. შვილის გაჩენის შემდეგ მათ ერთმანეთი თითქოს ხელახლა აღმოაჩინეს. ისინი თავად არ ელოდნენ, რომ ასეთი მზრუნველი, პასუხისმგებლობის მქონე მშობლები იქნებოდნენ. როგორც „სარკეს“ ადრევე დაპირდნენ, გაბრიელი ნათლობის შემდეგ პირველად „სარკეში“ გამოაჩინეს.

— გილოცავთ პირველი შვილის დაბადებას! სალიტა, როგორ ჩაიარა მშობიაობამ?

სალიტა: ჩვენი პატარა 11 ოქტომბერს დაიბადა. ფიზიოლოგიურად მშობიარობას ვაპირებდი, მაგრამ მცირეოდენი გართულების გამო საკეისრო კვეთა გახდა საჭირო. გული დამწყდა, რომ პირველად გიორგის მიუყვანეს ბავშვი და არა — მე. გაბრიელი დაიბადა 3 კილო და 600 გრამი, 51 სანტიმეტრი.

— გიორგი, რა განცდებით ელოდებოდით შვილს?

გიორგი: სანამ სალიტა სამშობიაროში არ მივიყვანე და სამშობიარო პროცესი არ დაიწყო, მანამდე ვერ გავაცნობიერე, რომ მამა ვხდებოდი.

სალიტა: სამშობიარო ბლოკიდან რომ დავურეკე გიორგის და ვუთხარი, საკეისროს მიკეთებენ და ბავშვს პირველად შენ მოგიყვანენ-მეთქი, ისეთი შეშინებული ხმით მიპასუხა, გეგონებოდა, მას უნდა ემშობიარა.

გიორგი: სალიტას ფიზიოლოგიურად რომ ემშობიარა, ამ პროცესს ნამდვილად ვერ დავესწრებოდი.

— შვილის დანახვის შემდეგ როგორი იყო თქვენი რეაქცია?

გიორგი: დაკვირვება დავიწყე, ენას რას უშვრებოდა, თითს რატომ აქნევდა, როგორი ფერის იყო. არაადეკვატური კითხვები მიჩნდებოდა, ექიმი კი მიღიმოდა, ხვდებოდა, რომ უცნაურ კითხვებს ვსვამდი. არაფერი მახსოვს, ვინ მილოცავდა, რა ხდებოდა ჩემს თავს, გათიშული ვიყავი. ყველა რომ წავიდა და სალიტა ვნახე, მერე მოვედი აზრზე.

— სალიტა, თქვენც ასეთი დაბნეული იყავით?

სალიტა: არა, დედის ინსტინქტი მკარნახობს, რა როგორ უნდა გავაკეთო. შვილის მოვლა სასიამოვნო პროცესია. დედობა ყველაზე დიდი ბედნიერებაა. ეს არის განცდები, რომლებსაც ვერ გადმოსცემ.

> **სალიტა: „სამშობიარო ბლოკიდან რომ დავურეკე გიორგის და ვუთხარი, საკეისროს მიკეთებენ და ბავშვს პირველად შენ მოგიყვანენ-მეთქი, ისეთი შეშინებული ხმით მიპასუხა, გეგონებოდა, მას უნდა ემშობიარა“.**

— სანელი როგორ შეურჩიეთ ბავშვს?

გიორგი: სალიტას ინიციატივა იყო, რომ შვილისთვის გაბრიელი დაგვერქმია.

— სალიტა, გიორგი მონაწილეობს ბავშვის გაზრდაში?

სალიტა: გიორგი ძალიან კარგი მამა გამოდგა, ყველაფერში მეხმარება, არადა მეგონა, ამას ვერ შეძლებდა და წინასწარ ძალიან ვნერვიულობდი. ჩვენი შვილი კარგი ზნის ბავშვია, ღამეში მხოლოდ 2-ჯერ იღვიძებს.

გიორგი: როცა მეკითხებიან, პატარა როგორ იქცევაო, ვპასუხობ, რომ ტიპური ქართველი მამაკაცივით — სძინავს, ჭამს, ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს და ისიც უმუშევარია.

სალიტა შესანიშნავი დედაა. არ მეგონა, დედობას ასე მარტივად თუ აუღებდა ალღოს. გაბრიელი 23 ნოემბერს, გიორგობას მოვნათლეთ, ჩვენმა უახლოესმა მეგობრებმა გააქრისტიანეს.

— გაბრიელის დაბადების შემდეგ თქვენი ურთიერთობა რაგორი გახდა, ახლა რას გრძნობთ ერთმანეთის მიმართ?

სალიტა: უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს. მანამდეც მეგონა, რომ უკვე ძალიან ახლობლები ვიყავით და ჩვენ შორის არანაირი ზღვარი არ არსებობდა, მაგრამ გაბრიელის დაბადებამ მიმახვედრა, რომ ახლა გიორგი ჩემი ნაწილია.

გიორგი: გაბრიელის დაბადებამ უფრო გაამყარა ჩვენი ურთიერთობა. გაჩნდა მეტი პასუხისმგებლობა — მამა გავხდი. ახლა ჩემი პრიორიტეტი ოჯახი და შვილია.

სალიტა: სანამ გიორგი სამსახურში წავა, ვცდილობთ, დილაობით ორივემ ერთად გავასეირნოთ ბავშვი.

— ორსულობის პერიოდი როგორ გასულიყო?

გიორგი: კარგად, მშვიდად, უპეტენზიოდ ჩაიარა ამ ყველაფერმა.

სალიტა: ბოლოს ძალიან გაიწელა, სავარაუდო მშობიარობის დროს ორი კვირით გადავაცილე.

გიორგი: ჩვენი ახლობლები ისეთ მოლოდინში იყვნენ, ყოველ წუთში მირეკავდნენ ამბის გასაგებად. ბოლოს ტელეფონს ამ ტექსტით ვპასუხობდი: „ჯერ არ დაბადებულა!“.

სალიტა: წონაში მხოლოდ 14 კილოგრამით მოვიმატე. ასე რომ, გიორგის არ დასჭირვებია იმის თქმა, რამდენს ჭამო.

გიორგი: მაგას როგორ გეტყოდი?! ასეთი რაღაცეები ხომ უკუჩვენებას იწვევს? მერე სალიტაც მეტყოდა, რამდენს ჭამ, გასუქდიო.

— შვილის გაზრდას დამოუკიდებლად უმკლავდებით თუ ვინმე გეხმარებათ?

სალიტა: მიმაჩნია, რომ შვილი დედამ და მამამ უნდა გაზარდონ, ძიძის აყვანის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ჩემი და გიოს მშობლები შეძლებისდაგვარად მოდიან და გვეხმარებიან.

— ესე იგი ოჯახური ცხოვრების დასაწყებად შესაფერად მზად იყავით.

გიორგი: 26 წლის ვარ და მგონია, დროული იყო დაქორწინებაც და მამობაც.

სალიტა: მე 22 წლის ვარ და ვერ გეტყვით, რომ დედობა დროული იყო, მაგრამ ამ სიახლეს მთელი შეგნებით მოვეკიდე.

> **გიორგი: „სანამ სალიტა სამშობიაროში არ მივიყვანე და სამშობიარო პროცესი არ დაიწყო, მანამდე ვერ გავაცნობიერე, რომ მამა ვხდებოდი... არაფერი მახსოვს, ვინ მილოცავდა, რა ხდებოდა ჩემს თავს, გათიშული ვიყავი. ყველა რომ წავიდა და სალიტა ვნახე, მერე მოვედი აზრზე“.**

— ერთობლივი ცხოვრების ერთმა წელმა როგორ ჩაიარა, როგორ შეაფასებდით?

გიორგი: მთავარი სათქმელი ისაა, რომ ერთად ბედნიერები ვართ.

სალიტა: ოჯახს სანამ შევქმნიდით, 2 წელი ვიცნობდით ერთმანეთს, ერთიმეორეს ვუყურებდით, ამიტომ ჩვენს ურთიერთობაში პრობლემა არ ყოფილა.

— დიდი ხანია არსად გამოჩენილხართ არც ერთი. რას საქმიანობთ ან რას აპირებთ?

სალიტა: ჯერჯერობით საქმეებს ვერ წამოვიწყებ, რადგან ვსწავლობ და თან დედის როლს ვასრულებ. როცა გაბრიელი წამოიზრდება, ჩემი გეგმების განხორციელებას და-

Cyan Magenta Yellow Black

ვიწყებ, სცენაზე გამოვჩნდები.

გიორგი: მე სტუდენტებს ვასწავლი ხუმრობების წერას, თამაშს, გარდა ამისა, პროფკავშირებში ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვარ და თან ვსწავლობ, დოქტორანტი ვარ.

— რა სპეციალობას ეუფლებით?

გიორგი: ასე ჰქვია — მედიაორგანიზაციის თავისებურებები და მართვა.

— აპირებთ ამ განხრით მუშაობას?

გიორგი: ამ კითხვაზე ორი რაღაც ამომიტივტივდა თავში, ერთი, რომ არაფერია გამორიცხული და მეორე, იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის.

— ამ სიტყვებს ვისი მისამართით ამბობთ?

გიორგი: იმ ადამიანების მისამართით, ვისაც ჩემს საქმიანობაზე ირიბად გაუცინიათ. ერთი წლის შემდეგ მე თავისუფლად შევძლებ მათ დასაქმებას. უსამართლობა შეიძლება სამართლიანობით შეიცვალოს.

— იუმორისტული სფეროდან წასვლას აპირებთ?

გიორგი: ამ სფეროს ბოლომდე არ მოვწყდები, რადგან ეს საქმე ძალიან მიყვარს, მაგრამ ამ კუთხით ეკრანზე აღარ დავბრუნდები. დაგროვილ გამოცდილებასა და ცოდნას ახალგაზრდებს გავუზიარებ.

— მას შემდეგ, რაც ორიგე წამოსულდით ტელეკომპანია „რუსთავი 2“-დან, თქვენს ცხოვრებაში ფინანსური და შემოქმედებითი კრიზისი ხომ არ დაიწყო?

გიორგი: იმხელა ანაზღაურება არ გვქონია, რომ ჩემს ახლანდელ და მაშინდელ ხელფასებს შორის დიდი სხვაობა იყოს. იმას კი არ ვამბობ, რომ ახლა კარგი შემოსავალი მაქვს, უბრალოდ მაშინ არ მქონდა იმდენი, რომ ახლა დიდი დანაკლისი ვიგრძნო.

სალიტა: რაც შეეხება შემოქმედებით კრიზისს, სულაც არ განვიცდი, რადგან ჩემს ცხოვრებაში უფრო მნიშვნელოვანი ეტაპი დგას. მოვა ის დრო, როცა ჩემს საქმეში ისევ რეალიზებული ვიქნები.

გიორგი: როგორც კი გაბრიელი წამოიზრდება, სალიტა სიმღერას გააგრძელებს, არა იუმორისტულ ჟანრში, არამედ საესტრადოში. მე კი ისევ ისეთი დაკავებული და ისეთივე აქტიური ვარ, როგორიც ადრე ვიყავი, უბრალოდ შემოსავალი არის ცოტათი დაბალი და არც ეკრანზე ვჩანვარ.

— ეკრანი არ გენატრებათ?

გიორგი: ეკრანზე თუ არ ვჩანვარ, ეს არ ნიშნავს, რომ საკუთარი თავის რეალიზებას ვერ ვახდენ. ადრე თუ გვიან ამის დროც მოვა. ტელევიზიასთან შეხება რომ მქონდეს, ბევ კარგ სანახაობას შევთავაზებდი მაყურებელს, მაგრამ ახლა სხვა თემებზე ვარ გადართული, სხვა საკითხები უფრო პრიორიტეტულია ჩემთვის. ნიჭიერი ადამიანები ყოველთვის რჩებიან საზოგადოების ცნობიერებაში. ცუდს რას ვაკეთებდი? 9 წლის განმავლობაში ვიღაცეები რომ რაღაცეებს აკეთებდნენ, მე „რუსთავი 2“-ზე ვხუმრობდი პრეზიდენტზე.

სალიტა: მგონია, რომ არც მე და არც გიორგის აქტუალურობა არ დაგვიკარგავს. მართალია, დიდი ხანია ეკრანზე არ გამოვჩენილვართ, მაგრამ დღემდე გვცნობენ და თბილად გვხვდებიან.

გიორგი: მიხარია, რომ ჩემი სადიპლომო ნამუშევარი „სხვა კონცერტი“ „რუსთავი 2“-მა რამდენჯერმე გაუშვა ეთერში. კარგია, როცა შემდგარ პროექტებს აფასებენ.

— დაბოლოს, გიორგი, თქვენ წლების განმავლობაში აკეთებდით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პაროდიას. მისი წასვლით თქვენს მუშაობაში სიცარიელე ხომ არ გაჩნდა? არის ან იქნება ვინმე ვისზეც მომავალში ააგებთ ხუმრობებს?

გიორგი: ამ სფეროში იმიტომ არ დამიწყია საქმიანობა, რომ არსებობდა ერთადერთი და განუმეორებელი ადამიანი, ვის პაროდიასაც გავაკეთებდი. არც ახლა ვფიქრობ ასე. საერთოდ, როცა პაროდიას აკეთებ, არ შეიძლება, უარყოფითად იყო იმ ადამიანის მიმართ განწყობილი. ერთადერთი კოკოითი იყო, ვისი პაროდიაც გავაკეთე და არ „მევასებოდა“. ისე, ხელოვანი ადამიანები რაც უფრო შორს იქნებიან პოლიტიკისგან, მით უფრო კარგი იქნება.

✓ ლანა კენჭაძე

გუგა კუზანოვს უშბაზე მანქანა დაეწვა

ჴლასტიკური ქირურგიის დინასტიის წარმომადგენლები, ძმები გუგა და ალექსანდრე კუზანოვები, მიუხედავად რვაწლიანი ასაკობრივი სხვაობისა, თავს ერთმანეთის თანატოლებად გრძნობენ. ბავშვობაში კი უფროსი გუგა უმცროს ალიკას საკმაოდ აწვალებდა, როგორც ამბობენ ხოლმე, „ეკაიფებოდა“. ახლა მთელი ოჯახი ერთ მუშტად შეკრულია. როცა გუგა პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მონაწილეობდა, უკლებლივ ყველანი, თავად ივა კუზანოვის ჩათვლით, ცირკის მაყურებელთა დარბაზში იჯდა და გულშემატკივრობდა.

ძმები თითქმის სულ ერთად არიან — სამსახურში, მივლინებებში თუ მძიმე სამუშაო კვირის შემდეგ ბუნებაში, სუფრასთან, მეგობრების წრეში. თავგადასავლები და მათთან ერთად ხიფათიც გამოუცდიათ, ისეთი, როგორიც, მაგალითად, მანქანის მოულოდნელი აალებაა. ამ ისტორიასა და თავიანთ ოჯახურ ურთიერთობებზე ძმები „სარკეს“ ესაუბრნენ.

— რა ასაკში გაიცნობიერეთ, რომ ოჯახის ტრადიცია უნდა გაგეგრძელებინათ და ექიმობა აგერჩიათ?

ალექსანდრე: ბაბუა და ბებიაც ექიმები იყვნენ და მამაც, ივა კუზანოვი, როგორც იცით, ექიმი გახლავთ. როცა ხედავ, მამა, ბაბუა რას საქმიანობენ, თავიდან ამით ინტერესდები. შემდეგ ეს ყველაფერი შენში ვითარდება და გადაწყვეტილებაც უნდა მიიღო, ეს მოგწონს და ამ გზას გაჰყვები თუ არა. საბოლოო არჩევანი ალბათ 16 წლის ასაკში გავაკეთე. ამერიკაში ვიყავი, ჩოგბურთს ვთამაშობდი. ან ჩოგბურთი და ამერიკა უნდა ამერჩია, ან საქართველო და მედიცინა.

გუგა: სამედიცინოზე ისე ჩავაბარე, არც მიფიქრია, სხვა ალტერნატივა არც მქონია, ეს პირდაპირ გადავწყვიტე. 17 წლის ვიყავი, როცა სტუდენტი გავხდი და მას შემდეგ ამ გზას ვადგავარ.

ალექსანდრე: ბავშვობაში კინორეჟისურა, გეოლოგია ძალიან მაინტერესებდა, მაგრამ ამ ყველაფერს მაინც მედიცინის ინტერესმა სძლია. მამა სულ მეუბნებოდა, აუცილებელი არ არის, ექიმი გახდე, წადი და სხვა რაღაცაც სინჯე, იქნებ სხვა რამე გააკეთოო, მაგრამ არა, მაინც ეს ვარჩიე.

გუგა: მე ძირითადად, როგორც ყველა მამაკაცს, მანქანები მიტაცებდა. ჩოგბურთს ვთამაშობდი, ოღონდ პროფესიონალურ დონეზე — არა. აგერ ვცეკვავდი კიდეც (გულისხმობს ტელეპროექტს „ცეკვავენ ვარსკვლავები“. ავტ.). ამიტომაც ვამბობ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება-მეთქი.

— მამათქვენი, ბატონი ივა, რომელ თქვენგანში უფრო მეტად ხედავდა ქირურგს, რას გეუბნებოდათ?

გუგა: არ მახსოვს, მამას ან ბაბუას ეთქვას, ექიმი გახდიო. უბრალოდ ეს სურვილი ჩემში იყო.

ალექსანდრე: მამა მუდმივად სამსახურში, მუდმივად მივლინებებში იყო, იშვიათად ვხედავდით. მახსოვს, დედამ პორტრეტი ჩამოკიდა, მამათქვენი ეს არისო. როცა სადოქტოროს იცავდა, მამა ხშირად მიდიოდა დიდი ხნით მოსკოვში. ჩვენც ზუსტად ასე ვართ, სულ მივლინებებში დავდივართ, შვილებს ნაკლებად ვხედავთ.

— როცა ოჯახშიც და კლინიკაშიც მამაა უფროსი, ეს თქვენთვის საქმე აიოლებს თუ ართულებს?

ალექსანდრე: სახლში მამაა, სამსახურში კი — პროფესორი. საქმეს სხვანაირად უნდა მიუდგე, უფროსი ის არის. მედიცინა ის დარგია, სადაც ყოველთვის ყველაფერი წინ მიდის, ამიტომ ეს იმას არ ნიშნავს, რადგან ის უფროსია, ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, როგორც უფროსი იტყვის. ხშირად გვაქვს განხილვები და ამ დროს თუ ვინმე დაამტკიცებს, რომ ესა თუ ის მეთოდი ან მიდგომაა უკეთესი, რა თქმა უნდა, ამ აზრს დანარჩენებიც ვიზიარებთ.

— ბატონი ივა მკაცრია?

გუგა: ბავშვობაში მკაცრი იყო, მაგრამ სამართლიანად. საერთოდ შენ თვითონ არ უნდა გააკეთო ისეთი რაღაც, რომ ამხელა კაცს იმხელა კაცმა გითხრას, ეს რა გააკეთეო.

— სამსახურში კამათიც არის?

გუგა: კი. თუ მუშაობ, კამათის ნიადაგი ყოველთვის იქნება. რაღაც მე ვიცი უკეთესად, რაღაც — ალეკომ, რაღაც თავისთავად — ივამ, რადგან რაც უნდა თანამედროვე იყო, გამოცდილება მაინც გამოცდილებაა.

— ალექსანდრე, ბავშვობაში გუგა უფროსი ძმის სტატუსით სარგებლობდა ხოლმე?

ალექსანდრე: გუგაზე 8 წლით უმცროსი ვარ. ნაკლებად ვჩხუბობდით, მაგრამ ყოველთვის იყო უფროსი ძმის მომენტი. ასაკობრივი სხვაობა ადრეულ ასაკში უფრო იგრძნობოდა, შემდეგ დაიწყო დაახლოება, უფრო დავმეგობრდით. საერთო მეგობრებით, ქეიფებით ეს უფრო განვითარდა.

გუგა: მე 43 წლის ვარ, ალეკო კი 35 წლისაა. თავიდან ეს განსხვავება საკმაოდ შესამჩნევი იყო, ახლა კი — არა. ასაკში როცა შედიხარ, ეს ზღვარი ნელ-ნელა ქრება და იშლება. ადრე ალეკოს სულ „ეკაიფებოდი“.

ალექსანდრე: ერთხელ მშობლები წასულები იყვნენ. გუგამ და ჩვენმა ბიძაშვილმა ღამით გამაღვიძეს. ზამთარი იყო, დილითაც და ღამითაც ბნელოდა. მოკლედ, გამაღვიძეს, ადექი, სკოლაში გაგვიანდებაო. ავდექი, ჩავიცვი, კბი-

→32

გუგა: „აქ ყველაფერი ახასნოხად გააკეთეს. სადაც ჟენაღისტი, ქირურგი და ჯალათბუხთელია, ამათთან ერთად გამოცდილი მოცეკვავე, მსახიობი ახ უნდა ჩასვა. ტანმოვახჯიშე ჰაერში შპაგატში ჯდება, ამას მე ხომ ვერ გავაკეთებ? მთელ მსოფლიოში ისე ანყობენ, ხომ შოუში თანაბარი ჯონჯერენცია იყოს“.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციოევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

Cyan Magenta Yellow Black

■ გუგა და ალექსანდრე

ლები გამოვიხეხე, ჩანთაც რომ გადავიკიდე, კარგი, დაწყნარდი, მიდი და დაიძინეო, მითხრეს. ასეთებს გუგას მე ვერ ვუბედავდი.

გუგა: ასაკობრივი სხვაობის გამო თავიდან სხვადასხვა ინტერესები გვქონდა, ყოველთვის ისე ვუყურებდი, როგორც ბავშვს. ახლა კი ჩემი მეგობრები ალიკას მეგობრებიც არიან, განსხვავება ფაქტობრივად არ არსებობს.

ალექსანდრე: მშვენივრად მახსოვს რთული 90-იანი წლები, იმ დროს უკვე 14-15 წლის ვიყავი. მაშინ უფრო დაიწყო ჩვენი მეგობრობა, გუგას მეგობრებთან ერთად აგარაკებზე მივდიოდით, ვრჩებოდით, დროს ვატარებდით.

— დღეს რამდენად ახერხებთ ერთად დროის გატარებას, ოჯახურ შეკრებას?

ალექსანდრე: ცალ-ცალკე სახლებში ვცხოვრობთ, მაგრამ ერთ ეზოში. ერთმანეთის ნახვის საშუალება ყოველთვის გვაქვს. ტრადიციულად, ახალ წელს, დაბადების დღეებზე, დღესასწაულებზე ვიკრიბებით, ერთად აღვნიშნავთ. ამას გარდა, თავისუფალ დროს ვურეკავ, გუგა, მთაში წავიდეთ, ტყეში წავიდეთ ან მონასტერში, ან დღეს ვიქეიფოთ-მეთქი.

— ქალაქგარეთ, ბუნებაში გასვლა თქვენი ტრადიციაა?

გუგა: აგარაკზე ან სადღაც შორს მივდივართ ხოლმე. საზღვარგარეთ კონგრესებზეც ერთად მივემგზავრებით. ახლაც საზღვარგარეთ ჩვენი ასოციაციის დიდი კონგრესი იყო, მაგრამ ალეკო წავიდა, მე — ვერა. ვერც მამაჩემი წავიდა, მას თავისი საქმეები ჰქონდა, მე ვცეკვავდი. ძირითადად მაინც ერთად გვიწევს სიარული. ყველა კონგრესი რესტორნით მთავრდება ხოლმე.

— ქართული ტრადიციული მოლხენა გიყვართ?

გუგა: რა თქმა უნდა, ტრადიციულ ოჯახში გავიზარდეთ, თბილისელები, პლეხანოველები ვართ, ამიტომ, გვინდა თუ არა, ტრადიცია სისხლში გვიზის.

— თქვენი ცოლებიც ექიმები არიან. ამდენ ექიმს ერთ ოჯახში როგორ ურთიერთობები გაქვთ?

ალექსანდრე: მშვენიერი. როცა საჭიროა, ყველა ერთად ვართ. როცა სადმე წასასვლელია, რძლები ერთად მიდიან. თავისუფლება გვაქვს, ისე არ არის, რომ აუცილებლად ყველა ერთად უნდა დავსხდეთ. ვის როგორ უნდა, ისე იქცევა და ამით ყველა ბედნიერია. რადგანაც ერთად ვმუშაობთ, თითქმის სულ ერთად ვართ, მივლინებებშიც ერთად დავდივართ, ერთად ვისვენებთ. მთაში კი უმეტესად ცოლების გარეშე დავდივართ. რატომღაც მთა დიდად არ უყვართ.

წელს რიგიდან გვყავდნენ ქირურგები სტუმრად, სვანეთში, უშბაზე ავიყვანეთ და გუგას მანქანაც დავწვით. უფრო სწორად, თავისით მოეკიდა ცეცხლი და დაიწვა.

— ეს რიგორ მოხდა, დაწვრილებით გვიამბეთ.

ალექსანდრე: მთებში სიარულით გუგაც დავაავადე. მოკლედ, მთებში სასიარულოდ გუგას ჯიპი „მიცუბიში პაჯეროს“ მეორე თაობა ჰყავდა. ძრავის უკანა „სალნიკი“ ზეთს აპარებდა. სულ ვეუბნებოდი, შეეკეთებინა. უცხოეთიდან ქირურგებს ველოდებოდით, გუგას ვუთხარი, მე მაინც მომეცი მანქანა, წავიყვან და შევაკეთებ-მეთქი, მაგრამ მითხრა, ახლა ავიდეთ და იქიდან რომ დავბრუნდებით, მერე შევაკეთებო. მოკლედ, უშბაზე ასასვლელად წავედით, დიდ აღმართს საავტომობილო ბილიკით შევუდექით, დაახლოებით 3 000 მეტრ სიმაღლეზე ავედით, ისეთი დაქანებები იყო, ძრავიდან ზეთის გაყონვამ უმატა. ძრავს ცეცხლი წაეკიდა. „კაპოტი“ ვერ ავხადეთ, მანქანას თოვლის საშუალებით ვაქრობდით, მაგრამ მთლიანად დაიწვა. იქიდან მის ჩამოყვანას აზრი არ ჰქონდა, ამიტომ იქ მცხოვრებს 1000 დოლარად მივყიდეთ.

ალექსანდრე: „მამა მუდმივად სამსახურში, მუდმივად მივლინებებში იყო, იშვიათად ვხედავდით. მახსოვს, დედამ პოხტეტი ჩამოაყიდა, მამათქვენი ეს ახისო“.

სტუმრები ნაწილ-ნაწილ ჩემი მანქანით ჩამოვიყვანეთ. გუგამ ისევ იმ მარკის ავტომობილი შეიძინა მთებში სასიარულოდ.

— გუგა, პროექტში მონაწილეობით, თქვენს ცეკვით კმაყოფილი ხართ? რა მოლოდინი გქონდათ და რა მიიღეთ?

გუგა: უდაოდ კმაყოფილი ვარ, თან წონაში 16 კილო დავიკელი. ამას გარდა, იქ მისვლა ძალიან მიხაროდა, რადგან ამ რუტინული სამსახურის გამო სადღაც წასვლა და რაღაცის გაკეთება ძნელია. ეს განმუხტვის და სხვა ადამიანების გაცნობის ერთ-ერთი გზაც იყო.

— სერიოზული იმოჯით ვიცნობენ და უცებ აცეკვდით. ამან თქვენს საქმიანობაზე, რეპუტაციაზე ხომ არ იქონია გავლენა?

გუგა: ვინც ვიყავი, ის დავრჩი, ცეკვა ვერ შემცვლიდა, თან ორ თვეში. ყოველ ხუთშაბათს მთელი კლინიკა ცირკში დადიოდა, მგულშემატკივრობდნენ. მამაც ყველა კონცერტს ესწრებოდა. ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი სახალისო ეტაპი იყო.

— პროექტის დატოვების გამო გული დაგწყდათ?

გუგა: შეიძლება დამწყდა კიდეც, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მაინც — არა. ფაქტობრივად, დრო არ მრჩებოდა, ვგრძნობდი, რომ რაღაცის ხარჯზე რაღაცას ვაკეთებდი. წესით, ასე არ უნდა იყოს. ან ის საქმე უნდა გააკეთო კარგად, ან ეს. ორივეს ერთად ვეღარ ავუდიოდი. სამსახურში ბევრი საქმე დამიგროვდა, საზღვარგარეთ ვეღარ დავდიოდი. რა თქმა უნდა, ცეკვასაც ვაკლებდი. დღეში საათნახევარი ვარჯიში, მით უმეტეს, ჩემთვის, ადამიანისთვის, რომელიც ცეკვასთან საერთოდ არანაირ კავშირში არ ყოფილა, ძალიან ცოტა იყო. იქ ხალხი დღეში სამჯერ სამ-სამი საათი ვარჯიშობს.

— თქვენი ცოლი, ნინო ნადირაძე, როგორც ვიცი, თავიდან წინააღმდეგი იყო, ამ პროექტში მიგეღოთ მონაწილეობა. საბოლოოდ კმაყოფილი დარჩა თქვენით?

გუგა: კი. ფიქრობდა, რომ ვერ მოვასწრებდი, დრო არ მექნებოდა. წინააღმდეგი ამ მხრივ იყო.

— ყველაზე მეტად რომელ ცეკვაში მოეწონეთ?

გუგა: ქართულ ცეკვაში. ვთქვი კიდეც, ქართულ ტურში აუცილებლად უნდა ვიცეკვო-მეთქი და ვიცეკვე კიდეც. ბოლოს ტვისტი შევასრულე. პროექტი რომ დავტოვე, ისეთი სახე მქონდა, ხალხი მეუბნებოდა, გავარდნა ისე გაგიხარდა, გეგონებოდა, მილიონი მოიგეო.

ალექსანდრე: გუგა ბავშვობაში, სკოლის პერიოდში, ძალიან კარგად ცეკვავდა და მაინტერესებდა, ახლა რას იზამდა. მოლოდინი გაამართლა, ძალიან კარგად იცეკვა, გვასიამოვნა. ქართულიც კარგად შეასრულა, მაგრამ ტვისტი და ჩაჩაჩა მომეწონა.

— პროექტის შემდეგ თუ გამოიყენა იქ ნასწავლი ცეკვები?

ალექსანდრე: ქორწილში მივდივართ და ვნახოთ, რას იზამს. ამ პროექტში მეც დიდი სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას.

— თავიდან ითქვა, რომ იქ მხოლოდ ვარსკვლავებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა და არა, ვთქვათ, ჟურნალისტებს, ექიმებს და ა.შ. შემდეგ თქვენზე ამბობდნენ, რომ პროექტს ფულით მოიგებდით... რიცა ასეთი რაღაცეები გესმოდათ, რა რეაქცია გქონდათ?

გუგა: ვარსკვლავობის განსაზღვრა როგორ ხდება? ვინც მიკროფონთან დგას და ორი-სამი რაღაც წაიმღერა, ის არის ვარსკვლავი? ვარსკვლავია ადამიანი, რომელიც თავისი პროფესიითაა ცნობილი. ეს მთელ მსოფლიოში ასეა და საქართველოშია ალბათ სხვანაირად. პროექტი რომ დავტოვე, იმის მაჩვენებელია, რომ ამაში არც ფული დაგვიხარჯავს და არც ესემესებს ვუგზავნიდი ჩემს თავს. პირიქით, ბოლოს ვთქვი კიდეც, ხალხო, ესემესი არ გამომიგზავნოთ, ამ პროექტში ყოფნა აღარ შემიძლია-მეთქი. იმიტომ კი არა, რომ არ მომწონდა, პირიქით, სიგიჟემდე მომწონდა, მაგრამ ორ საქმეს ერთად ვერ ვაკეთებდი, დავიღალე.

გუგა: „მე 43 წლის ვარ, ალეკო კი 35 წლისაა. თავიდან ეს განსხვავება საკმაოდ შესამჩნევი იყო, ახლა კი — არა. ასაკში ოცსა შედიხარ, ეს ზღვარი ნელ-ნელა ქრება და იშლება. აქიე ალეკოს სულ „ვეკაიფებოდი“.

საფრანგეთში ამ პროექტში 79 წლის კაცმა მიიღო მონაწილეობა, რომელსაც ცეკვასთან არანაირი კავშირი არ ჰქონია. ვთვლი, რომ აქ ყველაფერი არასწორად გააკეთეს. სადაც ჟურნალისტი, ქირურგი და კალათბურთელია, ამათთან ერთად გამოცდილი მოცეკვავე, მსახიობი არ უნდა ჩასვა. მსახიობს ცეკვასთან და, რაც მთავარია, სცენასთანაც შეხება აქვს, სცენაზე გასვლას, 2000 ადამიანის ტაშის დაკვრას მიჩვეულია, ჩემთვის კი ეს საშინელება იყო. ტანმოვარჯიშე ჰაერში შპაგატში ჯდება, ამას მე ხომ ვერ გავაკეთებ? ეს არასწორია. მთელ მსოფლიოში ისე აწყობენ, რომ შოუში თანაბარი კონკურენცია იყოს. ჩემთან ერთად ინჟინერი და კიდევ სხვა პროფესიის ადამიანები რომ ჩაესვათ, უფრო სწორი იქნებოდა.

კოტიკო თოლორაიას ძალიან ვგულშემატკივრობდი, ძალიან მინდოდა, მას გაემარჯვა, მაგრამ გამოვარდა. იქ ყველა ერთი ოჯახივით ვიყავით, როცა რაღაც არ გამოგვდიოდა, ძალიან განვიცდიდით. მე, პირადად, კონკურენციის მომენტი არ მქონია. სამწუხაროდ, ერთ-ერთმა მონაწილემ საჯაროდ თქვა, გარეთ მეგობრები ვართ, როგორც კი შემოვდივართ ცირკში, საშინელი კონკურენტები ვხდებითო. ეს ძალიან არ მომეწონა, ახლაც ვამბობ, რომ ეს არასწორია.

ხალხო, ეს შოუა! თუ არ გაიმარჯვებ, ამით შენი ცხოვრება არ დასრულდება. კარგია, თუ ბინას და მანქანას მოიგებ, მაგრამ ყველაფერი ბინა და მანქანა ხომ არ არის? სახელიც კარგი უნდა დატოვო.

ალექსანდრე: ახლაც ყოველ ხუთშაბათს დავდივართ კონცერტზე, ვუყურებთ და კარგ დროსაც ვატარებთ.

✓ ეკა ლემონჯავა

Cyan Magenta Yellow Black

ირაკლი ჩოლოყაშვილი:
„წინა ქორწინებამ მასწავლა, რომ სიყვარულს უნდა გავუფრთხილდე“

„მაშინდელი ორიანი მთელი ცხოვრება დაღად დამჩრა. მას შემდეგ მასწავლებლებს ჯიბრში ჩავუდექი და არ ვაკეთებდი იმ ყველაფერს, რისი გაკეთებაც შემეძლო. ამით მინდოდა, დამემტკიცებინა, რომ მათი ნიშნები და შეფასებები ჩემთვის არაფერს ნიშნავდა“.

მსახიობმა და დირიჟორმა, ირაკლი ჩოლოყაშვილი, ოჯახური ცხოვრება ხელახლა დაიწყო. რამდენიმე თვის წინ მეორედ დაქორწინდა. მას და მის ახალშერთულ ცოლს, მევიოლინე სალომე ბუკიას, ახლა ურთიერთშესწავლის პერიოდი აქვთ. ირაკლი თავის ორ ქორწინებას შორის პარალელებს ხშირად ავლებს. მსახიობ ნინო იოსელიანის გვერდით ცხოვრების დროს ოჯახი მისთვის მძიმე ტვირთი ყოფილა, ახლა კი ეს ტვირთი ძალიან სასიამოვნო სატარებლად ეჩვენება.

პირველი ოჯახი მაშინ დაენგრა, როცა შვილის მოლოდინში იყვნენ. დიმიტრი უკვე ერთი წლის არის და მამა სასამართლოთი

■ მამა-შვილი

დადგენილი წესით ნახულობს. შვილში ხშირად თავის ბავშვობას, თავის თვისებებს ხედავს. იმედი აქვს, რომ მამა-შვილი დაკარგულ დროს, რომელსაც ერთმანეთის გარეშე ატარებენ, ოდესმე აინაზღაურებენ.

— ირაკლი, როგორი ბავშვი იყავით და რა მსგავსებას ხედავთ პატარა ირაკლისა და ახლანდელ ირაკლის შორის?

— მოუსვენარი ბავშვი ვიყავი და ახლაც ასეთი ვარ. ერთ ადგილას ვერასოდეს ვჩერდები და ეს მაძლევს შანსს, რომ ბევრი რამ მოვასწრო. ბავშვობაში ხმაური მიყვარდა, რომელიც შემდგომ მუსიკალურ ხმაურში გადაიზარდა. საბავშვო ბაღში სიარული არ მიყვარდა, რადგან იქ მაძინებდნენ. მერე მოვითხოვე, იმ ბაღში გადავეყვანე მშობლებს, სადაც არ დამაძინებდნენ. ასე მოვხვდი საბავშვო ბაღის იმ ელიტურ საზოგადოებაში, ვისაც ძილი არ ეხებოდა.

— ბაღის შემდეგ იყო სკოლა. მოსწავლეობის ხანამ როგორ გაიარა?

— საბჭოთა კავშირის პედაგოგიურმა მეთოდმა ჩემს შემთხვევაში არ გაამართლა. ვიღაცას თუ ეტყოდნენ, გაჩერდი, თორემ ორიანს დაგიწერთო, ჩერდებოდა. მე რომ ორიანებით დაშინება დამიწყეს, ყველაფერი შეიცვალა. ერთხელ მასწავლებელმა ცუდი კალიგრაფიის გამო ორიანი დამიწერა. ეს ძალიან მეწყინა, ჩავთვალე, რომ უსამართლოდ მომექცნენ. მაშინდელი ორიანი მთელი ცხოვრება დაღად დამრჩა. მას შემდეგ მასწავლებლებს ჯიბრში ჩავუდექი და არ ვაკეთებდი იმ ყველაფერს, რისი გაკეთებაც შემეძლო. ამით მინდოდა, დამემტკიცებინა, რომ მათი ნიშნები და შეფასებები ჩემთვის არაფერს ნიშნავდა. როცა მომინდებოდა, ხუთიანს ვიღებდი და მეორე დღეს იმავე საგანში შეიძლებოდა ორიანი მიმეღო.

პიონერები რომ გავხდით, ერთ დღეს გვითხრეს, კომისია მოდისო და ყველას თეთრი ფორმა უნდა გვცმოდა. მე კი შავი ფორმით გამოვცხადდი. ასე გამოწყობილი რომ დამინახეს, სკოლიდან გამიშვეს. მაშინ მინდოდა, მეთქვა, შავ ფორმაზე უფრო ლამაზია წითელი ყელსახვევი-მეთქი, მაგრამ თავი დავანებე.

ფიზიკის სწავლა რომ დავიწყე, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ახალი სამყარო აღმოვაჩინე, მაგრამ როცა მასწავლებელი მეუბნებოდა, აბა, ადექი და მომიყევიო, ეს ნერვებს მიშლიდა, ვხვდებოდი, რომ არ მენდობოდნენ, მე კი მქონდა პრეტენზია, პედაგოგებს ჩემი ნდობა ჰქონოდათ.

— ასეთი საქციელის გამო თქვენს მშობლებს ალბათ ხშირად იბარებდნენ სკოლაში.

— კი და ბოლოს ჩემი მშობლები მიხვდნენ, რომ ჩემი შვილა მხოლოდ იქ შეიძლებოდა, სადაც მუსიკა იქნებოდა, ამიტომ მუსიკალურ სკოლაში გადამიყვანეს. ჩემს ძველ, 24-ე სკოლას ხშირად ვაკითხავდი ხოლმე. მასწავლებლები — შენ შემოგევლეო — მეუბნებოდნენ, თითქოს, მანამდე იქ არ ვსწავლობდი. 24-ე სკოლაში თურმე ჩემი სურათი

„ეთაღეთი, ხაშიკ შევცდი, ისაა, ომ ძაღიან ვიჩქახე შვიღის ყოღა. ხთუღია, ხოცა მშობღების განქოხინების გამო ბავშვი იჩაგხეგა. ოხივეს მეტი პასუხისმგებღობა გვმახთებდა. თუ მაინკ უნდა დავშოხებეღიყავით, ახ ვიკი, ბავშვს ხას ვეხჩოღით“.

ჰქონიათ გამოკრული. ის სკოლა გვაქვს დამთავრებული მე, პაატა ბურჭულაძეს და ჭოლას (ლევან წულაძეს). ალბათ ჩემი სურათი ოროსნების დაფაზეა.

ერთხელ გაკვეთილი გვიცდებოდა, კლასში 34 ბავშვი ვიყავით და ხმაური იყო. მასწავლებელი შემოვიდა და სამ ბავშვს გვითხრა, მე უნდა გავიდე და აქედან თუ ისევ ხმაური გამოვა, თქვენ სამეულს დაგსჯითო. რა თქმა უნდა, ხმაური გაგრძელდა. მე სადამსჯელო ოპერაციას ველოდი... ეს ყველაფერი ბავშვის ფსიქიკაზე ცუდად აისახება. მასწავლებლებს ბავშვების დასჯის თავიანთი ხერხები ჰქონდათ, საფეთქლებზე თმას გვაწიწკნიდნენ, ჩვენ კი ხელს ვუჭერდით, რომ ძალიან არ გვტკენოდა. ვინც ამ ყველაფერს გადარჩებოდა, ის იცინოდა. აი, ასეთი იყო საბჭოთა სკოლა.

— მუსიკაზე დადიოდით და თეატრალურში ჩაბარება რატომ გადაწყვიტეთ?

— სხვა ვერაფერში გამოვდგებოდი და იმიტომ. თეატრალურში თავდაპირველად მუსიკალურ ჯგუფში მოვხვდი, მერე დრამაზე გადამიყვანეს. თეატრში რომ დავიწყე მუშაობა, მუსიკას დავუბრუნდი და საბოლოოდ სადირიჟორო დავამთავრე. ორი პროფესია მაქვს და ბედს ნამდვილად არ ვუჩივი.

— ადგილად იპოვეთ საკუთარი თავი და თქვენი ადგილი სამყაროში?

— ჩემმა მშობლებმა მაპოვნინეს, თუმცა მამას არ უნდოდა, თეატრალურში ჩამებარებინა, რადგან ჩვენი პროფესია ლატარიაა, ცოდნის გარდა, გამართლებაც გჭირდება. რეჟისორმა კარგი თვალით უნდა შემოგხედოს, ზოგისთვის მაღალი ხარ, ზოგისთვის — დაბალი, ზოგისთვის — მსუქანი და ეს არასოდეს მთავრდება. სავსებით შესაძლებელია, შენს საქმეში პროფესიონალი იყო, მაგრამ სამსახური ვერასოდეს ნახო ან არ მოგეცეს საშუალება, ის როლი ითამაშო, რომელზეც ფიქრობ, რომ შენია.

— თქვენ „ლატარიაში“ გაგიმართლათ?

→34

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

— გამიმართლა, რომ ლევან წულაძეს გადავეყარე. მისი სტუდენტი ვიყავი და დღესაც მის გვერდით ვარ. დიდი მადლობა ბატონ ლევანს ასეთი ნდობისთვის. ის რომ არა, ალბათ იმ მსახიობების რიგში ჩავეწერებოდი, რომელთაც დიპლომი აქვთ ან სპექტაკლებში თამაშობენ, მაგრამ ვერავინ ამჩნევთ. ლევანი ძალიან კარგ სპექტაკლებს დგამს და ყოველთვის ისეთ როლებს მაძლევს, რომლებიც, იცის, რომ გამომივა. მსახიობს სცენაზე კი არ აფუჭებს, მაქსიმალურად ცდილობს, საარტისტო თვისებები გამოამჟღავნებინოს.

— წინა წლებთან შედარებით, ახლა თეატრალური ცხოვრება ასე თუ ისე გამოცოცხლებულია, გამოჩნდნენ ახალი რეჟისორები, ახალ-ახალი სპექტაკლები იდგმება. როგორ ფიქრობთ, მსახიობების თქვენს თაობას გაუმართლა?

— სამშობლოს არ გაუმართლა, თანამედროვე ისტორიაში ისეთი მტრები გამოგვიჩნდნენ, რომ... როცა სამშობლო თავზე გვემხობა, რაღა მეთეატრება! ქვეყნისთვის ძალიან ცუდ დროსაც ვთამაშობდით სპექტაკლებს, თუმცა, სამწუხაროდ, მაშინ ყველა არ ფიქრობდა, რომ ქვეყანა თავზე გვემხობოდა. მსახიობებიც ადამიანები ვართ და ფეხებზე ვერ დავიკიდებთ ჩვენს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. გვეუბნებიან, თეატრში რომ შედიხარ, სხვა ყველაფერი გვერდზე უნდა გადადოო, მაგრამ ჩვენც ხომ ჩვეულებრივი ადამიანები ვართ, რომლებიც ბევრ რამეს განვიცდით. შვილი რომ შეგეკითხება, რა გააკეთეო, რა უნდა უპასუხო, ქვეყანა თავზე გვექცეოდა და მე სპექტაკლებს ვთამაშობდიო?

ადამიანმა ისეთი რამ არ უნდა გააკეთო, რომ მერე ინანო, თუმცა, რასაკვირველია, არ არსებობს ადამიანი, რომელიც არაფერს ნანობს.

— ხშირად გიტყვთ სინანულის გრძნობა?

— ხშირად — არა, მაგრამ ძირითადად ერთი რაღაცის გარშემო ვტრიალებ და ვნანობ. ხანდახან ამ ყველაფერში ჩემს თავსაც ვერ ვადანაშაულებ, მაგრამ... ვფიქრობ, ცოტა მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოვკიდებოდი რაღაცეებს, უფრო მყარად უნდა ვმდგარიყავი იქ, სადაც ვიდექი. თუ ასე მოვიქცეოდი, ალბათ მეტი რამის გაკეთებასაც შევძლებდი.

— თქვენს კარიერაში დაშვებულ შეცდომებზე რისი თქმა შეგიძლიათ?

— მსახიობისთვის გარკვეული დროით პაუზაც საჭიროა. მე მქონდა ასეთი პაუზა და ამ დროს მეორე პროფესიაში მოვასწარი რაღაცეების გაკეთება, ცოტა ამოვისუნთქე, რაღაცეები გავაანალიზე. ალბათ რეჟისორებმაც დაისვენეს ჩემგან. პაუზა შეცდომების გასაანალიზებლადაც კარგია, რომ უკან მობრუნებულმა რაღაცეები სხვაგვარად გააკეთო.

„შეიძლება თვეები იმუშაო და მაყუჩებელმა თქვას, ახ ვახგაო. ჯოხი მსახიობზე ტყდება. ჩემზე ხატომ უნდა თქვან, ახ ვახგაო, თუ ვიღაცამ სპექტაკლი ვერ დადგა?!".

— ბევრ თქვენს ახალგაზრდა კოლეგას სჭირდება რჩევა. მათ რას ეუბნებით ხოლმე?

— არ მინდა, ახალგაზრდა მსახიობებს ჭკუა დავარიგო, მაგრამ ჩვენ უფლება არ გვაქვს, რომელიმე როლი არ ვითამაშოთ. რასაც მოგვცემენ, იმით უნდა დავკმაყოფილდეთ. შეიძლება თვეები იმუშაო და სცენაზე რომ გამოხვალ, მაყურებელმა თქვას, არ ვარგაო. იქ რეჟისორი არ ჩანს და ჯოხი მსახიობზე ტყდება. ჩემზე რატომ უნდა თქვან, არ ვარგაო, თუ ვიღაცამ სპექტაკლი ვერ დადგა? როცა ახალგაზრდა ხარ, ყველაფერი

„აქამდე მეგონა, ჰომ ოჯახი მხოლოდ ტვირთი იყო, მაგრამ ახლა მივხვდი, ჰომ თუმმე სხვა ჰალაცეებიც ახსებობს და შეიძლება ოჯახური ტვირთი ძალიან სასიამოვნოც ჯი გახდეს".

■ ირაკლი და სალომე

უნდა ითამაშო, რომ კარგიც ნახო და ცუდიც, მაგრამ ისე არ უნდა მოხდეს, რომ ცუდმა წაგლეკოს. მინახავს ისეთი რეჟისორი, ვისთვისაც მიკითხავს, ამ როლისთვის რა გავაკეთო-მეთქი და უპასუხია, რაც გინდაო. მე რაც მინდოდა, ის გავაკეთე, ცალკე კარგი იყო, მაგრამ თემასთან— არაფერ შუაში. მან ვითომ თავისუფლება მომცა და საბოლოოდ რა მივიღეთ?

— ვის აზრს აქვს თქვენთვის დიდი მნიშვნელობა, ვისაც თუნდაც პრემიერის შემდეგ ჰკითხავთ, როგორ მოეწონეთ როლში?

— მეგობრების, ოჯახის წევრების. ჩემი კოლეგა მეგობრები სხვა რამეს მეუბნებიან, არაპროფესიონალების შეფასებები სხვანაირია, ოჯახის წევრები კი სულ სხვანაირად მაფასებენ. დედა ჩემი შეფასებისას არასოდეს შემცდარა. ზოგჯერ შენიშვნას რომ მაძლევს, მაშინვე არ ვეთანხმები, მაგრამ მერე ჩემს გულში ვაღიარებ, რომ სიმართლე მითხრა. ისიც ხვდება ხოლმე, რომ მოვიდა ჩემამდე ის, რისი თქმაც სურდა.

— ახლა თქვენს ცხოვრებაში რა პერიოდია?

— გეცოდინებათ, რომ ოჯახი შევქმენი და მადლობა ღმერთს, რომ ასე მოხდა. მამაკაცები ოჯახის მეორედ შექმნას არასოდეს ჩქარობენ, ზოგჯერ საერთოდაც არ ქმნიან, მაგრამ მე ძალიან მომწონს ოჯახური ცხოვრება.

— თქვენც პირველად არ იჩქარეთ ოჯახის შექმნა, მეორედ — კი. განქორწინებიდან 8 თვეში დაოჯახდით.

— ჰო, ფაქტია, რომ ასე მოხდა. პირველად 36 წლისა დავქორწინდი, მაგ დროს ჩემი მეგობრების შვილები უკვე სტუდენტები იყვნენ.

— თქვენი და ნინო იოსელიანის 4 წლიანი თანაცხოვრების დასრულების შემდეგ საკუთარ თავს რაში ადანაშაულებთ?

— ერთადერთი, რაშიც შევცდი, ისაა, რომ ძალიან ვიჩქარე შვილის ყოლა. რთულია, როცა მშობლების განქორწინების გამო ბავშვი იჩაგრება. აქედან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ორივეს მეტი პასუხისმგებლობა გვმართებდა. თუ მაინც უნდა დავშორებულიყავით, არ ვიცი, ბავშვს რას ვერჩოდით. რასაკვირველია, შვილი ჩვენთვის პლუსია და მიხარია, რომ მყავს. ღვთის წყალობით, გენი თავისას მაინც იზამს და ისეთი მამაშვილური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდება, რომ ჩავარდნა არასოდეს გვექნება.

— დიმიტრისთან ხშირი ურთიერთობა გაქვთ?

— დადგენილი წესის მიხედვით ვნახულობ. ჯერ ძალიან პატარაა და ამის გამო ამ წესსაც ბოლომდე ვერ მივდევთ, რადგან ხან ცუდი ამინდია, ხან ბავშვია ცუდად... ალბათ ნელ-ნელა ყველაფერი დარეგულირდება.

— დიმიტრი თქვენგან შორს რომ აზრდება, არ გიჭირთ?

— ძალიან მიჭირს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამ დროს აუცილებლად ავინაზღაურებთ და ყველაფერი შეიცვლება.

— თქვენ გგავთ თუ დედას?

— ვერ ვიტყვი, რომ მაინცადამაინც მე მგავს, ალბათ უფრო დედამისის მხარეს არის. მომენტებში ჩემს რაღაცეებსაც ვიჭერ.

— ნინომ რაში დაუშვა შეცდომა, რომ თქვენი ოჯახის გადარჩენა ვერ მოსერხდა?

— არ ვიცი. აღმოჩნდა, რომ ორივეს სხვადასხვა ფასეულობები გვაქვს. ალბათ ჩვენი დაშორების მთავარი მიზეზი ეს იყო.

— როგორ მიედინება ორი შემოქმედის, ორი მუსიკოსის ოჯახური ცხოვრება?

— ძალიან ჰარმონიულად. აქამდე მეგონა, რომ ოჯახი მხოლოდ ტვირთი იყო. თან იმასაც ვფიქრობდი, რომ ყველა ჩემნაირად იყო, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ თურმე სხვა რაღაცეებიც არსებობს და შეიძლება ოჯახური ტვირთი ძალიან სასიამოვნოც კი გახდეს. ამის შეგრძნება აქამდე არასოდეს მქონია. წინა ქორწინებაში ამ ტვირთს, როგორც სახადს, ისე ვუყურებდი.

— უიღბლო ქორწინებამ რა გამოცდილება შეგძინათ?

— ჩემს გრძნობას მეტად ვუფრთხილდები, მაგრამ მერე ვხვდები, რომ ეს ყველაფერი ზედმეტია. მე და სალომეს არ გვაქვს ისეთი ურთიერთობა, რომელიც უცებ დაიმსხვრევა. შეიძლება მეშინია, რომ რაღაც არასწორად გავაკეთო, თუმცა ვერ ვიტყოდი, რომ წინა ქორწინებაში რამეს არასწორად ვაკეთებდი. მაშინ ალბათ ისიც იყო, რომ იმდენი პასუხისმგებლობა არ გაგვაჩნდა, რამდენიც უნდა გვქონოდა, ემოციებს ვიყავით აყოლილი. მინდა თუ არა, ორ ქორწინებას შორის პარალელებს სულ ვავლებ. ვცდილობ, ყველაფერი მოვზომო, მაგრამ ცოლი მაგრძნობინებს, რომ მოსაზომი არაფერია, პირიქით, სულ უკვირს და ამბობს, ასეთი მოზომილი ურთიერთობა ჩემთან რა საჭიროაო. ჩვენი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა და ამიტომ არ არის საჭირო, ყველაფერი ზედმეტად ვამოწმო. ჯერ რამდენიმე თვის შეუღლებულები ვართ, ამიტომ გაცნობის პერიოდი გვაქვს.

✓ ქეთი დინოშვილი

Cyan Magenta Yellow Black

„გარეგნობაში ასეთი რადიკალური ცვლილება არ მინდოდა, მაგრამ ასე გამოვიდა“

გაამართლა თუ არა ეკო ფანგანის ცხვირის ოპერაციამ

„ძველი“ ეკო

„ახალი“ ეკო

ტელეოპერატორ-ოპერატორ-ბიზნესის პოპულარული სახე, ეკო ფანგანი, ცხვირის ოპერაციის გაკეთებამ ისე შეცვალა, რომ ახლო მეგობრებიც კი ვეღარ ცნობენ. თავიდან თვითონაც ეუცხოვა საკუთარი თავი, მთელი ერთი თვე სახლიდან გარეთ ვერ გადიოდა, მერე კი თანდათან შეეჩვია და „ახალი სახე“ მოიხდინა კიდეც. ახლა თავიდან სწავლობს, როგორი მაკიაჟი, როგორი ვარცხნილობა მოუხდება.

— ეკო, ყოველთვის მომხიბვლელ, ეფექტურ ქალად ითვლებოდით. რატომ გადაწყვიტეთ გარეგნობის შეცვლა, ცხვირი დისკომფორტს გიქმნიდათ?

— ძალიან მინიმალური რაღაც გავიკეთე ცხვირზე და რატომღაც ძალიან შემცვალა. ნამდვილად არ მეგონა, ჩემს ძველ გარეგნობასთან ამხელა სხვაობა თუ იქნებოდა.

— როცა ასე რადიკალურად იცვლიან გარეგნობას, ამას თავისი მიზეზები აქვს. თქვენს შემთხვევაში რა იყო ეს?

— არ მიმაჩნია, რომ გარეგნობა რადიკალურად შევიცვალე. ცხვირის წვერი ავიწიე ოდნავ. მართლა არ ვიცი, ამ პატარა დეტალმა ასე რატომ შემცვალა. არც მინდოდა ასეთი რადიკალური ცვლილება, მაგრამ ასე გამოვიდა.

— არ გეშინოდათ უარყოფითი შედეგის? გარეგნობაში ასეთი ექსპერიმენტი ხომ სარისკოა.

— შიშის მომენტი არ მქონია. ექიმებს ვენდობოდი. მინდოდა ოდნავი ცვლილება, მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან სხვანაირი გავხდი. არ აქვს მნიშვნელობა, კარგი შედეგია თუ ცუდი, სხვა რომ ხარ, უცნაური შეგრძნებაა. მანამდეც სავსებით მაკმაყოფილებდა ჩემი გარეგნობა, უბრალოდ ოდნავ გაუმჯობესება მინდოდა. თავიდან მეუცნაურებოდა ჩემი სახე, ახლა ნელ-ნელა მივეჩვიე.

მეგობრებმა ამ ნაბიჯის მერე გიჟი მიწოდეს, რადგან დამოუკიდებლად, უცბათ მივიღე გადაწყვეტილება და უარყოფით შედეგზე არც მიფიქრია, მით უმეტეს, რომ გარეგნობაში აუცილებლად შესაცვლელი არაფერი მქონდა და ეს უბრალოდ ჩემი სურვილი იყო.

— თქვენი ოპერაცია, გარეგნობა სოციალურ ქსელებში განხილვის საგანი გახდა. ეს როგორ მოქმედებს თქვენზე?

— არ იცით, რამდენი წერილი მომდის „ფეისბუქზე“ და რა შინაარსის. უკვე აღარ შემიძლია! უცნობი ადამიანები ჩემს ამ ნაბიჯს იწონებენ, მაგრამ უარყოფითი გამოხმაურებებიც იყო. სრულიად უცნობები მწერდნენ: „ძველი ეკო მენატრება“, „რატომ შეიცვალე ცხვირი“, „თავი დაგიმახინჯებია“ და ა.შ. მიმაჩნია, რომ ეს ბოროტებაა. როცა ადამიანს არ იცნობ და სურვილი გიჩნდება, ცუდი უთხრა, ე.ი. კარგი პიროვნება არ ხარ. მეც არ მომწონებია ვიღაცის რაღაცეები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვეტყვი ან ამაზე ვილაპარაკებ.

საერთოდ, ვერ ვხვდები, ჩემს ამ ნაბიჯს ასეთი გამოხმაურება რატომ მოჰყვა. სხვებს უფრო ბევრი ოპერაციაც აქვთ გაკეთებული და ამის შესახებ ან ლაპარაკობენ, ან — არა. ბევრი მალავს, რომ ცხვირი აქვს შეცვლილი, ტუჩები — დაბერილი, მკერდი — გაზრდილი. ეს ინდივიდუალურია, თუ გინდა, დამალავ, თუ გინდა — არა. იდეალური ადამიანი არ არსებობს და, თუ გაქვს საშუალება, უკეთესად გამოიყურებოდე, რატომ არ უნდა გააკეთო? რა არის ამაში დასამალი, ამასაც ვერ ვხვდები, მაგრამ ასე იოლია ლაპარაკი. შეიძლება ყველას თავისი მიზეზი ჰქონდეს, რაღაცას რატომ არ ამბობს. მე არანაირი მიზეზი არ მქონდა, რომ დამემალა.

ზოგი ფიქრობს, რომ ამ ნაბიჯით ეშხი დავკარგე. არ მიმაჩნია, რომ ცხვირის წვერი ქმნის ეშხს. ერთი სიტყვით, ასეთ გამოხმაურებას ნამდვილად არ ველოდი. ჩემთვის ვფიქრობ, რადგან ასეთი აჟიოტაჟი ატყდა, ე.ი. უმრავლესობა თვლის, რომ გარეგნობაში შესაცვლელი არც არაფერი მქონდა.

— რა იყო თქვენი პირველი ემოცია, როდესაც სარკეში ახალ სახეს შეხედეთ?

— პრინციპში, ისეთი სახვევები არ მქონდა გაკეთებული, რომ ვერ მივმხვდარიყავი, რა შედეგი მივიღე. მაგრამ, რა თქმა უნდა, სახვევების მოხსნის მერე მაინც მქონდა გაუცხოების შეგრძნება. ცოტა მეუცნაურა ჩემი გარეგნობა და გამიჭირდა შეგუება. ერთი თვე ვცდილობდი, გარეთ არ გავსულიყავი. ამასობაში ცხვირმა თანდათან თავისი ფორმა მიიღო. კიდევ 6 თვე უნდა, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბდეს.

— ოჯახს, ახლობლებს რა რეაქცია ჰქონდათ?

— მშობლებს თავიდან გაუჭირდათ ჩემი ახალი იმიჯის მიღება. თითქოს ვერ ეგუებოდნენ, მაგრამ მერე მიეჩვივნენ.

— მართლა ვერ გცნობენ მეგობრები?

— ასე ამბობენ, რომ ვერ მცნობენ. გიორგი ყიფშიძეს ერთი საათი ვაჯანჯღარებდი და ამბობდა, ნუ მატყუებთ, ეს ეკო არ არისო. ვინც დიდი ხანია არ მინახავს, ისინი ვერც ხვდებიან, რამე თუ გავიკეთე. საკმაოდ რთულია იმის გადახარშვა, რომ გარშემოყოფები ვერ გცნობენ და უკვირთ შენი დანახვა. მაგრამ ეს ეტაპიც გადავლახე. ვფიქრობ, ამ ოპერაციამ ასაკით ცოტა დამაპატარავა, ბავშვობისდროინდელი იერი დამიბრუნა.

— ცნობილი სერიალის პერსონაჟს, ნიკიტას გამსგავსებენ. თქვენც ჰოულობთ რამე მსგავსებას მასთან?

— ეს მეც გავიგე. ნიკიტას სულ სხვანაირი ცხვირი ჰქონდა, მაგრამ შეიძლება რაღაცით ვგავდეთ ერთმანეთს. მშვენიერ, შხვართ გოგოს მამსგავსებენ, რა მაქვს საწინააღმდეგო!

— ცხვირის ოპერაციამ თქვენი სტილიც შეცვალა?

— თავიდან ვარკვევ, როგორი მაკიაჟი მჭირდება, თმა როგორ მიხდება და ა.შ. რაც მანამდე მიხდებოდა, ახლა შეიძლება აღარ მომეწონოს და პირიქით. ახლა ცხვირს სხვა მაკიაჟს ვურჩევ, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ სტილს რადიკალურად ვიცვლი.

— ეს ოპერაცია პირველია თუ მანამდეც დაწოლილხართ პლასტიკური ქირურგის დანის ქვეშ?

— სულ ამბობენ, რომ ტუჩები მაქვს გაკეთებული, არადა ბუნებრივი მაქვს. მხოლოდ ბოტოქსი გავიკეთე. როგორც წესი, ცხვირის ოპერაციის შემდეგ ტუჩებსაც იდიდებენ, რადგან ცხვირსა და ტუჩებს შორის ადგილი იზრდება, მაგრამ მე ამას არ ვაპირებ, რადგან ეს დაშორება შესამჩნევი არ არის.

„ჯერ მანამდე მიხდებოდა, ახლა შეიძლება აღარ მომეწონოს და პირიქით. ახლა ცხვირს სხვა მაკიაჟს ვურჩევ“.

— ცნობილია, რომ პლასტიკურმა ოპერაციებმა „მიჩვეული“ იცის. კიდევ ხომ არ გინდათ რამის გადაკეთება-გაუმჯობესება გარეგნობაში?

— არ ვარ ის ადამიანი, რომელსაც ნებისყოფა არ აქვს და რაიმეზე დამოკიდებული ხდება, პირიქით. ცხვირის წვერის შეცვლამდე თმის ფერის შეცვლას ვაპირებდი, მაგრამ ახლა უკვე გადავიფიქრე. ამდენი ცვლილება არ მინდა. პლასტიკურ ოპერაციებზე დამოკიდებული ნამდვილად არ გავხდები.

— როგორ ფიქრობთ, თქვენი ახალი სახე ახალ შეთავაზებებს მოიზიდავს ტელეარხებიდან?

— ნამდვილად მაქვს შემოთავაზებები, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. თან ჩემი ცხვირი კარგად უნდა ჩადგეს ფორმაში და მერე ალბათ რაიმეს გავაკეთებ.

„ზოგი ფიქრობს, რომ ამ ნაბიჯით ეშხი დავკარგე“.

— თქვენს პირად ცხოვრებაშიც ხომ არ არის საახლე?

— არა, პირად ცხოვრებაში სიახლე არ არის, პრინციპში, არც მინდა, რომ ჯერ რაიმე სიახლე იყოს. ის პერიოდი მაქვს, როცა ყველაფრისგან ვისვენებ და კარგად ვარ.

✓ მანანა ნოდია

მამაკაცებისთვის!

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება,შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია. ყველა საჭირო გამოკვლევით.

ექიმი — ქალბატონი მზია
☎ 514-246-446, 218-48-99
მის.: აღმაშენებლის 154.

Cyan Magenta Yellow Black

ნანა ნებიერიძეს მაკიაჟის გაკეთება მაკა ჩიჩუამ ასწავლა

„ცომეულს არ ვჭამ და სულ შეევარებული ვარ“

წარსულში სპორტსმენი — წყალში მხტომელი, სიდნეის ოლიმპიადის მონაწილე ნანა ნებიერიძე, საზოგადოებამ პროექტიდან „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ახალი კუთხით გაიცნო. მან შესანიშნავი საცეკვაო მონაცემები გამოავლინა, რითიც მაყურებელიც მოხიბლა და ჟიურიც. მისდამი სიმპათიას თავად ნანას მომხიბვლელობაც აძლიერებს. მისი ქალურობისა და სილამაზის საიდუმლო კი თურმე სიყვარული ყოფილა. საყვარელი მამაკაცი სტიმულს აძლევს, ყოველთვის კარგად გამოიყურებოდეს, ხოლო ცუდ განწყობას ვარჯიშით და ცურვით ებრძვის. ყოველთვის იცის, როგორი სტილის სამოსი თუ ვარცხნილობა უხდება და ისიც გაგვიმხილა, რომ მაკიაჟის გაკეთება საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის მეგობარმა ქალმა, მაკა ჩიჩუამ ასწავლა. მაშინ ისინი თანამშრომლები იყვნენ, ნანა ტელეკომპანია „პიკის“ წამყვანი გახლდათ, მაკა ჩიჩუა — ვიზაჟისტი.

„ჩემზე ამბობენ, ბოტოქსი აქვს გაკეთებულიო, მაგრამ სიმართლე არ არის. მერწმუნეთ, ჩემი ნაოჭები ჩემი სიამაყეა“.

— ქალბატონო ნანა, სანამ ჩვენს რუბრიკაზე გადავალთ, პროექტის შესახებ გკითხავთ. კონკურსი უკვე დაძაბულ ფაზაში შეეიდა, როგორ გრძნობთ თავს?

— ეს ყველაფერი ნამდვილად არ არის ადვილი. უკვე ორი თვეა ყოველდღიურად რეპეტიციები მაქვს. აქამდე არ მიგრძვნია, მაგრამ ახლა უკვე ვამჩნევ, რომ კონკურსანტების სავარძლები ცარიელდება, ეს, რა თქმა უნდა, სამწუხაროა.

— კონკურსის შემდეგ როგორ გააგრძელებთ ცხოვრებას?

— აქამდე ტელეკომპანია „პიკში“ ვმუშაობდი, წამყვანი ვიყავი. კონკურსის მერე, ვერ გეტყვით, რას გავაკეთებ. რა თქმა უნდა, არსებობს გეგმები და მიზნები, მაგრამ ხვალ რა იქნება, ზუსტად არ ვიცი.

— მართალია, ეკრანზე ჩანდით, მანამდე კი წარმატებული სპორტსმენი იყავით, მაგრამ ყველაზე მეტი პოპულარობა მაინც ტელეპროექტმა მოგიტანათ. გრძნობთ ხალხისგან ყურადღებას?

— ცოტა ხნის წინ მაღაზიაში შევედი და გამყიდველმა მითხრა, გგულშემატკივრობთო. ისე დავიბენი... უკვე ორი თვეა პროექტში ვარ, მაგრამ მაინც ვერ მივეჩვიე, რომ მცნობენ. მანქანის საბურავის გასაკეთებლად მისულს ასევე მითხრეს, გქომაგობთო და ესეც ჩემთვის მოულოდნელი იყო. ძალიან სასიამოვნოა ეს ყველაფერი. საერთოდ, არ მიყვარს სიტყვა „ვარსკვლავი“. ვარსკვლავი მადონაა, მე — კონკურსანტი.

— კონკურსში ყოველთვის კარგი მაკიაჟით ჩნდებით. როგორც ტელეწამყვანს, მაკიაჟის გაკეთება ალბათ თავადაც გეცოდინებათ.

— „პიკში“ რომ ვმუშაობდი, ზუსტად იმ პერიოდში მაკა ჩიჩუა, ახლანდელი საქართველოს პირველი ლედი, ჩვენი ვიზაჟისტი იყო. მან მასწავლა მაკიაჟის სწორად გაკეთება, მანამდე თვალსაც კი ვერ ვიღებავდი. სხვათა შორის, თვალების დახატვა სრულყოფილად დღემდე ვერ გამომდის. კოსმეტიკას ჩანთით არ ვატარებ, რადგან ძირითადად არ ვიყენებ. ერთადერთი, ტონალური კრემი და ტუში შეიძლება წავისვა.

— ოდესმე პლასტიკური ქირურგია თუ დაგჭირვებიათ?

— არასოდეს! ჩემზე ამბობენ, ბოტოქსი აქვს გაკეთებულიო, მაგრამ სიმართლე არ არის. მერწმუნეთ, ჩემი ნაოჭები ჩემი სიამაყეა. მირჩევნია, ბუნებრივად გამოვიყურებოდე, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასე ვფიქრობ. თუ ოდესმე ძალიან დამჭირდება კანის გადაჭიმვა, ალბათ უარს არ ვიტყვი.

— ვის რჩევებს ენდობით გარეგნობასთან დაკავშირებით?

— საკუთარ იმიჯზე თავად ვზრუნავ, მაგრამ რჩევებს მაძლევენ ჩემი ქალიშვილი, რომელიც 19 წლის არის და ჩემი საყვარელი ადამიანი. მათ აზრს ყოველთვის ვითვალისწინებ.

— ვინ დგას თქვენ გვერდით, მის სახელს და გვარს არ გვეტყვით?

— ჯერჯერობით — არა. ეს ცოტა ნაადრევი იქნება. თან ვფიქრობ, რომ პირადი ცხოვრების აფიშირება სწორი არ არის. არ მიყვარს ამაზე საუბარი.

— საყვარელი მამაკაცისგან რა რჩევებს იღებთ? შეგიძლიათ ერთი კონკრეტული შემთხვევა გაიხსენოთ?

— ერთხელ სტუმრად მივდიოდი პრეზენტაციზე და გამოსასვლელ სამოსს ვარჩევდი მაღაზიაში. კაბაც მომეწონა და შარვალიც. არჩევანი ვერ გავაკეთე, ამიტომ მობილურით ორივეს გადავუღე სურათი და ჩემს საყვარელ ადამიანს გავუგზავნე. მომწერა, შარვალი ძალიან მაგარიაო და ის ვიყიდე.

„ჩემი აქსესუარები დიდი ზომის ახასდჩოს ახის, სადაა. ოქრო მიყვარს. ბევრი სამკაული ახ მაქვს, მაგრამ, ოქროსია, თან ყველა ისტორიას უკავშირდება და ამიტომ ისინი ძვირფასია ჩემთვის“.

— ალბათ ქალიშვილიც მოგმართავთ რჩევებისთვის.

— დიახ, ახლაც, სანამ ინტერვიუზე შეგხვდებოდით, მთხოვა, ერთ-ერთ მაღაზიაში შემევლო და მისთვის შარვალი შემერჩია. ჰყავს უამრავი მეგობარი, მაგრამ ჩემს გემოვნებას განსაკუთრებულად ენდობა. ეს კი ჩემთვის დიდი კომპლიმენტია. მე და ნინის დედაშვილური ურთიერთობაც გვაქვს და მეგობრულიც.

— არის რაიმე, რასაც უშლით მას?

— არაფერს. ტატუ აქვს გაკეთებული, თან — არაერთი. პირველად რომ გაიკეთა, ვთხოვე, ასეთი რამ ჩემთვის არ დაემალა და სხვა დროს ერთად შეგვერჩია, რას დაიხატავდა. გასაგებია, რომ ის ყოველთვის ბავშვი იქნება ჩემთვის, მაგრამ ნინა უკვე 19 წლისაა და დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს, რა უნდა.

„ძალიან ჯახგია, ხოცა მოვლილი და ღამაზად ჩაცმული ხახ, მაგრამ თუ ადამიანი ბოღმიანია, გახეგნული მოვლა ვეხ უშველის, ჯახგს ვეხაფეხს შემატებს“.

— როგორ აქსესუარებს და სამკაულებს ანიჭებთ უპირატესობას?

— ჩემი აქსესუარები დიდი ზომის არასდროს არის, სადაა. ოქრო მიყვარს. ბევრი სამკაული არ მაქვს, მაგრამ, რაც მაქვს, ოქროსია, თან ყველა რაღაც ისტორიას უკავშირდება და ამიტომ ისინი ძალიან ძვირფასია ჩემთვის.

— ბევრ ქალაქში გიცხოვრიათ — კიევში, მოსკოვში, ნიუ იორკში... თქვენი დაკვირვებით, სად უფრო უვლიან ქალები თავს?

— ჩემი აზრთ, იტალიელი ქალები ძალიან კარგად უვლიან თავს. ნიუ იორკში ყოფნისას ჩემთვის საინტერესო დასკვნა გავაკეთე: მანჰეტენზე სეირნობისას თუ დაინახავ, რომ ქალი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით მოდის, ის აუცილებლად ან უკრაინელი იქნება, ან რუსი, იმიტომ, რომ სხვა ეროვნების ქალი, მით უმეტეს, ამერიკელი, მანჰეტენზე ასეთი ფეხსაცმლით არ ივლის. შეიძლება ჩანთაში ჰქონდეთ გამოსასვლელი ფეხსაცმელი, მაგრამ ყოველდღიურად არ იყენებენ.

თბილისში გოგონები თავისუფლები გახდნენ და ეს მომწონს. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მსუქნები იყვნენ, კომპლექსი არ აქვთ, იცვამენ იმას, რაც მოსწონთ, მოკლე კაბას თუ შემოჭერილ შარვლებს. ეს კარგია, რადგან ადამიანმა უნდა ჩაიცვას ის, რაშიც თავს კარგად გრძნობს. ადრე მაინც იმაზე ფიქრობდნენ, ვინ რას იტყოდა და ვინ როგორ შეხედავდა.

— თქვენი მოხდენილი ფიგურის საიდუმლო რა არის?

— ორი რამ: ჯერ ერთი, ცომეულს არ

Cyan Magenta Yellow Black

ვჭამ და მეორე, ვცდილობ, სულ შეყვარებული ვიყო. როცა პირად ცხოვრებაში მშვიდად ხარ, სულ სხვანაირად გრძნობ თავს. მერე თავის მოვლაც გინდა, სულ კარგ ფორმაში ყოფნა და ეს ბუნებრივად გამოგდის. ამ დროს ყველაფერი გიხარია. ფორმის შენარჩუნებისთვის მხოლოდ დიეტა და ვარჯიში არ არის საკმარისი, შეყვარებულიც უნდა იყო. ეს არის ბედნიერების რეცეპტი.

— რა არის თქვენი ქალური სისუსტე?

— სუნამო, რომლის გარეშეც სახლიდან არ გავდივარ. სუნამოს სურნელი აუცილებლად ოდნავ ტკბილი უნდა იყოს. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, როცა მამაკაცსაც კარგი სუნამო ასხია.

— საყვარელ მამაკაცს სუნამოს თავად ურჩევთ?

— არა, რადგან ვფიქრობ, ეს ინდივიდუალურია და ადამიანმა თავად უნდა შეარჩიოს სუნამოს სურნელი.

— რა საშუალებებს მიმართავთ კანის, თმის მოვლისთვის?

— თუ არ გამოიძინებ, დილით ლამაზი და ჯანმრთელი ვერ ადგები. შესაბამისად, ვცდილობ, ძილს თავისი დრო დავუთმო, რამდენადაც შემიძლია.

— უფროსი თაობისგან რაიმე რჩევები გახსოვთ თავის მოვლასთან დაკავშირებით?

— დედის მხრიდან ბებია მყავდა გრაფინია რაზუმოვსკაია. ის ყოველთვის მასწავლიდა, ქალმა შუადღეზე, მინიმუმი, 20 წუთი უნდა

„ფორმის შენარჩუნებისთვის მხოლოდ დიეტა და ვარჯიში არ არის საკმარისი, შეყვარებულიც უნდა იყო. ეს არის ბედნიერების რეცეპტი".

დაიძინოსო. მეც ვცდილობ, დღეში 10 წუთი მაინც დავისვენო. ასევე მეუბნებოდა, როცა წვეულებაზე წახვალ, სახლში მიიღე საკვები, სტუმრად ყოფნისას ჭამა ლამაზი არ არისო. დედა სულ მასწავლიდა, კომპლიმენტების მიღებისას ნუ მორცხვობ, ბუნებრივად მიიღეო, მაგრამ დღემდე მიჭირს ეს, როცა კომპლიმენტს მეუბნებიან, ძალიან ვნერვიულობ.

— სარკის წინ რა დროს ატარებთ?

— ახლა დიდ დროს ვატარებ, რადგან დარბაზში, სადაც ცეკვებს ვსწავლობთ, ყველგან სარკეა. ზოგადად, სწრაფად შემიძლია თავის მოწესრიგება.

— ყოველთვის კმაყოფილი რჩებით, როცა სარკეში თქვენს თავს უყურებთ?

— განწყობას გააჩნია. ხანდახან არ მომწონს საკუთარი გარეგნობა, მაგრამ ამ დროს არაფერი უნდა შეცვალო, რადგან შეიძლება შედეგით კმაყოფილი არ დარჩე. ცუდ განწყობას თავადვე უნდა მოერიო, ძლიერი უნდა იყო. ასეთ დროს ყველაზე კარგი საშუალება ცურვა ან ვარჯიშია.

— საკუთარ გარეგნობაზე, სტილზე ექსპერიმენტები ჩაგიტარებიათ?

— არა. ერთხელ ვცადე თმის გაზრდა და მივხვდი, რომ ეს ჩემი სტილი არ არის.

— რას თვლით ცუდ ტონად?

— სუნამოს მეტისმეტად მძაფრ სურნელს. როცა ადამიანს ზედმეტი სუნამო ასხია, ეს ცუდი ტონია, ჩემი აზრით.

— რა ხდის ქალს მიმზიდველს, სასურველს?

— ყველაფერი შიგნიდან მოდის. ძალიან კარგია, როცა მოვლილი და ლამაზად ჩაცმული ხარ, მაგრამ თუ ადამიანი ბოღმიანია, გარეგნული მოვლა ვერ უშველის, კარგს ვერაფერს შემატებს.

✓ მანანა ნოდია

ნინო ჩიხლაძე თავისი სამკაულების კოლექციას გამოამზეურებს

საბავშვო ანსამბლ „გვირილას" ხელმძღვანელის, ერნა წიფურიას ქალიშვილი, ანსამბლის მენეჯერი ნინო ჩიხლაძე საახალწლოდ თავისი სამკაულების კოლექციის გამოფენას გეგმავს.

ნინო სამკაულებს ბავშვობიდან აგროვებს. საზღვარგარეთ წასულ მამას ყოველთვის სხვადასხვა აქსესუარების ჩამოტანას სთხოვდა. დროთა განმავლობაში კოლექციას მისი ხელით შექმნილი თუ გადაკეთებული სამკაულებიც შეემატა. უცხოეთში გასტროლებზე ყოფნისას აქსესუარების მაღაზიებს აუცილებლად სტუმრობს და ნახევრადძვირფას ქვებს ყიდულობს, სახლში დაბრუნებული კი თავისუფალ დროს ახალი სამკაულის შექმნას უთმობს. თავი ნახელავით ყველაზე ხშირად დედას ანებივრებს.

— თავიდან სამკაულებს მხოლოდ ჩემთვის ვაკეთებდი. მერე მეგობრებისგან ბევრი კომპლიმენტი მივიღე და მათი გაჩუქებაც დავიწყე, რაც სიამოვნებას მანიჭებს. ჯერჯერობით კომერციაზე არ ვფიქრობ, მაგრამ ჩემი კოლექციის გამოფენის მოწყობა მინდა, — გაანდო თავისი სურვილი „სარკეს" ნინო ჩიხლაძემ.

მის კოლექციაში მართლაც დიდი მრავალფეროვნებაა — ეგზოტიკური, თანამედროვე, ორიგინალური ქუდები, ყელსაბამები, საყურეები, სხვადასხვა სამშვენისები, ერთი სიტყვით, ყველა ის აქსესუარი, რომელიც მშვენიერ სქესს ასე უყვარს.

ნინოს გემოვნება აქსესუარებთან დაკავშირებით შეუმჩნეველი არც მის გარემოცვაში დარჩენილა. მომღერლები თუ მსახიობები მის სამკაულებს ხშირად აღფრთოვანებით ხვდებიან და ყიდვის სურვილს გამოთქვამენ.

ნინო ჩიხლაძე:

— საზღვარგარეთ ყოფნისას ორიგინალური სამკაულების შემჩნევა და ყიდვა ძალიან მიყვარს. საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებს ხშირად უკითხავთ, თუ სად ვიყიდე ესა თუ ის სამკაული და უთხოვიათ, მათთვისაც მესწავლებინა, სად შეეძინათ. იტალიაში მურანოს ქვები ვიყიდე და მათგან საყურეები გავაკეთე. ერთხელ, ეგვიპტეში მოგზაურობისას, ოქროს მედალიონი შევიძინე, რომელზეც იეროგლიფები იყო ამოტვიფრული. შემდეგ აღმოჩნდა, რომ საკმაოდ სახიფათო წარწერა ჰქონდა, რომელიც საფლავის მცველ სულს უკავშირდებოდა. ამიტომ მედალიონი ოქრომჭედელს ჩემი გემოვნებით გადავაკეთებინე ერთ-ერთი ბრენდის სტილში, თუმცა მოძღვარმა მითხრა, რომ მაინც ჯობია ეს მედალიონი არ ვატარო. ვფიქრობ, ის ბოლნისურ ჯვრად გადავადნო.

ნინო დიდი სიამოვნებით აცოცხლებს ძველ და შეუმჩნეველ აქსესუარებს. ამ მიზნით სპეციალური მოწყობილობებიც კი შეიძინა.

ნინო ჩიხლაძე:

— სრულიად შეუმჩნეველი, გაფუჭებული სამკაულიც კი მიყიდია, რომელიც შემდეგ ისე განმიახლებია, რომ ყველა მეკითხებოდა, თუ სად შევიძინე. მიყვარს სამკაულებისთვის „სულის ჩაბერვა" და გაცოცხლება.

„გვირილას" საღამოებზე სტუდიის ბავშვები ხშირად ჩემი სამკაულებით გამოდიან. მომწონს, როცა ადამიანებს ბედნიერს ვხედავ. სამკაულები კი ბედნიერების შეგრძნებას გვანიჭებს.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ოთო ფოლადაშვილი: „ძლიერ ქარში ჩემი მანქანის გამოყვანა საშიშია“

ეოცეკვავე ოთო ფოლადაშვილის სალათისფერ „მერსედეს სმარტს“ პატრულის ყველა თანამშრომელი ცნობს. ჯერ ერთი, მისი მანქანა და სერია გამორჩეულია და მეორეც, მთელი ერთი წელი მართვის მოწმობის გარეშე იარა და უამრავი ჯარიმაც დააგროვა. პატარა, ორკაციანი ავტომობილი თბილისის გადატვირთული ქუჩებისთვის არის ზედგამოჭრილი, საცობებში მანევრირება არ უჭირს და სწრაფადაც მოძრაობს. მცირეგაბარიტიან მანქანაში, თუ გაჭირდა, ხუთი კაციც ეტევა და ოთოს შეუძლია ბორბლებზე მოსიარულე კლუბადაც აქციოს.

ოთო თავის „სმარტს“ ადამიანივით ეფერება და მისი ხათრით ხშირად სალათისფერ სამოსსაც იცვამს. ერთადერთი, რაც მის „სათამაშო“ მანქანას ემტერება, ძლიერი ქარია.

— ოთო, მძღოლობის რამდენწლიანი სტაჟი გაქვთ?

— 2 წელია, რაც საჭესთან ვზიავარ, მაგრამ ერთი წელია კანონიერი მძღოლი გავხდი. მართვის მოწმობის გარეშე მთელი წელი ვიარე, რის გამოც უამრავი ჯარიმა გადავიხადე. მანქანა რომ ვიყიდე, იმ წელს ძალიან რთული გრაფიკით მომიწია ცხოვრება. გადაღებები, ვარჯიშები, კონკურსები, შეჯიბრებები, მოსწავლეები... დატვირთული რეჟიმით ვცხოვრობდი და მართვის მოწმობის აღებას როგორ შევძლებდი?

ერთ დღეს სამი მეგობარი „მერსედეს ცეელკით“ ავარიაში მოვყევით აეროპორტის გზატკეცილზე. 160 კმ/სთ სიჩქარით მივდიოდით, წვიმდა, მანქანა ისე მოგვიცურდა, ბოძი და ბორდიური გულში „ჩავიკარით“. ჩემი მეგობრის ავტომობილი გადასაგდები გახდა, ჩვენ კი მნიშვნელოვანი არაფერი დაგვშავებია, მაგრამ მკურნალობას მაინც გავდიოდი სახლში და სწორედ ამ პერიოდში ჩავუჯექი მართვის მოწმობის ბილეთებს, სხვა რა უნდა მეკეთებინა? მერე, როგორც კი კარგად ვიგრძენი თავი, წავედი და გამოცდაც ჩავაბარე.

— ეს ავტომობილი თქვენი პირველი შენაძენია?

— კაბრიოლეტი „მერსედეს სმარტი“ ჩემი პირველი მანქანაა, რომელიც 4500 დოლარად შევიძინე. 2 წლის წინ ასეთი ავტომობილი თბილისში არ დადიოდა. ძალიან საყვარელია, გოგოებისთვის ბიჭია და ბიჭებისთვის — გოგო.

— ასეთი პატარა ზომების მქონე მანქანა რატომ შეარჩიეთ?

— ქალაქს დღეში მილიონ წრეს ვურტყამ და რამე პატარა, სწრაფი, „მალალიტრაჟა“ მინდოდა, „სმარტი“ ამიტომაც შევარჩიე. ძალიან ეკონომიური და ამასთანავე — სწრაფია. ჩემს მანქანას საცობები არ აინტერესებს.

— სამაგიეროდ ამ მანქანაში ბევრ მეგობარს ერთად ვერ ჩასხამთ.

— მეგობრები მყავს, რომლებსაც დიდი მანქანები ჰყავთ. ასე რომ, აღარაა საჭირო, მეც დიდი მოცულობის მანქანით ვიარო. ერთ-ერთს ხომ უნდა გვყავდეს ასეთი პატარა ავტომობილი? ჩემი „სმარტი“ ორკაციანია, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ხუთნიც ვმსხდარვართ — სამი წინ და ორიც საბარგულში. არ იცით, ზაფხულში მანქანაში რა ამბები ხდებოდა! საბარგულში დიდი „ბასბოჩკა“ მედგა, ქვემოდან მწვანე ნეონები ანათებდა და ჭერგადახდილმა ბათუმი, ქობულეთი, გონიო და სარფი დავლაშქრე მეგობრებთან ერთად. სადაც ჩავივლიდი, ყველა უკან მომდევდა, მოსიარულე კლუბი ვიყავი, იმხელა ხმაზე უკრავდა მუსიკა.

— ესე იგი ქალაქგარეთ სასიარულოდაც გამოსადეგია მანქანაა?

— შორ გზაზეც საკმაოდ კომფორტულად ვმგზავრობ. ერთადერთი, რასაც ვერიდები, ძლიერი ქარია. ჩემი პატარა „სმარტის“ ქარში გამოყვანა საშიშია. ამ დროს აქეთ-იქით ისე ვირყევი, ზოლიდან ზოლში გადავდივარ. საბოლოო ჯამში, ამ მანქანის ძალიან კმაყოფილი ვარ, საცობებში ძალიან სწრაფია. წითელ

„ეს მანქანა ჩემი სახლი მგონია“.

შუქნიშანზე მდგარს სხვა მძღოლები ალმაცერად რომ გადმომხედავენ და წამებში ვეღარ მხედავენ, ამაზე ძალიან ვხალისობ.

— როგორი მძღოლი ხართ?

— ჩემი მანქანიდან უკმაყოფილო და შეშინებული არავინ გადადის, ამიტომაც ვფიქრობ, რომ ცუდი მძღოლი არ ვარ. სწრაფად სიარული რომ მინდოდეს, ამ ავტომობილით ვერც გავგიჟდები. 140 აქვს სიჩქარე, მაგრამ 150 კმ/სთ სიჩქარით სირბილი შეუძლია. ვიღაც ძალიან უნამუსო და უსინდისო უნდა იყოს, ჩემს „სმარტს“ გვერდით რომ ამოუდგეს და შეჯიბრში გამომიწვიოს. თუკი ვინმე მოპედით დამიდგება, ამ გამოწვევას სიამოვნებით მივიღებ. როცა მძღოლი უინტერესოდ მოძრაობს, ეს ყველაზე დიდ დისკომფორტს მიქმნის. ამ დროს მინდა, წინ გადავუხტე, მანქანაში ჩავუჯდე და მაგრად დავბეგვო. სარკეებში რომ არ იხედებიან, ეს საერთოდ მაოცებს!

— აგრესიული მძღოლი ხართ?

— საჭიროების შემთხვევაში ნამდვილად აგრესიული მძღოლი ვარ, გაბრაზებას ყველანაირად გამოვხატავ. შემიძლია ფანჯრიდან ფეხი და ხელი გადავყო და მწარედ შევიგინო.

— იმედია, ქალი მძღოლების მიმართაც ასეთ აგრესიას არ იჩენთ.

— ქალი საჭესთან ძალიან მომწონს. საჭესთან თუ ლამაზი მანდილოსანი ზის, გადახედავ და გესიამოვნება, ამას რა სჯობს? ცუდი მძღოლი კაცებშიც მოიძებნება და ქალებშიც, მაგრამ მშვენიერი სქესი განსხვავებულ მანევრებს აკეთებს. როცა მარჯვნივ უნდათ გადასვლა, მარცხნივ გადადიან, რაღაც გიჟობებს ჩადიან. ქალს ავარიული სიტუაციაც შეუქმნია ჩემთვის, თანაც საკმაოდ რთული, მაგრამ ჩემი მანქანა ისეთი სიცოცხლეა, ყველაფრიდან მარტივად პოულობს გამოსავალს. მოკლედ, ვფიქრობ, რომ ავტომობილის მართვას გადასარევად ვართმევ თავს. ავარიაც არ მომსვლია.

— პატარა ნაავარიევი რომ შეგნიშნე, ის რა იყო?

— ეს ჩემი ბრალი არ არის. მეგობარს ვათხოვე და წითელ შუქზე „მერსედესს“ დაეჯახა. ხომ ვითომ პატარა, პლასტმასის მანქანაა, მაგრამ ვისაც დაეჯახა, საკმაოდ დააზიანა, ჩემს მანქანას კი ნაავარიევი უმნიშვნელოდ დაეტყო.

— ნაწილებში თუ ერკვევით?

— ისე რა, მსუბუქად ვიცი, სად რა ხდება. საერთოდ, ჩემი „სმარტის“ ნაწილები ძალიან რთულად იშოვება. ამ ჩემს სიცოცხლეს ინტერნეტის საშუალებით ვუწერ ნაწილებს. რამე უმნიშვნელო რომ გაუფუჭდეს, ალბათ შევძლებ შეკეთებას, მაგრამ ძრავაში ვერ ჩავძვრები.

— მანქანის სალონში რას ინახავთ?

— ცეკვის ფორმები სულ საბარგულით დამაქვს. სისუფთავე ძალიან მიყვარს და როცა დრო მაქვს, ვუვლი კიდეც, მაგრამ ჩემი დატვირთული გრაფიკის გამო უმეტეს შემთხვევაში მამაჩემს ან ჩემს მეგობარს უწევს მისი გასარეცხად წაყვანა.

— პატრულისგან როგორ დამოკიდებულებას გრძნობთ?

— სანამ მართვის მოწმობა არ მქონდა, როგორც გითხარით, ბევრი ჯარიმის გადახდა მიწევდა. რამდენიმე თვის წინ შუქნიშანთან გავჩერდი. გვერდით პატრული ამომიდგა და მიცინოდა. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. ბოლოს მანიშნა, ფანჯარას ჩაუწიეო. ჩავუწიე ფანჯარას და მკითხა, მართვის მოწმობა აიღე თუ არაო. გამეცინა და ამაყად ვუპასუხე, რომ უკვე მქონდა.

— როგორც ოთო ფოლადაშვილს, ისე გცნობთ პატრული თუ როგორც არაკანონიერი მძღოლი, ისე დაამახსოვრეთ თავი?

— როცა მართვის მოწმობის გარეშე ვმოძრაობდი, მაშინაც იცოდნენ, რომ ოთო ფოლადაშვილი ვიყავი. სერიაც ისეთი მაქვს, იოლად დამიმახსოვრეს. როცა არაფერს ვაშავებ და პატრული მცნობს, მიხარია. საერთოდ, საჭესთან არაფერს ვაშავებ, ნასვამიც კი არ ვჯდები. თუ შემთხვევით დავარღვევ, პატრულს ბოდიშსაც ვუხდი. რითიც შეუძლიათ, შეღავათსაც მიწევენ, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ დამნაშავე ვინც უნდა იყოს, უნდა დაისაჯოს.

— მამა რას გეუბნებათ, როგორი მძღოლი ხართ?

— მისგან ბევრ შენიშვნას არ ვიღებ. ახლომხედველი ვარ და სათვალეს ვატარებ. რამდენიმე ხნის წინ მე და მამა კახეთში მივდიოდით ჩემი მანქანით. ბოლო სიჩქარით

„ბოლო სიჩქარით გავიბოდი, თან მანქანას ჭეში გადახდილი ჰქონდა. ორმო ვერ დავინახე და ისეთი ჩავარტყი, მამაჩემს ღვედი ხომ არ ჰქონოდა გაკეთებული, მანქანიდან გადამიხტებოდა და გარეთ მომიწევდა მისი მოძებნა“.

გავრბოდი, თან მანქანას ჭერი გადახდილი ჰქონდა. ორმო ვერ დავინახე და ისეთი ჩავარტყი, მამაჩემს ღვედი რომ არ ჰქონოდა გაკეთებული, მანქანიდან გადამიხტებოდა და გარეთ მომიწევდა მისი მოძებნა.

— ეს მანქანა ისე გიყვართ, ალბათ დიდხანს არ აპირებთ მის გამოცვლას.

— ჯერ არ მომბეზრებია, ქალაქისთვის მისწრებაა, მაგრამ ახალი ავტომობილი მაინც მინდა. ჯერ არ ვიცი, რას ვიყიდი. სავარაუდოდ, „ბეემვე“-ს ერთ-ერთ მოდელს შევიძენ. „სმარტთან“ განშორება ალბათ ძალიან გამიჭირდება. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მთელი ცხოვრება მასში მაქვს გატარებული, ჩემი სახლი მგონია, სადაც მართლა ყველაფერი მაქვს, რაც კი დამჭირდება.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

Cyan Magenta Yellow Black

■ ტომი და კეტი

ტომ კრუზს კეტი ჰოლმსის დაბრუნება სურს

ტომ კრუზი და კეტი ჰოლმსი ოფიციალურად განქორწინებულები არიან, თუმცა, ბოლო დროს გავრცელებული ინფორმაციით, ტომ კრუზს ყოფილ ცოლთან ურთიერთობის განახლება სურს. დასავლური ტაბლოიდის ცნობით, ტომი ყველაფერს აკეთებს დაკარგული ოჯახური ბედნიერების აღსადგენად.

— მის ცხოვრებაში არ არსებობს სხვა ქალი. ტომს ძალიან უნდა, რომ კეტი და ქალიშვილი სური ისევ მისი ოჯახი გახდნენ. ტომს მკაცრად აქვს გადაწყვეტილი, რომ ოჯახი აღადგინოს. კეტი და ტომი მუდმივად ურთიერთობენ ტელეფონით. კრუზს არაერთხელ უთქვამს, რომ კეტი მისი ცხოვრების ქალი ისევ გახდება, — ამბობს ვარსკვლავის მეგობარი ერთ-ერთ გამოცემასთან.

მეორე საკითხია, კეტი რამდენადაა მზად ამ ნაბიჯისათვის. ცოტა ხნის წინ დასავლური პრესა ალაპარაკდა, რომ კეტს რომანი აქვს 45 წლის მსახიობ ჯეიმი ფოქსთან. მართალია, ჯეიმი უარყოფს და ამბობს, რომ მეგობრის ყოფილ ცოლთან ურთიერთობას არ აპირებს, მაგრამ ფაქტია, რომ კეტი და ჯეიმი დიდ დროს ატარებენ ერთად. კეტს კი ყოფილი ქმრის გამოწვევაზე არცთუ ცუდი რეაქცია აქვს.

— ტომი ჩემი ცხოვრებიდან არ წასულა. დარწმუნებული ვარ, ჩვენი გზები ადრე თუ გვიან გადაიკვეთება, — ამბობს კეტი.

ვარსკვლავური ამბები

ფერჯი: „აღმოსავლურმა ცეკვამ გადამარჩინა!“

ამერიკელი მომღერალი ფერჯი, რომელიც რამდენიმე თვის წინ პირველად გახდა დედა, ახლა ისევ შესანიშნავ ფორმაშია. 38 წლის მომღერალს დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის, რომ სასურველ ფორმაში ჩამდგარიყო. ფერჯიმ ელენ დეჯენერესის თოქ შოუში თამამად ილაპარაკა, თუ რა მეთოდებით შეძლო წონის დაკლება. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ეფექტური იყო მუცლით ცეკვების ინტენსიური კურსი. ვარსკვლავმა ჯერ ტრენაჟორები სცადა, თუმცა სასურველი შედეგი მას შემდეგ მიიღო, რაც მომაბეზრებელი ვარჯიშები ცეკვებით ჩაანაცვლა.

■ ფერჯი

თუმცა ფერჯი ბოლომდე გულახდილი არ იყო, რადგან ცოტა ხნის წინ ის პაპარაცებმა დილით მორბენალი დააფიქსირეს, თან გვერდით პერსონალური მწვრთნელი ახლდა.

— მშობიარობის შემდეგ ქალისათვის ყველაზე საშინელი საგანი სარკეა. როცა პირველად ჩავიხედე სარკეში, შოკში ჩავვარდი. მთელი ცხოვრება სხეულის პროპორციებისათვის ვიბრძვი და ბავშვის გაჩენის შემდეგ ყველაფერი თავდაყირა დადგა. გაგიჟებული შევვარდი სპორტდარბაზში, მაგრამ გახდომის პროცესი ძალიან ნელა მიდიოდა. მირჩიეს, მუცლით ცეკვის ინტენსიური კურსები დამეწყო. ეს საქმე უფრო სახალისო აღმოჩნდა. ენერგიული და ვნებიანი აღმოსავლური ილეთების გაკეთება დიდი სიამოვნებაა და ამასთან ერთად შედეგსაც მალე გრძნობ. აღმოსავლურმა ცეკვამ გადამარჩინა! — ამბობს ფერჯი.

„მაკდონალდსმა“, „VISA“-მ და „საქართველოს ბანკმა“ მომხმარებელს სწრაფი გადახდის სისტემა შესთავაზეს

„მაკდონალდსის“ რესტორნების ქსელში უნაღდო ანგარიშსწორება უკვე შესაძლებელია, დაზოგავთ დროს და ენერგიას. მომსახურების გაუმჯობესების მიზნით „მაკდონალდსი“ მომხმარებელს ყველა ტიპის საბანკო ბარათთან ერთად თანამედროვე „VISA pay Wave“ უკონტაქტო ბარათით გადახდასაც სთავაზობს. საქართველოს ბანკის და „მაკდონალდსის“ აქტიური თანამშრომლობის შედეგად შესაძლებელი გახდა, რომ „მაკდონალდსის“ რესტორნების ქსელში მომხმარებელმა ყველა ტიპის პლასტიკური ბარათებით ყოველგვარი პინკოდებისა და ხელმოწერების გარეშე 45 ლარის სერვისი რამდენიმე წამში მიიღოს.

ამ თანამშრომლობის შედეგად ყველაზე მეტად მოგებული მომხმარებელი დარჩა. თუ აქამდე კლიენტის მომსახურების პროცესი, შეკვეთის მიღება, კლიენტის მიერ ფულის გადახდა, ხურდის დაბრუნება და ჩეკის მიღება 18 წამს უნდებოდა, ახლა უკონტაქტო ბარათით სარგებლობის შემთხვევაში ეს დრო 6-8 წამამდე შემცირდა. ინოვაციურმა მეთოდებმა კი ეს ბარიერიც

გადალახა. მომხმარებელს ასევე საშუალებას აძლევს, შენაძენი სმარტფონის ტერმინალთან ახლოს მიტანითაც განახორციელოს, ანუ ანგარიშსწორება მობილური ტელეფონით მოახდინოს.

„მაკდონალდსის“ რესტორნების ქსელში დანერგილი ეს სიახლე პირველად „მაკდონალდსის“ პრეზიდენტმა თემურ ჭყონიამ, „მაკდონალდსის“ გენერალურმა დირექტორმა თენგიზ კაპანაძემ, „საქართველოს ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა და „VISA“-ს რეგიონალურმა მენეჯერმა ირინა ქამხაძემ გამოსცადეს. ეს სიახლე მომხმარებლებმაც აქტიურად აიტაცეს და გადახდის ეს ფორმა მისი დანერგვის პირველ დღესვე გახდა პოპულარული.

თენგიზ კაპანაძე, „მაკდონალდსის“ გენერალური დირექტორი:

– „მაკდონალდსისათვის“ ყოველთვის მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელს რაც შეიძლება კომფორტული და სწრაფი მომსახურება შევთავაზოთ. ჩვენს რესტორანში მომსახურება წამებშია გათვლილი, ამიტომაც ეს თანამედროვე, უკონტაქტო ბარათებითა და მობილური ტელეფონებით გადახდის პროცესი მომხმარებელს კიდევ უფრო მეტ საშუალებას აძლევს, ნაკლები დრო დახარჯოს შეკვეთის პროცესში. „საქართველოს ბანკთან“ და „VISA“-ს წარმომადგენლობასთან ერთად შევძელით ის, რომ მომხმარებლისთვის უკონტაქტო გადახდისას 45 ლარიანი ლიმიტი მიგვეცა, რა დროსაც კლიენტი ვალდებული არ არის, ჩეკზე ხელი მოაწეროს ან პინკოდი შეიყვანოს.

თემურ ჭყონია, „მაკდონალდსის“ პრეზიდენტი:

– „საქართველოს ბანკთან“ ძალიან გრძელვადიანი და სერიოზული ურთიერთობა გვაქვს. ჩვენი მიზანია, რომ „მაკდონალდსის“ ისედაც სწრაფი მომსახურება კიდევ უფრო სწრაფი გახდეს. პარალელურად გრძელდება „მაკდონალდსის“ რესტორნების ქსელის გაფართოება და მომავალი წლისთვის თბილისის სხვადასხვა უბნებში ორი რესტორანი გაიხსნება. ამ ეტაპზე უკვე „მაკდონალდსის“ ქსელში 33 მილიონი დოლარის ინვესტიცია გვაქვს განხორციელებული. მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე, მზად ვართ, ინვესტიციების რაოდენობა მუდმივად გავზარდოთ.

ირაკლი გილაური, „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი:

– „საქართველოს ბანკი“ მოხარულია, რომ საქართველოში ერთ-ერთ მსხვილ სარესტორნო ქსელს, „მაკდონალდსს“ განვითარებაში ხელს უწყობს. ჩვენ ვთანამშრომლობთ არა მარტო ახალი პროექტებისათვის სესხების გამოყოფაში, არამედ ახალი ტექნოლოგიების დანერგვაშიც. უკონტაქტო სისტემა „საქართველოს ბანკის“ მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, ძალიან სწრაფად მიიღოს სასურველი სერვისი. აქვე დავამატებ ერთ სიახლეს, რომელსაც „საქართველოს ბანკი“ 1 დეკემბრიდან შესთავაზებს თავის მომხმარებელს: „საქართველოს ბანკის“ ტერმინალში Express Card-ით თუ ათჯერ გადაიხდით მინიმუმ 5 ლარს, ბანკისგან საჩუქრად მიიღებთ 5 ლარს.

ირინა ქამხაძე, „VISA“-ს რეგიონალური მენეჯერი კავკასიაში:

– 50 წელზე მეტია, „VISA“ მთელ მსოფლიოში თანამშრომლობს ბანკებთან, სავაჭრო ობიექტებთან და სახელმწიფო სტრუქტურებთან. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ მოვიპოვეთ უსაფრთხოების და სანდოობის მაღალი ხარისხი. საქართველოში „VISA“ 15 წლის წინ შემოვიდა და მას შემდეგ ძალიან აქტიურად არის ჩართული საქართველოში ელექტრონული გადახდების სისტემის გაუმჯობესებაში. ამიტომაც აუცილებელი გახდა, შემოგვეტანა და დაგვენერგა „VISA“ ბარათების უკონტაქტო სისტემა. „VISA“-ს მფლობელებს უკვე შეუძლიათ, ამჯერად „მაკდონალდსის“ ქსელში მიიღონ სწრაფი და უკონტაქტო ტრანზაქცია.

კეიტ მიდლტონი ქარმა უხერხულ სიტუაციაში ჩააგდო

კეიტ მიდლტონი

ინგლისის პრინცის ცოლი, კეიტ მიდლტონი, უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა. კეიტმა მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო ღონისძიებაში, რომელიც სკოლის ასაკის ბავშვების ემოციური ჯანმრთელობისადმი იყო მიძღვნილი. ამ საღამოსათვის კეიტმა ოთხი თვის შვილი სახლში, ძიძასთან დატოვა და ვერც კი წარმოიდგენდა, რომ სულ სხვა კუთხით მიიქცევდა ხალხის ყურადღებას.

იმ დღეს წვიმა და ძლიერი ქარი იყო. როცა კეიტ მიდლტონი მანქანიდან გადმოვიდა, მას ბავშვები თაიგულებით დახვდნენ. ზუსტად ამ დროს ქარმა დაუბერა და კეიტის კაბა ზუსტად ისე ააფრიალა, როგორც თავის დროზე მერილინ მონროს კაბა ააფრიალეს ფოტოსესიისათვის. უხერხულობისაგან კეიტი გაწითლდა, კაბა ჩამოიწია და შენობაში შევიდა.

სახალხოდ პატარა კონფუზი კეიტისათვის პირველი არ არის. მარტში ის და ულიამი ირლანდიის პირველი ბატალიონის სამხედრო აღლუმზე მივიდნენ. მაშინ ყურადღება მიიქცია კეიტის პალტომ, რომელიც მას უკვე რამდენჯერმე ეცვა და ფეხსაცმლის მორყეულმა ქუსლმა.


ადამ ლივაინი

ადამ ლივაინი 2013 წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცია

ამერიკულმა ჟურნალმა „ფიფლმა“ 2013 წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცების რეიტინგი გამოაქვეყნა. პირველი ადგილი 34 წლის მუსიკოსმა ადამ ლივაინმა დაიკავა, რომელმაც ჯასტინ ტიმბერლეიკიც კი უკან ჩამოიტოვა. როკჯგუფ „მარუნ 5“-ის სოლისტი და ტელეშოუ „ვოისის“ მწვრთნელი ბოლო დროს ძალიან პოპულარულია ქალებში. მას რომანები ჰქონდა ნატალი პორტმანთან, ჯესიკა სიმპსონთან, მარია შარაპოვასთან და რუს მოდელ ანა ვიალიცინასთან, რომელთან ერთად მუდმივად პოზირებს სხვადასხვა ჟურნალის გარეკანისთვის.

ამ ზაფხულს ადამმა ცოლობა სთხოვა ვიქტორია სიკრეტის 24 წლის მოდელ ბეხატი პრინსლუს. წყვილი ამჟამად ქორწილის სამზადისშია.

საკვირველია, მაგრამ სექსუალური მამაკაცების სიაში საერთოდ ვერ მოხვდნენ ისეთი აღიარებული სექსსიმბოლოები, როგორებიც არიან ბრედ პიტი და ჯონი დეპი.

პირველ ათეულში ვერც ახალი ვარსკვლავები — მაიკლ ფესენბერგი და კრის ჰემსვორტი გავიდნენ. მეორე ადგილი ბრიტანელმა მსახიობმა იდრის ელბამ დაიკავა, ხოლო მესამე პოზიცია ქანთრის მომღერალ ლუკ ბრაიანს ერგო.

ტოპათეულში გავიდნენ ჯასტინ ტიმბერლეიკი, ტელეწამყვანი ჯიმი ფელონი, მსახიობი კრის პეინი, მომღერალი ბრუნო მარსი და პროდიუსერი ფარელ უილიამსი.

ჯენიფერ ენისტონის რჩეული მამაკაცი ჯასტინ ტერუ მე-11 ადგილზე აღმოჩნდა, სამაგალითო მეოჯახედევიდ ბეკჰემი კი მე-12 ადგილს დასჯერდა.

შვეიცარული გლუკომეტრი 29ლარი!
ქოლესტერინის აპარატი 40 ლარი!

ვცვლით ძველ აპარატებს ახალზე 15 ლარის დამატებით!!!

აკონტროლეთ თქვენი ჯამრთელობა!

უახი უთხახით მიოკახდიუმის ინფაქჩტს და ათეროსკლეროზს!

გაიზომეთ დამოუკიდებლად ქოლესტერინი და გლუკოზა!

მის: ბორჯომის ქ. №4 (გერმანიის საელჩოს პირდაპირ)

ტელ: 235 44 05; 599 19 60 55. www.glucometer.ge

ეტრო – ქალი სამ განზომილებაში

ეტროს მოდის სახლმა 2013-2014 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექცია მკაცრი კლასიკური სილუეტით, სიმეტრიული პრინტებითა და ერთი ტონალობის ელემენტებით შექმნა. საღამოს კაბების ბლოკი უჩვეულო შთაბეჭდილებას ტოვებდა — წვეულებაზე ნახევრად გლამურული და ნახევრად ბაიკერი ქალი მივიდა. ასევე დიდი აქცენტი გაკეთდა ტყავისა და ბეწვის კომბინაციაზე. საერთო ჯამში, ამ სეზონზე ეტროს ქალი სამ განზომილებაში იყო წარმოდგენილი.

პარა ბლიცი

უფრო ძლიერი ვიდრე ტილები

განთავისუფლდით ტილებისგან სულ რაღაც 10 წუთში

- ეფექტურია ერთჯერადი გამოყენებისას
- შეიცავს ორ აქტიურ ნივთიერებას
- 1 აეროზოლი – სრული მკურნალობა მთელი ოჯახისათვის

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

მწარმოებელი: ლაბორატორია " OMEGA PHARMA" (საფრანგეთი)

წარმომადგენლობა საქართველოში: ფიკ მედიკალი. ტელ/ფაქსი: 255-20-59. ელ-ფოსტა: ficmedical_georgia@yahoo.com

კახა კოჟორიძემ ეგვიპტიდან სიდედრს ლასტები ჩამოუტანა

„პარიზი ისე დავტოვე, ეიფელის კოშკი თვითმფრინავიდანაც ვერ დავინახე"

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძისთვის პირველი საზღვარგარეთული მოგზაურობა საქორწინო გახლდათ, როდესაც ცოლთან, თინათინ ჩანადირთან ერთად ეგვიპტეში გაემგზავრა. ბუნებრივია, ეს მისთვის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ და თანაც კომიკური ისტორიებით გაჯერებულ მოგონებად იქცა. მას შემდეგ არაერთი საინტერესო და მშვენიერი ადგილი მოინახულა უცხოეთში, მაგრამ ცოლის წაყვანა ვეღარ მოახერხა, თუმცა ყველაფერი ჯერ წინაა.

— კახა, როგორ გახსენდებათ თქვენი სულ პირველი მოგზაურობა საზღვარგარეთ?

— პირველი მოგზაურობა განსაკუთრებულად შთამბეჭდავი იყო, ოღონდ არა იმიტომ, რომ პირველად წავედი სხვა ქვეყანაში. საქორწინო მოგზაურობა პირადად ჩემთვის ყველაზე გამორჩეული იყო. ეგვიპტეში თებერვალში წავედით, მაშინ, როცა საქართველოში სუსხიანი ზამთარი იყო. ეგვიპტის ზღვის სილამაზემ განსაკუთრებულად მომხიბლა. სულ სხვაა ტელევიზორში და სურათებით ნანახი ზღვის ფერად-ფერადი თევზები და წყალმცენარეები და სულ სხვა — ეს ფერთა საოცარი გამა რეალურად რომ ვნახე. მართლა წარმოუდგენელი სილამაზე დამიდგა თვალწინ, თავი სიზმარში მეგონა.

— ეგვიპტე საფუძვლიანად დაათვალიერეთ?

— სამწუხაროდ, პირამიდების სანახავად წასვლა ვერ მოვახერხეთ, რადგან იმ პერიოდში იქ დიდი არეულობა იყო. ჩემი ცოლი, თინა, ძალიან კარგად ცურავს და ზღვის დათვალიერებაში შემომიერთდა. მეგობრებისა და ოჯახის წევრებისათვის სუვენირების საყიდლად რამდენჯერმე გავედით. იქაური ვაჭრობის სტილი ძალიან საინტერესოა. თუ ხვდებიან, რომ ტურისტი ხარ, ყველაფერს ძვირს გიფასებენ და ცდილობენ, ძვირად მოგყიდონ. ადგილობრივები სუნამოებს აწარმოებენ, რომლებიც ფრანგულს ძალიან ჰგავს. ინტერესის გამო ვიყიდეთ კიდეც.

ბოლოს იქაური ვაჭრობის სტილიც „დავამუღამეთ". მაღაზიასთან რომ ჩაივლი, გამოვა გამყიდველი და მოკრძალებულად, მეგობრულად ცდილობს კომუნიკაციის დამყარებას. გთხოვს, მაღაზიაში თუნდაც დასათვალიერებლად შეხვიდე. თუ შეხვალ, პატარა საჩუქარს უფასოდ გჩუქნის, ჩაის შემოგთავაზებს, მერე უკვე თავს ვალდებულად თვლი, რაღაც იყიდო, ოღონდ ისეთ ფასს გეუბნება, იმ საჩუქარს ათმაგად ინაზღაურებს. მოკლედ, მაინც მოახერხეს, „დაგვაბოლეს" და ერთ-ერთ მაღაზიაში შეგვიყვანეს. საქართველოში გამყიდველი შეიძლება გულგრილად მოგექცეს ან საერთოდ ყურადღება არ მოგაქციოს, ეგვიპტეში კი გამყიდველებს მომხმარებლის ფსიქოლოგია ისე აქვთ შესწავლილი, სანამ თავს არ მოგაბეზრებენ, ეფექტურად მოქმედებენ. ამ გამყიდველმა ძალიან მომაბეზრა თავი, უამრავი რაღაც შემომთავაზა და ბოლოს მთხოვა, მაღაზიის წლისთავია და წიგნში კეთილი სურვილები ჩამიწერეო. ქართულად ჩავუწერე და ვინც კი იმ მაღაზიაში ქართველი შევიდოდა, იქაურობის მალე დატოვებას ვურჩევდი.

— სუვენირების გარდა, რა შეიძინეთ ეგვიპტეში?

— ჩემთვის აქლემის ტყავის საფულე და გველის ტყავის ქამარი შევიძინე, თინას კი ნიანგის ტყავის ჩანთა მოეწონა და ვუყიდე. განსაკუთრებული ფასი არ გადამიხდია, მაგრამ მაინც ძვირი ღირდა. ჩემს სიდედრს ცურვა ძალიან უყვარს. მე და თინამ მას საჩუქარი გავუკეთეთ და ლასტები ჩამოვუტანეთ. არ მოელოდა და გაუხარდა.

— ევროპაშიც იქნებით ნამყოფი, თუნდაც საქმიანი ვიზიტით.

— მქონდა ბედნიერება და 2012 წელს პარიზში მოვხვდი, სადაც ადვოკატების კონფერენცია იმართებოდა. გაგეცინებათ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ პარიზი ისე დავტოვე, ეიფელის კოშკი თვითმფრინავიდანაც ვერ დავინახე, მაგრამ ნოემბრის პარიზი თავისი წითელ-ყვითელი ფოთლებით... ვერ გეტყვით, რა სილამაზეა! ბევრ ლამაზ ქალაქში ვარ ნამყოფი: ვაშინგტონში, ნიუ იორკში, დალასში, პრაღაში, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ პარიზი ყველასგან გამორჩეულია. აქ ძველი და თანამედროვე ერთმანეთს ძალიან ლამაზად ერწყმის. ცოტა დრო გვქონდა და პარიზის მუზეუმებშიც ვერ მოვახერხე შესვლა.

„სადაც ჩავდივარ, შეძლებისდაგვარად ტანსაცმელს ჩემთვისაც ვყიდულობ და თინასთვისაც. ბოლოს ეთი ჯაბა — ვაშინგტონში და ეთიც — ნიუ იორკში ვეუყიდე. იმდენად ზუსტად მოეხვა, ოჯახის წევრები აღფითოვანებულები დარჩნენ".

— ამერიკაშიც ყოფილხართ. თქვენც მიიღეთ შოკი ამ ქვეყანაში, როგორც ბევრმა ქართველმა?

— ამერიკაში გაზაფხულზე ვიყავი. თვითმფრინავიდან ნიუ იორკს რომ გადახედავთ, პირველად, რასაც გაიფიქრებთ, ეს ყველაფერი ადამიანმა როგორ შექმნაო. ცათამბჯენების ტყეს დაინახავთ. ნიუ იორკს არასოდეს სძინავს. ქუჩაში ხალხი სწრაფად მოძრაობს, ყველას სადღაცას ეჩქარება.

ამ ვიზიტის დროს ბევრი საინტერესო მუზეუმი დავათვალიერე, მათ შორის — საჰაერო სივრცის მუზეუმი, სადაც, ძველი საჰაერო ხომალდების თავდაპირველი ვარიანტიდან დაწყებული კოსმოსური ხომალდით დამთავრებული, ყველაფერს ნახავთ. ნიუ იორკში ამდენი ცათამბჯენი ცის დანახვაში ხელს უშლის ადამიანს. ვაშინგტონი კი უფრო გაშლილი ქალაქია და ცას მეტადაც დაინახავთ, ამიტომ უფრო მომეწონა. შეიძლება ეს იმან განაპირობა, რომ ეს ქალაქი გაზაფხულზე განსაკუთრებულად ლამაზია. ამ დროს იაპონური ალუბლები ყვავის და ვერ აგიწერთ, რა წარმოუდგენელი სილამაზეა!

„ყველას ვუჩჩევ, ვინც ნიუ იორკში მოხვდება, ყველაფერი გადადოს, აქ ტანსაცმელი იყიდოს, აქ ჯაფეში შეიარხოს და ბროდვეის შოუზე ნავიდეს".

დალასიც ვნახე. იქ ერთი მშვიდი ადგილია, რომელიც მილიონერების უბნად ითვლება. მიდიხარ და უამრავი ზღაპრული სახლი გხვდება. ამდენმა ადამიანმა მილიონები როგორ იშოვამეთქი, ამას ვფიქრობდი. დალასში რომ ჩახვალთ, მილიონერთა რაოდენობა გაგაკვირვებთ.

ამერიკაში სიამოვნებით ვიცხოვრებდი, მაგრამ ალბათ ყველა ქართველის სურვილია, რომ საბოლოო შეხების წერტილად მაინც საქართველო ჰქონდეს.

კიდევ რამ მომხიბლა და გამაკვირვა, იცით? ცათამბჯენები და მუზეუმები მართლა ძალიან მაგარია, მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემზე ბროდვეის შოუმ მოახდინა. რამდენიმე სპექტაკლი გადიოდა, ერთ-ერთი „სპაიდერმენი" იყო. გამოგიტყდებით და, ეს ფილმი არ მიყვარს, მეგობრებმა მაინცდამაინც „სპაიდერმენზე" მოინდომეს წასვლა. ფეხი ავიტრიე, 12 წლის ბავშვი ხომ არ ვარ-მეთქი, მაგრამ მაინც წავედი. ვერ გეტყვით, ეს რა საოცრება იყო! ასეთი მაგარი თუ იქნებოდა ბროდვეის შოუ, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი! მსახიობები საოცრად თამაშობდნენ, სპაიდერმენის ცოცვას ისეთი ეფექტები ჰქონდა... დარბაზის მთელი სივრცე მას ჰქონდა დაკავებული. წარმოუდგენელი შთაბეჭდილებით გამოვედი. როცა მეკითხებიან, ამერიკაში ყველაზე მეტად რა მოგეწონაო, ბროდვეის შოუმეთქი, აუცილებლად ვპასუხობ. ყველას ვურჩევ, ვინც ნიუ იორკში მოხვდება, ყველაფერი გადადოს, არც ტანსაცმელი იყიდოს, არც კაფეში შეიაროს და ბროდვეის შოუზე წავიდეს. სამწუხაროდ, დრო არ მქონდა, რომ მეტი სპექტაკლი მენახა.

— ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ ამერიკას რაოდენ შეაფასებთ?

— არსებობს საკითხები, რომლებშიც ჩვენზე წინ დგანან, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ ამ მხრივ ჩვენთან კატასტროფული სიტუაციაა. რელიგიურ ორგანიზაციებს შორის იქაც არის დაპირისპირება. ამერიკაში სამი კვირის განმავლობაში ვიყავით, რამდენიმე ქალაქი მოვინახულეთ. ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციებში დავდიოდით. თუ საია-ს მიერ აქ გაკეთებულ საქმეს იქაური საია-ს საქმიანობას შევადარებ, არ ვიქნები მიკერძოებული და გეტყვით, რომ ამ საკითხში მათ თუ არ ვჯობივართ, არაფრით ჩამოვუვარდებით. ჩვენ 130 თანამშრომელი გვყავს, ორგანიზაციის ეს მასშტაბი ამერიკაშიც კი დიდად ითვლება.

— უცხო ქვეყნის საშზარეულოს ი... →44

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ლად ეგუებით?

— უცხო ქვეყნის სამზარეულოთი ყოველთვის ვინტერესდები და მინდა გითხრათ, რომ ქართულ კერძებზე მაგარი არსად არაფერი მეგულება. ამერიკაში ყოფნის დროს ფასტ ფუდებითაც ვსარგებლობდით და ეგზოტიკურ რესტორნებშიც დავდიოდით. ზღვის პროდუქტებს დიდ პატივს ვცემ. ჩეხეთში არ შეიძლებოდა, ლუდი არ გამესინჯა. მართლა ძალიან მაგარი ლუდი აქვთ, თუმცა მე წითელი

„გამყიდველმა ძალიან მომაბეზხა თავი, უამრავი ხაღაც შემომთავაზა და ბოლოს მთხოვა, მაღაზიის ნღისთავია და ნიგნში ჯეთილი სუჰვილები ჩამინეხეო. ქართულად ჩავუნეხე და ვინც ჯი იმ მაღაზიაში ქართველი შევიდოდა, იქაუჰობის მაღე დატოვებას ვუჰჩევდი".

ღვინო მირჩევნია. ეგვიპტეში რომ ვიყავი, რესტორანში წითელი ღვინო მოვითხოვეთ. მიმტანს ვკითხეთ, სადაური ღვინოა-თქო და დიდ შეურაცხყოფად მიიღო, ჩვენი ეროვნული ღვინო გვაქვსო, მაგრამ, რომ გავსინჯე, ჩვენს ღვინოებთან ნამდვილად ვერ მოვა. ქართული ღვინო ნებისმიერი ქვეყნის ღვინოს ღირსეულ კონკურენციას გაუწევს.

— თვითმფრინავით მგზავრობა გიყვართ?

— კი, არანაირი პრობლემა არ მაქვს. თვითმფრინავთან დაკავშირებით ერთი შემთხვევა მახსენდება. პარიზის აეროპორტში ისე დამაგვიანდა, კინაღამ თვითმფრინავმა გამასწრო. დიდი პუნქტუალურობით არ გამოვირჩევი, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემი ბრალი არ ყოფილა. საცობში მოვყევი და აეროპორტში რომ მივედი, აღარ მიშვებდნენ. ხელმძღვანელი მოვითხოვე, სიტუაცია ავუხსენი და ასე გამომიშვეს.

— უცხოეთში საყიდლებზე სიარულისთვის დრო გრჩებათ?

— კი, საყიდლებზე სიარულს ვახერხებ. სადაც ჩავდივარ, შეძლებისდაგვარად ტანსაცმელს ჩემთვისაც ვყიდულობ და თინასთვისაც. ბოლოს ერთი კაბა — ვაშინგტონში და ერთიც — ნიუ იორკში ვუყიდე. იმდენად ზუსტად მოერგო და ისე მოუხდა, ოჯახის წევრები აღფრთოვანებულები დარჩნენ. სიმართლე გითხრათ, თინასთვის ზომაც კი არ მიკითხავს. კაბა ხელში რომ ავიღე, თვალის ზომით მივხვდი, მოერგებოდა თუ არა.

— ცოლი თან არ დაგყავთ საქმიან ვიზიტებში?

— სამწუხაროდ, მე და თინა ერთად საზღვარგარეთ, ეგვიპტის გარდა, არსად ვყოფილვართ. ეს საკითხი ორივეს ძალიან გვაწუხებს. სხვა ქვეყანაში — არა, მაგრამ საქართველოს ფარგლებში ვახერხებთ ერთად წასვლას.

— კონკრეტულად სად დადიხართ?

— გასულ ზაფხულს რაჭა-ლეჩხუმის სოფელ ლაილაშში ვიყავით. ჩემი ცოლის ბებია ამ სოფლიდან გახლავთ, ძალიან ლამაზი ბუნებაა.

საქართველოში სადაც ვარ ნამყოფი, ყველაზე მეტად ხევსურეთი მომეწონა. პირველად სამსახურიდან ექსკურსიაზე გახლდით და მართლა დაუვიწყარი დრო ვატარეთ. მთა უნახავადაც მიყვარდა და აღბათ ეს ვაჟას გავლენის ბრალია. ვაჟა-ფშაველა ჩემი საყვარელი პოეტია. დიდი მონადირე არ ვარ, მაგრამ ნადირობაც მიყვარს.

— სად დადიხართ სანადიროდ?

— ძირითადად მწყერზე ვნადირობ. ხაშურშიც დავდივარ და ვარძიისკენ, ნიალას ველებზეც, სადაც უამრავი მწყერია, განსაკუთრებით კი გადაფრენის დროს. მეხორცე მონადირეები ასობით მწყერს რომ ხოცავენ და მერე ტრაბახობენ, ასე ნამდვილად არ ვარ. იმას თუ ვიტყვი, რომ ფრინველის დახოცვა ჩემთვის ერთერთი საუკეთესო განმუხტვის საშუალებაა, როგორც უფლებადამცველისათვის, ალბათ არ არის კარგი, მაგრამ ნადირობა მართლა ძალიან მიყვარს.

რამდენჯერმე ძალის ხეობაშიც ვარ ნამყოფი, სადაც ულამაზესი ბუნებაა. იქ გახლავთ ოსების მიტოვებული სოფელი, სულ რამდენიმე ქართველი ოჯახიღა ცხოვრობს. იმ სილამაზის ნახვის შემდეგ გული დაგწყდებათ, რომ იქ მეტი არავინ ცხოვრობს. იქვე მონადირეების სახლს ნახავთ, სადაც ღუმელი გემრიელად გუგუნებს და რამდენიმე დღის ტკბილად გატარებას შეძლებთ.

— საქართველოს კუთხეებში საიარულსაც მოგზაურობად მიიჩნევთ?

— ამას მოგზაურობას ვერ ვუწოდებ, რადგან ეს უფრო ფრაგმენტული ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ პატარა ქვეყანა ვართ, საქართველოში უამრავი ლამაზი ადგილია სანახავი. თუშეთის ნახვა ძალიან მინდა. საიაში ადვოკატად რომ ვმუშაობდი, ჯუმბერ ლეჟავას ადვოკატი გახლდით. თანამშრომლებს ექსკურსიაზე წასვლა გვინდოდა, ბატონ ჯუმბერს ვკითხეთ რჩევა, სად წავსულიყავით და თუშეთი გვირჩია — ამდენ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ თუშეთი ერთადერთია, სადაც ყველა კუთხე-კუნჭული გამორჩეულიაო. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ წასვლა, მაგრამ აუცილებლად წავალ.

„დაღასში ეთი მშვიდი ადგილია, ჰომელიც მილიონეხების უბნად ითვლება. მიდიხარ და უამრავი ზღაპრული სახლი გხვდება. ამდენმა ადამიანმა მილიონები ჰოგოს იშოვა-მეთქი, ამას ვფიქრობდი".

ჯუმბერ ლეჟავას, როგორც დიდ მოგზაურს, მსოფლიო იცნობს. მისი პერსონალური ისტორია უაღრესად საინტერესოა. რომელიმე კარგმა მწერალმა მის ცხოვრებაზე შეიძლება კარგი წიგნი დაწეროს. ამ ადამიანმა მოგზაურობა მაშინ დაიწყო, როცა უკვე ხანშიშესული იყო. უაღრესად პატიოსანი ადამიანია, მისდამი საოცარი პატივისცემით ვარ განმსჭვალული. 2003 წელს, როცა ჯუმბერ ლეჟავამ მსოფლიოს ყველა ქვეყანა შემოიარა და საქართველოში დაბრუნდა, იმდროინდელმა პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ გამოსცა განკარგულება, რომ ამ ადამიანის მსოფლიო მოგზაურობის შთაბეჭდილებების ამსახველი მრავალტომეულიდან პირველი ორი ტომის დასაბეჭდად ფინანსთა სამინისტროს 30 000 ლარი გამოეყო. ჯუმბერ ლეჟავას თავისი შთაბეჭდილებები 10 000-მდე თაბახის ფურცელზე აქვს დწერილი. ერთხელ გულდაწყვეტილმა მითხრა, რამდენიმე წლის წინ ორმა ევროპელმა ყველგანმავალი მანქანით აფრიკა მოიარეს და ამაზე სენსაციური სტატიები დაიწერაო. ამ ადამიანმა მსოფლიო ველოსიპედით მოიარა და ამაზე წიგნი დღესაც არ არის გამოცემული. ფინანსთა სამინისტრომ თანხები არ გამოუყო.

მერე, როცა ხელისუფლება შეიცვალა, პრობლემები მაინც გაჩნდა. მისი პოლიტიკური შეხედულებები არ ემთხვეოდა ნაციონალური მოძრაობის შეხედულებებს. ბრიტანეთიც ეხვეწებოდა და ამერიკაც, რომ თვითონ დაუფინანსებდნენ და ბევრად უფრო მაგარ გამოცემას გააკეთებდნენ, მაგრამ ბატონ ჯუმბერს სურდა, რომ ეს საქართველოს სახელით გაკეთებულიყო. 2007 წელს სარჩელი შევიტანეთ, პირველ ინსტანციაშიც მოვიგეთ და აპელაციაშიც, შემდეგ უზენაესმა საქმე უკან დააბრუნა, საბოლოოდ კი უზენაესმა სასამართლომ სამარცხვინო გადაწყვეტილებებით არ დაკმაყოფილა ეს სარჩელი.

დღესაც არსებობს პრეზიდენტის აქტი და ამ აქტისადმი პატივისცემა ყველა ხელისუფლებას ევალება. ეს საქმე დღემდე ბოლომდე არ არის მიყვანილი. თქვენი სტატიის საშუალებით მინდა, დღევანდელ ხელისუფლებას, პრეზიდენტს, პრემიერმინისტრსა და ფინანსთა მინისტრს მივმართო, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმე ბოლომდე მიიყვანონ. ეს წიგნი საქართველოსთვის სავიზიტო ბარათი იქნება.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**

■ სენტ ჯონსი

კარიბის ზღვის საოცრება — ადგილი, სადაც ატლანტის ცივა და ატლანტის ცხელა

სენტ ჯონსი კარიბის ზღვაში მდებარე მარჯნის რიფებით გარშემორტყმული კუნძულოვანი ქვეყნის ანტიგუა და ბარბუდას დედაქალაქია. ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი აფრიკული წარმოშობისაა. სენტ ჯონსი ტურისტებით განებივრებულია. მათი მიზიდვის ძირითად წყაროს კი პლაჟების სიმრავლე და მათი ნაირსახეობა წარმოადგენს.

სენტ ჯონსში ტურისტებისათვის თანამედროვე და კომფორტული სასტუმროებია აშენებული. დედაქალაქში ყველაფერია იმისათვის, რომ მათ დაუვიწყარი დასვენების დღეები

Cyan Magenta Yellow Black

გაატარონ.

მცირე ხამ ისტორიიდან

როგორც ქვეყანაში, ასევე მის დედაქალაქში, ძირძველი მკვიდრი მოსახლეობა ინდიელი არავაკები იყვნენ. მე-13 საუკუნეში კი ამ კუნძულებზე კარიბების მეომარი ხალხი გადავიდა. 1493 წელს, თავისი მეორე მოგზაურობის დროს, აღმოაჩინა ქრისტეფორე კოლუმბმა ეს ქვეყანა, ხოლო 1632 წლიდან ანტიგუა და ბარბუდა დიდი ბრიტანეთის მმართველობის ქვეშ მოექცა. იქ გავრცელებული იყო მონათმფლობელობა, რომელიც ქვეყანაში 1834 წელს აიკრძალა.

1958-1962 წლებში ქვეყანაც და დედაქალაქიც ვესტ ინდოეთის ფედერაციაში იმყოფებოდა, 1981 წლის 1 ნოემბერს კი ოფიციალურად მოიპოვა დამოუკიდებლობა. ანტიგუა და ბარბუდა გაერო-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი ქვეყანაა.

ჰელიგია

კუნძულოვან ქვეყანაში სახელმწიფო რელიგია გამოცხადებული არ არის. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი (50%) ანგლიკანური ეკლესიის აღმსარებელია. ასევე გვხვდებიან კათოლიკეები, პროტესტანტები, ბაპტისტები და სხვა რელიგიის მიმდევრები.

ჰლიმატი

სენტ ჯონსში არასდროს ცივა და არასდროს ცხელა. საკურორტო სეზონი მთელი წლის განმავლობაში გრძელდება. ზამთარში (დეკემბერი-მარტი) მინიმალური ტემპერატურა 27 გრადუსია, ხოლო ზაფხულში ჰაერის ტემპერატურა 32 გრადუსზე მაღლა თითქმის არ ადის. წყლის ტემპერატურაა 25 გრადუსია.

შედარებით წვიმიანია მაისი-ნოემბრის შუალედი, შემოდგომაზე კი ხშირია ქარიშხალი. საუკეთესო ამინდები ნოემბრის ბოლოდან მაისის დასაწყისამდეა.

ფული

კუნძულოვანი ქვეყნის ეროვნულ ვალუტას აღმოსავლეთ კარიბის დოლარი წარმოადგენს. 1 ამერიკული დოლარი 2,65 აღმოსავლეთ კარიბის დოლარის ეკვივალენტია. ეროვნული ვალუტის პარალელურად ჩვეულებრივ მიმოქცევაშია ამერიკული დოლარი. უფრო მეტიც, მაღალი დონის სასტუმროებსა და რესტორნებში გადახდა სწორედ მისი საშუალებით ხდება. ბევრგან ფასები მითითებულია როგორც აშშ დოლარით, ასევე აღმოსავლეთ კარიბული დოლარითაც.

საკრედიტო ბარათების გამოყენება დედაქალაქში ჩვეულებრივად შეგიძლიათ. რაც შეეხება ხელის ქირას, უმეტესი სასტუმროებისა და რესტორნების დანახარჯს 10% ავტომატურად ემატება. აგრეთვე მომსახურების ფასს ემატება სახელმწიფოს გადასახადი (7-8,5%), ამიტომ გირჩევთ, წინასწარ იკითხოთ, რა შედის ფასში და რა დაემატება შემდგომ.

ენა

ქვეყნის ოფიციალური ენა ინგლისურია. დედაქალაქში ფართოდ გამოიყენება ადგილობრივი დიალექტი პატუა, რომელიც ინგლისურის, იტალიურის, პორტუგალიურის, ფრანგულისა და ადგილობრივი ენების ნარევია.

ქალაქის მცხოვრებლების დიდი ნაწილი ესპანურ ენას საფუძვლიანად ფლობს. ასე რომ, თუ ინგლისური ან ესპანური იცით, ტურისტულ ადგილებში თავის გატანა არ უნდა გაგიჭირდეთ.

გადაადგილება

სენტ ჯონსში მოხვედრა თვითმფრინავით ან გემით შეგიძლიათ. შეძლებული ტურისტები უპირატესობას თვითმფრინავს ანიჭებენ, მიუხედავად იმისა, რომ დედაქალაქში გემით ჩასვლა უდიდესი სიამოვნებაა.

ქვეყნის საერთაშორისო აეროპორტი სენტ ჯონსიდან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს. ცენტრამდე მისვლას მატარებლითაც შეძლებთ, რომლის ფასი 7 ამერიკული დოლარია.

რაც შეეხება დედაქალაქის ტერიტორიაზე გადაადგილებას, ეს დიდ პრობლემებთანაა დაკავშირებული, რადგან სატრანსპორტო სისტემა კარგად განვითარებული არ არის. მოძრაობა მარცხენა მხარესაა. მანქანის საჭეს რომ მიუჯდეთ, აუცილებელია გქონდეთ ნაციონალური ან საერთაშორისო მართვის მოწმობა, აგრეთვე ავტომობილის მართვის ადგილობრივი ნებართვა, რომელიც შეგიძლიათ იმ სააგენტოში მიიღოთ, რომელშიც მანქანას იქირავებთ.

კუნძული რედონა

გზები საშინელ მდგომარეობაშია, ამიტომ დიდი სიფრთხილე გმართებთ. მანქანის დაქირავებას დღეში 30-40 დოლარად შეძლებთ. გაცილებით უსაფრთხოდ იგრძნობთ თავს, თუ მანქანას ადგილობრივი მძღოლით დაიქირავებთ.

ყველაზე პოპულარულ და სწრაფ ტრანსპორტს ტაქსი წარმოადგენს, რომლის ღირებულებაც ფიქსირებულია. პორტები ყოველ მეორე ქალაქშია და გაცილებით გადატვირთულია, ვიდრე აეროპორტი. ასე რომ, სენტ ჯონსიდან სხვა რომელიმე ქალაქში ან კუნძულზე გადასვლა პრობლემას არ წარმოადგენს.

დედაქალაქიდან სხვა ქალაქში გადასაადგილებლად საუკეთესო გამოსავალი ავტობუსია. დანგრეულ გზებზე მძღოლები ნელა და დიდი სიფრთხილით დადიან.

სამზახეველო

ანტიგუასა და ბარბუდას ტრადიციული კერძები ძირითადად თევზეულითა და ბოსტნეულით მზადდება. საშუალო დონის რესტორნებში 30-50 დოლარად კარგად დანაყრდებით. დედაქალაქში მრავლადაა სწრაფი კვების ობიექტები, მათგან აღსანიშნავია იტალიური პიცის რესტორნები.

როგორც ვეგეტარიანელებში, ისე გურმანებში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს ნაციონალური კერძი ფონჯი — კარტოფილის პიურე ბოსტნეულით. ტრადიციული კერძებიდან აღნიშვნის ღირსია ბრინჯის, კიბორჩხალისა და ბოსტნეულის ნაზავი დუკანა. მისი დაგემოვნება საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

სასმელებიდან ეგზოტიკური ხილის წვენები უკონკურენტოა. ადგილობრივები ჩაისა და ყავის დიდი მოყვარულები ნამდვილად არ არიან. ალკოჰოლი სენტ ჯონსში ძალიან პოპულარულია. უპირატესობა ლუდს ენიჭება, რომელთაგანაც გამორჩეულია „ვადალდი“. მისი ფასი 10 დოლარიდან იწყება.

ღირსშესანიშნაობები

სენტ ჯონსში ულამაზესი ბუნებაა არამარტო ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ის განთქმულია წყალქვეშა სამყაროს მრავალფეროვნებით. რაც შეეხება ადგილობრივ კულტურას, მასზე დიდი გავლენა მოახდინა ინგლისურმა კულტურამ, რომელიც ადგილობრივს ორიგინალურად შეერწყა. ეროვნულ სპორტის სახეობად კრიკეტი ითვლება, რომლის ყველაზე დიდი სტადიონი სწორედ სენტ ჯონსშია.

დედაქალაქში ჩასულებმა შეგიძლიათ მოინახულოთ 35 მილის მოშორებით მდებარე კუნძული რედონა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე პატარა კუნძულ-სამეფოს წარმოადგენს.

კლდისაგან შექმნილ ბუნებრივ ხიდს მხოლოდ სენტ ჯონსში ნახავთ. მრავალკილომეტრიან ქვიშის პლაჟებზე გარუჯვის გარდა, ვინდსერფინგითაც შეგიძლიათ დაკავდეთ. აქ გართობის ფართო არჩევანია. სენტ ჯონსში ღამის ცხოვრება დუღს.

კულტურული ღირსშესანიშნაობებიდან გამოირჩევა ბარბუდასა და ანტიგუას ეროვნული მუზეუმი. თუ გსურთ, ქვეყნის ისტორიულ წარსულს გაეცნოთ, ამ მუზეუმს ეწვიეთ.

ჯეიმსის ციხესიმაგრე, რომელსაც ერთი პატარა კუნძული მთლიანად უკავია, ერთ-ერთია მე-18 საუკუნეში ბრიტანელების მიერ აგებული ციხესიმაგრეებიდან. ის დედაქალაქის ნავსადგურის დასაცავად 1709 წელს ააგეს.

მშვიდი და ოჯახური დასვენებისათვის ტურისტები თავისუფლების მოედანზე მდებარე ბოტანიკურ ბაღს სტუმრობენ.

უსაფრთხოების წესები

სენტ ჯონსში ყველაზე დიდ საშიშროებას ჯიბის ქურდები ქმნიან. სიფრთხილის გამოჩენა გმართებთ დანგრეულ გზებზე მოძრაობისას. დღეში, სულ მცირე, 5 საგზაო შემთხვევა ხდება, რომელთაგან 3 მსხვერპლით მთავრდება. ყურადღება მიაქციეთ ჩაცმულობას — ყველა რესტორანში არაა ნებადართული შორტებით შესვლა, ამიტომ გირჩევთ, თან წაიღოთ შესაფერისი სამოსი, რომელიც სხვადასხვა საღამოზეც გამოგადგებათ.

თან იქონიეთ დამწვრობის საწინააღმდეგო მალამოები და ლოსიონები, ასევე მზის სათვალე. აუცილებლად დაიცავით ჰიგიენის წესები. რეკომენდებული არაა ონკანის წყლის დალევა.

ნებადართულია ნაციონალური და უცხოური ვალუტის განუსაზღვრელი რაოდენობით შეტანა. რა თქმა უნდა, დიდი თანხები დეკლარირებას მოითხოვს. აკრძალულია ქვეყნიდან იმ ნივთების გატანა, რომლებიც ისტორიულ ფასეულობას მიეკუთვნება.

ადგილობრივები დიდი სტუმართმოყვარეობით გამოირჩევიან. ეცადეთ, მათ მუდამ ღიმილით შეხვდეთ და სახლში თქვენს მიპატიჟებაზე შესაძლებელია კენჭიც კი ყარონ. უარს ნუ ეტყვით, რადგან ამით ძალიან გაანაწყენებთ.

უბის ნიგნაჯი

ქვეყანა — ანტიგუა და ბარბუდა;
დედაქალაქი — სენტ ჯონსი;
ფართობი — 10 კვ.კმ;
მოსახლეობა — 31 000;
ოფიციალური ენა — ინგლისური;
ოფიციალური ვალუტა — აღმოსავლეთ კარიბის დოლარი.

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ

Cyan Magenta Yellow Black

მოთამაშე ცოლი და ანკესზე წამოგებული ქმრები

„ათი წლის ოჯახი დაანგრია, ქმართან გაერის შემდეგ კი ორ კვირაში გათხოვდა“

ერიან ქალები, რომლებიც საკუთარ ქალურ სისუსტეს საშიშ იარაღად აქცევენ ხოლმე. წინასწარ გაანგარიშებით და კარგად გათვლილი სვლებით ადამიანებს ჭადრაკის ქვებივით ათამაშებენ. მათი მიზანი ანგარებაა, მაგრამ ამ თამაშს ყოველთვის არ აქვს კარგი ბოლო. ყველაფერს ვერ გათვლი და სწორედ იქ იგემებ მარცხს, სადაც ყველაზე ნაკლებად ელოდები. ჩვენმა რესპონდენტმა, ქალბატონმა ლელამ, ეს თავისი რძლის მაგალითზე ნახა. ქალი, რომელიც წლების განმავლობაში კაცებზე ნადირობდა, ქმრებს ანგარებით ირჩევდა, თვლიდა, რომ მათ თავის ჭკუაზე ატარებდა, შვილებისგან აღმოჩნდა უარყოფილი... ეს კი ყველაზე მძიმე სასჯელია დედისთვის.

ლელა:

— ჩემმა ძმამ, გიგამ, ხათუნა რომ მოიყვანა ცოლად, ყველა შოკში ჩავცვივდით. ხათუნა ორშვილიანი იყო, გიგაზე ბევრად უფროსი და გამოცდილი. ჩემი ძმის სიალალით ისარგებლა, თავი შეაცოდა და შეასაღა... საცოდავი გიგა, რა დღეში ჩააგდო იმ საშინელმა ქალმა!

„სამივე შვილი გიგასთან დაბჟენდა, სხვა ჯაცზე გათხოვილ დედასთან ცხოვრება ახლა ეთმა მოინდომა. ბავშვები მომხდარს უზომოდ განიცდიან. დედასთან ყოფნას ყოფილ მამინაცვალთან ცხოვრება უჩრევნიათ“.

— მოდით, თავიდან დავიწყოთ, გიგას და ხათუნას ურთიერთობა როგორ დაიწყო?

— გიგამ ხათუნა კორპუსის ეზოში გაიცნო. ძმაკაცს ელოდებოდა მანქანით, უცებ დაინახა, მტირალი ქალი მორბოდა, ნაძვთან ჩაიკეცა და ფეხზე ვერ დგებოდა. ირგვლივ არავინ იყო. გიგა მანქანიდან გადავიდა, ქალი წამოაყენა და მანქანაში ჩასვა. უთხრა, ამ მდგომარეობაში ვერ დაგტოვებთ, სადაც გნებავთ, მიგიყვანთო. ქალი მხოლოდ ქვითინებდა და ამბობდა, უბედური ვარ, სიკვდილი მინდაო. გიგამ დამშვიდება დაუწყო. ძმაკაცმაც მოსვლა დაიგვიანა, ჩემს ძმას ქალთან საუბარი გაუგრძელდა და დააწყნარა. ქალს სახე გადაეწმინდა, თვალები გაუნათდა და გიგამ მასში ულამაზესი არსება დაინახა. ქალმა არ გაანდო ტირილის მიზეზი, მხოლოდ მადლობა გადაუხადა დახმარებისთვის, უთხრა, თქვენი თავი ღმერთმა გამომიგზავნა, რომ გადაგერჩინეთო.

მერე გიგას ძმაკაციც მოვიდა. თვალი შეავლო ქალს და ეუცხოვა... გიგამ არც იცოდა, როგორ წარედგინა მეგობრისთვის. ქალი მანქანიდან გადავიდა, გიგაც გაჰყვა, თავისი სავიზიტო ბარათი დაუტოვა, თუ დაგჭირდე, დამირეკეო და სახელი ჰკითხა. ეს იყო ხათუნა.

— ქალს რა პრობლემა ჰქონდა, რატომ ტირიოდა?

— როგორც შემდგომ გაირკვა, ქმარი პათოლოგიურად ეჭვიანი ჰყავდა, ცუდ დღეში აგდებდა. არც უშვებდა, რომ თავის გზაზე წასულიყო და არც თავისთვის უნდოდა. ერთი სიტყვით, არ ახარებდა. გიგასთან შეხვედრის შემდეგ ხათუნამ გამოსავალი იპოვა, გადაწყვიტა, ჩემი ძმა ქმრის მოსაშორებლად გამოეყენებინა.

— გიგა ქმარს როგორ მოაშორებდა?

— ფარულად ხვდებოდა, თანდათანობით დაუახლოვდა და თავი შეაყვარა. გიგა უჩვეულოდ ერთგული და კეთილშობილია. ამ სიყვარულმა კი მთლად გადარია. გადაწყვიტა, საყვარელი ქალისთვის თავი დაედო და მისი ბოროტი ქმრისთვის „ჭკუა ესწავლებინა“. იმ კაცს შეხვდა და უთხრა, ხათუნას სათანადოდ მოეპყარი ან გაეყარეო.

— კაცთან არამკითხესაყით რომ მივიდა, თავი რა სტატუსით წარუდგინა, როგორ გაეცნო?

— როგორც ახლობელი და ოჯახის გულშემატკივარი. მართლაც, გიგა ხათუნასთან მეგობრობდა, მაგრამ მათ შორის სასიყვარულო კავშირი არ ყოფილა. იმ საღამოს იმ კაცმა გიგა მაგრად მიბეგვა.

— აბა, რას იზამდა?! მას შემდეგ ცოლზე კონტროლი არ გაამძაფრა?

— უფრო გამძვინვარდა და ცოლი სახლში ჩაკეტა. მაშინ გიგამ იურიდიულად მოუგვარა საქმე და ხათუნა ქმარს გააშორა. იმ კაცმა შური იძია, ერთ ღამეს გიგას ჩაუსაფრდა და მძიმე ჭრილობა მიაყენა. ღვთის მადლით, გიგა გადარჩა, ის კაცი კი ციხეში მოხვდა. ჩემი ძმა საავადმყოფოში რომ იწვა, ხათუნა აკითხავდა, ღამეებს უთენებდა. მაშინ გავიგე, რაც ხდებოდა, მანამდე არაფერი ვიცოდი. მერე მათი რომანიც დაიწყო. ხათუნა რძლად არავის გვინდოდა. ბევრი ვეცადეთ, გიგასთვის აზრი შეგვეცვლევინებინა, მაგრამ ვერაფერს გავხდით, ხათუნას გამო ჩვენ მოგვიძულა. ის მაინც შეირთო, ბინა იქირავა და ცოლთან და გერებთან ერთად გადავიდა.

— ბავშვები დედის გათხოვებას როგორ შეხვდნენ, მამინაცვალი იგუეს?

— თქვენ არ იცით, გიგა როგორია! უჩვეულო ადამიანია, მისნაირი ალბათ არც დაბადებულა. ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ოჯახი ფეხზე დაეყენებინა, ბევრი იშრომა და ბინაც შეიძინა. ხათუნას შვილებსაც ძალიან შეუყვარდათ ჩემი ძმა. ორი წლის შემდეგ ხათუნასთან შვილიც შეეძინა, ულამაზესი გოგონა — მაკუნა.

— როგორც ჩანს, ბედნიერი ოჯახი შექმნეს. მაინც არ მოგწონდათ რძალი?

— თავიდან იმდენად ბედნიერები ჩანდნენ, რომ ვფიქრობდი, რამხელა ცოდვას ჩავდიოდი, მათ ქორწინებას ხელს რომ ვუშლიდიმეთქი. მაკუნას გაჩენის შემდეგ მათთან მონანიებით მივედი და რძალს შევურიგდი (მანამდე არ ველაპარაკებოდი). მას შემდეგ ჩვენ შორის, ასე თუ ისე, ურთიერთობა დამყარდა, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ვერ ვეგუებოდი იმ ფაქტს, რომ ხათუნა ჩემს ძმას იყენებდა.

— ანუ?

— თავისი უფროსი შვილებისთვის ბინები აყიდვინა (მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები ჯერ კიდევ არასრულწლოვნები იყვნენ), თავისთვის კი — მანქანა.

— თუ ქმარს ასეთი კარგი შემოსავალი ჰქონდა, ცოლი პრაქტიკულად და წინდახედულად მოქცეულა, რომ ამ ფულს მიმართულება მისცა. „ქმრის გამოყენებას“ რას ეძახით?

— ბოლომდე რომ მოგიყვებით, ყველაფერს მიხვდებით. წლების განმავლობაში, თანაცხოვრებისას, ცოლ-ქმარს შორის შეუსაბამობებმა იჩინა თავი. ხათუნა ძალიან გაუმაძღარი გახდა, ტყავში ვერ ეტეოდა. ჩემს ძმას ძალიან უყვარდა და ყველა სურვილს უსრულებდა.

„ეს მისი გეგმის ნაწილი იყო — ქმარი მობეზრდა და გადაწყვიტა, ცხოვრება შეეცვალა. დარწმუნებული ვარ, იმ ჯაცთან მანამდეც ექნებოდა ჯავშირი. ყველაფერი გათვალა, ყველაფერი მისი ინსცენირებით მოხდა“.

— შეუსაბამობები რითი გამოიხატებოდა?

— მათ მკვეთრად განსხვავებულ ხასიათებს ვგულისხმობ — როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ჰქონდათ უსიამოვნებებიც, დაპირისპირებაც, მაგრამ ბოლოს მაინც რიგდებოდნენ. ჩემი ძმის სიყვარული და ადამიანური ბუნება ძლევდა. მერე ხათუნამ ქმარზე ეჭვიანობა დაიწყო და სისხლს უშრობდა.

— უსაფუძვლოდ ეჭვიანობდა?

— გიგას, ხათუნას გარდა, სხვა ქალი არასდროს ჰყვარებია. როგორც უკვე აღვნიშნე, ბუნებითაც ძალიან ერთგულია. რა თქმა უნდა, ცოლისთვის საბაბი არ მიუცია. ერთხელ სოციალურ ქსელში ხათუნამ ნახა გიგას მიმოწერა ვინმე ნაიასთან, რომელიც მის ქმარს ეფლირტავებოდა. ამის გამო გადაირია, ისტერიკები მოაწყო და გიგას ოფიციალურად გაეყარა, ათი წლის ოჯახი დაანგრია.

Cyan Magenta Yellow Black

ამგვარი საქციელი სამი შვილის დედისგან მოსიყვარულე ქმრის მიმართ უჩვეულოდ არ გეჩვენებათ?

— სხვა მიზეზი ჰქონდა?

— სწორედ ამაშია საქმე. გიგასთან გაყრის შემდეგ ორ კვირაში გათხოვდა.

— გინდათ თქვათ, რომ კაცი, რომელსაც ხათუნა გაჰყვა, ცოლ-ქმარს შორის მანამდეც იდგა?

— რა თქმა უნდა. აბა, ორ კვირაში კაცის გაცნობას ვერ მოასწრებ, არათუ გათხოვებას. ისეთი წინდახედული ქალისგან, როგორიც ხათუნაა, ასეთი უგუნურობა ხომ წარმოუდგენელია.

— ზოგჯერ ეჭვიანობა ადამიანს მართლაც უგუნურად აქცევს და მეუღლის ჯიბრზე არასწორ ნაბიჯს გადაადგმევინებს.

— სამწუხაროდ, ასეც ხდება, მაგრამ ამ შემთხვევაში ხათუნა გიგას ჯიბრზე არ გათხოვილა. ეს მისი გეგმის ნაწილი იყო — ქმარი მობეზრდა და გადაწყვიტა, ცხოვრება შეეცვალა. დარწმუნებული ვარ, იმ კაცთან მანამდეც ექნებოდა კავშირი. ყველაფერი გათვალა, ყველაფერი მისი ინსცენირებით მოხდა. ის ნაიაც ხათუნას ნაცნობი აღმოჩნდა, გიგასთან რომ გააბა ფლირტი. ესეც წინასწარ იყო გათვლილი. ხომ იცით, თბილისში არაფერი დაიმალება.

— ბავშვებს რა ბედი ეწიათ? ისინი ხომ ამით ყველაზე მეტად დაზარალდებოდნენ.

— ხათუნას უფროსი გოგო სტუდენტია, ბიჭი — უფროსკლასელი. მაკუნა ჯერ მხოლოდ 8 წლისაა. გიგასთან გაყრის შემდეგ ხათუნამ შვილები თან წაიყვანა, მაგრამ როგორც კი გათხოვდა, სამივე შვილი გიგასთან დაბრუნდა, სხვა კაცზე გათხოვილ დედასთან ცხოვრება არც ერთმა მოინდომა. ბავშვები მომხდარს უზომოდ განიცდიან. მაკუნას დედის ხსენებაზე გული უჩუყდება, უფროს შვილებს კი უფრო მკაცრი დამოკიდებულება აქვთ — დედასთან ყოფნას ყოფილ მამინაცვალთან ცხოვრება ურჩევნიათ. ჩემი ძმა სამ შვილს მარტო უვლის.

— ხათუნას შვილებთან განშორება არ უჭირს?

— ძალიან ცუდ დღეშია. როგორც ჩანს, ეს ვეღარ გათვალა და კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მაგაზე თავის დროზე უნდა ეფიქრა, ძალიან უმსგავსოდ მოიქცა. ვინ იცის, იქნებ თავის დროზე მისი პირველი ქმრის ეჭვიანობაც არ იყო უსაფუძვლო. იქნებ ის კაცი ცოლთან დამოკიდებულებაში მართალი გახლდათ, იმ სიტუაციაში ქმარი იყო მსხვერპლი და არა — ხათუნა. ჩემი ძმა კი ანკეესს წამოეგო და გაბრიყვდა.

✓ ნანა კობახიძე

ტესტი

რა არის თქვენი ერთგულების ფასი?

ტესტის კითხვებს დაუფიქრებლად უპასუხეთ „დიახ“ — 10 ქულა , „არა“ — 0 ქულა, „არ ვიცი“ — 5 ქულა.

1. ჩემი ცხოვრების ლოზუნგია — თავისუფლება, დამოუკიდებლობა, ბევრი მეგობარი.
2. შემიძლია, უცებ შემიყვარდეს ვინმე და სწრაფადვე დამავიწყდეს.
3. ადვილად ვივიწყებ ადამიანებს, რომლებიც აღარ მჭირდებიან.
4. ერთგულება ქალურ ფსიქიკაზე მიანიშნებს.
5. როცა იმ ადამიანებზე ვფიქრობ, ვინც მიყვარს და ვისი ერთგულიც ვარ, ყოველთვის მათზე ზრუნვის სურვილი მიჩნდება.
6. არ მესმის მათი, ვინც ღალატის გამო სასოწარკვეთაში ვარდებიან.

7. ვფიქრობ, სხვები უფრო არიან ჩემი ერთგულები, ვიდრე მე მათი.
8. მიყვარს ახალი ადამიანების გაცნობა, მაგრამ ვალდებულებებს თავს ვარიდებ.
9. ნებისმიერ სიტუაციაში შემიძლია, მივატოვო საქმე და სამოგზაუროდ გავემგზავრო.
10. ერთგულება ყოველთვის სიამოვნებას, სიხარულსა და სიმშვიდეს მანიჭებს.
11. გული მწყდება, როცა ვფიქრობ, რომ არ არსებობს ადამიანი, რომელსაც შემიძლია „ჩემი“ ვუწოდო.
12. ადამიანებთან ხანგრძლივი ურთიერთობის შემდეგ ყველაზე მაღლა ერთგულებას ვაყენებ.
13. მეშინია, როცა ვიღაც ძალიან ერთგულია ჩემ მიმართ, რადგან ეს ინდივიდუალობას მაკარგვინებს.
14. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც დიდი ხანია ვიცნობ, ყოველდღიურად ვხვდები, მაგრამ მათ მიმართ ერთგულებას ვერ ვგრძნობ.
15. ხანდახან ერთგულება ხელს მიშლის, რადგან საშუალებას არ მაძლევს, შევიცვალო.

შედეგები:

150-100 ქულა — ერთგულება თქვენში ციხის ასოციაციას იწვევს. ახლო კავშირებს გაურბიხართ. ცდილობთ, ყველას დაანახოთ, რომ არავისზე და არაფერზე ხართ დამოკიდებული. ეს ცხოვრებაში ნამდვილად ხელს შეგიშლით.

99-50 ქულა — თქვენთვის ერთგულება ადამიანებთან ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ეს გრძნობა სიხარულსა და სიმშვიდეს განიჭებთ. ვინც გიყვართ, მისი უსაზღვროდ ერთგული ხართ. ეს შესანიშნავი თვისებაა.

49-0 ქულა — იმდენად მოჭარბებული ერთგულების უნარი გაქვთ, რომ ხანდახან ცხოვრებაში ხელს გიშლით და გარშემომყოფებს აწუხებთ კიდეც. ისინი ცდილობენ, თავი აგარიდონ, რაც თქვენში ტანჯვას იწვევს.

ეს იცოდით?

❖ ღამურები გამოქვაბულიდან გამოსვლისას ყოველთვის მარცხნივ მიფრინავენ.

❖ აქლემის რძე არასოდეს იჭრება.

❖ ნიანგებს ენის გამოყოფა არ შეუძლიათ.

❖ ვარდისფერი ფლამინგოსთვის ყველაზე კომფორტული პოზა ერთ ფეხზე დგომაა.

❖ სირაქლემასხმელეთზემობინადრე არსებებს შორის ყველაზე დიდი თვალები აქვს. მათი დიამეტრი დაახლოებით 5 სანტიმეტრია.

❖ აზიელების ცრურწმენით, შავი კატა ბედნიერების მომტანია.

❖ კანადა ინდიელების ენაზე დიდ სოფელს ნიშნავს.

❖ ნიუ იორკში კოლუმბიის უნივერსიტეტი კათოლიკური ეკლესიის შემდეგ ყველაზე დიდი მიწათმფლობელია.

❖ 1980 წელს ბუტანი ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც ტელეფონს არ იყენებდნენ.

❖ ლოს ანჯელესში ხალხზე მეტი ავტომობილია.

❖ ყველაზე უკაცრიელი ქვეყანა მონღოლეთია. იქ კვადრატულ კილომეტრზე 13 ადამიანზე ნაკლები ცხოვრობს.

❖ ყველაზე მთაგორიანი ამერიკაში ნევადას შტატია. იქ 300-ზე მეტი მთაა დარეგისტრირებული.

❖ 1666 წელს ლონდონის დიდი ხანძრის დროს ნახევარი ქალაქი დაიწვა, მაგრამ მხოლოდ 6 ადამიანი დაშავდა.

❖ ერთ დროს შვეიცარიაში მანქანის კარის მიჯახუნება კანონით ისჯებოდა.

❖ ვენერა ერთადერთი პლანეტაა, რომელიც საათის ისრის საწინააღმდეგოდ მოძრაობს.

❖ მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს თოვლი არასოდეს უნახავს.

❖ ყოველდღიურად მზის სხივების ზემოქმედების შედეგად დედამიწიდან 1 მილიარდი ტონა წყალი ორთქლდება.

❖ მზის სხივი ოკეანეში მხოლოდ 75 მეტრის სიღრმემდე აღწევს, უფრო ქვემოთ სრული წყვდიადია.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

როგორ დავეხმაროთ ჩვილს მუცლის შებერილობის დროს

ეაზარმაცებული ნაწლავი არც პატარებში წარმოადგენს იშვიათობას. ასეთ დროს ხელოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვებს ხშირად უცვლიან საკვებს და ცდილობენ, ისეთი შეურჩიონ, რომელიც მუცლის შებერილობას არ გამოიწვევს, მაგრამ რა უნდა მოიმოქმედონ ძუძუზე მყოფი ჩვილების მშობლებმა?

აუცილებელია, მეძუძურმა დედიკომ დიდი ყურადღება მიაქციოს საკუთარ რაციონს და დააკვირდეს, ამა თუ იმ კერძის მიღების შემდეგ როგორი რეაქცია აქვს პატარას. ასეთი დაკვირვებით დაადგენთ იმ კონკრეტულ პროდუქტს, რომლის ჭამაც რძის შემადგენლობაზე მოქმედებს, პატარას ჭარბ აირებს უგროვებს და მუცლის შებერვის მიზეზიც ხდება.

უპირატესობა მიანიჭეთ ხილსა და ბოსტნეულს. კარგია ბურღულეულის ჭამა, ამით ჩვილის კუჭ-ნაწლავზე დადებითად იმოქმედებთ. კარაქი მცენარეული ცხიმებით ჩაანაცვლეთ. დედის რძეში ნაჯერი ცხიმების მოხვედრა ბავშვის კუჭ-ნაწლავის მოტორიკას აუმჯობესებს.

თუ ძროხის რძის სმა გიყვართ (ხშირად მეძუძურ დედებს ლაქტაციის გაუმჯობესებისთვის ურჩევენ), ზომიერება დაიცავით. სიჭარბემ შესაძლოა ბავშვს რძეში არსებულ ცილაზე ალერგია განუვითაროს, მუცლის შებერილობა კი მხოლოდ მისი გამოვლენის ნიშანი იქნება. შეგიძლიათ რძე იოგურტით, კეფირით ჩაანაცვლოთ. როგორც წესი, რძემჟავა პროდუქტები ალერგიის პროვოცირებას არ ახდენს.

აკონტროლეთ ჩვილის კვების რეჟიმი. თუ ცუდი მადა აქვს, ან ერთი კვების გამოტოვება მოუხდა, ჭამათაშორის დიდ შუალედებს აკეთებს, ეს მუცლის შებერილობის ხელშემწყობია. მსგავსი შედეგი შეიძლება გამოიღოს პატარა შუალედებით ძუძუს ხშირმა წოვებამაც. ასეთ დროს კუჭი გადავსებულია და ჭარბი საკვების გადამუშავებას ვერ ახერხებს, რაც მოტორიკას ანელებს.

აჭამეთ პატარებს ღამით!

აქვს თუ არა დედიკოს საკმარისი რაოდენობით რძე, ეს დიდწილად დამოკიდებულია ჰორმონ ოქსიტოციტზე. ის აქტიურად გამომუშავდება ღამის საათებში, ამიტომ ეცადეთ, ღამის ჭამა ჩვილს არ გამოატოვებინოთ. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ლაქტაციასთან დაკავშირებული პრობლემები არც დღის განმავლობაში იჩენს თავს.

ფსორიაზის დროს ზღვაზე დასვენება აუცილებელია!

ერძნულად „ფსორა“ ქავილს ნიშნავს, თუმცა ეს ქავილი ხშირ შემთხვევაში სულაც არ არის აუტანელი და ძლიერი. ამ დროს გამონაყარი უფრო შემაწუხებელია, ვიდრე ქავილი. როგორც წესი, გამონაყარი ყველგან ერთბაშად არ ჩნდება, ჯერ ხელებსა და ფეხებზე გამოდის, შემდეგ სხეულის თმიან ადგილებში, ნაკეცებში... შესაძლოა თავიდან გამონაყარი ხშირი და წვრილი იყოს, მოვარდისფრო ან მოწითალო ფერის, რომელიც მოვერცხლისფრო-მოთეთრო ქერქითაა დაფარული.

ფსორიაზისათვის დამახასიათებელი გამონაყარი მიდრეკილია პერიფერიული ზრდისკენ, ანუ ელემენტები მრავლდება და სისქეშიც დიდდება. ისევე, როგორც ეგზემის შემთხვევაში, ზოგჯერ გამონაყარიდან გამოდის ექსუდატი — სითხე. სველი უბნები საკმაოდ ძლიერ ქავილს იწვევს, შემდეგ ქერქით იფარება.

გამონაყარის გარშემო მკვეთრი წითელი რკალის გაჩენა საგანგაშო სიმპტომია და დაუყოვნებლივ ექიმთან ვიზიტს საჭიროებს. ფსორიაზის უყურადღებოდ დატოვება დაუშვებელია. რაც დროზე დაიწყება მკურნალობა, მით მალე დადგება რემისია, მაგრამ ამ დაავადებისგან სრულად განკურნება პრაქტიკულად შეუძლებელია. ის გარკვეული პერიოდის შემდგომ კვლავ გვახსენებს თავს, მაგრამ სათანადო მკურნალობის ფონზე გამწვავებაც ნაკლებია და პროცესის დროულად შეჩერებაც ხერხდება.

უსაფრთხოების ტექნიკა

ფსორიაზი არის დაავადება, რომელიც მოითხოვს როგორც დიეტის დაცვას, ისე საკუთარი თავისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას. გადადით რძის პროდუქტებზე და მცენარეულ საკვებზე. სასარგებლოა: კეფირი, მაწონი, ხაჭო, ბოსტნეული (კარტოფილის გარდა) და ხილი. სასურველია, შეზღუდოთ პური, კარაქი, მარგარინი, ცხიმიანი ხორცი, კვერცხი. კატეგორიულად მიუღებელია ალკოჰოლი, შებოლილი, დაკონსერვებული საკვები.

ფსორიაზის დროს ეცადეთ, კანი არ მოიქავოთ, რომ გამონაყარი არ გაღიზიანდეს და მდგომარეობა არ გაუარესდეს. ეცადეთ, წელიწადში ერთხელ მაინც წახვიდეთ ზღვაზე — მზისა და ზღვის აბაზანები კანს ასუფთავებს, მაგრამ აუცილებელია ზომიერებისა და უსაფრთხოების წესების დაცვა. გარუჯვა სარისკოა.

თუ ზღვაზე წასვლის და დასვენების საშუალება არ გაქვთ, შეიძინეთ ზღვის მარილი და ყოველდღიურად სახლში ზღვის მარილიანი აბაზანები მიიღეთ.

აკონტროლეთ წონა. თუ ატყობთ, რომ წონაში აშკარად მოიმატეთ, სასწრაფოდ ზომები მიიღეთ, რადგან ჭარბი წონა ფსორიაზის გამწვავებას ხელს უწყობს.

მოერიდეთ სტრესს. ის ხელს უწყობს გამონაყარის პროვოცირებას.

დაბოლოს, ქრონიკული სურდო, ტონზილიტი, ჰაიმორიტი, ადენოიდიტი, კარიესი იმუნურ სისტემას ასუსტებს. გსურთ, თავიდან აიცილოთ ფსორიაზი? მაშინ ჩამოთვლილი დაავადებებისგან განკურნება აუცილებელია.

პროდუქტები, რომლებიც დროს უკან აბრუნებს

ეველმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გამხდრები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, ვიდრე მსუქნები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ კვებას.

ნოტინგემის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩენა გააკეთეს — მათი აზრით, პრიალა, ელასტიკური, უნაოჭო კანი არამარტო გენეტიკურად გადმოგვეცემა, ასეთივე შედეგის მიღება შესაძლებელია მაშინაც, თუ ჩვენს რაციონში ყოველდღიურად იქნება ყვითელი და წითელი ფერის ხილი და ბოსტნეული, რომლებიც მდიდარია კაროტინით. ასეთი გამორჩეული პროდუქტებია გარგარი, სტაფილო, ნესვი, პომიდორი.

კაროტინი არამარტო კანის სიპრიალეს და სიგლუვეს უზრუნველყოფს, არამედ მსუბუქი ნამზეურის ეფექტსაც ანიჭებს. კაროტინს შეიცავს მწვანე ფერის ბოსტნეულიც — კომბოსტო და პრასი.

ზეითუნის ზეთი და ზღვის თევზი წონის დაკლებისთვის ეფექტურია. მათი რეგულარულად მოხმარების შემთხვევაში ორგანიზმში ცუდი ქოლესტერინის დონე მცირდება. მათში შემავალი ცხიმმჟავები კი არაჩვეულებრივია ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისათვის.

გსურთ, ახალგაზრდულად გამოიყურებოდეთ? დალიეთ ბევრი წყალი — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ გერმანელი მეცნიერები. იმისათვის, რომ ორგანიზმში წყლის ბალანსი მუდმივად უზრუნველყოფილი იყოს, საჭიროა დღეში 8 ჭიქაზე მეტი წყლის დალევა.

რომელი საკვები არ ინვევს ნაადრევ სიბერეს

უჯერი მჟავები, რომლებიც ცხოველური წარმოშობისაა, სისხლძარღვებში ცუდი ქოლესტერინის ჩალაგებას აფერხებენ.

ეს მარტო წვენი არაა, ის ახალგაზრდობის ელექსირია! აიღეთ 2 ვაშლი, 3 სტაფილო და 2 საშუალო ზომის ჭარხალი. გაწურეთ და შეურიეთ ერთმანეთს, ჩაასხით ჭიქაში და დაუმატეთ რამდენიმე ღერი დაჭრილი პიტნა და ოხრახუში.

დაბოლოს, ალკოჰოლი ორგანიზმის გაუწყლოებას იწვევს და თუ მარაგი არ შეივსო, კანი სიმკვრივეს კარგავს. ავტომატურად იჩენს თავს ნაოჭებიც.

გაითვალისწინეთ ზემოთ ნათქვამი და შეძლებთ, დრო უკან დააბრუნოთ.

Cyan Magenta Yellow Black

დიაგნოზი ტუჩებით

ტუჩები ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე ორგანოა, რომლებზეც ყველაფერი სარკესავით აირეკლება. ისინი ძალიან მგრძნობიარენი არიან ამინდის მიმართაც. ქარი, ყინვა, სიცივე აშრობს, აუხეშებს ტუჩების კანს, იწვევს მათ აქერცვლას. მავნე ზემოქმედების შედეგად ტუჩებზე ჩნდება ნახეთქები, კიდეებში — სიწითლე.

ტუჩები მტკივნეულად რეაგირებენ შინაგან მდგომარეობაზეც. თუ რომელიმე შინაგან ორგანოში ცვლილებები მიმდინარეობს, ეს ტუჩებზე აუცილებლად აისახება.

სიმშრალე, კანის აქერცვლა, გამომშრალი ტუჩები

ხშირად ამის მიზეზი ქარიანი ამინდია. ეცადეთ, ასეთ დროს არ დაუშვათ ტუჩების გამოშრობა. რეგულარულად გამოიყენეთ სპეციალური ტუჩის საცხი. არავითარ შემთხვევაში შეიძლება აქერცლილი კანის ძალით აცლა, რადგან შესაძლოა ინფექცია შეიჭრას და სერიოზულმა პრობლემებმა იჩინონ თავი.

ალერგია, ქავილი და ტუჩის კუთხეებში ნახეთქები

ქავილისა და ნახეთქების პროვოცირება შესაძლოა მოახდინოს უხეშმა საკვებმა, ასევე ქიმიურმა გამაღიზიანებლებმა, მაღალი მჟავიანობის პროდუქტებმა. ალერგიის პროვოცირება შეუძლია შოკოლადს, ციტრუსებს, კაკაოს, თაფლს.

ალერგიის შემთხვევაში რაციონიდან ალერგიის გამომწვევი პროდუქტები უნდა ამოიღოთ. გაღიზიანების მოსახსნელად შეგიძლიათ გამოიყენოთ სინტომიცინის მალამო.

ავიტამინოზი — ტუჩებზე კანის აქერცვლა, დაჭიმულობა, ანთებითი პროცესი

ამის ყველაზე ხშირი მიზეზია ორგანიზმში ა, ბე, და ე ჯგუფის ვიტამინების დეფიციტი. ხშირად მიირთვით თევზი, თხილი, ხილი, ბოსტნეული, მწვანილი. სასურველია სისხლის საერთო ანალიზის ჩატარება, რომლის დახმარებითაც გაარკვევთ, რა სახის ნივთიერებების დეფიციტს განიცდის თქვენი ორგანიზმი. კარგია ვიტამინების კომპლექსის დალევაც.

ფახელი მიზეზები (ტუჩის კანი ახამახტო იქერცლება და შრება, ახამედ კარგავს ბუნებრივ ფერს)

ამის მიზეზი სხვადასხვა რამ შეიძლება იყოს — სიგარეტის მოწევა, ღვიძლთან, თირკმლებთან დაკავშირებული პრობლემები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები.

საჭიროა ორგანიზმის სრულფასოვანი გამოკვლევა და შესაბამისი ზომების მიღება.

როგორ მოვიქცეთ, თუ ბავშვს სიცივეზე ალერგია აქვს

თუ ბავშვს რამდენიმე საათით სუფთა ჰაერზე სეირნობის შემდეგ ლოყები წითლდება და გამონაყარიც იჩენს თავს, ე.ი. მას სიცივეზე ალერგია აქვს. ექიმები სიცივის ალერგიას ხშირად ორგანიზმის ფსევდოალერგიულ რეაქციასაც უწოდებენ. მას შემდეგ, რაც ქრება ფიზიკური ფაქტორი — სიცივე, სიცივის ალერგიისთვის დამახასიათებელი ყველა სიმპტომიც ქრება.

სამწუხაროდ, სიცივის ალერგიას არ ახასიათებს სეზონურობა — ის პრაქტიკულად წელიწადის ყველა სეზონზეა აქტუალური, განსაკუთრებით სახიფათო კი შემოდგომისა და ზაფხულის პერიოდებია. ალერგიის პროვოცირება შესაძლოა გამოიწვიოს არამარტო ჰაერის დაბალმა ტემპერატურამ, ცივმა ქარმა, სველმა ტანსაცმელმა, არამედ ორპირმა ქარმა, ცივი წყლის დალევამ, ნაყინმა და სხვა.

სიცივის ალერგიისთვის დამახასიათებელია ბევრი სიმპტომი — მეტეოალერგია, სიცივის ასთმა, კანზე გამონაყარი. მსუბუქი ფორმის დროს კანი შეწითლებულია, თავს იჩენს ქავილი, შესაძლებელია სხეულის სხვადასხვა ორგანოს შესიებაც. სავსებით საკმარისია, ბავშვი თუნდაც 5 წუთი ყინვაში იყოს, რომ მაშინვე დაეწყოს ქავილი, ლოყებისა და ყვრიმალების არეში გაუჩნდეს გამონაყარი. გამონაყარი შესაძლოა ლოკალიზდეს ხელებზე, ფეხებზე, ბარძაყებზე და მუხლის უკანა მხარეს. ბავშვისათვის გამონაყარი შემაწუხებელია, მაგრამ რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ, თუ პატარა სითბოშია, ჩივილები ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე უკვალოდ ქრება.

ლორწოვანის გაღიზიანება — სიცივის ალერგიის დროს თავს იჩენს თვალების წვა, ცრემლდენა, უპეების შესიება, ცხვირიდან გამონადენი, ტუჩებზე კანის გამოშრობა-დასკდომა. ყველა ნახსენები სიმპტომი სითბოში მოხვედრის შემდეგ მალევე უკვალოდ ქრება.

სიცივის შაკიკი —ლორწოვანი გარსების გაღიზიანების შედეგად სამწვერა ნერვიც ღიზიანდება, რის გამოც ბავშვი ხშირად თავის ტკივილს უჩივის.

სუნთქვის გართულება — ყველაზე სახიფათოა ცხვირის ლორწოვანის შეშუპება, ასევე ტრაქეის და ბრონქების. ამ შემთხვევაში თავს იჩენს ასთმის ტიპის ხველის შეტევები.

მიზეზების თაიგული — სიცივის ალერგია სხვა დაავადებების არსებობის ფონზეც პროვოცირდება. ხშირად მის უკან იმალება ინფექციური, ენდოკრინული და პარაზიტული ავადმყოფობები. მიზეზებს შორის შეიძლება მოიაზრებოდეს ვირუსული ჰეპატიტი, ქრონიკული ტონზილიტი, ანტიბიოტიკების მიღება და ხშირი სტრესები. განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენაა საჭირო პარაზიტული დაავადებების მიმართ, რადგან ისინი ორგანიზმის ინტოქსიკაციას იწვევენ.

როგორ ვუმკურნალოთ — ნუ ეცდებით, ბავშვი სიცივეს მიაჩვიოთ, ეს არაფრისმომცემია. სიცივის მიმართ ალერგიის პირველი სიმპტომების გამოჩენისთანავე აუცილებლად მიმართეთ ექიმ-ალერგოლოგს, რომელიც, გარდა იმისა, რომ სხვადასხვა კვლევას ჩაუტარებს, ადეკვატური მკურნალობის კურსსაც დაუნიშნავს.

ბავშვის რაციონის კორექტირება — დროებით შვილის რაციონიდან ამოიღეთ კვერცხი, შოკოლადი, ფოთოროხალი, თევზი.

მივდივართ სასეირნოდ! — დაბალი ტემპერატურის დროს ჰაერზე გასეირნებამდე პატარას ანტიჰისტამინური პრეპარატი დაალევინეთ. კარგია, თუ თბილ კაკაოს ან ჩაის მისცემთ. სახეზე სიცივისა და ქარის საწინააღმდეგო სპეციალური მალამო წაუსვით.

სეირნობის მერე — გარედან შემოსვლის შემდეგ კარგი იქნება, თუ ბავშვს წაუსვამთ ალოეს წვენს ან ე ვიტამინის ზეთოვან სახეობას. თუ ძლიერმა ქავილმა შეაწუხა, ლოყებზე ასეთ ხსნარში დასველებული ბამბა წაუსვით: ერთი ჩაის კოვზი სოდა ერთ ჭიქა თბილ, გადადუღებულ წყალში გახსენით.

ანანასი — სტუმარი ტროპიკებიდან

ანანასის 80-მდე სახეობაა ცნობილი. ის მდიდარია კვებითი ბოჭკოებით და ორგანული მჟავებით, შეიცავს ცე, ბე1, ბე2, პპ ვიტამინებს და კაროტინს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ანანასის ჭამა ზამთრის პერიოდშიც შესაძლებელია. ის ფასდაუდებელია, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ცე ვიტამინს შეიცავს და ეფექტურია გაციებისა და ზამთრის ინფექციების პროფილაქტიკისთვის.

გარდა ამისა, ანანასი შეიცავს კალიუმს, ქლორს, ფოსფორს, რკინას, მაგნიუმს, კალციუმს, მარგანეცს, თუთიას, იოდს. როგორც უფროსებში, ისე პატარებში ანანასი ახდენს საკვების მონელების პროცესის სტიმულაციას, კუჭის წვენის ფერმენტების მატებას.

ანანასი სისხლში სეროტონინის, ე.წ. სიხარულის ჰორმონის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს. ეს ეგზოტიკური ხილი მნიშვნელოვანია იმუნური სისტემისთვისაც. ანანასში არსებული ბიოლოგიურად აქტიური ფერმენტი ბრომელინი ორგანიზმს ეხმარება, ადვილად მოინელოს ხორცეული, თევზეული, რძის პროდუქტები და ლობიო.

✓ რუბრიკა მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა

Cyan Magenta Yellow Black

რით ჩავანაცვლოთ ხორცი, ტკბილეული, მარილი?

ზოგჯერ ისე ხდება, რომ რაღაცის ჭამის გადაულახავი სურვილი გიპყრობთ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით ამაზე უარს ამბობთ. როგორ მოიქცეთ? სხვა, არანაკლებ გემრიელი პროდუქტებით შეცვალეთ.

თითქმის ხორცი

ორგანიზმში ცილის ნაკლებობის შევსება შეუძლია არა-ამხოლოდ ხორცს, რომელიც ამ საქმეში აღიარებული ლიდერია, მას წარმატებით ცვლიან არანაკლებ პოპულარული და სასარგებლო პროდუქტები.

პარკოსნები (ლობიო, სოია, ბარდა, ცერცვი) — მცენარეული ცილის წყაროა. გარდა ამისა, დაბალკალორიულია და ამინომჟავებისა და და მიკროელემენტების მთელ მასას შეცავენ. ხოლო სოია ცილის შემცველობით (40%) ხორცს აღემატება. მისი ცილა ორგანიზმის მიერ 90%-ით შეითვისება. კარგი ახალი ამბავი: თუ უარს იტყვით ხორცზე პარკოსნების სასარგებლოდ, უკვე რამდენიმე კვირის შემდეგ სისხლში ქოლესტერინის დონე შემცირდება.

ხაჭო. ხორცის არარსებობის დროს, ყოველდღიურ რაციონში არანაკლებ 50 გრამი ხაჭო ჩართეთ.

თხილეული სრულად ცვლის ხორცს, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ საკმაოდ კალორიულია.

წიწიბურა. ცილების რაოდენობის მიხედვით მხოლოდ პარკოსნებს ჩამორჩება. გარდა ამისა, ეს ბურღულეული შესანიშნავი დიეტური პროდუქტია.

ტკბილის მოყვარულთათვის!

დესერტის შერჩევისას (ნამცხვრები, ტორტი, ვაფლი, კექსი და ა.შ.) მხედველობაში იქონიეთ: როგორც ფიგურისთვის, ასევე ჯანმრთელობისთვის ყველაზე მავნე ცხიმისა და შაქრის დიდი რაოდენობით შემცველი ტკბილეულია. რით ჩავანაცვლოთ?

ზეფირი და მარმელადი კვერცხის ცილისა და პიურეს ბაზაზე მზადდება. მათში ცხიმი პრაქტიკულად არ არის.

ჟელე ნატურალური წვენებისა და პიურეს ნარევია. შეიცავს პექტინს, რომელიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობის გაუმჯობესებას ეხმარება.

ნაყინი მისი უცხიმო სახეობა ზომიერი რაოდენობით გახდომას ხელს უწყობს. სასარგებლოა ხილი დაუმატოთ.

კოქტეილი, მხოლოდ რძის ფუძეზე (და არა ნაღების) დამზადებული, საკმაოდ კალორიულია, მაგრამ მასში ცოტა ცხიმია. გარდა ამისა, ეს სასმელი მდიდარია კალციუმით. შეგიძლიათ ხილი დაუმატოთ.

შოკოლადი შავი და მწარე ნაკლებად კალორიულია.

მარილი, შაქარი და სხვა

მწვანილი, დაფქული წიწაკა, ნიორი, მშრალი მდოგვი, კოჭა, ჯავზი, ლიმონის წვენი, მაიორანი, სალბი, როზმარინი, პიტნა — შეგიძლიათ კერძში მარილის მაგივრად დაუმატოთ. მარილი ზოგიერთ პროდუქტში ისედაც ბევრია.

ნატურალური თაფლი. მის სარგებლობაზე ლეგენდები დადის. თუ უკუჩვენება არ არის, ნებისმიერი სასმელისა და დესერტის მოსამზადებლად შაქრის მაგივრად გამოიყენეთ.

სტავია („თაფლის ბალახი“) მცენარეული წარმოშობის შაქრის შემცვლელია. მისი ფოთლების ექსტრაქტი სიტკბოთი შაქარს 200-ჯერ აღემატება, სამაგიეროდ კალორია არ აქვს.

ცეკვავს ყველა — გართობა და მკურნალობა ერთდროულად

ჩვენი სხეული შესანიშნავი ინსტრუმენტია, ნებისმიერი მოძრაობის თავისუფლად შესრულება შეუძლია. მიჩნეულია, რომ გარკვეული ასაკის შემდეგ სხეული სიმსუბუქესა და სიმხნევეს კარგავს. საბედნიეროდ, ეს მხოლოდ ერთ-ერთი მითია. მუსიკის ტაქტში მოძრაობის უნარი ადამიანს დაბადებიდანვე თან დაჰყვება. საკმარისია თვალი შეავლოთ პატარას, რომელმაც ესეს არის, ფეხზე დგომა ისწავლა, საწოლის კიდეს ჩაჭიდებული, როგორ ბუქნავს და როკავს. ხშირად თავს თვითონვე ვუნერგავთ, რომ ცეკვა ჩვენთვის არ არის, მიზეზად მუსიკის რიტმში მოძრაობის უუნარობას, ასაკს, წონას ვასახელებთ. სინამდვილეში ცეკვის სწავლა ნებისმიერ ასაკში შეიძლება.

ცეკვა მოძრაობითი აქტივობის შესანიშნავი საშუალებაა. ამ დროს კარგი განწყობა გვეუფლება, ნაღველი გვავიწყდება. გარდა ამისა, მეცნიერულად დამტკიცებულია ცეკვის თერაპიული ზემოქმედება. რეგულარული საცეკვაო სავარჯიშოები დეპრესიის, თავის ტკივილის, ასთმის დაძლევას ეხმარება, მოძრაობის კოორდინაცია უმჯობესდება, დავარდნისა და მოტეხილობების რისკი მცირდება, სიარულის სიჩქარე და სიმსუბუქე იზრდება. ცეკვით დაკავებული ადამიანები ნაკლებად მიდრეკილები არიან დიაბეტის, ჰიპერტონიის განვითარებისკენ. და კიდევ, სისხლის მიმოქცევა უმჯობესდება, გულისა და სხეულის კუნთები იწვრთნება, ტვინი დამატებითი ჟანგბადით მარაგდება — ყველაფერი ეს კი ადამიანის შრომისუნარიანობაზე დადებითად აისახება, აღარაფერს ვამბობთ განწყობაზე.

რით დაიწყოთ? დასაწყისისთვის საუკეთესო ცეკვაა ვალსი. ეს კეთილშობილური ნელი ცეკვა ნებისმიერს აჯადოებს. ვალსის დროს დატვირთვა კუნთების ყველა ჯგუფზე ნაწილდება და მისი სარგებლობა აშკარაა. ხოლო თუ მგრძნობიარე და მომხიბლავი არგენტინული ცეკვის ძირითად მოძრაობებს შეისწავლით, ნებისმიერ საღამოზე უეჭველად ცეკვის ვარსკვლავი გახდებით. გახსოვდეთ, ცეკვავთ მხოლოდ თქვენთვის, თქვენი სიამოვნებისთვის.

სიმღერა გულისთვის და არამხოლოდ

ბაღლობელი ფრინველები გაღიაში და ახლომდებარე პარკში ან ტყეში მობინადრე, თავიანთი „კრიმანჭულით“ არამხოლოდ სმენას ატკბობენ, ასევე მკურნალობენ. საქმე ცალკეული სიმღერის განსაკუთრებულ რითმში, მოდულაციებსა და სიხშირეშია.

ბგერითი თერაპიის სპეციალისტებმა განსაზღვრეს, რომ თითოეული ფრინველი „დახელოვნებულია“ რომელიმე ერთ ორგანოზე ან სისტემაზე. მაშ, ასე: შაშვი, გრატა და კანარის ჩიტი თავიანთი გალობით ართმიასა და ტაქიკარდიას კურნავენ; ბულბული, გულწითელა, ასპუჭაკა — უძილობას, მაღალ წნევას; ტოროლა, ბულბული — დაღლას, დეპრესიას, ნერვულ გადაძაბვას; ჩიტბატონა, ჭივჭავი — საერთო სისუსტეს და გონებაგაფანტულობას.

თუ ტყეში გასვლის საშუალება არ გაქვთ, შეიძინეთ დისკი ფრინველთა გალობის ჩანაწერებით.

Cyan Magenta Yellow Black

კონიუნქტივიტი: რა იკრძალება?

თვალის გარსის ლორწოვანის ანთებისას, წამლების გარდა ექიმები პაციენტებს, როგორც წესი, განსაკუთრებულ კვებას ურჩევენ. სასურველია, რაციონიდან ამოიღოთ თევზი, ზღვის პროდუქტები, შოკოლადი, წითელი და მწვანე ფერის პროდუქტები, კვერცხი, თხილეული და ციტრუსები. ასევე დროებით თავი შეიკავეთ თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების მიღებისგან. გარდა ამისა, აუცილებელია მინიმუმამდე დაიყვანოთ შებოლილი პროდუქტები და სანელებლები: ქინძი, ვანილი და დარიჩინი.

ავადმყოფობის დროს ასევე ზედმეტი არ იქნება სიფრთხილით მოეკიდოთ ცხოველურ ცხიმებს, განსაკუთრებით ეს ეხება საქონლის, ცხვრისა და ღორის ხორცს.

სოკო – ვჭამოთ თუ არა?

„მერთების საკვები“, — ასე უწოდებდნენ სოკოს ძველი ბერძნები. „ღვთიური ხორცი“, — ამბობდნენ მექსიკელი ინდიელები. „გენიოსების საჭმელი“ — თვლიდნენ ჩინელები.

სოკოს კერძების გემო და არომატი გვიზიდავს. და მაინც, სოკოში რომელი უფრო მეტია — სარგებლობა თუ ზიანი? მოდით, გავარკვიოთ.

სოკოს „ტყის ხორცს“ უწოდებენ. ხორცის მსგავსად, დიდი რაოდენობით ცილებს შეიცავს. სოკო (1 კგ სოკო 300-500 კკალორიაა) სწრაფად ანაყრებს.

უკანასკნელი მეცნიერული გამოკვლევებით აღმოჩნდა, რომ ნახშირწყლების რაოდენობით და შემადგენლობით, ბევრი მინერალური ნივთიერების არსებობით, სოკო ასევე ახლოსაა ბოსტნეულთან და ხილთან.

ყუჩადღებით იყავით!

სოკო თავისი ბუნებით უნიკალურია. ხალხურ მედიცინაში მიჩნეულია, რომ ის ყველაფერს კურნავს, გრიპიდან დაწყებული ავთვისებიანი სიმსივნით დამთავრებული, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სოკო საკმოდ მძიმე საკვებია. თუ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ღვიძლისა და თირკმლების ქრონიკული დაავადებები გაქვთ, უმჯობესია, სოკოს რეგულარულად გამოყენებაზე უარი თქვათ. ასევე მისი ჭამა არ შეიძლება ინფექციური დაავადებების გადატანის შემდეგ მაშინვე. დაბოლოს, სოკოს ყველაზე სერიოზული უკუჩვენება — ეს არის ჰიპერტონია.

ჯვების საიდუმლო

თუ სოკო დაკრეფილია ეკოლოგიურად სუფთა რაიონში, სწორად დამუშავებული და კარგად მომზადებულია, ის სარგებლობის მომტანია. საჭიროა მხოლოდ ზოგიერთი წესი დაიცვათ.

1. სოკოს რაც უფრო წვრილად დაჭრით, მით უფრო ადვილად და სწრაფად შეითვისება. 2. სოკოს ყველა კერძს შორის, ნაკლებად მძიმე სოკოს წვნიანია. 3. სოკო მხოლოდ იმ რაოდენობით მოამზადეთ, რამდენსაც შეჭამთ. გაცხელებულ სოკოს უკვე სარგებლობა არ მოაქვს. 4. სოკო შეგიძლიათ ჭამოთ როგორც ცალკე კერძი, ასევე ბოსტნეულთან, ბრინჯთან, თევზთან, ზღვის პროდუქტებთან შეხამებული. მისი გამოყენება არ შეიძლება ცხიმიან ხორცთან, ნიგოზთან, რძესთან, სპირტიან სასმელებთან. 5. ქორფა სოკო თავის სასარგებლო თვისებებს მხოლოდ რამდენიმე საათი ინახავს.

სოკოს დიეტა

კვირაში შეიძლება 2-დან 4 კგ-მდე დაიკლოთ.

საუზმე: შავი უშაქრო ყავა, ბუტერბროდი სოკოს პასტით. პასტის მომზადება მარტივია: მოხარშული სოკო წვრილად დაჭერით, უცხიმო ხაჭო, მწვანილი, მარილი დაუმატეთ და კარგად აურიეთ. სადილი: სოკოს წვნიანი და მწვანე ჩაი. ვახშამი: ქორფა ბოსტნეულის სალათა, უცხიმო კეფირი და მწვანე ვაშლი.

უმად ვჭამოთ?

ამბობენ, ქორფა ხილი და ბოსტნეული ყველასთვის სასარგებლოა და შეგიძლიათ რამდენიც გნებავთ, ჭამოთ. ასეთი კატეგორიული მტკიცება ეჭვს იწვევს. რატომ? პირველი, ბევრი მაგალითია იმისა, როდესაც ორგანიზმი ნედლ უჯრედისს ცუდად ითვისებს. ქორფა ბოსტნეულმა და ხილმა შეიძლება გამოიწვიოს მუცლის შებერილობა, გულძმარვა, ფაღარათი. მეორე, არ შეიძლება დავივიწყოთ მოხარშული და შემწვარი ბოსტნეულისა და ხილის ფასდაუდებელი სარგებლობა. მესამე, ნამდვილი სარგებლობა ქორფა ბოსტნეულსა და ხილს მხოლოდ მაშინ მოაქვს, თუ მათ ცარიელ კუჭზე — ჭამის წინ ან საკვების მიღების შუალედებში მიირთმევთ. ჭამის შემდეგ მაშინვე მათი მიღება ნაწლავებში გაფუების პროცესს იწვევს და ამისგან არავითარი სარგებლობა არ არის.

და კიდევ: უპირატესობა მიანიჭეთ ადგილობრივ პროდუქტებს და არა საზღვარგარეთიდან შემოტანილს.

რას კურნავს ღვინო

ღვინის თერაპია მრავალი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება.

მშრალი წითელი ღვინო კუჭის ლორწოვანის ანთების მოშუშებას ეხმარება, ვინაიდან დუბილურ ნივთიერებებს შეიცავს. ნახევრადტკბილმა და ტკბილმა ღვინომ, პირიქით, შეიძლება დაავადება გაამწვავოს.

ასთმისა და ქრონიკული ბრონქიტის დროს ღვინო ბრონქების სპაზმის მოხსნას ეხმარება და ანთებას ამცირებს. სასუნთქი ცენტრების აგზნების მეშვეობით ფილტვების უკეთესად განიავება-გაწმენდას ეხმარება.

თეთრ ღვინოს მსუბუქი საფაღარათო მოქმედება გააჩნია და სასარგებლოა ყაბზობისკენ მიდრეკილების დროს.

ღვინო ნაღვლის უკუდენას აძლიერებს, ამიტომ რეკომენდებულია ნაღვლის შეგუბებისა და საჭმლის მონელების სხვა დარღვევებისას.

სისხლძარღვებს აფართოებს და ამგვარად არტერიულ წნევას დაბლა სწევს. ხოლო ღვინოში არსებულ ანტიმუანგავებს ცუდი ქოლესტერინი გამოაქვთ. ამიტომ ღვინო რეკომენდებულია ჰიპერტონიისა და ათეროსკლეროზის დროს.

ღვინო ბუნებრივი ანტიმიკრობული საშუალებაა კუჭისა და ნაწლავების ინფექციების პროფილაქტიკისთვის.

ანტიმუანგავების მაღალი შემცველობის წყალობით, ნატურალური ღვინო გამაახალგაზრდავებელ თვისებებს ფლობს და კანის მდგომარეობაზე სასიკეთოდ მოქმედებს.

✓ რუბრიკა მოამზადა აზა გაგოშიძემ

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

მსოფლიოს საუკეთესო დიეტები

თქვენ ჰომელს იჩჩევთ?

ჩვენს პლანეტაზე მილიონობით ქალი ცხოვრობს და თითოეულის ოცნებაა, ტანწერწეტა და მოხდენილი იყოს. მაგრამ ყველა ქვეყანაში ფიგურის შენარჩუნების თავისი საიდუმლო აქვთ. გთავაზობთ მსოფლიოს საუკეთესო დიეტებს.

ჩინეთი

აღნიშნული დიეტა სადღეისოდ ფართოდ ცნობილი და პოპულარულია არამხოლოდ ჩინეთში, ასევე მთელ მსოფლიოში.

კვების პრინციპი: „გონივრული“ ასკეტიზმი. რაციონი უნდა იყოს ბალანსირებული, ამავდროულად მკაცრად ვეგეტარიანული. საკვებად გამოიყენება ხორბლის გაღვივებული მარცვლები, ოსპი, თეთრი ლობიო, სოია, ყავისფერი ბრინჯი, შვრიის ფანტელი, ზღვის წყალმცენარეები, ქატო, მაკარონის ნაწარმი, ნიგოზი, ნუში, მზესუმზირისა და ზეითუნის ზეთი. მენიუში აუცილებლად უნდა შედიოდეს სეზონური ხილი და ბოსტნეული.

საუზმეზე უნდა მიირთვათ თქვენი ასაკის ციფრის შესატყვისი რაოდენობის ყავისფერი ბრინჯის უმი მარცვლები. ბრინჯს არაფერი დააყოლოთ, საკმარისია ნერწყვით დაასველოთ და ჩაყლაპოთ. ვეგეტარიანული კერძები სადილსა და ვახშამზე შეგიძლიათ ნებისმიერი რაოდენობით ჭამოთ. საღამოს 18 საათის შემდეგ ნებადართულია მხოლოდ ხილი და ბოსტნეული.

ეფექტურობის საიდუმლო: კვებაში გამოიყენება უმი ბრინჯი, რომელიც გაჯერებულია PP და B ჯგუფის ვიტამინებით, სასარგებლო მიკროელემენტებით, ცილებითა და ნახშირწყლებით. უმი ბრინჯის მარცვლები ნაწლავების სწორად მუშაობას უზრუნველყოფს, ორგანიზმიდან ზედმეტი სითხე და ტოქსინები გამოაქვთ. ამრიგად, მთელ ორგანიზმს ასუფთავებს, გახდომის პროცესს ასტიმულირებს. 10 დღეში 5-6 კგ ზედმეტი კილოგრამი ქრება.

დიეტის გამოყენების ვადა 10 დღეა. დიეტის განმეორება ჯანმრთელობისთვის ზიანის მიუყენებლად 1,5-2 თვის შემდეგ შეიძლება.

ჩინელი ქალები, რომელთა შორის მსუქნებს იშვიათად შეხვდებით, დღეში 5 ფინჯან განსაკუთრებული სახეობის ჩაის „ულუნს“ სვამენ. აღნიშნული ჩაი ნივთიერებათა ცვლის დამაჩქარებელ ფერმენტებს შეიცავს.

საფრანგეთი

ეს დიეტა პოპულარულია ხმელთაშუა ზღვის ყველა ქვეყანაში, მაგრამ ფრანგულად ითვლება, ვინაიდან ფრანგთა უმეტესობის კვების სტილს შეესაბამება.

კვების პრინციპი: თავის არაფრით შეზღუდვა, მაგრამ ყოველთვის ზომიერების ცოდნა-დაცვა. ეს ნიშნავს, რომ პრაქტიკულად ყველაფრის ჭამა შეიძლება, მაგრამ პატარა ულუფებით, აუჩქარებლად. ყოველი ლუკმა კარგად უნდა დაღეჭოთ და გემო ჩაატანოთ.

ძირითადი რაციონი — ეს არის თევზი, ზღვის პროდუქტები, ბოსტნეული, ხილი, თხილეული, ქვავის ორცხობილები, ზეითუნის ზეთი (1-2 სუფრის კოვზი დღეში). სასმელებიდან რეკომენდებულია სუფთა წყალი (1,5-2 ლიტრი დღე-ღამეში), შეზღუდული რაოდენობით ჩაი, ყავა და წითელი მშრალი ღვინო. ძალიან ზომიერი რაოდენობით დაშვებულია რძის პროდუქტები. ხორცი, ქათამი არაუმეტეს ერთი დღისა კვირაში.

ეფექტურობის საიდუმლო: ორგანიზმის ზოგადი გაჯანსაღება, ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზაცია, შედეგად, წონისგან გათავისუფლება. ერთ წელიწადში შეგიძლიათ 25 კგ-ს და მეტს გამოეთხოვოთ. დიეტის გამოყენების ვადა შეუზღუდავია. ამ პრინციპით შეგიძლიათ იკვებოთ მთელი ცხოვრება იმ პირობით, რომ მენიუ ბალანსირებული და მრავალფეროვანი იქნება.

ჩესეთი

დიეტა ეფუძნება ტრადიციულ რუსულ სამზარეულოს, კერძები ნოყიერი და მკვებავია. ასეთი დიეტა ბალანსირებულია და ჯანსაღი კვების პრინციპებს არ ეწინააღმდეგება. მასში საკმაოდ ბევრია ცილა, ცხიმი და ნახშირწყალი ორგანიზმის სწორი ფუნქციონირებისთვის.

კვების პრინციპი: ამ დიეტის ძირითადი კერძებია შჩი, ფაფები (ქერის, წიწიბურას), ბოსტნეული და ქორფა ხილი, ჩირის კომპოტი, ვინეგრეტი, კომბოსტოს მწნილი, ასევე თევზის წვნიანი და თევზის სხვა კერძები. ხორცეულიდან მოხარშული ან მოშუშული საქონლის ხორცი. საკვების მიღება რეკომენდებულია პატარა ულუფებით, დღეში 4-5-ჯერ, ყოველ 3 საათში. კერძებში არ უნდა დაუმატოთ ცხარე სანელებლები, მარილი, წიწაკა, მდოგვი, მაიონეზი. იკრძალება: ტკბილი, შებოლილი, ფქვილეული, ცხიმიანი, ალკოჰოლი.

ეფექტურობის საიდუმლო: რუსული დიეტა სამკაოდ ნოყიერია, ამიტომ ორგანიზმი სტრესს არ განიცდის, რომელიც კვებაში შეზღუდვების დროს ხშირად აღმოცენდება. ამავდროულად ორგანიზმში წყალმარილის ბალანსის დარეგულირებას ეხმარება, რაც შეშუპებას ამცირებს. 2 თვე რუსული დიეტის დაცვა და 7-დან 10 კგ-მდე გაფრინდება.

დიეტის გამოყენების ვადა ორი თვეა, მაგრამ პირველი შედეგები უკვე ორი კვირის შემდეგ ნათელი ხდება.

ამერიკა

ამერიკელმა დიეტოლოგებმა ეს დიეტა სპეციალურად კინოვარსკვლავებისთვის დაამუშავეს.

კვების პრინციპი: რამდენიმე აუცილებელი პირობის დაცვა.

დაივიწყეთ ვახშამი, ე.ი. არავითარი საკვები გარდა სითხისა 17 საათის შემდეგ;

არ გამოიყენოთ შაქარი, მარილი, ნებისმიერი ზეთი და სპირტიანი სასმელები;

ყოველდღიურად ჭამეთ ერთი ანანასი ან გრეიპფრუტი;

დღეში 2-2,5 ლიტრი სითხე (უშაქრო ყავა, ჩაი, წყალი) დალიეთ;

რაციონში აუცილებლად უნდა შედიოდეს ცილოვანი საკვები (ქათმის ან ინდაურის თეთრი ხორცი, ხბო, თევზი), ბოსტნეული და ხილი (გამონაკლისია კარტოფილი, ჭარხალი, ბანანი და ყურძენი).

ეფექტურობის საიდუმლო: ორგანიზმიდან გამოდის ზედმეტი სითხე, ამის წყალობით შეშუპება ქრება, ორგანიზმი შლაკებისა და ტოქსინებისგან თავისუფლდება, ნივთიერებათა ცვლა ჩქარდება, რაც წონაში დაკლებას ეხმარება. 14 დღეში 4-დან 7კგ-მდე ქრება.

გამოყენების ვადა 2 კვირაა. შემდეგში ასე კვება არ ღირს, ვინაიდან ნახშირწყლებისა და მარილის გარეშე შეიძლება არტერიული წნევის რყევა, თვლემა და დაღლა აღმოცენდეს. დიეტის გამეორება შეიძლება 3-4 თვის შემდეგ, უფრო ადრე — არა.

შვედეთი

იქაურმა დიეტოლოგებმა ეს დიეტა ზღვის ძღვენის ბაზაზე დაამუშავეს. მათი აზრით, სწორედ ზღვის პროდუქტი ეხმარება მოხდენილი ფიგურის შენარჩუნებას.

კვების პრინციპი: ხორცისგან განსხვავებით, თევზში არსებული ცილა ბევრად უფრო ადვილად შეითვისება ორგანიზმის მიერ და არც ცხიმოვანი ფენებით იმუქრება. სხვადასხვა თევზი და ზღვის პროდუქტი შეიძლება გამოიყენოთ ყოველდღიურად სალათებში, პირველ და მეორე კერძებში. გარდა ამისა, მენიუში მუდამ უნდა შედიოდეს წიწიბურა, უცხიმო რძე, კარტოფილი, ბოსტნეული და ხილი, საუზმეზე — ყველი, ხაჭო და იოგურტი. მენიუში ყველაზე მცირე ადგილი უნდა დაიჭიროს ხორცეულმა და კვერცხმა.

ეფექტურობის საიდუმლო: ზღვის ძღვენი შეიცავს ბევრ იოდს (ნივთიერებათა ცვლას აუმჯობესებს) და თიროზინს (მადას აქვეითებს, ცხიმის ფენის შემცირებას ეხმარება). 6 თვეში შეიძლება 10-15 კგ დაიკლოთ. გამოყენების დრო შეუზღუდავია. ასეთი პრინციპით შეიძლება მუდამ იკვებოთ. ეს დიეტა არა სწრაფ, არამედ სტაბილურ გახდომას ეხმარება.

ეს საინტერესოა

ტიბეტელმა დიეტოლოგებმა ორგანიზმის გაახალგაზრდავების საშუალება აღმოაჩინეს. ამ დიეტის თავისებურება ისაა, რომ ყველა ხორცეულ პროდუქტს გამორიცხავს, დასაშვებია მხოლოდ მცენარეული და რძის პროდუქტები. ყველა ხილი და ბოსტნეული უმად უნდა მიიღოთ. დიეტის დაცვა აუცილებელია ერთი კვირის განმავლობაში, შემდეგ შეგიძლიათ რაციონში ცოტა ხორცი ჩართოთ. დიეტის გამეორება შეიძლება ყოველ 2 თვეში. ამრიგად, ორგანიზმის თანდათან გაწმენდა და გაჯანსაღება მოხდება. ეს ნიშნავს, რომ სიბერე დიდი ხნით გადაიწევს.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

მაიკ ტაისონის ოინები

ამერიკელი მოკრივე მაიკ ტაისონი ხელოვნურ პენისს იყენებდა ინსპექტორების მოსატყუებლად, რომლებიც მას ორთაბრძოლების შემდეგ დოპინგ-ტესტისთვის ანალიზს უღებდნენ. ამის თაობაზე თავად ამერიკელმა მოკრივემ დაწერა თავის მემუარებში „უეჭველი სიმართლე“, რომელიც გასაყიდად ახლახან გამოვიდა. ტაისონის თქმით, ის იძულებული იყო, ასეთი ხერხისთვის მიემართა, ვინაიდან გამუდმებით იღებდა კოკაინსა და მარიხუანას.

ხელოვნური პენისის გამოყენების იდეა ტაისონს ლუ სავარეზესთან ორთაბრძოლის წინ დაებადა, რომელიც 2000 წელს შედგა. მას შემდეგ მოკრივე დოპინგ-ინსპექტორებს ყოველი ორთაბრძოლის შემდეგ სწორედ ასეთი ხერხით ატყუებდა.

ტაისონმა თავის წიგნში დაწერა, რომ ყოველი ორთაბრძოლის წინ ყნოსავდა კოკაინს და ეწეოდა მარიხუანას, ხოლო როდესაც დოპინგ-ტესტის ჩაბარების დრო დგებოდა, ხელოვნურ პენისს იყენებდა, რომელიც სხვისი შარდით იყო ავსებული. 2000 წელს კი ანჯეი გოლოტასთან ორთაბრძოლის დროს დოპინგ-ტესტმა დადებითი შედეგი იმიტომ აჩვენა (მაშინ მოკრივე 200 ათასი დოლარით დააჯარიმეს), რომ ხელოვნური პენისი დროულად ვერ გადასცეს.

რკინის მაიკად წოდებულმა მოკრივემ პირველად კოკაინი 11 წლისამ გასინჯა, ხოლო სპორტული კარიერის განმავლობაში რეგულარულად იღებდა ნარკოტიკებს. ტაისონმა ასევე აღიარა, რომ 2002 წელს, როდესაც პრესკონფერენციის დროს ბრიტანელ მოკრივე ლენოქს ლუისს ფეხზე უკბინა, კოკაინის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

თავისი კარიერის მანძილზე ტაისონმა 58 ორთაბრძოლა გამართა, რომელთაგან 50-ში გაიმარჯვა (44-ში ნოკაუტით), 6-ში დამარცხდა, ხოლო 2 ორთაბრძოლის შედეგი გაუქმდა.

ამერიკული ფეხბურთის ქომაგებმა ღრიანცელით რეკორდი დაამყარეს

ამერიკული ფეხბურთის კლუბ „კანზას სიტი ჩიფსის“ გულშემატკივრებმა მსოფლიო რეკორდი დაამყარეს სტადიონზე ატეხილი ხმაურით. რეკორდი ნაციონალური საფეხბურთო ლიგის მატჩის დროს დაფიქსირდა, რომელიც კლუბმა „ოკლენდ რეიდერსთან“ გამართა და „კანზას სიტის“ გამარჯვებით 24:7 დასრულდა. სტადიონზე ატეხილი ხმაურის დონემ 137,5 დეციბელს მიაღწია.

წინანდელი რეკორდი (136,6 დეციბელი) კლუბ „სიეტლ სიქოკსის“ გულშემატკივრებს ეკუთვნოდათ, რომელიც მათ „სან ფრანცისკო ფორტი ნაინერსთან“ მატჩის დროს დაამყარეს. „კანზას სიტის“ რეკორდი გინესის წიგნში შევა. შედარებისთვის, 140 დეციბელი რეაქტიული თვითმფრინავის მიერ გამოცემული ხმის შესატყვისია.

„ოკლენდის“ მოთამაშეები ამბობენ, რომ მატჩის დროს ერთმანეთის ხმა არ ესმოდათ. ისინი 11-ჯერ დაჯარიმდნენ თამაშის შეფერხებისა და ფალსტარტის გამო, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ სტადიონზე ატეხილ ხმაურში ურთიერთშეთანხმებას ვერ ახერხებდნენ. „კანზას სიტის“ მწვრთნელმა ენდი რეიდმა განაცხადა, რომ მატჩის დროს გულშემატკივრების მიერ ატეხილი ხმაურის გამო ფეხქვეშ მიწა ერყეოდა.

«მანჩესტერის» მოთამაშე საავადმყოფოში მოხვდა

ცნობილი ინგლისური კლუბის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი ნემანია ვიდიჩი ლონდონის „არსენალთან“ მატჩის შემდეგ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამის თაობაზე ინფორმაცია, გუნდის მთავარ მწვრთნელ დევიდ მოიესზე დაყრდნობით, „სქაი სპორტსმა“ გაავრცელა.

ვიდიჩმა თავის ტრავმა თანაგუნდელთან, მეკარე დავიდ დე ჰეასთან შეჯახების შედეგად მიიღო. მოიესმა მომხდარს უბედური შემთხვევა უწოდა და იქვე დაამატა, რომ მცველისა და მეკარის შეჯახება საშინელი სანახავი იყო.

სერბი მცველი და ესპანელი მეკარე ერთმანეთს პირველი ტაიმის ბოლოს შეეჯახნენ. ვიდიჩმა მოედნის დატოვება მხოლოდ ექიმების დახმარებით მოახერხა. მან მეორე ტაიმში თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო და მოედანი ტომ კლევერლის დაუთმო.

უნდა აღინიშნოს, რომ ამავე მატჩში „მანჩესტერის“ კიდევ ერთი მოთამაშე ფილ ჯონსი „არსენალის“ პოლონელ მეკარე ვოიცეხ შჩესნის შეეჯახა, მაგრამ ამას მძიმე შედეგი არ მოჰყოლია და მცირე სამედიცინო ჩარევის შემდეგ ორივემ შეძლო თამაშის გაგრძელება.

მატჩი მანჩესტერის სტადიონ „ოლდ ტრაფორდზე“ გაიმართა და მასპინძლების გამარჯვებით 1:0 დასრულდა. ერთადერთი გოლი 27-ე წუთზე „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელმა რობინ ვან პერსიმ გაიტანა.

ბავარიელთა უმრავლესობას ოლიმპიადა არ სურს

გერმანიის ბავარიის მხარის ოთხი რეგიონის მოსახლეობამ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა 2022 წელს ამ მხარეში ზამთრის ოლიმპიური თამაშების გამართვის თაობაზე განცხადებასთან დაკავშირებით — იტყობინება „დოიჩე ველე“.

რეფერენდუმზე, რომელიც ბავარიის დედაქალაქ მიუნხენში, ასევე ქალაქებში გერმიშ-პარტენკირხენში, ტრაუნშტაინსა და ბერხტესგადენში ჩატარდა, მოსახლეობის ნახევარზე მეტმა ამ ინიციატივას მხარი არ დაუჭირა. წინასწარი მონაცემებით, გერმიშ-პარტენკირხენში ამომრჩეველთა 51,56%-მა უარყოფითი პასუხი გასცა შეკითხვას: „გსურთ თუ არა ოლიმპიური თამაშების ჩატარება“, ხოლო ტრაუნშტაინში წინააღმდეგი 59,67% იყო.

მიუნხენი შესაძლო იყო თავისი ისტორიის მანძილზე მეორედ გამხდარიყო ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი, რეფერენდუმში ოთხივე რეგიონის მცხოვრებთა უმრავლესობას თანხმობა რომ განეცხადებინა.

შეგახსენებთ, რომ ბავარიის დედაქალაქსა და გარმიშ-პარტენკირხენში 1936 წელს გაიმართა ზამთრის მეოთხე ოლიმპიური თამაშები, გარდა ამისა, მიუნხენმა 1972 წელს ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა.

ნავარაუდევი იყო, რომ მიუნხენი უმასპინძლებდა ოლიმპიური თამაშების გახსნისა და დახურვის საზეიმო ცერემონიალს, ასევე ჰოკეის მატჩებსა და მთელ რიგ შეჯიბრებებს, რუპოლდინგში (ტრაუნშტაინის რაიონი) გაიმართებოდა შეჯიბრებები ბიატლონში და ასევე სათხილამურო შეჯიბრებები, გერმიშ-პარტენკირხენი სამთო-სათხილამურო შეჯიბრებებს უმასპინძლებდა, ხოლო შენაუამ-კენიგსზეში (ბერხტესგადენის რაიონი) გაიმართებოდა შეჯიბრებები ციგაობასა და ბობსლეიში.

გერმიშ-პარტენკირხენის ბურგომისტრმა ტომას შმიდმა რეფერენდუმის შედეგების გამო თავისი უკმაყოფილება გამოხატა და აღნიშნა, რომ ბავარიამ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის ბოლო შანსი გაუშვა ხელიდან. თავის მხრივ, ბავარიის პარლამენტში ფრაქცია „მწვანეების“ თავმჯდომარე ლუდვიგ ჰარტმანმა განაცხადა, რომ რეფერენდუმის შედეგები არა სპორტის, არამედ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გაუმაძღრობის წინააღმდეგ პროტესტია.

✓ მოამზადა კახა ხატიაშვილმა

Cyan Magenta Yellow Black

კაცმა საცოლეს 102 კილო ფული აჩუქა

ჩინეთში, ჩეჟეცზიანის პროვინციაში მცხოვრებმა კაცმა საცოლეს 8,88 მილიონი იუანი (დაახლოებით 1,5 მილიონი ამერიკული დოლარი) აჩუქა. საქმროს 18-მა მეგობარმა კაცმა საპატარძლოს მუყაოს ყუთებში ჩაწყობილი ფული მანქანებით მიუტანა. ფული მთლიანობაში 102 კილოს იწონიდა.

ამ პროვინციაში არსებული ტრადიციის მიხედვით, საქმრომ საცოლეს ძვირადღირებული საქორწინო საჩუქრები უნდა მიართვას. გასაკვირია, მაგრამ პროვინციის მცხოვრებლებმა ასეთი საჩუქრისთვის საქმრო გააკრიტიკეს. მამაკაცმა კი კონკრეტულად 8,88 მილიონი იუანი იმიტომ შეარჩია, რომ 8 ჩინეთში ბედნიერ ციფრად მიიჩნევა.

ინგლისის სამეფო წვივლის საქორწილო ტორტის ნაჭერი აუქციონზე გაიყიდა

კეიტ მიდლტონისა და პრინც უილიამის საქორწილო ტორტის ნაჭერი 2 წლის შემდეგ აუქციონზე რეკორდულ ფასად, 4.160 დოლარად გაიყიდა. აუქციონის ორგანიზატორები არ ასახელებენ იმ ადამიანის ვინაობას, ვინც ეს შენაძენი გააკეთა.

საკონდიტროში, სადაც სამეფო ტორტი დამზადდა, აცხადებენ, რომ ორი წლის გასვლის მიუხედავად ტორტი არ გაფუჭებულა.

მჯდარმა ქალმა ბავშვი გააჩინა

უნგრეთში წარმოუდგენელი ფაქტი დაფიქსირდა. 31 წლის ქალს, რომელიც 15 კვირის ფეხმძიმე იყო, კლინიკური სიკვდილი დაუდგინეს, მაგრამ მომდევნო 12 კვირის განმავლობაში აპარატზე მიერთებული დატოვეს.

ექიმები ცდილობდნენ, ფეხმძიმობა რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო, მაგრამ დედის ასეთ მდგომარეობაში ყოფნა ნაყოფისთვის სულ უფრო სახიფათო ხდებოდა, ამიტომ ფეხმძიმობის 27-ე კვირაზე ქალს საკეისრო კვეთა ჩაუტარდა და ქვეყანას პატარა მოევლინა, რომელიც სულ რაღაც 500 გრამს იწონიდა. ბავშვის გაჩენის შემდეგ ქალი აპარატიდან გამორთეს.

ბავშვი დღემდე ინკუბატორშია და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ექიმები ამ ფაქტს ნამდვილ სასწაულს უწოდებენ.

ცოლად ეშმაკის ბორბალს „გაჰყვა“

ფლორიდის შტატში მცხოვრები ლინდა დუჩარმი ეშმაკის ბორბალს გაჰყვა ცოლად. უკვე ჟანგიან ატრაქციონზე ლინდა, წლებია, რაც შეყვარებულია და მას ბრიუსს ეძახის. უცნაური ცერემონიალი სატელევიზიო არხმა „ლოგომ“ გააშუქა.

ლინდა ვერ ხსნის იმ გრძნობას, რასაც რკინის საგნებისადმი განიცდის. მისთვის ასეთი სიყვარული პირველი შემთხვევა არაა. მას ხანგრძლივი „რომანი“ ჰქონდა მატარებელსა და თვითმფრინავთან, ამის გამო სტიუარდესად და მატარებლის გამცილებლადაც კი მუშაობდა.

როდესაც ხელმძღვანელობამ უსულო საგნებისადმი ლინდას დამოკიდებულების შესახებ შეიტყო, სამსახურიდან გაათავისუფლა. ამის გამო ქალი დეპრესიაში იყო, სანამ მის ცხოვრებაში ეშმაკის ბორბალი არ გამოჩნდა. ლინდა ბრიუსს რეგულარულად სტუმრობს და მისთვის საჭმელიც მიაქვს.

ყველაზე ხანდაზმული ბრიტანელი ქალი გარდაიცვალა

14 ნოემბერს ბრიტანეთში ყველაზე ხანდაზმული ქალი, გრეის ჯონსი, 114 წლის ასაკში გარდაიცვალა. ჯონსი 1899 წლის 7 დეკემბერს დაიბადა. ის მკერავი იყო და ლონდონში ცხოვრობდა. გრეის ჯონსის საქმრო მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა, მას შემდეგ ქალი არ გათხოვილა და ბოლომდე პირველი სიყვარულის ერთგული დარჩა.

გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე ჯონსი კიბიდან გადავარდა და ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც მალევე გარდაიცვალა.

გრეის ჯონსის სიკვდილის შემდეგ ყველაზე ხანდაზმული ბრიტანელი ქალის ტიტული 113 წლის ეტელ ლანგმა დაისაკუთრა, რომელიც 1900 წლის 27 მაისსაა დაბადებული.

Cyan Magenta Yellow Black

კაცმა 100 წლის იუბილე პარაშუტით გადმოხტომით აღნიშნა

ნებრასკას შტატში მცხოვრები ვერნონ მეინარდი 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად შვილიშვილთან ერთად 3 962 მეტრის სიმაღლიდან პარაშუტით გადმოხტა. მას ეს საჩუქარი მეგობრებმა გაუკეთეს. მათ იცოდნენ, რომ ვერნონს ძალიან უნდოდა პარაშუტით გადმოხტომა.

მეინარდს თავისი ასაკისათვის საკმაოდ საშიში და ექსტრემალური საჩუქრის მისაღებად სამედიცინო გამოკვლევა წინასწარ ჩაუტარდა. პარაშუტით ფრენა მისთვის ერთობ სასიამოვნო პროცესი აღმოჩნდა.

ქალმა 2,5 ტონიანი მანქანა თმით გაათრია

ცირკის მსახიობი პოლონელი ქალი, საკუთარი თმის წყალობით, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. ლონდონის ცენტრალურ ქუჩაზე ახალგაზრდა ქალმა 1 წუთის განმავლობაში თმაზე გამობმული 2,5 ტონიანი მანქანის 20 მეტრზე გაწევა მოახერხა.

გასაოცარია ის ფაქტი, რომ მომხდარის შემდეგ ცირკის მსახიობს თმის არც ერთი ღერი ჩამოვარდნია, თუმცა არც ეს წარმოადგენს პრობლემას, რადგან თმა დაზღვეული აქვს.

ცოლს ერთი წელი ქმრის ცხედართან ეძინა

ბრიუსელში მცხოვრები 69 წლის ქალი ისე დაამწუხრა ქმრის გარდაცვალებამ, რომ ცხედარი შეინახა და მთელი წლის განმავლობაში მის გვერდით ეძინა.

როგორც გაირკვა, 79 წლის მამაკაცი 2012 წლის ნოემბერში ასთმის შეტევით გარდაიცვალა. ცოლმა მისი სიკვდილი არავის გაუმხილა. მეზობლებს კი მთელი ამ ხნის განმავლობაში არაფერი შეუმჩნევიათ. ისინი კიდევ დიდხანს ვერაფერს გაიგებდნენ, რომ არა ბინის მეპატრონე, რომელმაც პოლიციაში განაცხადა, რომ ქირა მთელი წლით დაუგვიანეს.

ადგილზე მისულმა პოლიციელებმა კაცის მუმიფიცირებული ცხედარი აღმოაჩინეს.

ნარინჯისფერი ბრილიანტი ჰეროიდეი ფასად გაიყიდა

მსოფლიოში ყველაზე დიდი ნარინჯისფერი ბრილიანტი ჟენევაში, „კრისტის“ აუქციონზე, რეკორდულ ფასად — 32,5 მილიონ შვეიცარიულ ფრანკად გაიყიდა. მყიდველის ვინაობა არ სახელდება, მიუხედავად იმისა, რომ ის აუქციონს თავად ესწრებოდა.

ძვირფასი ქვა 14,82 კარატს იწონის. თავდაპირველად ბრილიანტი 17-20 მილიონ დოლარად იყო შეფასებული. ცნობილი გახდა, რომ ქვა სამხრეთ აფრიკაში იპოვეს და ის კერძო კოლექციაში ინახებოდა. ყველაზე დიდი ნარინჯისფერი ბრილიანტი, რომელიც ამ დრომდე აუქციონებზე გაყიდულა, 6 კარატს იწონიდა.

ოქროს ნაძვის ხე 4,99 მილიონ დოლარად

ტოკიოში გასაყიდად მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ნაძვის ხე გამოიტანეს, რომელიც 4,99 მილიონი ამერიკული დოლარი ღირს. ნაძვის ხე საიუველირო კომპანია „ტანაკა კიკინზოკუმ“ ოქროსაგან დაამზადა და დისნეის გმირების ფიგურებით მორთო. მართალია, ნაძვის ხე საახალწლო დღესასწაულისთვის შეიქმნა, მაგრამ იგი მიკი მაუსის დაბადების დღეს ეძღვნება. დისნეის ამ გმირის დებიუტი 1928 წლის 18 ნოემბერს შედგა.

ოქროს ნაძვის ხის სიმაღლე 2,4 მეტრია და 43 კილოგრამს იწონის. მსურველებს მისი შეძენა 25 დეკემბრამდე შეუძლიათ. კომპანიამ ასევე დაამზადა მინიატურული ნაძვის ხეები, რომლებიც შედარებით იაფია. მინი ნაძვის ხეები 400 გრამი ვერცხლისა და 127 გრამი ოქროსგანაა დამზადებული, თითოეულის ღირებულება კი 16 ათასი ამერიკული დოლარია.

Cyan Magenta Yellow Black

სადამდე მიდის თქვენი ცნობისმოყვარეობა?

1. რას იზამთ, თუ ოთახში შეხვედით და იქ მყოფნი გაჩუმდნენ?

ა) მე გამოველაპარაკები ყველას — 2

ბ) ჩავთვლი, რომ მჭორავდნენ და მეწყინება — 0

გ) დამაინტერესებს მათი საუბრის თემა — 1

2. შეგიძლიათ, სხვისი წერილი გახსნათ და წაიკითხოთ?

ა) დიახ — 2

ბ) არა — 0

გ) ვეცდები, წერილი ჩემთან ერთად წაიკითხოს და მისი შინაარსი გავიგო — 1

3. ნაცნობმა ლამაზი ნივთი შეიძინა, რომელიც მოგეწონათ, მაგრამ არ გიმხელთ, სად იყიდა. რას იზამთ?

ა) როგორმე ვათქმევინებ — 2

ბ) არაფერს — 0

გ) ვინმესთან აუცილებლად იტყვის, სად იყიდა და მერე მეც ვიყიდი — 1

4. თუ ოჯახის რომელიმე წევრი ცუდ ხასიათზე დაბრუნდა, ამის მიზეზს ჰკითხავთ?

ა) არ მოვეშვები, ვიდრე არ ვათქმევინებ — 1

ბ) იმ ადამიანებთან გადავრეკავ, ვისთან ერთადაც იყო, რათა მიზეზი გავიგო — 2

გ) არაფერს ვეტყვი — 0

5. სამზარეულოში ტრიალი გიყვართ და კერძების კეთებაც გეხერხებათ, ახლობელმა კი ახალი რეცეპტი მოგიტანათ, რას იზამთ?

ა) ვეტყვი, რომ ისედაც ბევრი რეცეპტი მაქვს — 0

ბ) ზრდილობის გამო გამოვართმევ — 1

გ) რეცეპტს გამოვართმევ და მეც შევთავაზებ რაიმე ორიგინალური საჭმლის რეცეპტს — 2

6. როგორ მოიქცევით, თუ ავტოკატასტროფას შეესწარით?

ა) გზას გავაგრძელებ — 0

ბ) გავჩერდები და ბოლომდე ვუყურებ, რა მოხდება — 2

გ) სასწრაფოსა და პატრულის გამოძახებაზე ვიზრუნებ — 1

7. სახლში ხართ და ტელევიზიით სენსაციური ინფორმაცია მოისმინეთ. რას იზამთ?

ა) სასწრაფოდ მეგობრებს დავურეკავ და მათაც შევატყობინებ — 2

ბ) ყურადღებას არ მივაქცევ — 0

გ) ოჯახის წევრებს დაველოდები და მოვუყვები რაც მოვისმინე — 1

8. თქვენი აზრით, ცნობისმოყვარეობა კარგია თუ ცუდი?

ა) ძალიან კარგი — 2

ბ) ეს ჭორიკნების საქმეა — 0

გ) ზომიერი ყველაფერი კარგია — 1

შედეგები:

0-4 ქულა — არაცნობისმოყვარე ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებით. ამას ხშირად ამპარტავნობაშიც გითვლიან. ამიტომ ეცადეთ, სხვებითაც დაინტერესდეთ. ასე მეგობრებსაც შეიძენთ.

5-9 ქულა — ზომიერად ცნობისმოყვარე ხართ და ეს კარგია.

10-16 ქულა — თქვენი ცნობისმოყვარეობა პიკს აღწევს. ყველაფერში ცხვირს ყოფთ. ეს კი ბევრს აღიზიანებს. ეცადეთ, საკუთარი ინტერესებით შემოიფარგლოთ, სხვების საქმეებში ნაკლებად ჩაყოთ ცხვირი. დაგვიჯერეთ, ასე უფრო დაგაფასებენ.

მწარე სიმართლეს ხომ არ გაურბიხართ?

1. თქვენი ნაცნობი ქალბატონი, რომელიც საკმაოდ ახალგაზრდლად გამოიყურება, 40-ს გადასცდა, მაგრამ უკვე მესამედ იხდის 20 წლის დაბადების დღეს?

ა) ფაქტია, რომ მას რეალური ასაკის დამალვა სურს — 5

ბ) რაც უნდა მოიმოქმედოს, დროს მაინც ვერ შეაჩერებს — 2

გ) ვერ ვიტან ასეთ საქციელს — 1

2. აღმოსავლური, ეგზოტიკური სუვენირები გხიბლავთ?

ა) თვალის გადავლება მიყვარს — 2

ბ) თუ საშუალება მაქვს, რაიმეს აუცილებლად შევიძენ — 1

გ) ასეთი რამეები არ მიზიდავს — 5

3. როგორ მოიქცევით, თუ ხედავთ, რომ ბავშვები ძველ ეკლესიასთან ბურთით თამაშობენ და კედლებს ანგრევენ?

ა) მათ მშობლებს შევატყობინებ და მოვთხოვ, ბავშვებს კარგად აუხსნან ხუროთმოძღვრების ძეგლის ისტორიული მნიშვნელობა — 5

ბ) არაფერს ვეტყვი, დაე, ითამაშონ — 1

გ) ბავშვებს ავუხსნი, ამ ეკლესიის მნიშვნელობას და ვთხოვ, სხვაგან ითამაშონ — 2

4. გსიამოვნებთ, როცა მომავალს გიწინასწარმეტყველებენ?

ა) დიახ, ასეთი რამეები ძალიან მაინტერესებს — 1

ბ) წინასწარმეტყველებების ნაკლებად მჯერა — 5

გ) სიამოვნებით მოვისმენ, მაგრამ ცხოვრებაში ბევრს არაფერს შევცვლი, დაე, მოხდეს, რაც მოსახდენია — 2

5. რა ფერის თილისმას მიანიჭებდით უპირატესობას?

ა) ყავისფერს — 5

ბ) წითელს — 2

გ) მწვანეს — 1

6. ისურვებდით, გაგეგოთ, რამდენ ხანს იცოცხლებთ?

ა) დიახ — 1

ბ) გაჩნია, იმ მომენტში რა ხასიათზე ვიქნები — 2

გ) არავითარ შემთხვევაში! ეს დამთრგუნავდა — 5

შედეგები:

20-30 ქულა — მწარე სიმართლეს სასიამოვნო ტყუილი გირჩევნიათ. სირაქლემას ჰგავხართ, რომელიც საფრთხის შემთხვევაში თავს ქვიშაში ფლობს. ფსიქოლოგები თვლიან, რომ ეს არცთუ უსაფრთხო პოზიციაა.

11-19 ქულა — მართალია, სიმართლეს არ გაურბიხართ, მაგრამ ცხოვრებისეულ სიძნელეებს ძნელად უმკლავდებით. სიტუაციის მიხედვით ირჩევთ, სიმართლე თქვათ თუ იცრუოთ.

6-10 ქულა — არასოდეს იტყუებით და სხვებისაგანაც იმავეს ითხოვთ. სიმართლე თქვენი ძალაა, თუმცა თქვენი პირდაპირობისა და მწარე სიმართლის პირში მიხლის გამო ხშირად გარშემომყოფებთან უსიამოვნებებიც მოგდით და ცხოვრებაც გირთულდებათ.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

		3			4	6		
8				1				9
	7	5					3	
		2	7					8
	9				8			
4				3		5		
		7	8			1		
			3	2			5	
6				9	5			4

№ 2

			9	7	8			
	7						1	6
2	3							
		4	5					3
9			6		7			
		1				8	2	
		5		1				
8			2			3		4
	6			3				9

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.

Cyan Magenta Yellow Black

როგორი ხართ სიყვარულში?

1. გჯერათ სიყვარულის?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

2. ერთი ნახვით შეყვარების გჯერათ?
ა) დიახ — 3
ბ) არა — 0

3. გწამთ პლატონური სიყვარულის?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0

4. მიგაჩნიათ, რომ სიყვარულში მთვარი სექსუალური ურთიერთობაა?
ა) დიახ — 4
ბ) არა — 0

5. თქვენი აზრით, სიყვარული მხოლოდ ვნებაა?
ა) დიახ — 5
ბ) არა — 0

6. ადამიანის მიმართ სიყვარული მასთან გატარებული ვნებიანი ღამის შემდეგ გიმძაფრდებათ?
ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

7. გსიამოვნებთ, თუ პარტნიორი სექსუალურად გთვლით?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0

8. შეგიძლიათ ღამე გაატაროთ ადამიანთან, რომელიც არ გიყვართ?
ა) დიახ — 5
ბ) არა — 0

9. თქვენი აზრით, ნამდვილი სიყვარულის შემთხვევაში ნებისმიერი თავისუფალი ქცევა მისაღებია?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0

10. თავს ვნებიან ადამიანად თვლით?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0

11. მიგაჩნიათ, რომ ორალური სექსი დასაშვებია?
ა) დიახ — 4
ბ) არა — 0

12. ხუთზე მეტი პარტნიორი გამოგიცვლით?
ა) დიახ — 2
ბ) არა — 0

13. შეგიძლიათ, ერთდროულად ორი პარტნიორი გყავდეთ?
ა) დიახ — 5
ბ) არა — 0

14. თქვენი აზრით, დაოჯახებული ადამიანისათვის საყვარლის ყოლა ამორალურია?
ა) დიახ — 5
ბ) არა — 0

15. როგორ გგონიათ, სამსახურებრივი რომანი პროფესიულ საქმიანობას ხელს უშლის?
ა) დიახ — 5
ბ) არა — 0

16. შეგიძლიათ, თაყვანისმცემლისაგან ძვირფასი საჩუქრები მიიღოთ?
ა) დიახ — 5
ბ) არა — 0

17. თქვენი სასიყვარულო თავგადასავლების შესახებ მეგობრებს უყვებით?
ა) დიახ — 5
ბ) არა — 0

18. თქვენი აზრით, ცოლქმარსა და შეყვარებულებს შორის კონფლიქტი ერთნაირია?
ა) დიახ — 3
ბ) არა — 0

19. შეგიძლიათ საყვარელი ადამიანისთვის დრო გამონახოთ, როცა სახლში პრობლემები გაქვთ?
ა) დიახ — 5
ბ) არა — 0

20. მნიშვნელობა აქვს თქვენთვის, რამდენი შეყვარებული ჰყავდა თქვენამდე პარტნიორს?
ა) დიახ — 5
ბ) არა — 0

შედეგები:

1-12 ქულა — ზნეობრივი ადამიანი ხართ. თუ ეს კომპლექსებით არაა გამოწვეული, თქვენნაირ პარტნიორს ნებისმიერი ინატრებდა.

13-24 ქულა — ადვილად გიყვარდებათ. თუ პარტნიორის მიმართ თქვენი გრძნობა ზედაპირულია, ადვილი შესაძლებელია, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა კონფლიქტით დამთავრდეს.

25-40 ქულა — თავისუფალი შეხედულებების ადამიანი ბრძანდებით. ამით პარტნიორს იზიდავთ, მაგრამ თუ ყველაფერს სერიოზული გრძნობა არ ამყარებს, შესაძლოა საყვარელმა ადამიანმა სერიოზულად არ აღგიქვათ.

41-60 ქულა — დაოჯახება და სასიყვარულო ურთიერთობები პრობლემებს შეგიქმნით, თუ თქვენს გრძნობებში დარწმუნებული არა ხართ და ყველაფერს ზერელედ ეკიდებით. გირჩევთ, ისწავლოთ სიყვარული.

60 ქულაზე მეტი — ეშმაკობის განსახიერება ხართ. ამის წყალობით, სხვის თვალში ეჭვს არ იწვევთ, კარგ მეოჯახედ და საყვარლად გთვლიან. თუ ხშირად შეიცვლით სიყვარულის ობიექტს, თქვენს იმიჯს მალე გამოემშვიდობებით.

კოლეგების მიმართ ტაქტიანი ბრძანდებით?

1. კოლეგებმა სადილზე დაგპატიჟეს, თქვენ კი მარხულობთ, როგორ მოიქცევით?
ა) დავარღვევ მარხვას — 3
ბ) არ წავალ — 1
გ) მიპატიჟებას მივიღებ, მაგრამ მხოლოდ სამარხვო კერძებს შევჭამ — 2

2. რითი იწყება თქვენი სამუშაო კვირა სამსახურში?
ა) სამუშაო მაგიდას ვალაგებ და კვირის სამუშაოს ვეცნობი — 2
ბ) მომენტალურად მუშაობას ვიწყებ — 1
გ) კოლეგებს ვუყვები, როგორ გავატარე დასვენების დღეები — 3

3. რა რეაქცია გაქვთ, როცა კოლეგებთან კამათში მარცხდებით?
ა) საკუთარ თავზე საშინლად ვბრაზდები — 3
ბ) მარცხს ვეგუები — 2
გ) მეორედ კოლეგებთან აღარ ვიკამათებ — 1

4. საკუთარ თავს უფრო ენდობით, ვიდრე სხვას?
ა) ყოველთვის ვიცი, ვის უნდა ვენდო — 2
ბ) იმედი არაერთხელ გამცრუებია — 3
გ) დიახ, საკუთარ თავს უფრო ვენდობი — 1

5. მსოფლიოში სასიამოვნო პოლიტიკური მოვლენები ხდება. როგორ აღიქვამთ ამას?
ა) ძალიან მიხარია — 2
ბ) ამას სკეპტიკურად ვუყურებ — 1
გ) დადებითად, თუ ეს ჩვენზეც კარგად აისახება — 3

6. თქვენს კოლეგას შვებულებაზე უარი უთხრეს. როგორ მოიქცევით?
ა) ვუთანაგრძნობ — 1
ბ) შევეცდები, დავამშვიდო — 2
გ) უფროსს დაველაპარაკები და შევეცდები, დავარწმუნო, შვებულება მისცეს — 3

7. კოლეგებმა გადაწყვიტეს, დასვენების დღეებში ტურისტულ ლაშქრობაში წავიდნენ. როგორ მოიქცევით?
ა) სიამოვნებით წავალ — 3
ბ) გააჩნია, რა კომპანია შეიკრიბება — 2
გ) ლაშქრობები არ მიყვარს — 1

შედეგები:

7-11 ქულა — გულითადი ადამიანი ხართ, მაგრამ საკუთარი გრძნობების გამოხატვა გიჭირთ, ეცადეთ, კოლეგებს აგრძნობინოთ, რომ შეუძლიათ, თქვენი იმედი ჰქონდეთ.

12-16 ქულა — კოლექტივში შეუცვლელი ადამიანი ხართ, ყველას უყვარხართ, რადგან კოლეგებისადმი ტაქტიანი მოპყრობით გამოიჩევით. თუ სამსახურში დიდხანს არ გამოჩნდით, გრძნობენ, რომ ვიღაც აკლიათ. ყოველთვის ცდილობთ, კოლეგებს შორის პატარ-პატარა კონფლიქტები მოაგვაროთ. უსამართლობასთან შეგუება გიჭირთ. იფრთხილეთ, შეიძლება თქვენი კეთილი ზრახვები ვინმემ ბოროტად გამოიყენოს.

17-21 ქულა — შეიძლება ტაქტი არ გაკლიათ, მაგრამ თქვენ ტიპური მარტოხელა მებრძოლი ხართ. გირჩევნიათ, ყველასაგან დამოუკიდებელი იყოთ. გირჩევთ, კოლეგების მიმართ მეტი ნდობა გამოიჩინოთ. გვერწმუნეთ, მათი დახმარებით უამრავი პრობლემის გადაჭრას შეძლებთ.

Cyan Magenta Yellow Black

მჟავიანობა — დაბალი თუ მაღალი

ჰით ვუშველოთ მას

ფისკომფორტის შეგრძნება, ზოგჯერ კუჭის ტკივილი პრაქტიკულად ყველა ადამიანისთვის ნაცნობია. ყველაზე ხშირად ეს დაკავშირებულია კვებაში დაშვებულ შეცდომებთან, თუმცა კუჭთან პრობლემები შეიძლება გამოწვეული იყოს ბევრი სხვა მიზეზითაც.

ჯუჭის მთავარი მტრები

თუ მიზეზების შეტევა კუჭის ლორწოვანზე ძლიერ ხანგრძლივი და ინტენსიურია, შეიძლება გასტრიტი და წყლული განვითარდეს. რომელია მათი აღმოცენების ხელშემწყობი ფაქტორები?

არასწორი კვება

აქ შედის რეჟიმის დარღვევა, როდესაც ხანგრძლივ შიმშილობას ზედმეტისა და სწრაფად ჭამა, ასევე მშრალი საჭმელი ცვლის. კუჭს ვნებს უხვად ცხიმიანი, შემწვარი საჭმელი, ფასტ ფუდები, დაკონსერვებული პროდუქტები.

მავნე ჩვევები

ალკოჰოლი კუჭისთვის რომ საზიანოა, ეს ყველამ იცის, მაგრამ ბევრად უფრო საშიშია თამბაქოს მოწევა, განსაკუთრებით უზმოზე. თამბაქოს ბოლი კუჭის სისხლძარღვების სპაზმებს იწვევს, ხოლო მის შემადგენლობაში არსებული ფისი და კანცეროგენები (კიბოს გამომწვევები) ქრონიკულ მოწამვლასა და ლორწოვანის ანთებას განაპირობებენ.

სტრესი

პირდაპირი გზაა წყლულისკენ. მისი ზემოქმედება დაკავშირებულია კუჭის მუშაობის ჰორმონული რეგულაციის რთულ მექანიზმთან. ტყუილად არ ამბობენ, რომ წყლული ნერვული ადამიანების დაავადებაა.

სამკურნალო პრეპარატები

ბევრი ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება, მაგალითად, ასპირინი, კუჭის ლორწოვანს აღიზიანებს და ეროზიისა და წყლულის გაჩენას იწვევს. ასეთი წამლები უნდა მიიღოთ მხოლოდ მკაცრი მითითებების დაცვით, მაძღარ კუჭზე და დიდი რაოდენობით წყალი დააყოლოთ.

ბაქტერიული ინფექციები

ძირითადი მიკროორგანიზმი, რომელიც კუჭს ვნებს — ეს არის ჰელიკობაქტერია პილორი. თუ ის ადამიანს აღმოაჩნდება, ანტიბიოტიკებით მკურნალობას უნიშნავენ.

ჰოგორი მჟავიანობა გაქვთ?

კუჭის დაავადებების სწორი მკურნალობა, მათ რიცხვში სამკურნალო მცენარეების დახმარებით, დამოკიდებულია კუჭის წვენის მჟავიანობის მაჩვენებელზე.

კუჭის წვენში მარილმჟავას დონე დღის განმავლობაში იცვლება. საჭმლის მიღების მოლოდინში და კუჭში საკვების მოხვედრის შემდეგ მატულობს. ნორმაშიPH (მჟავიანობის მაჩვენებელი) 1,5-2-ის ფარგლებში უნდა იყოს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით (კვება, სტრესი, მჟავის გამომამუშავებელი ჯირკვლების მუშაობის დარღვევა, ზოგიერთი წამლის ხანგრძლივად მიღება) კუჭის წვენის ნორმალური მჟავიანობა შეიძლება შეიცვალოს. მაშინ საუბარია მომატებულ ან დაბალ მჟავიანობაზე. მართალია, განსაზღვრა სპეციალური გამოკვლევით ხდება, მაგრამ ზოგიერთი ნიშნით თავად შეგიძლიათ იმსჯელოთ, როგორი მჟავიანობა გაქვთ.

მომატებული მჟავიანობის სიმპტომები: კუჭში მწვავე ტკივილის პერიოდულად აღმოცენება; ჭამის შემდეგ გულის კოვზთან სიმძიმის შეგრძნება; კუჭის წვა (ძმარვა) განსაკუთრებით ცხიმიანის, ცხარის, მჟავის ჭამის შემდეგ; ბოყინი მწარე გემოთი; ხშირი ყაბზობა.

დაბალი მჟავიანობის სიმპტომები: პირში უსიამოვნო, „სპილენძის“ გემოს შეგრძნება; ცუდი მადა; დილით, ჭამამდე, გულისრევა; ბოყინი მოხარშული ძველი კვერცხის გემოთი; მუცელში ხშირი ბუყბუყი.

მკურნალობის შერჩევა კუჭის წვენის მჟავიანობის განსაზღვრის მიხედვით ხდება. მჟავის სიჭარბის დროს ინიშნება ანტაციდები, ნივთიერებები, რომლებიც ზედმეტ მჟავიანობას ანეიტრალებს. თუ მჟავიანობა დაბალია, აუცილებელია კუჭის წვენის სეკრეციის ამამაღლებელი წამლები. სამკურნალო მცენარეების შერჩევისას ყურადღება მიაქციეთ, როგორი მჟავიანობის დროს შეიძლება მათი გამოყენება. ამ მაჩვენებლებზე ასევე დამოკიდებულია დიეტაც.

მჯეინაღობა ახალგამონეხილი წვენებით

შემოდგომა მადღიანი დროა წვენებით კუჭის მკურნალობისთვის. სამკურნალო მიზნით გამოდგება მხოლოდ ქორფა ნაყოფის ახალგამოწურული წვენი (არა — პაკეტის).

კუჭის ლორწოვანი გარსის ანთების დროს, უმჯობესია, წვენი წყლით გაზავებული დალიოთ საკვების მიღების შუალედებში მომატებული მჟავიანობის დროს, ხოლო ჭამამდე ნახევარი საათით ადრე — დაბალი მჟავიანობის დროს. საქმე ისაა, რომ წვენების ერთი ნაწილი მარილმჟავას გამომუშავებას ამაღლებს, მეორე — აქვეითებს.

კუჭის წვენის მაღალი მჟავიანობის დროს რეკომენდებულია კარტოფილის, კომბოსტოს, ჟოლოს, ალუბლის, ბლის, ნესვის, მწვანე სალათის ფოთლების წვენი.

დაბალი მჟავიანობის დროს მჟავის გამომუშავებას ეხმარება ციტრუსების, ვაშლის, სტაფილოს, კიტრის, ანანასის, შავი მოცხარის, ყურძნის წვენები.

სამკურნალო წვენები დღეში 1-2 ჭიქა დალიეთ.

U — ჯუჭის ვიტამინი

ვიტამინიU ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთიერებაა კუჭის ჯანმრთელობისთვის. მას ტყუილად არ უწოდებენ წყლულის საწინააღმდეგო ფაქტორს. ვიტამინი U ამინომჟავაა, რომელიც კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის დაზიანებულ ლორწოვანის გარსს აშუშებს, მარილმჟავას ნორმალურ გამომუშავებას ეხმარება. გარდა ამისა, ზოგიერთ ტოქსიკურ ნივთიერებას უვნებელყოფს და სტრესის შედეგებს ამცირებს. ჩვენს ორგანიზმში ამ ნაერთის სინთეზირება არ ხდება. მისი დეფიციტი ქრონიკული გასტრიტისა და წყლულის აღმოცენების მიზეზია. — თავხვეული კომბოსტო. გაცხელების დროს ვიტამინის დიდი ნაწილი იშლება, ამიტომ კომბოსტოს წვნიანში ან მოშუშულ კომბოსტოში ის პრაქტიკულად არ არის. სამაგიეროდ კარგად დაცულია კომბოსტოს მწნილში. აღნიშნული ვიტამინით მდიდარი სხვა პროდუქტებია — ფოთლოვანი სალათა, ისპანახი, ოხრახუში, სატაცური, სტაფილო, უმი კარტოფილი.

ასკილი ნყლეულის წინააღმდეგ

ასკილის სასმელი რეკომენდებულია სისხლმდენი წყლულის დროსაც კი. ის მდიდარია ცხიმმჟავებით და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნაერთებით. ასკილი ანთებას აქრობს და კუჭის ლორწოვანი გარსის შეხორცება-მოშუშებას ეხმარება.

სამკურნალო ნახარში. 1 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ გამხმარ ნაყოფს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით, 5 წუთი დაბალ ცეცხლზე ადუღეთ, გააგრილეთ, რამდენიმე ფენა მარლაში გაწურეთ. დილით და საღამოს 1 ჭიქა დალიეთ.

თაფლის აფთიაქი

თაფლი უნივერსალური სამკურნალო საშუალებაა, რომელიც წარმატებით გამოიყენება კუჭის ყველა დაავადების სამკურნალოდ. გასტრიტისა და წყლულის დროს განსაკუთრებით სასარგებლოა ცაცხვის, წიწიბურას და აკაციის თაფლი. ყოველდღიურად, ჭამამდე 2 საათით ადრე, 1-2 ჭიქა თბილი წყალი დალიეთ, რომელშიც გახსნილია 1 სუფრის კოვზი თაფლი.

კუჭის წვენის დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტის დროს აიღეთ 10 წილი თაფლი, 2 წილი კალანხოეს წვენი და 1 წილი პროპოლისის 10%-იანი სპირტის ექსტრაქტი. წყლის აბაზანაზე ნახევარი საათი დადგით და განუწყვეტლივ ურიეთ. დღეში 3-ჯერ, 1 სუფრის კოვზი ჭამამდე ნახევარი საათით ადრე მიიღეთ.

500 მლ მრავალძარღვას წვენი 15-20 წუთი დაბალ ცეცხლზე დადგით, გადმოდგით, გააგრილეთ და 500 გრამი თაფლი კარგად აურიეთ. 1 სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ მიიღეთ.

მომატებული მჟავიანობით მიმდინარე ქრონიკული გასტრიტისა და კუჭის წყლულის დროს 1 სუფრის კოვზ ბერულას გამხმარ ბალახს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით. 20 წუთი დადგით, 1 სუფრის კოვზი თაფლი დაუმატეთ. 2 სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე დალიეთ.

ალოეს წვენი და თაფლი თანაბარი რაოდენობით აურიეთ. 1 ჩაის კოვზი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 15-20 წუთით ადრე მიიღეთ.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

გვპასუხობს ექიმი



— მაქვს ყელის სიმშრალე, წყა, პირის ღრუში არასასიამოვნო შეგრძნება. ვიმკურნალე, მაგრამ უშედეგოდ. რას მირჩევთ?

— უმჯობესია, მიმართოთ სპეციალისტს და სწორი მკურნალობა ჩაიტაროთ, მანამდე კი გირჩევთ ყელში გამოივლოთ ქაცვის ზეთი. თითზე ან რაიმე მოსახერხებელ საგანზე დაახვიეთ სტერილური ბინტი, დაასველეთ ქაცვის ზეთში და ყელში წაისვით. პროცედურა არასასიამოვნოა, მაგრამ შვებას იგრძნობთ. ხშირად გამოიყენეთ სალეჭი რეზინაც. ღეჭვის დროს ყელის კუნთი გააქტიურდება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს მკურნალობა არ არის და ექიმს უნდა მიმართოთ.

— თვალის გარშემო გამაჩნდა წვრილი ნაოჭები, რომელიც სწრაფად ღრმავდება. რა გავაკეთო, რომ ნაოჭები გამიქრეს? ვარ 27 წლის.

— ნაოჭებთან ბრძოლა თანამედროვე კოსმეტოლოგიის პრობლემაა. თვალის გარშემო ცხიმოვანი უჯრედები ფაქტობრივად არ არსებობს, კანი სათუთი, მგრძნობიარე და ნაზია, მალე შრება. საჭიროა შესაბამისი მკვებავი, დამატენიანებელი და დამცავი კრემებისა თუ გელების მონაცვლეობით გამოყენება. მიმართეთ კოსმეტოლოგს და დაადგინეთ თქვენი შეშფოთების მიზეზი მიმიკური ნაოჭები ხომ არ არის. თვალის გარშემო ნიღბების გაკეთება დაუშვებელია.

— ბავშვობიდან მაწუხებს ჯიბლიბო. ზოგჯერ ორივე თვალზე გამომდის. რა ვქნა?

— ჯიბლიბო ყველა ასაკში შეიძლება გაჩნდეს. ქუთუთოს გარკვეულ არეში თავს იჩენს სიწითლე, შემდეგ ვითარდება ჩირქგროვა. ავადმყოფს აწუხებს ქუთუთოს ტკივილი. შეიძლება სხეულის ტემპერატურამ მოიმატოს. არასწორი მკურნალობის შედეგად შეიძლება ინფექცია შორს წავიდეს და საკმაოდ გართულდეს. ჯიბლიბოს უყვარს მშრალი სითბო, ამიტომ წინათ მტკივან ქუთუთოზე მოხარშულ, ნაჭუჭიან კვერცხს იდებდნენ. საჭიროა სპეციალური მალამოების ხმარება.

— მაქვს მასტოპათია, რა იწვევს მას და პროფილაქტიკისთვის რა მივიღო?

— მასტოპათიის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზი არსებობს. განვითარებულ ქვეყნებში მას საქმიანი ქალის დაავადებასაც უწოდებენ, რადგან ხშირად მისი გამომწვევი მიზეზი სტრესული სიტუაცია და ნერვიულობაა. მასტოპათიის მიზეზი შეიძლება აბორტი და დაგვიანებული მშობიარობა, სხვადასხვა გინეკოლოგიური პრობლემებიც გახდეს. თუ ქალს მენსტრუაციული ციკლის დროს ხშირად აქვს მკერდის შებერილობა, უცნაური ხასიათის ტკივილი, უკვე არსებობს რისკფაქტორი მასტოპათიის ჩამოყალიბების. 30 წლის ზემოთ ქალმა წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ჩაიტაროს ექოსკოპიური გამოკვლევა, როგორც სასქესო ორგანოების, ასევე სარძევე ჯირკვლების. სარძევე ჯირკვლებიდან თუ შეამჩნევთ ოდნავ გამონადენს, სასწრაფოდ მიმართეთ მამოლოგს. დროული მკურნალობა შედარებით მარტივია და თავიდან აგაცილებთ უამრავ პრობლემას.

— გადაღლა და საშინელი ტკივილი მაქვს ოთხივე კიდურსა და ყველა სახსარში. რისი ბრალია?

— აუცილებლად მიმართეთ რევმატოლოგს. მსგავსი სიმპტომები უამრავ დაავადებას ახასიათებს.

თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო S და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.

ხველის მკურნალობა ხალხურად და იაფად

ხველის სამკურნალო ხალხური რეცეპტები მარტივია, მოსამზადებლად ცოტა დროს ითხოვს, იაფია, ხოლო შედეგი მოლოდინს აჭარბებს.

პირველ დღეს მკურნალობა დაიწყეთ ფეხებისთვის ცხელი აბაზანით, შიგ მდოგვის ფხვნილი დაუმატეთ. ფეხები კარგად შეიმშრალეთ და შალის წინდები ჩაიცვით.

მშრალი, ყელისმიერი ხველა გაჩნდა? მოამზადეთ კრაზანის ნაყენი (1 სუფრის კოვზ ნედლეულს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით). ზურგზე დაწექით და ორგრამიანი შპრიცით (ნემსის გარეშე) ორივე ნესტოში შეისხურეთ. პროცედურა ყოველ 2 საათში გაიმეორეთ. შუალედებში კალენდულას, გვირილის, სალბის ნახარში ყელში გამოივლეთ.

ხველის მკურნალობის კარგი საშუალებაა ჩვეულებრივი ბოლოკი. წვრილად დაჭერით, ქვაბში ჩაუშვით, შაქარი მოაყარეთ და აირღუმელში 2 საათი დადგით. შემდეგ მასა გააგრილეთ, წვენი გამოწურეთ. 2 ჩაის კოვზი დღეში 3-4 ჯერ, ჭამის წინ მიიღეთ.

ორი მწიფე ბანანი წვრილად დაჭერით და 200 მლ თბილი წყალი დაასხით. დაბალ ცეცხლზე 10 წუთი ადუღეთ. გაწურეთ და თაფლი დაუმატეთ. სასმელი თბილი დალიეთ.

ერთი ლიმონი დაბალ ცეცხლზე მოხარშეთ. გააგრილეთ და ჭიქაში მთელი წვენი გამოწურეთ. 2 სუფრის კოვზი გლიცერინი დაუმატეთ, თაფლით ჭიქის პირამდე შეავსეთ და აურიეთ. 1 ჩაის კოვზი დღეში 2-3-ჯერ მიიღეთ.

თუ ხველა რამდენიმე დღე გაგრძელდა, კომპრესი გაიკეთეთ. თანაბარი რაოდენობით აიღეთ ფქვილი, მშრალი მდოგვი, თაფლი, მცენარეული ზეთი, 1 სუფრის კოვზი არაყი. ყველაფერი კარგად აურიეთ და წყლის აბაზანაზე დადგით. მიღებული ერთსახოვანი მასა მარლაზე მოათავსეთ და მკერდზე დაიდეთ. ზემოდან ცელოფანი დაიფარეთ და თბილად გქონდეთ. კომპრესი მანამ გაიჩერეთ, სანამ სრულად არ გაგრილდება.

ეს იცოდით?

- რაც უფრო ცუდ პირობებში იზრდება და ხარობს ყავა, მით უფრო გემრიელია მისი ნაყოფი.
- ყოველ წუთს მსოფლიოში 27 529 124 ლიტრი ლუდი ისმება.
- მსოფლიოს მოსახლეობის 2/3 ყოველდღიურ ცხოვრებაში არ იყენებს სკამს. აზიის მოსახლეობა ე.წ. თურქულად ჯდომას ანიჭებს უპირატესობას, აფრიკელები კი ჩაცუცქულ ჯდომას ამჯობინებენ.
- დედამიწაზე ქათმების რაოდენობა თითქმის ადამიანების რაოდენობას უტოლდება.
- ზვიგენები 100 წელზე მეტს ცოცხლობენ.
- მწერებს ყველაზე მეტად ლურჯი ფერი იზიდავთ.
- ყავის ხე მოსავალს 5 წელიწადში ერთხელ იძლევა.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

1. ნათესების მავნებელი მწერი; 2. რაიმეს სახელდახელოდ შესრულება; 3. ქალის ან ბავშვის დაბალი ხმა; 4. მღვდელი საფრანგეთში; 5. ბერძნული ანბანის ასო; 6. მიწის იატაკი; 7. ბილიარდის ჯოხი; 8. ორგანიზმის კუნთების მოდუნება; 9. მეფე ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“; 10. სააღდგომო მცენარე; 11. სამხედრო ხელქვეითის მოხსენება უფროსისადმი; 12. ბუნებრივი საღებავი; 13. ორმხრივ ხრახნის მქონე ლითონის მილაკი; 14. უმცროს მეთაურთა სამხედრო წოდებულება რიგ არმიებში; 15. საფუტკრე ყუთი; 16. ზღვის დიდი ფრინველი; 17. ზაფხულის თვე; 18. ძაბვის ან წნევის ერთგვარობა; 19. ... შევჩენკო; 20. ... ჯაყელი; 21. სასიგნალო ტივტივა წყალზე; 22. მთათა სისტემა აზიაში; 23. რომაელი ფილოსოფოსი; 24. იქ; 25. სხვაზე გაწეული შრომა; 26. სამის აღმნიშვნელი წინსართი; 27. ნებისყოფის შესუსტება ან სრული დაკარგვა; 28. ქალაქი-პორტი იაპონიაში; 29. მდინარის მტაცებელი თევზი; 30. შტატი ამერიკაში; 31. ... ამაღლობელი; 32. მსახიობი; 33. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 34. დედამიწის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 35. ინგლისელი ფილოსოფოსი; 36. მედიცინის დარგი; 37. სოფელი თელავის რაიონში; 38. კანადის ინდიელების უკავებო მარხილი; 39. ... ზელვეგერი; 40. მარადმწვანე დეკორატიული ხე ან ბუჩქი; 41. ეთეროვანი ზეთის შემცველი მცენარე; 42. ფულის ერთეული ესპანეთში ევრომდე; 43. მატერიის მოძრაობის ზომა; 44. ბერძნული ანბანის ასო; 45. ფრინველების ან მწერების დიდი ჯგუფი; 46. ინგლისელი გამომგონებელი; 47. ბერილიუმის სილიკატი; 48. რეფერი; 49. მეჩეთის კოშკი, საიდანაც მუეძინი მუსლიმანებს სალოცავად იხმობს; 50. ასო ნ-ს სახელი; 51. სპორტული ცურვის სახეობა; 52. აეროპორტი ლონდონში; 53. ქვის ფილა წარწერით ან რელიეფური გამოსახულებით; 54. სპორტის სახეობა; 55. ზნეობა; 56. ნარგავი ტყე; 57. რუსი პოეტი; 58. ... მანიანი; 59. ბადმინტონის ბურთი; 60. ... ორჯონიკიძე; 61. ექიმის მიერ ვისიმე ავადმყოფობის შესახებ შეკრებილი ცნობები.



წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. აგუტი; 2. ილი; 3. ცინკი; 4. პანდა; 5. ენზიმი; 6. კირხე; 7. აპრილი; 8. პრაიდი; 9. ნაოსი; 10. არაბესკი; 11. შეგვიწყალენ; 12. იდეალი; 13. ვექსილი; 14. კატარი; 15. ენესკუ; 16. იიპე; 17. აგენტი; 18. ანგარება; 19. ამინდი; 20. ქვაბი; 21. ტენორი; 22. ტეტია; 23. ნეო; 24. კიფერ; 25. სუ; 26. ხალიფა; 27. რატილი; 28. ემისარი; 29. მესია; 30. წელი; 31. ბაქია; 32. ბიგამია; 33. გურუ; 34. ტანი; 35. ლოლიტა; 36. ატა; 37. სელექცია; 38. ლესია; 39. ნისანი; 40. აერონი; 41. ქრია; 42. ნატურმორტი; 43. ტრელი; 44. სიასამური; 45. ნიტი; 46. რეგატა; 47. კაროლ; 48. ანალოგია; 49. ინა; 50. ეტნა; 51. საფანტი; 52. სესია; 53. ბი; 54. ფერარი; 55. ანაგა; 56. ფრანტი; 57. არენა; 58. ტენგე. **სურათებზე:** არიელ დომბალი; დომინიკ პერსელი; ჯერარდ ბატლერი; მილენ ფარმერი.

ჯოდი — ბეტელი

Cyan Magenta Yellow Black

მწვანე სკანვორდი

1. ყვავილი
2. ბოლო ნოტი
3. აკრობატული ილეთი
4. სანელებელი
5. ჰო, დიახ
6. ბედაური
7. იგივეა, რაც ცთომილი
8. დაბალი მაგიდა
9. მოქალაქეობის ჩამორთმევა ძველ საბერძნეთში
10. ესპანეთის დედაქალაქი
11. პითონი
12. იტალიელი მათემატიკოსი
13. სატურნის თანამგზავრი
14. ქმრის მამა
15. დამხმარე თეორემა
16. ფენა
17. იტალიური ღვეზელი
18. ბავშვების საყვარელი სანახაობა
19. უბანი თბილისში
20. კათოლიკური წირვა
21. ხეთების ქალღმერთი
22. ... კუროსავა
23. დეკორატიული მცენარე
24. სარწყავი არხი

წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. ალური; 2. ლა; 3. გარანტია; 4. უხა; 5. ტუჩი; 6. სირინოზი; 7. არყა; 8. პენუარი; 9. ჩარჩი; 10. ლეიბ; 11. იდეა; 12. ჩხა; 13. ეპატაჟი; 14. ილიონი; 15. იუვენტა; 16. ნო; 17. ნამყო; 18. პი; 19. არაბია; 20. პან; 21. ლაიკა; 22. ალაჰი; 23. კუ. **სურათებზე:** ოხრახუში; ქინძი; კამა; რეჰანი.

Cyan Magenta Yellow Black

როგორ ვითხოვოთ დახმარება

ყველა საქმეს თავად ასრულებთ? ასე ხომ ჯანს გაიტეხთ? ისწავლეთ დახმარების თხოვნა. ამით თქვენი ცხოვრება ბევრად უფრო ადვილი და სასიამოვნო გახდება.

მცდარი სიჩუმე

ყველაზე ხშირად დახმარების თხოვნის იმიტომ გვეშინია, რომ ამას სისუსტის გამოვლენად ვთვლით. არ გვსურს, ვინმეზე დამოკიდებული ვიყოთ, არც თავის დამცირება, სხვა ადამიანის დატვირთვა და უარის მიღება გვინდა. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ვფიქრობთ, ჩვენზე კარგად დავალებას მაინც ვერავინ შეასრულებს. დროა, გათავისუფლდეთ მცდარი შეხედულებებისგან.

დახმარების თხოვნა დამამცირებელი სულაც არ არის, ხოლო საკუთარი სისუსტის აღიარება მხოლოდ ძლიერ, თავდაჯერებულ ადამიანებს შეუძლიათ. დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა საქებარია, მაგრამ მისი აბსურდამდე დაყვანა საჭირო არ არის. შეიძლება უარი მიიღოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც არაფერს კარგავთ. უბრალოდ ახლა უკეთესად იცნობთ იმ ადამიანს, რომელსაც დასახმარებლად მიმართეთ.

არ დაგავიწყდეთ, რომ დახმარების თხოვნა ურთიერთობის მეტად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. განსაკუთრებით ეს ეხება ახლობელ ადამიანებთან ურთიერთკავშირს. როდესაც თხოვნით მიმართავთ, ამით საყვარელ ადამიანს სიგნალს აძლევთ: „მჭირდები, შენს გარეშე ვერ ვაკეთებ, შენი მჯერა, მიყვარხარ“. გაიხსენეთ, თავად როგორ რეაგირებთ საყვარელი ადამიანების თხოვნაზე. მზად ხართ, სულითა და გულით დაეხმაროთ. მაშინ სხვებზე ცუდად რატომ ფიქრობთ, რატომ თვლით, რომ თქვენი თხოვნა დაამძიმებთ? ახლობლებს უფლება მიეცით, თავი საჭიროდ და შეუცვლელად შეიგრძნონ.

ნაბიჯებს ვდგამთ

არ იცით, რით დაიწყოთ? მაშინ ჩვენს ინსტრუქციას მიჰყევით.

პირველი ნაბიჯი. წინასწარ გაიგეთ, ადამიანს აქვს თუ არა შესაძლებლობა, დაგეხმაროთ. მაგალითად, არ ღირს, ფული დაესესხოთ მეგობარს, რომელმაც ახლახან ძვირადღირებული სამზარეულო მოწყობილობა შეიძინა.

მეორე ნაბიჯი. მომენტი სწორად შეარჩიეთ. თქვენს თხოვნას მოისმენენ, თუ ადამიანი დაკავებული არ არის, კარგად დასვენებულია და საერთოდ ცხოვრებითა და თავით კმაყოფილია.

მესამე ნაბიჯი. რაც შეეხება თვითონ თხოვნას, ის უნდა იყოს კონკრეტული და გასაგები. ამავდროულად, ადამიანი კუთხეში არ უნდა მიიმწყვდიოთ, უკანდასახევი გზა დაუტოვეთ: „თუ ამის გაკეთება არ შეგიძლია, არ მეწყინება“. ყოველ შემთხვევაში აუხსენით, თვითონ რატომ ვერ აკეთებთ. ნუ შეგეშინდებათ იმის აღიარება, რომ დაიღალეთ, დრო არ გაქვთ, არ იცით.

მეოთხე ნაბიჯი. ნუ გათავხედდებით. ისე არ გამოვიდეს, როგორც ესპანურ ანდაზაშია: „ხელს გიწვდიან, შენ კი ფეხზე ეჭიდები“. თუ კოლეგა დაგთანხმდათ, თქვენი ორსაათიანი დაგვიანება დაფაროს, არ ღირს, შუადღემდე დაიკარგოთ.

მეხუთე ნაბიჯი. უარისთვის მზად იყავით და ნუ მიიღებთ, როგორც პირად შეურაცხყოფას. ბოლოს და ბოლოს ადამიანი შეიძლება ყელამდე ჩაფლული იყოს თავის საქმეებში ან თვითონაც არ იცის ის, რასაც სთხოვთ. სამაგიეროდ შეგიძლიათ ჰკითხოთ, თუ იცნობს ვინმეს, ვინც დაგეხმარებათ. შესაძლებელია, ტელეფონის ნომერი მაშინვე მოგცენ ხელოსნის ან მკერავის, რომლებიც იაფად მოგემსახურებიან.

მეექვსე ნაბიჯი. მადლობა გადაუხადეთ და შეაქეთ. არასდროს დაივიწყოთ პროგრამის ეს პუნქტი და ნებისმიერ წვრილმანზე მადლობის თქმა ისწავლეთ. და კიდევ, აუცილებლად შეაქეთ იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემდეგ ყველაფრის გადაკეთება თავად მოგიწევთ.

უარის თქმა არ შეუძლია

როგორც შერლოკ ჰოლმსი ამბობდა, „ჯენტლმენი არ უნდა ფიქრობდეს რისკზე, როდესაც ქალი დახმარებას სთხოვს“. ამავე დროს, თავად ლედიმაც არ უნდა დაივიწყოს რამდენიმე მარტივი წესი, როდესაც მამაკაცს თხოვნით მიმართავს.

პირველი. თხოვნა ნამდვილად უნდა ეღერდეს, როგორც თხოვნა და არა — მთავარსარდლის ბრძანება.

მეორე. თხოვნა უნდა იყოს კონკრეტული. ნაცვლად „სახლში წესრიგის დამყარებაში დამეხმარე“, თქვით: „ძვირფასო, მტვერსასრუტი ხალიჩაზე გაატარე და ნაგავი გაიტანე“.

მესამე. არ დაივიწყოთ საუკუნეებით შემოწმებული წესი: ნუ შეუჩნდებით მშიერ მამაკაცს, ჯერ გამოკვებეთ. მზად იყავით იმისთვის, რომ თხოვნის გამეორება რამდენჯერმე მოგიწევთ, მაგრამ ეცადეთ, არ გაღიზიანდეთ. იუმორის გრძნობა ჩართეთ: „ჩემო კარგო, მესმის, ეს ნაგვის პარკი რამდენიმე დღეა ჩვენთვის შინაური გახდა, მაგრამ ბოლოს იქნებ გაიტანო?“

გათავისუფლდით წყენიანობისგან

ერევრ ადამიანს არ უყვარს, როდესაც მასზე ხუმრობენ ან მის გაკრიტიკებას ცდილობენ. ამის გამო, თითქმის მეგობრებიც არ ჰყავთ. ხასიათის ეს თვისება ჯანმრთელობასაც ვნებს. როგორ გათავისუფლდეთ წყენიანობისგან?

პირველ რიგში, გავარკვიოთ, რა არის წყენა და როგორ აღმოცენდება.

წყენა — ეს ყოველთვის გაცრუებული მოლოდინია. ადამიანისგან ერთ რეაქციას ელით, ის კი მეორეს ამჟღავნებს. ამ დროს წყენა გეუფლებათ, გული გტკივათ. მაგალითად, მაღაზიაში ლამაზი შარფი ნახეთ, თქვენი დის ახალი კაბის შესაფერი და მაშინვე შეიძინეთ. წარმოიდგინეთ, გახარებული და მადლიერი დაიკო როგორ მოგეხვევათ. ის კი, თითქმის ემოციების გარეშე მხოლოდ მადლობას ამბობს და საჩუქარს ჩანთაში დაუდევრად ჩურთავს. საწყენია? რა თქმა უნდა! სულ სხვა რეაქციას ელოდით. მაგრამ ვინ არის დამნაშავე? თუ კარგად დაფიქრდებით, მიხვდებით, რომ მხოლოდ თქვენ. დამ არც კი იცოდა იმის შესახებ, ყველაფერი როგორ წარმოიდგინეთ.

ზუსტად ასე ხდება ხუმრობებთან, კრიტიკასთან მიმართებაში. ახლობლებისგან, ნაცნობებისგან რაღაც შაბლონურ ქცევას ითხოვთ. თქვენი გაგებით, ის „სწორი, ლოგიკური, დასაშვებია“, ხოლო მათი გაგებით, სწორი და დასაშვები შეიძლება სულ სხვა რამ იყოს. ამიტომ, რომ არ განაწყენდეთ, მოვლენების, ემოციური რეაქციების „დაპროგრამება“ შეწყვიტეთ.

კიდევ ერთი მაგალითი. ქალი მამაკაცს ეცნობა და მისგან საჩუქრებს, ყურადღებას ელის. მამაკაცი კი ამგვარად მოქცევას არც კი აპირებს. ვინ არის დამნაშავე ქალის ცუდ განწყობაში? თვითონ ქალი. დასაწყისშივე ნაცნობს ისეთი თვისებები მიაწერა, როგორიცაა გალანტურობა, ხელგაშლილობა, რომანტიკულობა. მამაკაცს კი ისინი არ აქვს და არც არასდროს გააჩნდა. ასეთი რამ ხშირად ხდება.

რჩევა: ეცადეთ, ადამიანები ისეთები მიიღოთ, როგორებიც არიან. დააკვირდით ახლობლებს, კოლეგებს, მეგობრებს. რას ფიქრობენ, ამბობენ, რატომ იქცევიან ასე და არა — სხვაგვარად?

ყველანი განსხვავებულები ვართ და სწორედ ამით ვართ საინტერესონი. როდესაც დამკვირვებლის პოზიციაში გადახვალთ, ურთიერთობა ბევრად უფრო იოლი იქნება.

✓ მოამზადა ანა გაგოშიძემ

Cyan Magenta Yellow Black

იუპიტერზე ამერიკელების ჯოსმოსური ხომალდი დაფრინდა.

— იიიეს! — იყვირეს გახარებულმა ჯოსმონავტებმა.

— რა ჯანდაბა გაყვირებთ, თქვენ უპატრონოებო! — მოესმათ სიბნელიდან.

— თქვენ ვინ ხართ? — იკითხეს გაკვირვებულებმა.

— ძუკუ და გვანჯი ვართ.

— აქ საიდან მოხვდით?

— აგერ ამ შტერს კითხეთ, — მიუთითა ძუკუმ გვანჯიზე, — დავლიეთ ჩესტოხანში, ჩავჯექით ამის ჟიგულში, მიცა ჰირველი, მერე მეორე სიჩქარე...

— მერე?

— რა მერე. დამიჯერა? მიანვა და მიანვა გაზს

ქართული ანეკდოტები

❖ ❖ ❖

— გუშინ იდიოტ კოლიას 100 ლარი ვთხოვე და არ მასესხა.

— წინასწარ გაფრთხილებ, მეც იდიოტი ვარ!

❖ ❖ ❖

— ახალი ამბავი გაიგე?

— რა?

— ჩვენი კარლოია ვერ უცვნიათ და უცემიათ.

— მაგისი ბედი, რომ ვერ უცვნიათ, თვარა ცემა მერე გენახა.

❖ ❖ ❖

— რა გაწუხებთ? — ეკითხება ექიმი პაციენტს.

— არც არაფერი.

— აბა, ჩემთან რატომ მოხვედით?

— არაფერი რომ არ მაწუხებდა, დავეჭვდი, რამე ხომ არ მჭირს-მეთქი.

❖ ❖ ❖

— ჩემი ქმარი ნამდვილი სექსუალური მანიაკია. ყოველდღე სექსს მთხოვს. ხანდახან დღეში სამჯერაც.

— მერე ამდენი შეუძლია?

— არა, ქალო, თხოვნის მანია სჭირს.

— დახიშხანი გაქვთ? — ეკითხება ტიპი აფთიაქარს.

— არა, ხად გინდა?

— სიდედრი უნდა მოვნამლო.

— ჩემთვის მქონდა ცოტა და მოგცემ. ჯერ საქმიზა და ჯერ ჯაციზა არაფერი მენანება. ჩემი სიდედრის ჩამოსვლამდე ჯიდევ ვიშოვი.



— ჯაჯოია, ყურებზე დათვმა დაგაბიჯა?

— სხვათა შორის, შესანიშნავი სმენა მაქვს, ხომ იცოდე.

— სმენა ხა შეაშია, მე ჩემა, სარჯეში ჩეიხედე.

❖ ❖ ❖

— 10 წუთში დაგიხატავთ 100 ლარიანს.

— რა ეღირება?

— დახატულის ნახევარი.

— მაშინ ორი 50 ლარიანი დამიხატეთ და ერთი თქვენი იყოს.

❖ ❖ ❖

ქუთაისელმა ლატარიაში მილიონი მოიგო. მისცივდნენ ჟურნალისტები, რას უპირებთ ამდენ ფულსო.

— ჯერე, პირველ რიგში, დევითვლი, სიმონ, ხვარ დამაკლენ.

❖ ❖ ❖

— როგორაა ჩემი სიდედრი? — ეკითხება ქირურგს ქუთაისელი.

— გეტყვით, გეტყვით... მაგრამ თქვენ მზად ხართ?

— რა თქმა უნდა... თევზი და მუავეულობა გვაკლია, მარა პრობლემა არაა, მაგასაც მოვახერხებთ.

❖ ❖ ❖

ქმარი: ლიკა, თვალებში შემომხედე, მე ყველაფერი ვიცი!

ცოლი: მართლა? აბა, რომელ წელს დაიბადა შოთა რუსთაველი?

❖ ❖ ❖

— ჯემალია, როგორაა შენი საქმეები?

— ცუდად. ჩემი ცოლი ჩემს უფროსთან მღალატობს.

— ეგ არაფერი. შენ იცი მაინც, ვისთან გღალატობს.

❖ ❖ ❖

ორი მამაკაცი საუბრობს:

— შენ მოგწონს შავგვრემანი ქალები?

— არა, სიმონ.

— მსუქნები?

— ვერ ვიტან.

ბნელ ჯუთხეში ბანდიტი ქალს აჩერებს:

— ახლავე გაიხადე ყველაფერი!

— ისე ახ შეგიძლია?!

— თრომბიანი ქალები?

— კანეშნა, არა.

— ეპილეფსიანი?

— გაგიუდი, შე ჩემა?!

— აპა, რას ეძუძგურები ჩემს ცოლს?

✓ შეკრიბა
მერმან მერკვილიშვილმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატები

ქალი ბაზარში ქათამს ყიდის. მიადგა ლიპიანი ჯანი და ეუბნება:

— ათ ლარად მომცემ?

— უხიდელო, მე ქმარი მყავს!

მეგრელი ფსიქოლოგიურზე სწავლობს. პროფესორი ლექციას ატარებს:

— გოგონას დეპრესიიდან გამოყვანა ძალიან ადვილია კოცნით.

— და დეპრესიაში რაფრა უნდა შევიყვანო, პატივცემულო? — ინტერესდება მეგრელი.

❖ ❖ ❖

პესიმისტი: სამი ღამეა, არ მიძინია. რა მეშველება!

ოპტიმისტი: მოვა დრო და ყველანი სამუდამოდ დავიძინებთ.

პესიმისტი: მანამდე არ გინდა გაძლება?!

❖ ❖ ❖

— მოქალაქევ, მოქალაქევ, მე პროფესიონალი მხატვარი ვარ!

— მერედა რა გნებავთ?

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ალან ალექსანდრ მილნი

დასაწყისი №37-47

წითელი სახლის საიდუმლოება

ენტონი მეგობარს მიუბრუნდა:

— სტენტონში უნდა დაბრუნდე. ბევრ დროს არ წაგართმევს. თანახმა ხარ?

— ძვირფასო ჰოლმს, რომც მეზარებოდეს, უარს როგორ გეტყვი?

კმაყოფილების ნიშნად ენტონიმ გაიღიმა:

— ვაგზლის სიახლოვეს, მგონი, რაღაც სასტუმროა...

— ჰო, „გუთანი და ცხენები“.

— ძალიან კარგი. დალევაზე უარს ხომ არ იტყვი?

— არანაირად.

— მაშინ, რამდენიც მოგინდება, იმდენი დალიე, ოღონდ გამიგე, ორშაბათ ღამით იქ ვინმე გაჩერდა თუ არა.

— რობერტი? — აღელდა ბილი.

— მე „ვინმე“ ვთქვი და არა რობერტი. მოკლედ, ვინც უნდა იყოს, მის შესახებ ყველაფერი მინდა, ვიცოდე. მიხვდი, ხომ?

— გასაგებია, — თავი დაიქნია ბილმა, — მერე სად გიპოვო?

— „გეორგიში“ რვა საათისთვის. თუ ჩემზე ადრე მიხვალ, სადილი შეუკვეთე.

— არის, ჰოლმს! თქვენი ბრძანება შესრულებული იქნება! აბა, წავედი!

ჩვას აღარაფერი აკლდა, როცა დაღლილი და გაოფლილი უილიამ ბევერლი „გეორგის“ მიუახლოვდა და კართან მდგარი ენტონი დაინახა, მას რომ ელოდა.

— სადილი მზადაა? — ეს იყო მოშიებული ბილის პირველი სიტყვები.

— რა თქმა უნდა.

— მაშინ წყალს გადავივლებ და ჩამოვალ, ისე კი მაგრად დავიღალე.

— არ უნდა შემეწუხებინე, — დანანებით შენიშნა ენტონიმ.

— ყველაფერი რიგზეა. შენ მანამდე ბლომად ლუდი შეუკვეთე, — ბილმა კიბეს მიაშურა.

— ყველაფერი იქნება, — დაადევნა ენტონიმ.

ფაკისრებული დავალების შესახებ ბილი მხოლოდ მას შემდეგ ალაპარაკდა, როცა ჭამა-სმის სურვილი დაიცხრო:

— თავიდან „გუთანი და ცხენების“ მეპატრონე მუნჯი მეგონა, ხმის ამოღება ისე უჭირდა. მერე კი, როცა დალია, ენა ამოიდგა და იმდენი ილაპარაკა, მეგონა, აღარ გაჩერდებოდა. თან ისეთ რაღაცეებზე ყვებოდა, საერთოდ რომ არ მაინტერესებდა. ბოლოს, როგორც ჩანს, დაიღალა, რითაც მაშინვე ვისარგებლე, ბონ ბორდენს ხომ არ იცნობ-მეთქი. როგორ არაო, მიპასუხა და მთელი მისი ოჯახის ისტორია გადმომილაგა. ეს ის ბორდენია, სადგურზე რომ ვითომ მარკი ამოიცნო. მერე, როცა გარეკა და ვხედავ, აღარ ჩერდება...

— მოდი, მე გამოვიცნობ, რა ქენი, — გააწყვეტინა ენტონიმ.

— აბა?

— შეეკითხე, ახსოვს თუ არა ყველა, ვინც მის სასტუმროში იმ დღეებში გაჩერდა.

— ზუსტად გაარტყი.

— შედეგი?

— შედეგი ქალი აღმოჩნდა.

— ქალი? — გაოცდა ენტონი.

— შენც გაგიკვირდა, ხომ? ჩვენ ორივემ რობერტი გავიფიქრეთ, ქალი კი აღმოჩნდა. ორშაბათ საღამოს თავისი ავტომობილით მოსულა, მეორე დღის სისხამ დილას კი სასტუმრო დაუტოვებია.

— შეეკითხე, როგორ გამოიყურებოდა?

— რასაკვირველია. საშუალო სიმაღლის ყოფილა, საშუალო ასაკის, გარეგნობითაც საშუალო. მოკლედ, ყველანაირად საშუალო. ეს რამეს გეუბნება?

— არაფერს.

— არც მე. მთავარი კი ისაა, რომ ქალი ყოფილა, გესმის?

— ჰო, მთავარია.

— ტონი, ეს შენს თეორიას ამსხვრევს?

— სულაც არა.

— ანუ ადრეც იცოდი ან ხვდებოდი მაინც?

— ბილ, ცოტა მოითმინე. ხვალ ყველაფერს მოგიყვები.

— ხვალამდე რა მოიცდის? — შეწუხდა ბილი.

— რაკი ასეთი სულსწრაფი ხარ, ერთ რამეს ახლავე გეტყვი, ოღონდ სხვა აღარაფერი მკითხო. შევთანხმდით?

— შევთანხმდით.

— მარკ ებლეტს თავისი ძმა არ მოუკლავს.

— აბა, კეილიმ მოკლა?

— ბილ, ეს უკვე მეორე შეკითხვაა, თუმცა მაინც გეტყვი: არც კეილის.

— ჯანდაბას! აბა, ვინ მოკლა? თავი მოიკლა?

— დაწყნარდი, ბილ. უკეთესი იქნება, თუ ლუდს კიდევ დალევ, — გაუღიმა მეგობარს ენტონიმ.

ბილს აღარაფერი უთქვამს, ისე მოიყუდა კათხა.

ორივე დაღლილები იყვნენ და დასაძინებლად წავიდნენ. ბილს მაშინვე დაეძინა და ხვრინვაც ამოუშვა, ენტონის კი კარგა ხანს თვალი არ მოუხუჭავს და თავს ირწმუნებდა, შეუძლებელია, ჩემი ვარაუდი არ გამართლდესო.

ბილით ენტონი ჯილინჰემმა შემდეგი წერილი მიიღო:

„ძვირფასო მისტერ ჯილინჰემ, თქვენი წერილიდან მივხვდი, რაღაცეებისთვის რომ მიგიგნიათ, რომლებიც შეგიძლიათ პოლიციას წარუდგინოთ, რასაც ჩემი, როგორც მკვლელობის ჩამდენის დაუყოვნებლივ დაპატიმრება მოჰყვება. თქვენ მიერ ჩემი წინასწარ გაფრთხილება სხვა ვერაფრით ამიხსნია, თუ არა იმით, რომ რატომღაც გესიმპათიურებით. ასეა თუ ისე, იმის გაგება, თუ როგორ შეხვდა ებლეტი თავის სიკვდილს და რატომ იყო ეს აუცილებელი, თქვენც მოგინდებათ და მეც მინდა, იცოდეთ. თუ პოლიციას რამე ეცნობება, მირჩევნია, რომ მან ეს ისტორია სრულად შეიტყოს. მათაც და თქვენც შეგიძლიათ ეს მკვლელობად ჩათვალოთ, მაგრამ იმ დროისთვის ცოცხალი აღარც ვიქნები და თქვენი აზრი, ცხადია, არ დამაინტერესებს.

დავიწყებ იმ შორეული დღიდან, როცა მე 13 წლის ბიჭი ვიყავი, ჩემი დეიდაშვილი მარკი კი — 25 წლის ყმაწვილი. მთელი მისი ცხოვრება თვალთმაქცობა იყო, სწორედ მაშინ კი თავს ფილანთროპად ასაღებდა. ის ჩვენს პატარა სასტუმრო ოთახში იჯდა, მე და ფილიპი კი, ჩვენი საბრალო დედის მიერ სასწრაფოდ დაბანილ-მოწესრიგებულები, მის წინ ვიდექით და გულში ვწყევლიდით, თამაშში ხელი რომ შეგვიშალა. კეთილმა მარკმა ერთ-ერთი ჩვენგანის მეურვეობა გადაწყვიტა და ეს მე აღმოვჩნდი, ოღონდ — რატომ, ერთმა ღმერთმა იცის. ფილიპი 11 წლის იყო, ორი წელი ლოდინი კი მარკს დაეზარა. ალბათ ამიტომ.

ფილანთროპმა დეიდაშვილმა განათლება მომცა. ჯერ არისტოკრატულ სკოლაში ვსწავლობდი, მერე — კემბრიჯში, ბოლოს კი მისი მდივანიც გავხდი, მმართველიც, ფინანსური კონსულტანტიც, კურიერიც და, რაც მთავარია, მისი მსმენელიც. მარკს არ შეეძლო მარტო ცხოვრება, მუდამ სჭირდებოდა ვინმე, ვინც მოუსმენდა. ერთხელ ისიც მითხრა, როცა გარდავიცვლები, შენ ჩემი ბიოგრაფი გახდებიო. სადმე რომ მივემგზავრებოდი, ისეთ გრძელ და უაზრო წერილებს მწერდა, ბოლომდე არც ვკითხულობდი, ისე ვხევდი. მოკლედ, საკუთარ თავზე შეყვარებული, ქედმაღალი ტიპი იყო, მე კი მისი ხუშტურების უსიტყვო შემსრულებელი.

სამი წლის წინ ფილიპისგან სასოწარკვეთილი წერილი მივიღე, თუ სასწრაფოდ ას ფუნტს არ იშოვიდა, მისი საქმე წასული იყო. ფული მარკს ვთხოვე, ცხადია, სესხად, მან კი უარი მტკიცა. ბევრი ვეხვეწე, ვემუდარე, მაგრამ არაფერმა გაჭრა, ამასობაში კი ფილიპი დააპატიმრეს. ამ ამბავს დედა გადაჰყვა, მე კი მარკის ულმობელი მტერი გავხდი, მაგრამ გარეგნულად ამას არ ვიმჩნევდი და შურისძიებისთვის ხელსაყრელ მომენტს ველოდი.

ორი წლის წინ მარკმა სმა დაიწყო. წესით, უნდა გამხარებოდა, რადგან ლოთი კაცი აღრე თუ გვიან ისედაც მოკვდებოდა, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, პირიქით მოხდა ანუ მისი შველა გადავწყვიტე. ახლა რომ ვუკვირდები, ამას ჰუმანიზმი კი არ მაკეთე-

Cyan Magenta Yellow Black

ბინებდა, არამედ კანიბალის ფსიქოლოგია, როცა მას თავისი მსხვერპლის კარგ ფორმაში ყოფნა სურს, მერე რომ თავად გადასანსლოს.

აღსანიშნავია, რომ მარკის ლოთობის ამბავი მხოლოდ მე ვიცოდი და მევე ვმალავდი, არადა გალოთებულ ამპარტავანზე ძნელი ასატანი არაფერია.

შემდეგ ისე მოხდა, რომ ამ გულისამრევმა ლოთბაზარამ თავისი არარაობა დედამიწის ზურგზე ყველაზე წმინდა არსებას, ბეტი კოლედაინს შესთავაზა, რასაც, ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებდი. მოკლედ, მარკი აუცილებლად უნდა მომკვდარიყო, ოღონდ ისე, თითქოს უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა.

მრავალი გეგმა მოვიფიქრე და უარვყავი, ბოლოს კი იდეა თავად მარკმა და მის ნორისმა მომაწოდეს, ცხადია, თავისდაუნებურად. ბოლო ვარიანტი აღბათ მართლა უსაფრთხო იქნებოდა, თქვენ რომ არ გამოჩენილიყავით...

ჩვენ მოჩვენებებზე ვსაუბრობდით. მარკი ჩვეულებრივზე მეტად პატივმოყვარე, ბღენძი და ახირებული იყო, რაც მის ნორისს აშკარად აღიზიანებდა. ნასადილევს მან მოჩვენებად გადაცმა და მარკის შეშინება გადაწყვიტა, რასაც უხალისოდ დავეთანხმე და ის ფარული მიწისქვეშა გასასვლელიც ვაჩვენე, რაც ამ საქმისთვის გამოადგებოდა და სადაც მარკი თამამად ეძლეოდა ხოლმე ლოთობას. მის ნორისის განსახიერებულმა მოჩვენებამ ისე გააბრაზა მარკი და ისეთი შურისძიების წყურვილით აღავსო, რაც თავად მე მჭირდებოდა.



იმ საღამოს მარკი ჩემთან მოვიდა და განრისხებულმა მითხრა, რომ წითელ სახლში მის ნორისი აღარასდროს მოგვეპატიჟებინა. მე, ცხადია, შევპირდი, რომ ასეც ვიზამდი, მერე კი უცებ გავიცინე.

— რა ხდება? — ცივად შემეკითხა.

— უბრალოდ, გავიფიქრე, რა სახალისო იქნებოდა, შენ თუ მასზე... შურს იძიებდი.

— შურს ვიძიებდი? ეს როგორ?

— სამაგიეროს გადაუხდიდი.

— გინდა თქვა, რომ შევაშინო?

— არა, არა. უბრალოდ, ისე გამოეწყო, რომ ყველას თვალში სულელად გამოიყვანო.

— იდეა მომწონს, მაგრამ... როგორ? რა უნდა გავაკეთო, კეი, იქნებ შენ მოიფიქრო, ჰო?

არ ვიცი, გითხრათ თუ არა ბევერლიმ, რომ მარკს მსახიობობის რაღაც ნიჭი ჰქონდა, ოღონდ იმ პირობით, თუ სცენაზე მთავარი იქნებოდა და აღტაცებული მაყურებლის წინ ითამაშებდა. თუ ის თავისი შეუდარებელი ოსტატობით რუთ ნორისს გააოცებდა და სხვების თანდასწრებით სულელურ მდგომარეობაში ჩააყენებდა, ამით სამაგიერო გადახდილი იქნებოდა, მარკის უზომო პატივმოყვარეობა კი დაკმაყოფილდებოდა (მისტერ ჯილინჰემ, ეს ყველაფერი აღბათ ბავშვობად გეჩვენებათ, მაგრამ თქვენ ხომ მარკ ებლეტს საერთოდ არ იცნობდით).

— კეი, კეი, როგორ? — აგზნებული მიმეორებდა.

— ეს მხოლოდ იდეა იყო, ასე უცებ რას მოვიფიქრებდი?

და ის თავად შეუდგა მოფიქრებას.

— მასთან კონტრაქტის დასადებად ჩამოსული ანტრეპრენიორი რომ ვითამაშო?.. მაგრამ... აღბათ თავად იცნობს ყველას. ინტერვიუერიც შემიძლია ვიყო.

— ძნელი იქნება, — შევნიშნე თავის ქნევით, — შენ საკმაოდ სპეციფიკური სახე გაქვს. თუნდაც წვერი ავიღოთ...

— რა პრობლემაა? მოვიპარსავ! — დაუყოვნებლივ შესძახა.

— ჩემო ძვირფასო მარკ!

მან თვალი ამარიდა და ხმას დაუწია:

— კარგა ხანია, მის მოპარსვაზე ვფიქრობ. ამასთან, თუ რამეს ვიწყებ, ბოლომდე მიმყავს.

— ჰო, შენ ხომ ყველაფერში არტისტი ხარ! — ისეთი აღტაცებით შევძახე, შეუძლებელი იყო, ჩემს ნათქვამში ეჭვი შეეტანა.

სახე გაებადრა. არტისტის წოდება მისი ოცნება იყო. ჩემს ანკეესს თუ ასე იოლად წამოეგებოდა, ნამდვილად არ მეგონა.

— მიუხედავად ამისა, — განვაგრძე შეტევა, — შეიძლება წვერის გარეშეც გიცნონ, არადა...

— რა? რა უნდა გეთქვა?

— თუ თავს რობერტად გაასაღებ, მართლა ვერავინ გიცნობს. კარგი იდეაა, არა? წარმომიდგენია, რა მოუვა მის ნორისს, თუ შენი უვარგისი ძმა ანუ შენ მას ფულს სთხოვ!

— შოკში ჩავარდეს იქნებ! — თვალები გაუბრწყინდა მარკს, — რობერტის თამაში მართლა არ გამიჭირდება.

მისტერ ჯილინჰემ, თქვენ და ინსპექტორმა, უეჭველია, დაადგინეთ, რობერტი რომ მართლა არსებობდა, კონკრეტულად კი ავსტრალიაში გაემგზავრა, მაგრამ სამშაბათს ის წითელ სახლში არ შესულა და ვერც შევიდოდა, რადგან სამი წლის წინ გარდაიცვალა. ეს ამბავი მხოლოდ მე და მარკმა ვიცოდით, სხვამ არავინ.

მომდევნო ორი დღე მე და მარკი სამოქმედო გეგმას ვაწყობდით, მაგრამ ჩვენი მიზნები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. მას რობერტის როლის, ასე, ორი საათით გახანგრძლივება სურდა, მე კი ამ ტყუილის გაუხსნელად დასამარება. მას მის ნორისისა და დანარჩენი სტუმრების გაცურება ეწადა, მე კი მთელი ქვეყნის. მე მისი მოკვლას მაშინვე ვაპირებდი, როგორც კი რობერტად გამოეწყობოდა, მერე მარკი გაუჩინარდებოდა და ყველა იფიქრებდა, რომ რობერტი მან მოკლა. ასე არაა?

თქვენ იტყვით, რომ ამ გარდასახვის აბსოლუტური უტყუარობა უბრალოდ, შეუძლებელია. ისევ გიპასუხებთ, რომ მარკს არ იცნობდით. მას არტისტობა ისე სურდა, რომ თავს მართლა არტისტად გრძნობდა.

ცრუ რობერტისთვის საჭირო ტანსაცმელი ლონდონში შევიძინე და ეტიკეტები დავაძრე, ტყუილი რომ არ გამომჟღავნებულიყო. მოკლედ, ჩვენ, ორივე, მოწადინებულები ვიყავით. ის, როგორც მსახიობი, მე კი, ვთქვათ, მკვლელი, თუ ასე გინდათ. ახლა უკვე სულ ერთია.

ორშაბათს ლონდონში გავემგზავრე და რობერტის სახელით მარკს წერილი მოვწერე, თან რევოლვერიც ვიყიდე. სამშაბათ დილას, საუზმობის დროს, მან რობერტის ჩამოსვლის შესახებ განაცხადა. ის ახლა ცოცხალი იყო, ამის დასამტკიცებლად ექვსი მოწმე გვყავდა, რომლებმაც იცოდნენ, რომ შუადღეს მოვიდოდა. ჩვენი გეგმის თანახმად, რობერტი სამ საათზე, გოლ- ფის მოთამაშეების დაბრუნებამდე უნ- და გამოჩენილიყო. მოახლე მარკის მ ოსაძებნად წავა და რაკი ვერ იპო- ის, კაბინეტში ბრუნდება, სადაც რობერტთან მე მნახავს. მე ავუხსნი, რომ მარკი რაღაცა საქმეზე წავიდა, ის ძმას კი სტუმრებს ჩაის სუფრასთან წარვუდგენ. მარკის არყოფნა არავის გააკვირვებს, რადგან ჩათვლიან (ამას რობერტიც პირდაპირ იტყვის), რომ ძმასთან შეხვედრის შეეშინდა. რობერტი სტუმრების (განსაკუთრებით კი მის ნორისის) შეურაცხყოფას მანამდე გააგრძელებს, ვიდრე არ ჩათვლის, რომ ძალიან შეტოპა.

ასეთი იყო ჩვენი გეგმა. უფრო სწორად, ეს მარკის გეგმა იყო, ჩემი აკუთარი კი სხვაგვარი გახლდათ. შეტყობინებამ საუზმობისას წარ- მ ა ტ ებით ჩაიარა. გოლფის მოთამაშეების ს ასვლის შემდეგ მზადების დასასრულებლად საკმაო დრო დაგვრჩა. ჩემთვის მთავარი რობერტის იერსახის დამაჯერებლობა იყო, ამიტომ მარკს ვურჩიე, გადაცმის შემდეგ საიდუმლო გასასვლელით ესარგებლა, უკან კი ჩვეულებრივი გზით წამოსულიყო და დარაჯს და მებაღეს გამოლაპარაკებოდა, რაც კიდევ ორი მოწმის არსებობას უზრუნველყოფდა.

მარკი რობერტის ტანსაცმელში კაბინეტის გვერდითა საძინებელში გამოეწყო. ასე ორივესთვის უსაფრთხო იყო. როცა მზად იყო, დამიძახა და მეც შევედი. უბრალოდ, გასაოცარია, იმდენად იდეალურად გამოიყურებოდა ამ როლისთვის. ლოთობამ, ცხადია, მის სახეს კვალი დაჩნია, რასაც აქამდე წვერი ფარავდა. ახლა კი, როცა გაიპარსა, უფრო თვალსაჩინოდ გამოჩნდა ლოთობის შედეგი. მარკი მართლა იქცა იმ ფუქსავატ, ნახევრად მაწანწალა ძმად, რომლის განსახიერებასაც ასეთი მონდომებით აპირებდა.

— ბრავო! — შევძახე განცვიფრებულმა, — მარკ, მართლა საოცრება ხარ! შენი არტისტიზმი უკვე აშკარაა!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარაბიშვილის ნახატი

Cyan Magenta Yellow Black

თინათინ ბონი

ოცნების ძიებაში

დასაწყისი №31-47

www.facebook.com/Tinatinbonney

თავი 18

ეგონება, ვაკუუმში ვცხოვრობ. ყველაფერს გამოვეთიშე. ჩემთვის ვარ ძირითადად ოთახში შეყუჟული. არავინ და არაფერი მინდა. არ ვიცი, გივის სიკვდილმა თუ ირაკლის წასვლამ, მაგრამ ყველაფერმა მომსპო. სულ ძილი მინდა. არ მშია. მოკლედ, დავიშალე. სექსიც კი არ მინდა. სანდრომ ერთხელ მესიჯით მომიკითხა და ეგ იყო. ერთი ზურა მემეგობრება ძალიან. კარგი ადამიანი ჩანს. სულ მეკითხება, რამე ხომ არ მინდა. გავუგეთ ერთმანეთს. მოკლედ, დღეს იძულებული ვარ, ამ სომატური მდგომარეობიდან გამოვიდე. დღეს მიშოს ქორწილია. ვდგავარ სარკესთან და ვუყურებ ჩემს ჩავარდნილ ყვრიმალებს და ამოღამებულ თვალებს. მაგარი ლამაზი ვარ, რა!

— არ ხარ ჯერ ჩაცმული?

— ვიცვამ, დედა!

— მოვა მალე ხალხი. ბავშვი სად არის?

— ბავშვი... ეს რომელი, ცოლი რომ მოჰყავს?

— ხომ მიხვდი, — ჯუჯღუნებს დედაჩემი.

— ბავშვი გარეთ გავიდა, ბიჭებთან.

— ვაიმე, დამაგვიანდა! — ქოშინით შემორბის სვეტა.

— ზუსტად დროზე მოხვედი. ამარჩევინე კაბა.

— ჯერ არ გადაგიწყვეტია?

— არა.

— გოგო, როგორ გახდი.

— ვიცი.

— როგორ? რაზე ზიხარ?

— არაფერზე რომ არ ვზივარ, მაგიტომ გავხდი!

— უხ, რა ენა გაქვს!

— წითელი თუ ლურჯი?

— ლურჯი.

— არ მინდა.

— მაშინ წითელი.

— არ მინდა.

— ოქროსფერი?

— არ მაქვს.

— აუტანელ ხასიათზე ხარ.

— ვიცი, — მეცინება.

— მოვა მალე ხალხი! — სამზარეულოდან ყვირის დედაჩემი.

— მოვიდნენ, დედა! დავხვდები ტანგაში.

— რა გინდა, ქორწილი უნდა ჩაშალო?

— მაიმუნობის ხასიათზე ვარ.

— ჩავიფინოთ დღეს?

— უეჭველი.

— ნინია სადაა?

— გადმოვა, მეზობლადაა, — თვალს ვუკრავ სვეტას.

— უი, ეგ ხომ დასახლდა იქ.

— შეარგე, რა.

— არ ვეხები, კაცო, მიხარია, — თვალს მიკრავს.

— ჯერ არ ხდება ეგ ამბავი!

— მე ეგ არც მიგულისხმია, გენაცვალე.

— გოგო, მომიყევი, შენი ამბები როგორ დამთავრდა.

— გეხვეწები, არ გამახსენო!

— შოკი მქონდა.

— გიჟები, ყველგან გიჟები. საიდან მობოდეს ეგ ისტორიები, საერთოდ რა უნდოდათ, არ ვიცი. ჩემი ქმარი გაცოფებული იყო. სამაგიეროდ ღამე ისეთი სექსი გვქონდა, საუკუნე რომ არ გვქონია.

— კიდევ აქვს რამის თავი? — მეცინება.

— თურმე აქვს.

— ანუ კარგად ხართ.

— თუ ამას კარგად ყოფნა ჰქვია.

— მოვა დღეს?

— არა. ბოდიში მოგიხადა და მოგილოცა.

— რატომ არ მოდის?

— მუშაობს.

— კვირას?

— კაი, შემეშვი, გეხვეწები, — სვეტა ტახტზე ჯდება.

— მოვლენ მალე! — კივის დედაჩემი.

— ვიცვამ!.. წამო საძინებელში.

სვეტა მომყვება და ჩემს ოთახში შევდივართ. კარს ვკეტავ და ტანზე ვიხდი.

— არა, ძალიან გახდი, რა!

— გავიგე, ნუ შემჭამე.

— ჯანმრთელობა რიგზე გაქვს?

— არ მჭირს არაფერი!

— მაშინ რამ გაგახდუნა ასე?

— ეტყობა, ნერვიულობამ.

— არ მითხრა, რომ იმ აუტანელ გივის მისტირი.

— სვეტა!

— მხოლოდ სიმართლეს ვამბობ.

— გარდაიცვალა და დაანებე თავი.

— რადგან გარდაიცვალა, ყველაფერი ვაპატიოთ?

— მე ვაპატიე, — ლურჯ კაბას ვიცვამ.

— აკი არ მინდა ლურჯიო?

— შემეშვი, ნუ მიშლი ნერვებს.

— რამდენი კაცი მოდის ქორწილში?

— ორასამდე, მე მგონი.

— შენ კავალერის გარეშე ხარ?

— როგორც ხედავ.

— მაშინ მე და შენ ვიცეკვებთ ერთად.

— რაღა მომკლავს!

— გოგო, კალათბურთს უყურებ?

— როგორ?

— მე ვუყურებ.

— ამ სიბერეში რამ გამოგაშტერა?

— გოგო, რა მაგარი ბიჭები თამაშობენ.

— მარაზმში ხარ, გეფიცები.

— მაღლები, — სვეტა ზემოთ იყურება.

— ზემოთ რას იყურები?

— ასე ავხედავდი.

— მაკიაჟს გავიკეთებ და გავიდეთ.

— სალონში რატომ არ წახვედი?

— ვაიმე, არ მინდოდა.

სვეტა ბუტბუტს აგრძელებს და მე ვიხატები.

ჯვრისწერა გავიარეთ, ხელისმოწერა ჩავიარეთ, რესტორანშიც მოვედით. სოფიკო ძალიან ლამაზია. მიშო ნერვიულობდა აშკარად, ხელები უკანკალებდა. ახლა ცოტა დალია და გაუჩერებლად ცეკვავს.

— შეიძლება თქვენთან ცეკვა? — მესმის კაცის ხმა.

სოფიკოს ნათესავი თავზე მადგას და შტერივით მიცინის.

— არ მინდა, გმადლობთ.

— ძალიან გთხოვთ, რა.

ღმერთო! ვდგები ფეხზე და მივყვები. დედა, რა ბედნიერია! წელზე მხვევს ხელს და ჩახუტებული მეცეკვება.

— ინაუგურაციას უცქირეთ? — მიჩურჩულებს ყურში.

— სამწუხაროდ, არა, — არ მჯერა, რომ ამაზე ვსაუბრობთ.

— ძალიან არ მომეწონა.

— ნუთუ.

— ან რაები ეცვათ, ან რაფრა მოწყენილები იყვნენ.

როგორ ყველა მოდის სპეციალისტი გახდა ამ ინაუგურაციის მერე!

— არ ვიცი, არ მინახავს.

— თქვენ უნდა ყოფილიყავით იქ.

— რატომ?

— ტელევიზორში კარგი იქნება თქვენი ცქერა.

— გმადლობთ.

— გათხოვილი არა ხარ, ხომ? — უცებ შენობით მიწყებს ლაპარაკს.

— აღარ.

— კარგია.

მაბზრიალებს და ისევ მიხუტებს. მხოლოდ სოფიკოს ხათრით! მხოლოდ ხათრით!

— მეცა უცოლო ვარ.

არადა კაცი უნდა ნახო!

— მერე ასეთი ბიჭი როგორ დარჩი უცოლო? — ღადაობის ხასიათზე მოვედი.

— არ შემხვდა კარგი ქალი.

— შეგხვდება.

— შეიძლება.

მიშო ჩემ საშველად მოდის. კიდევ კარგი! ახლა მიშოს ვეცეკვები.

— მაპატიე? — მეკითხება და თვალებს აფახულებს.

— ხომ იცი, რომ გაპატიე, — ვამბობ ღიმილით.

— ძალიან ბედნიერი ვარ დღეს და ამას შენ უნდა გიმადლოდე.

— მე — არა, სოფიკოს!

— და შენ!

— კარგი... და მე.

მიშო მაბზრიალებს და ძალიან ბედნიერი ვარ. დროებით მაინც.

ზურა ვარჯიშობს. მაქსიმალურ სიმძიმეზე გადავიდა. ალექსანდრასთან კონტაქტი დამყარებულია, მაგრამ შედეგი ჯერ ის არ არის, რაც უნდა. მალე, ძალიან მალე მიაღწევს თავის მიზანს. ზურა პირსახოცით იმშრალებს სახეს. დაიღალა.

შაკო ძალიან საყვარლად გამოიყურება. სულ რამდენიმე საათით მოვიდა. მერე უკან წავა და დაწვება. ნინია გვერდით ჰყავს. არ მჯერა, რომ ეგ ამბავი მართლა გამოდის.

— გვრიტებს უყურებ? — მეკითხება სვეტა.

— რა კარგები არიან.

— შაკო გამოჯანმრთელდა, ხომ?

— არ ჰქონიათ ჯერ არაფერი.

— ვაიმე, არ მითქვამს ეგ.

— გაჩერდი, მოხარშულს გიცნობ!

— ნუ, ეგეც მაინტერესებს.

Cyan Magenta Yellow Black

— რომ ექნებათ, ჩვენ პირველები გავიგებთ.

— შენი პირველი ღამე გახსოვს?

— ნეტა, არ მახსოვდეს.

— უი, გივი გაგახსენე, ხომ?

— არა უშავს.

— ჩემი იყო ძალიან სასაცილო.

— მაინც?

— ვინერვიულე და ტუალეტში ჩავიკეტე. სანამ ჩემს ქმარს არ დაეძინა, არ გამოვედი.

— და მერე?

— მერე დილას ვცადეთ და არ გამოვიდა.

— ეგ როგორ?

— ნუ...

— კაი, არ მინდა დეტალები.

— ხოდა, მეორე საღამოს ძლივს ვქენით რაღაც.

— გეხვეწები, სხვა რამე მომიყევი.

— აბა, გოგოებო, დაეწყვეთ, პატარძალი ისვრის თაიგულს! — აცხადებს თამადა.

— წამო! — მექაჩება სვეტა.

— არა, გმადლობთ.

— წამოდი! — ძალით მაყენებს სკამიდან.

ვდგებით ჯგროს ბოლოს. თაიგული მოფრინავს და პირდაპირ ნინიას ხვდება თავში.

— ვაშა! — ვამბობ სიცილით.

— გაჩერდი, გოგო! — ნინია თმას ისწორებს.

— ნინია, თქვენ... — სვეტა პირს აღებს.

— არა, ჯერ არა.

— ვაიმე, იქნებ მაგას არ ვკითხულობდი?

— აბა, რას კითხულობდი?

— პრინციპში, გაარტყი, — იცინის სვეტა.

— თავი გამანებე, — ნინია გვტოვებს.

ნინია შაკოს გვერდით ჯდება და თაიგულს მაგიდაზე დებს. შაკო რაღაცას უჩურჩულებს და იცინიან.

— მართლაც საყვარლები არიან... — ვეუბნები სვეტას.

— კი. კარგი ოჯახი ექნებათ.

— როგორ გიყვარს, მოვლენებს რომ უსწრებ.

— აბა, მსუბუქი რომანი არ ექნებათ და.

— რატომ გგონია?

— ვაიმე, გაჩერდი!

— თვითონ გაჩერდი!

— დავლიოთ კიდევ ცოტა?

— წამო.

ვუბრუნდებით მაგიდას და ღვინოს ვისხამთ.

— მეგობრებო, ყურადღება! — თამადა ფეხზე დგება.

— დაიწყო, — ვეუბნები სვეტას.

— ვინაა ეს კაცი საერთოდ?

— ვინმეს ვიცნობ გგონია? საკუთარ ნათესავებს ვერ ვცნობ და ახლა სოფიკოსას ხო — მით უმეტეს.

— ამ ჭიქით მინდა, დაგილოცოთ ყველა, ვინც გიძმობთ და გიდობთ! — ყვირის თამადა.

— მომესმა? — მეკითხება სვეტა.

— არა, გიდობთო, — მეცინება.

— ღმერთო, შენ გვიშველე!

— მოდი, კაცები მაინც დავათვალიეროთ. არის ვინმე ნორმალური?

სვეტა ფეხზე დგება, რომ კარგად დაინახოს სტუმრები.

— არა, — უკან ჯდება.

— აი, მწვანე პერანგში რომ ბიჭია...

— სად? სად? სად? — სვეტა ისევ ფეხზე დგება.

— დაჯექი, გოგო! — კაბაზე ვექაჩები.

— დამანახე.

— ეგერ, სოფიკოს მამას ელაპარაკება.

— უიმე! ეგ თოხზე გარუჯული ყმაწვილი მოგეწონა?

— რატომ არის თოხზე გარუჯული?

— კუნთების წყობას შეხედე.

— შენ თვალები გაქ თუ გამადიდებელი შუშა?

— აი, იქით გაიხედე, შენი ბიძაშვილების უკან რომ დგას, ისიც კაი ტიპია.

— რომელი? დაბალი და მსუქანი?

— არა, მაგის უკან. თეთრ პერანგში.

— ხო, მაგას არა უშავს.

— ვინ არის?

— გოგო, არ ვიცი რა ხალხია მოსული.

— მოდის.

— ვინ მოდის?

— კაცი მოდის.

ვტრიალდები და ვხედავ, რომ თეთრ პერანგში გამოწყობილი მამაკაცი ღიმილით მიახლოვდება.

— მოგესალმებით.

— სალამი.

— მე გახლავართ თავადი...

და ამ სიტყვის მერე უკვე აღარც მესმის, რას ლაპარაკობს იმიტომ, რომ ლაპარაკობს შეუსვენებლად.

— კიდე კაი, რაინდი არ არის, — მიჩურჩულებს სვეტა.

იდაყვს ვკრავ სვეტას და გაღიმებული ვუყურებ ბატონ თავადს.

— ხომ არ ვიცეკვოთ? — მეკითხება.

— არა, — ვეუბნები მშრალად.

— მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ, — ტრიალდება და მიდის.

— რას ერჩოდი, გოგო?

— ამათ კიდე სოფლელები მირჩევნია. ბუნებრივები მაინც არიან.

— რაღაც კაცები გადაჯიშდნენ.

— ვიცი, ერთ ნორმალურს ვერ ნახავ.

— ახლა კი მინდა, ჩვენს გვრიტებს ოჯახები დავულოცო! გთხოვთ, წამოდგეთ! — ბღავის თამადა.

ვდგები ფეხზე, მლოცავენ, მკოცნიან, დიდ ამბავში ვარ, მოკლედ.

— სახლში მინდა, — სკამზე ვჯდები.

ვიღებ ჩანთიდან მობილურს. ორი გამოტოვებული ზარი. უცხო ნომერია და არ მადარდებს. და მესიჯი. ვხსნი. „რას შვრები? არ გავიდეთ სადმე?“. საყვარელია ზურა. და როგორი კეთილია. და თბილი. „ქორწილში ვარ. დღეს ალბათ არა“.

ზურა სტეფანიდი: „მანდ უნდა დარჩე?“.

მე: „არა, მაგრამ გვიან მოვრჩები“.

ზურა სტეფანიდი: „რომელი საათიც უნდა იყოს, შემეხმიანე“.

მე: „უარს არ იღებ, ხო?“.

ზურა სტეფანიდი: „მწყინს, ასე რომ ამბობ“.

მე: „მიდიი!“.

ზურა სტეფანიდი: „მართლა. არ ვარ მე მასეთი“.

მე: „კაი, ვხუმრობ. ძაან გვიანი თუ არ იყო, დაგირეკავ“.

ზურა სტეფანიდი: „დაგესიენ თაყვანისმცემლები?“.

მე: „იკლავენ თავს“.

ზურა სტეფანიდი: „როგორ, არავინ გაქცევს ყურადღებას?“.

მე: „კი, მომასკდა ერთი თავადი“.

ზურა სტეფანიდი: „თავადი?“.

მე: „ხო, ასე გამეცნო“.

ზურა სტეფანიდი: „გაგიუდა ეს ხალხი სულ“.

მე: „ვიცი“.

ზურა სტეფანიდი: „მე რომ დაგეპატიჟებინე, ახლა ვიცეკვებდით“.

მე: „არ მოგეწონებოდა შენ აქ“.

ზურა სტეფანიდი: „რატომ გგონია? ვგიჟდები ქორწილებზე და ნათესავებზე“.

მე: „იტყუები და მოისვენე!“.

— ვის ემესიჯები? — მეკითხება სვეტა და ცდილობს, მობილურის ეკრანს შეხედოს.

— მეგობარს, — ვეუბნები და ისე ვტრიალდები, რომ ეკრანი ვერ დაინახოს.

ზურა სტეფანიდი: „რა მომასვენებს, როცა შენ არსებობ?“.

მეღიმება. მსუბუქად მეფლირტავება და ეს სასიამოვნოა.

მე: „ზურა, ზურა!“.

ზურა სტეფანიდი: „რა იყო, პატარა?“.

მე: „ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართ“.

ზურა სტეფანიდი: „და ვინ გაკადრა მეტი? ღმერთმანი!“.

მე: „სახლში მინდა“.

ზურა სტეფანიდი: „თემას ნუ ცვლი. თუ თავადი რომ არ ვარ, არ მოგწონვარ?“.

მე: „თავადი რომ არ ხარ, მაგიტომ მომწონხარ“.

ზურა სტეფანიდი: „ანუ მოგწონვარ“.

მე: „მე ეგ არ მითქვამს“.

ზურა სტეფანიდი: „იცი, მე მომწონხარ“.

ეს უკვე ზედმეტია. თუ არა?

მე: „არც კი მიცნობ“.

ზურა სტეფანიდი: „მე თუ არ გიცნობ, აბა, ვინ გიცნობს?“.

→68

Cyan Magenta Yellow Black

მე: „გჯერა შენი სიტყვების?“.

ზურა სტეფანიდი: „კი, და იმისიც მჯერა, რომ შენზე ლამაზი ქალი არ დაბადებულა“.

მე: „და ქალები ამ ტექსტებზე ებმებიან?“.

ზურა სტეფანიდი: „ძირითადად“.

მე: „ჩემთან არ გაგივა“.

ზურა სტეფანიდი: „რატომ არ მაძლევ შანსს? იმიტომ, რომ ირაკლის მეგობარი ვარ?“.

მე: „არამარტო“.

ზურა სტეფანიდი: „კიდევ?“.

მე: „არ ვიცი, ზურა, არ შემიძლია ახლა არავისთან ურთიერთობის დაწყება“.

ზურა სტეფანიდი: „ვინ გთხოვს? უბრალოდ ერთხელ მაინც წავიდეთ პაემანზე“.

მე: „ვნახოთ“.

ზურა სტეფანიდი: „მოგწონს, რომ მაგიჟებ“.

მე: „თვითონ იგიჟებ თავს“.

ზურა სტეფანიდი: „ანუ ველოდო შენს ზარს?“.

მე: „შემეშვი“.

ზურა სტეფანიდი: „არასოდეს!“.

მე: „რატომ?“.

ზურა სტეფანიდი: „არ მინდა“.

მე: „კაი, წავედი“.

ზურა სტეფანიდი: „თავადს უნდა ეცეკვო?“.

მე: „არა. უნდა დავლიო“.

ზურა სტეფანიდი: „რას სვამ?“.

მე: „ღვინოს“.

ზურა სტეფანიდი: „ჩემ გარეშე!“.

მე: „ზურა, არ გეტყვი, რომ აქ მოხვიდე, ნუ ცდილობ“.

ზურა სტეფანიდი: „აზრადაც არ მქონია“.

მე: „აჰა, დავიჯერე“.

ზურა სტეფანიდი: „ნუ, სულ ცოტა“.

მე: „კაი, პაკა“.

ზურა სტეფანიდი: „არ წახვიდე!“.

მე: „რა გინდა, ადამიანო?“.

ზურა სტეფანიდი: „შენთან მინდა“.

მეღიმება.

მე: „მეც ბევრი რამე მინდა“.

ზურა სტეფანიდი: „ყველაფერი შემიძლია მოგცე“.

მე: „ეს საუბარი დასრულებულია!“.

ზურა სტეფანიდი: „აბა, გაერთე და დამირეკე გვიან“.

მე: „ვნახოთ“.

ზურა სტეფანიდი: „დამირეკე!“.

მე: „ვნახოთ!!!!!!!!!!!!“.

ზურა სტეფანიდი:☺.

მე: ☺.

— ვინ იყო, მეტყვი? — სვეტა გაცოფებულია.

— არა.

— ირაკლი?

— წასულია ინდოეთში.

— ალექსანდრა, მითხარი!

— ჩემი მეგობარია, ვახ!

— აუტანელი გოგო ხარ!

— შენ კიდე ყველაფერი გაინტერესებს.

— რისთვის ვართ აბა, დაქალები?

— კაი, მერე მოგიყვები. გაწყობს?

— კარგი.

— რას შვრებით, გოგოებო? — მიშოს მოეკიდა სასმელი.

— ვერთობით, — ვეუბნები.

— არ იცით, რა ბედნიერი ვარ! არ იცით!

— ვიცით, ვიცით, — ეუბნება სვეტა.

— სოფიკო არის ჩემი ყველაფერი!

მიშო გვეხუტება და მიდის. ვაგრძელებთ სმას.

ირაკლი სანაპიროზე სეირნობს. ასეთ სულიერ სიმშვიდეს ვერსად იპოვიდა. ვერსად. აქ მათხოვარი ძაღლს უყოფს ლუკმაპურს. აქ მზეც კი სხვანაირად ანათებს. მაგრამ მთავარია, რომ აქ თინკაა. ამ გოგომ სულ სხვა კუთხით დაანახა სიყვარული. არა, არ უყვარს, მაგრამ ისეთ გრძნობებს განიცდის მასთან, აქამდე რომ არასდროს გამოუცდია. მასთან სექსიც კი სულ სხვანაირია.

— აი, თურმე სად ხარ, — თინკა უკნიდან ეხუტება.

ირაკლი ტრიალდება და შუბლზე კოცნის.

— რატომ ხარ მოწყენილი?

— არ ვარ, — ირაკლი უღიმის.

— სევდიანი მეჩვენე.

— არა, მშვიდი ვარ უბრალოდ.

— ვიმედიტიროთ დღეს?

— აუცილებლად.

თინკა ეხვევა და კისერში კოცნის.

— რა ბედნიერებაა, რომ ჩამოხვედი.

— მთავარია, რომ შენ დამხვდი აქ.

— ირაკლი...

— გისმენ.

— შენ ოდესმე დაბრუნდები სახლში?

მართლაც, დაბრუნდება?!

— არ ვიცი.

ფეხზე ველარ ვდგავარ. სოფიკო და მიშო ესპანეთში გაფრინდნენ. რა ბედნიერები იყვნენ. მე მოვღლილი სახლში. ვეცემი საწოლზე და მეძინება.

ჩაცმული ვიღვიძებ. რომელი საათია? ვდგები და ვივლებ შხაპს. ვიცვამ. არ ვიცი, რომელი საათია, მაგრამ ვიცი, რომ უნდა წავიდე. უნდა ვნახო. ჰაერივით მჭირდება.

ზარს ვრეკავ და მესმის სანდროს ნაბიჯების ხმა. რა საყვარელია, როცა იღვიძებს და გაბუსულია. კარს აღებს და ხელით მაჩერებს, რომ არ შევიდე. ვხვდები, რომ მარტო არაა. თვალს მიკრავს და ამბობს:

— აღარ მოხვიდე ამ დროს, ხომ? აი, ასე იქნება აწი. საერთოდ აღარ მოხვიდე!

ვტრიალდები, რომ წავიდე. ხელს მკიდებს და მიხუტებს. ტუჩებში მკოცნის. კარს კეტავს და მეც მივდივარ. ხელი თავისით მიდის მობილურისკენ. დავურეკო?

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეს იცოდით?

❖ დედამიწაზე არსებული ყინული მთლიანად რომ დადნეს, ოკეანის დონე 61 მეტრით მოიმატებს.

❖ მე-15 საუკუნეში სჯეროდათ, რომ წითელი ფერი კურნავდა. ავადმყოფებს ეცვათ წითელი ფერის სამოსი და მათ გარშემო წითელი ფერის ნივთები ჭარბობდა.

❖ ყველაზე გამოყენებადი საფოსტო ყუთი ჩიკაგოშია. მას დღეში 6-ჯერ ცლიან.

❖ წლის განმავლობაში ამერიკელები საკუთარ შინაურ ცხოველებზე 5,4 მილიარდ აშშ დოლარს ხარჯავენ.

❖ 1982 წელს ჟურნალმა „თაიმმა“ წლის პერსონად პერსონალური კომპიუტერი დაასახელა.

❖ „ნიუ იორკ თაიმსის“ ყველა მკითხველმა თავისი ეგზემპლარი ქაღალდის მეორად გადასამუშავებლად რომ ჩააბაროს, ამით დაახლოებით 75 ათასი ხის გადარჩენა მოხერხდება.

❖ ყველაზე დიდი მხატვრული მუზეუმი სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟია. იგი 332 გალერეას და ხელოვნების 3 მილიონზე მეტ ნიმუშს აერთიანებს.

❖ მსოფლიოს უძველესი მოქმედი უნივერსიტეტი იტალიის ჩრდილოეთით, ქალაქ ბოლონიაში მდებარეობს. იგი ჯერ კიდევ 1088 წელს დაფუძნდა.

❖ ყველაზე დიდი ფუნქციონირებადი გიტარა 1 ტონაზე მეტს იწონის, სიგრძე კი 13 მეტრს აჭარბებს.

❖ კაიროში ჰაერი იმდენად დაბინძურებულია, რომ მთელი დღის განმავლობაში მისი შესუნთქვა დაახლოებით ისეთივე შედეგს იძლევა, როგორსაც ერთი კოლოფი სიგარეტის მოწევა.

❖ ამერიკის ბაზარზე დაახლოებით 800 მარკის სასმელი წყალი იყიდება.

❖ ცნობილი კომპოზიტორი ბეთჰოვენი, სანამ მორიგი სიმფონიის შექმნას დაიწყებდა, თავს ცივ წყალში ყოფდა.

Cyan Magenta Yellow Black

დავლიოთ თუ არა მცენარეული ზეთი უზმოზე?

მცენარეული ზეთი ცხიმმჟავების, A და E ვიტამინების წყაროა, ამიტომ მისაღებ დოზებში, რა თქმა უნდა, ორგანიზმისთვის სასარგებლოა, ქოლესტერინის დონის ნორმალიზაციას ეხმარება, ასევე ათეროსკლეროზის კარგ პროფილაქტიკურ საშუალებად ითვლება, მაგრამ ჯანმრთელმა ადამიანმა საკმარისია, უბრალოდ ზეთი საჭმელში გამოიყენოს.

რაც შეეხება ზეთის უზმოზე მიღებას, ეს შეიძლება საშიში იყოს. მიზეზი ისაა, რომ მოზრდილი ადამიანების უმეტესობაში, განსაკუთრებით ქალებში, ნაღვლის ბუშტში ქვები წარმოიქმნება. უზმოზე დალევისას, ზეთს ისინი მოძრაობაში მოჰყავს, ქვები ნაღვლის გამომყოფ სადინარებში იჭედება. შედეგად ვითარდება მწვავე ქოლეცისტიტი — ნაღვლის ბუშტის ანთება, რომელსაც თან ახლავს ძლიერი ტკივილი. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ჰოსპიტალიზაცია.

კომში – მითური ოქროს ვაშლი

ბერძნულ მითოლოგიაში კომში ცნობილია, როგორც ოქროს ვაშლი, რომელიც პარისმა სიყვარულის ქალღმერთ აფროდიტეს მიართვა.

კომში ფართოდ გავრცელებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. მას არამხოლოდ კულიანარიაში, ასევე სამედიცინო მიზნით იყენებენ. მაგალითად კომშის ნაყოფი კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა ათეროსკლეროზის, პანკრეატიტის, ანემიის და ჰიპერტონიის დროს. მას შემკვრელი თვისება გააჩნია და უძველესი დროიდან რეკომენდებულია კუჭ-ნაწლავის სხვადასხვა დარღვევის დროს. ასევე იყენებენ, როგორც შარდმდენ საშუალებას გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების შემთხვევებში. ხოლო პექტინების მაღალი შემცველობის წყალობით, კომში ისევე როგორც მისი მურაბა, სასარგებლოა ადამიანებისთვის, რომლებიც მავნე საწარმოებში მუშაობენ და რადიონუკლეიდებით დაბინძურებულ ზონებში ცხოვრობენ. კომშის წვენი რეკომენდებულია ტუბერკულოზისა და ბრონქიალურია ასთმის, ზოგადი უქეიფობის, კუჭისა ლა ნაწლავების აშლილობის, ღვიძლის, გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებების დროს.

სასარგებლო თვისებებს ფლობს არამხოლოდ კომშის რბილობი, ასევე თესლები, ფოთლები. თესლების ნახარში გამოიყენება სველი საფენის სახით თვალის დაავადებების დროს, ასევე ანგინის შემთხვევაში ყელში გამოსავლებად. ხოლო კომშის ფოთლებისგან ზოგიერთ სამკურნალო პრეპარატს ამზადებენ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

მოკამათეთა წესები

კამათისას ნერვები რომ დაზოგოთ და ურთიერთობა ადვილად გაარკვიოთ, ფსიქოლოგები ასეთ რჩევებს იძლევიან:

1. დამშვიდდით და საუბარი შემდეგ დაიწყეთ. ილაპარაკეთ მხოლოდ საკუთარ თავზე, თქვენს შეგრძნებებსა და განცდებზე.

2. თემიდან ნუ გადაუხვევთ. ურთიერთობის გარჩევისას მოკამათეები ხშირად ძველ წყენას იხსენებენ და დავის მიზეზს ივიწყებენ.

3. შანტაჟს ნუ მიმართავთ. გახსოვდეთ მთავარი — პრეტენზიის არსი მეორე პიროვნებამდე მიიტანოთ და საერთო გადაწყვეტილებამდე მიხვიდეთ. მუქარა, ცრემლები — არაპატიოსანი ხრიკებია, რომელიც ოპონენტს ხმის უფლებას ართმევს. შეიძლება ის მოცემულ მომენტში დაგეთანხმოთ, მაგრამ პრობლემა მაინც გადაუჭრელი დარჩება.

მელისას ქალური ჩაი

იჩნეულია, რომ მელისა ქალური მცენარეა. ქალები ხშირად განიცდიან შფოთვას, სტრესს, ციკლის დროს ტკივილს, ფეხმძიმობასთან და კლიმაქსთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამ ყველაფრის დაძლევას მელისას ჩაი ეხმარება.

მეტად პოპულარულია მელისას და პიტნის ნარევის ჩაი. ეს მცენარეები ერთმანეთს შესანიშნავად ეხამებიან და ჩაის განუმეორებელ გემოს ანიჭებენ. ასეთი სასმელის დახმარებით შეიძლება ჯანმრთელობის გაუმჯობესება და განწყობის ამაღლება. ხოლო თუ მას რთული დღის შემდეგ დალევთ, მაშინვე მოდუნებას იგრძნობთ, ძილი ღრმა და მშვიდი გახდება. ასეთია ეს უნივერსალური სასმელი, რომელიც ქალის სხვადასხვა დაავადებას წარმატებით კურნავს.

ახთრიტის გამწვავების საწინააღმდეგო აბაზანები

ახსრებს შემოდგომის ცვალებადი ამინდი არ უყვართ, ამიტომ ართრიტი განსაკუთრებით ხშირად გვახსენებს თავს. ანთებისა და ძლიერი ტკივილების შესამცირებლად სამკურნალო ბალახების ნახარშების, ნაყენების აბაზანები მიიღეთ. აბაზანა სამკურნალოა, თუ წყლის ტემპერატურა 35 გრადუსს არ აჭარბებს, მიღების ხანგრძლივობა 15-20 წუთია და კვირაში მაქსიმუმი 3-ჯერ იკეთებთ.

სამკურნალო აბაზანის მომზადების წესი მარტივია: ბალახის გაწურულ ნახარშში მარილი ჩაუმატეთ.

პიტნის. 1/4 ჭიქა გამხმარი პიტნისგან კონცენტრირებული ნაყენი მოამზადეთ.

კაკლის ფოთლების. 250 გრამი გამხმარი ფოთლები 1 ლიტრ წყალში წამოადუღეთ, დადგით. ნახარში ასევე შეგიძლიათ წასასმელად გამოიყენოთ.

მარილის. პირდაპირ აბაზანაში 1 კგ ჩვეულებრივი ქვის მარილი ჩაუშვით. მეტი ეფექტისთვის შეგიძლიათ პატარა შეკვრა ცისფერი თიხა და რამდენიმე წვეთი პიტნის ზეთი დაუმატოთ.

აბაზანის შემდეგ სასარგებლოა ბალახეული ჩაის დალევა და საწოლში თბილად ჩაწოლა. თუ ართრიტს მარილების დაგროვებაც თან ახლავს, ჟოლოს გამხმარი ფოთლების ნაყენი (1 სუფრის კოვზ ნედლეულს 1 ჭიქა მდუღარე დაასხით) დალიეთ.

Cyan Magenta Yellow Black

გავიცნობ, ვეძებ

sms-ები გამოაგზავნეთ ოთხშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 30 ნოემბერი, 17 საათი.

გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. შეხვედრებისთვის გავიცნობ 25 წლამდე გოგოს. ვარ 25 წლის თბილისელი ბიჭი. 514121212. ლუკა
2. გავიცნობ 30-45 წლამდე ქალს. ვარ ცოლიანი, მინდა მყავდეს მეგობარი. 558654559
3. შეხვედრებისთვის გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის ქალს გორიდან. ვარ 48 წლის. 555738209
4. გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 64 წლის, თბილისელი მამაკაცი. 599232541
5. ვარ 29 წლის, სიმპათიური მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ ქალს, კარგი სამსახურით და შეხვედრის ადგილით. 599909364
6. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ გოგოს. ვარ სამსახურით და მანქანით უზრუნველყოფილი. 557765060
7. ვარ 28 წლის, სიმპათიური 185 სმ სიმაღლის მამაკაცი. გავიცნობ არამსუქან, მიმზიდველ ქალს, თბილისში მცხოვრებს. 557591354. გიო
8. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ მშვენიერ ქალს. ვარ დასაქმებული მამაკაცი, მყავს მანქანა. 599020285. ჯონი
9. შეხვედრებისთვის გავიცნობ იმერეთში მცხოვრებ, 37 წლამდე სერიოზულ ქალს. ვარ 32 წლის. 514248998. ირაკლი
10. გავიცნობ რუსთაველ ქალს სამეგობროდ. 555400945
11. გავიცნობ 40 წლიდან ზევით თბილისელ ქალს შეხვედრებისთვის. 558600892
12. გავიცნობ 32 წლამდე სასიამოვნო გარეგნობის გოგოს, თუნდაც განათხოვარს. ვცხოვრობ თბილისში მარტო. 555150300
13. სამეგობროდ გავიცნობ მარტოხელა, სიმპათიურ ქალს. ვარ საშუალო ასაკის მამაკაცი. 557104464. თემო
14. გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის ქალს სამეგობროდ, ვინც მოკლებულია სითბოს და სიყვარულს. 593503424
15. ვარ 40 წლის მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ მარტო მცხოვრებ ქალს. 557651691
16. გავიცნობ 25-38 წლამდე თბილისელ ქალს შეხვედრებისთვის. 555972589. გიო
17. სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ 40-55 წლამდე ქალს. მყავს ოჯახი და ვარ დასაქმებული. 595794100
18. სამეგობროდ გავიცნობ 25-დან 36 წლამდე ზრდილობიან ქალს. ვარ 30 წლის. 555537031. ლევანი
19. სამეგობროდ გავიცნობ 40 წლამდე ქალს. 514878118
20. გავიცნობ 50 წლამდე სერიოზულ ქალს. ვარ 60 წლის, თბილისელი მამაკაცი. 557415803. ნოდარი
21. ვარ 40 წლის მამაკაცი, შეხვედრებისთვის გავიცნობ 30-50 წლამდე ქალს, სასურველია იყოს იმერეთიდან. 558025049. გიორგი
22. შეხვედრებისთვის გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის ქალს გორიდან. ვარ 48 წლის მამაკაცი. 555738209
23. შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-დან 35 წლამდე თბილისში მცხოვრებ ქალს. ვარ 36 წლის მამაკაცი. 557229949. ზურა
24. გავიცნობ 35 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 29 წლის, ყველაფრით უზრუნველყოფილი მამაკაცი. 591949875. გოგა
25. გავიცნობ 45 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, ცოტა შეძლებულს. ვარ 30 წლის, მაღალი, სიმპათიური მამაკაცი. 599331692. ბაჩო
26. შეხვედრებისთვის გავიცნობ 33 წლამდე თბილისელ, სასიამოვნო გარეგნობის გოგოს. ვარ 29 წლის, სპორტსმენი, ყველაფრით უზრუნველყოფილი. 555718831. გიო
27. ვარ 37 წლის, შეხვედრებისთვის გავიცნობ 45 წლამდე ქალს. 557590845
28. სამეგობროდ გავიცნობ 27 წლამდე გოგოს დასავლეთიდან. 557199076
29. ვარ სიმპათიური, თბილისელი, მყავს მაქანა, შეხვედრებისთვის გავიცნობ სიმპათიურ გოგოს. 5931355728 ნიკა. სკაიპი: nika-gvencadze
30. შეხვედრებისთვის გავიცნობ 35 წლამდე თბილისში მცხოვრებ ქალს. ვარ 40 წლის მამაკაცი, ვცხოვრობ თბილისში, მყავს მანქანა და შეხვედრის ადგილი. 555650016
31. ვარ 40 წლის, სიმპათიური, თბილისელი, ცოლს გაცილებული მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ ასაკით უფროს, თბილისელ ქალს. 555639450

2017

32. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ გოგოს. 551509254
33. შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-დან 40 წლამდე ქალს, სასურველია დასავლეთიდან. 555304011
34. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 35 წლამდე არამსუქან ქალს, ლამაზი და სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 38 წლის, სიმპათიური მამაკაცი. 599002721. ლევანი
35. ხანგრძლივი შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ 25-33 წლამდე ქალს. ვარ დასაქმებული მამაკაცი. 555534251. გიორგი

გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30 წლამდე კარგი აღნაგობის ქალს. ვარ დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ თბილისში, მყავს მანქანა. 555483070. ზურა
2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ გოგოს. ვარ 35 წლის, დასაქმებული მამაკაცი. 557243236. გიორგი
3. დამიკავშირდეს ის ქალი, რომელიც ოჯახის შექმნაზე ფიქრობს. ვარ 37 წლის სერიოზული მამაკაცი, მაქვს ბინა, ქონება და კეთილი გული. 598140200. კახა
4. ვარ 30 წლის, სუფთა წარსულის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ გოგოს. 555290345
5. ვარ საშუალო სიმაღლის, 29 წლის ბიჭი. გავიცნობ სოფლელ, 28 წლამდე პატიოსან ოჯახის გოგოს ოჯახის შექმნის მიზნით. 557584150
6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე პატიოსან გოგოს. 555263388
7. ვარ 64 წლის მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38 წლამდე ქალს, რომელსაც არ ჰყავს და უნდა, რომ ჰყავდეს ბავშვი და იყოს დიასახლისი. 595469342
8. გავიცნობ თბილისელ, შეძლებულ ქალს ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ ცოლს გაშორებული 6 წელია, ვარ 36 წლის. 598729538. გიგა

გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ვარ ქვრივი, 50 წლის ქალი. გავიცნობ 45-55 წლამდე მარტოხელა მამაკაცს ოჯახის შექმნის მიზნით. 555780950
2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ, არამსმელ მამაკაცს. ვარ 56 წლის თბილისელი ქალი. 551197853
3. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ 30-35 წლამდე მამაკაცს. 557965746
4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 45-დან 55 წლამდე მამაკაცს, თბილისელს, განათლებულს, ფინანსურად უზრუნველყოფილს. 555933871
5. ვარ 36 წლის, გასათხოვარი, დედისერთა გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, დასაქმებულ 37-დან 40 წლამდე მამაკაცს. 598776567
6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 44-47 წლამდე სიმპათიურ, პატიოსან და დასაქმებულ მამაკაცს. ვარ ასეთივე მონაცემების, 44 წლის ქალი, მხოლოდ დარეკვით. 557586074
7. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 43 წლის ზევით მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. 599170716

გავიცნობ მამაკაცს შეხვერებისთვის

1. ვარ ლამაზი, ახალგაზრდა ქალი, ვეძებ 40-50 წლამდე მამაკაცს, ვინც გამიწევს მეგობრობას, სასურველია იყოს დასაქმებული. 555669069

სხვადასხვა

1. გავიცნობ მხიარულ, მეგობარ ადამიანს სამეგობროდ, 40 წლიდან. 59951191. მაკა

ბიღოსტვ

1. ღირსეულ ქალს, მაია რეხვიაშვილს, ვულოცავთ შემოქმედების 35 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელ და ულევი სიხარულით აღსავსე ცხოვრებას. მიშიკო, დონარა

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ ჩიმე ან გაუმხიერთ თქვენი გრძნობები ეუნნაე „სარჯის" მეშვეობით, აუფიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ეეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარჯის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 30 ნოემბრის 17 საათამდე.
ეთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. ნეფილი, ჩომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ეთი აფრესატისადმი მინეფილ ოთ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება

Cyan Magenta Yellow Black

6 მთელი საქართველო, მთელი ჩემი სამეგობრო, მამაჩემის წრე, ქართული ფეხბურთი დგას.

— თქვენ მიმართ გამოთქმული ბრალდებებზე მინდა გკითხოთ. ის, რომ ნაკრების შეკრებებზე არ დადიოდით, სიმართლეა?

— ქეცბაიას ვერ დავეთანხმები იმაში, რომ თურმე შეკრებებზე არასოდეს ჩამოვდიოდი. ზუსტად ვიცი, ამაში თავის თავსაც არ ეთანხმება, მაგრამ მას ხომ სიტყვების მარაგი არ გააჩნია და ინტერვიუს შესავსებად იგონებს რაღაცეებს. ლუქსემბურგში რომ არ ჩავედი თამაშზე, მაშინ ტრავმა მქონდა. არ მახსენდება შემთხვევა, როცა ვიცრუე და შეგნებულად არ ჩავედი თამაშზე. შეგიძლიათ შოთის ჰკითხოთ და ის დაადასტურებს, რომ მაშინ მართლა ტრავმა მქონდა.

— ქეცბაიამ ისიც თქვა, რომ ცოტა ნაზანიშვილი ჩაგიბარეს ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, როგორც ფეხბურთელი. ქეცბაიასთან მუშაობამ რა მოგცათ, რა გასწავლათ?

— „ნიზანიშვილი რომ ჩავიბარე“ — ეგ კარგი ნათქვამი იყო. მან საქართველოს ეროვნული ნაკრები ჩაიბარა და გააცნობიეროს, რომ პირველ ადგილას ეგაა და შემდეგ მოვდივართ ფეხბურთელები. ვიდრე ეგ ჩაგვიბარებდა, მართლაც დამარხულები ვიყავით — მეექვსე ადგილას. ამიტომ მთელი გულით და სულით შევხვდი ქეცბაიას. გეტყვით, რა მასწავლა ორი წლის განმავლობაში: მივხვდი, რომ ყველა მწვრთნელი ერთნაირი არ არის, მასწავლა, რომ პატივი უნდა მეცა, როგორ განწყობაზეც უნდა ვყოფილიყავი, მასთან ისე უნდა მოვქცეულიყავი, როგორც თავად სურდა და არა ისე, როგორც გუნდს სჭირდებოდა, თორემ აუცილებლად პირად შეურაცხყოფაზე გადმოვიდოდა. აგრეთვე მასწავლა ის, რომ მოგების მერე თურმე ბიჭები ძალიან პატრიოტები ვართ და სამი დღის შემდეგ თუ თამაშს წავაგებდით, პატრიოტიზმი საერთოდ არ გვქონია.

— რას ფიქრობთ, ქეცბაიას წასვლის შემდეგ პირველ რიგში, რა უნდა შეიცვალოს ნაკრებში?

— ქეცბას წასვლა იმის გარანტია არ არის, რომ საქართველოს ნაკრები წარმატებებს მიაღწევს. ნურავინ იფიქრებს, რომ ამის შემდეგ საქართველოს ნაკრები აშენდება. კაცმა არ იცის, მის ადგილას ვინ მოვა.

— ბოლო დროს პირადი საუბარი გქონდათ ქეცბაიასთან?

— არა, სამწუხაროდ, არ მირეკავს. ამბობს, რომ დავურეკო, ჩემს ზარს არ უპასუხებსო, მაგრამ სცადოს, იქნებ ვპასუხობ. მე არ დამირეკავს. ადამიანი რომ პირად შეურაცხყოფაზე გადმოვა, არ ვფიქრობ, რომ მასთან ტელეფონით უნდა გავარჩიო საქმე.

— თურქეთში რაოდენ პირობებში თამაშობთ, კმაყოფილი ხართ?

— ამდენი წაგების შემდეგ ჩვენი მთავარი მწვრთნელი თანამდებობიდან წავიდა, მაგრამ ბიჭების დიდი თხოვნით უკან დავაბრუნეთ. ამ მწვრთნელს საამაყო აქვს, რომ გუნდმა მისი წასვლა არ მოინდომა.

— თუ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი შეიცვლება, დაბრუნდებით ნაკრებში? რაოდენ მაღალი გულშემატკივარი?

— კი და ვფიქრობ, არ მაქვს სანერვიულო, რომ ნაკრებში დაბრუნებულს გულშემატკივარი აღარ მიმიღებს.

— როცა გუნდიდან წასვლის გადაწყვეტილებას იღებდით, რაოდენი იყო სალომეს პოზიცია?

— სალომე კარგად მიცნობს და იცის, რომ თუ ადამიანთან ურთიერთობა მიფუჭდება, მის გამოსასწორებლად ყველაფერს ვაკეთებ. მან კარგად იცის ჩემი ხასიათი, ჩემი შეხედულებები და პირდაპირ მითხრა, ხომ არ ჯობია, ქეცბას დაელაპარაკო, მე დიდი სურვილი მაქვს, რომ ნაკრებიდან წამოხვიდეო. მაშინ ამაზე ჩემგან უარი მიიღო, ვუთხარი, რომ ასე ადვილად, თუნდაც ამდენი პრობლემის ფონზე, ვერც ნაკრებს დავტოვებდი და ვერც ბიჭებს. ისიც ვუთხარი, გულშემატკივარს რა პასუხი გავცე-მეთქი.

„ტოპ მიუღეხის ღროს ნაჯიები ძალით დამატოვებინეს, ხადგან სააკაშვილის სახეკრამო ჩგოღში მონანიღეობაზე უარი ვთქვი. მაშინ დათო გამყრელიძე იყრიდა ჯენქს, ჩომეღიც საღომეს ბიძაა“.

ჩემსა და სალომეს შორის დიდი ხანი მიდიოდა ამაზე კამათი, სულ მეუბნებოდა, ვერ ხედავ, რომ ნაკრებში შენი ადგილი აღარ არის, აუცილებლად უნდა წამოხვიდე, უნდა გაეცალოო. მე თავს ვიმართლებდი, ქეცბაიასთან კი პრობლემები მატულობდა, მაგრამ სალომეს ვეუბნებოდი, უკვე ვაგვარებთ, შედარებით კარგი დამოკიდებულება გვაქვს-მეთქი. შეიძლება სალომე მართალი იყო და თავიდანვე ჯობდა, ასე მოვქცეულიყავი, მაგრამ პირველივე პრობლემაზე პროფესიონალი ფეხბურთელი ნაკრებიდან არ წავა. ფეხბურთელი საკუთარ თავს კი არა, ნაკრებს და ხალხს ეკუთვნის. კანონით, როცა შედეგი არ არის, მწვრთნელი მიდის და არა — ფეხბურთელები. ჩვენთან კი პირიქით მოხდა, ქეცბაიამ ათი კაცი გაგვიშვა. თავისი კანონები შემოიტანა, თუ ვერ ვიმარჯვებთ, ფეხბურთელები მიდიან, მე კი არაო. თავადაც იცის, რომ ასეთი რაღაც არსად ხდება, მაგრამ გასდის და აკეთებს.

— თქვენი და სალომეს ურთიერთობას, ოჯახურ ცხოვრებას ასეთი პრობლემები ხომ არ ართულებს?

— გამიგია, წლების შემდეგ ცოლ-ქმარს შორის სიყვარული აღარ არის, უბრალოდ ერთმანეთთან პასუხისმგებლობა აკავშირებთო. სალოს სულ ვეუბნებოდი, არ მინდა, ჩვენს ცხოვრებაში ასე მოხდეს-მეთქი. 24 წლის ვიყავი, როცა სალო მოვიყვანე ცოლად. ჯერ კიდევ მაშინ მქონდა გაცნობიერებული, რომ არ მინდოდა, წლების შემდეგ მხოლოდ მოვალეობის გამო გვეცხოვრა ერთად. არ მესმის, როცა შეყვარებულობის დროს გიყვარს და როცა ცოლად მოგყავს, მერე იფანტება ეს სიყვარული. ამდენი წლის განმავლობაში სალოსთვის ბევრჯერ მითქვამს და მასაც უთქვამს, რომ ჩვენი სიყვარული უფრო გაიზარდა. ახლა მეცინება იმ გრძნობაზე, რაც შეყვარებულობის დროს მქონდა. ვეუბნები ხოლმე, მაშინ არ მყვარებიხარ, ახლა გაცილებით მეტად მიყვარხარ-მეთქი. ჩვენ ოჯახის, ხალხის ან შვილების გამო კი არ ვცხოვრობთ ერთად, ცოლი თუ გბეზრდება ან მას ბეზრდები, აქ უკვე აღარაფერზე შეიძლება საუბარი.

— ასეთი შეყვარებული ცოლ-ქმარი ერთმანეთთან განშორებებს როგორ უძლებთ?

— ყოველთვის არ არის საშუალება, რომ სალომე ჩემთან ჩამოვიდეს. სამი შვილი გვყავს და საკუთარ თავს არ ვაძლევ იმის უფლებას, რომ ვუთხრა, ეგენი დატოვე და ჩამოდი-მეთქი. ერთმანეთის ნახვა კარგია, მაგრამ ბავშვების ფაქტორი წინა პლანზეა, მთელი ჩვენი სიყვარული მათზე გადადის. მე და სალო უკვე ძალიან ვაკლებთ ერთანეთს სიყვარულს და სითბოს, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს. ორივემ ვიცით, რომ შვილებს უფრო მეტი უნდა მივცეთ, ვიდრე ერთმანეთს. ოჯახს ხომ შენახვა უნდა.

„ჩვენ ისევ შეყვარებულების „პონტი“ გვაქვს. უკვე 32 წლის ვარ და ჩვენს ურთიერთობაში რომანტიკა უფრო მეტადაა, ვიდრე ადრე იყო“.

დიდი პასუხისმგებლობა მაქვს აღებული, აქ მე გასართობად ხომ არ ვარ, ისევ მათთვის ვმუშაობ. ჩვენ ისევ შეყვარებულების „პონტი“ გვაქვს. უკვე 32 წლის ვარ და ჩვენს ურთიერთობაში რომანტიკა უფრო მეტადაა, ვიდრე ადრე იყო.

ახლა უკვე მეოთხე, მეხუთე შვილის მოლოდინში ვარ. ძალიან გვინდა მეოთხე შვილი და ღმერთმა ქნას, ეს სურვილი ამისრულდეს.

— სალომე ამბობს, ფეხბურთელის ცოლობა ძალიან რთულიაო. ყველაზე მეტად რისი დაძლევა უჭირს?

— სალომესგან პრობლემა არასოდეს შემქმნია. ზოგჯერ წუწუნებს, რადგან წაგების შემდეგ ყოველთვის ცუდ ხასიათზე ვარ. ამ დროს მეუბნება, კარგი, რა მოხდა, შეხედე, შენი გუნდელები წაგებას სულაც არ განიცდიანო. წაგება და მოგება ინგლისელებისთვის ჩვეულებრივი ამბავია, რაზეც ნერვიულობაც არ ღირს. მე კი წაგების შემდეგ ძალიან ძნელი ასატანი ვარ, ამიტომ სალომესთან სულ კამათი მქონდა, ვეუბნებოდი, შენ ფეხბურთი არ გესმის და არ იცი, წაგება რას ნიშნავს-მეთქი, ის სხვას მიმტკიცებდა...

— თქვენს კარიერაში ცოლს რა წვლილი მიუძღვის?

— ხშირად ამბობენ, ფეხბურთელმა ცოლი ადრე არ უნდა მოიყვანოს, რადგან კარიერაში შეფერხდებაო. მე კი ამას არ ვეთანხმები და ვთვლი, რომ ჩემი ქორწინება დროული იყო. მაშინ დავოჯახდი, როცა ჩემთან სიყვარული მოვიდა. ჩემს თითოეულ ნაბიჯში, წარმატებაში სალოს ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის. მანამდეც რომ მომეყვანა, დარწმუნებული ვარ, უფრო კარგი კარიერა მექნებოდა. დაოჯახებამდე დედა მიწყობდა ხელს, მამაზე საუბარი აღარ მაქვს, რადგან თავადაც ფეხბურთელია.

— როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი ცხოვრება მას შემდეგ, რაც ფეხბურთს თავს დაანებებთ?

— ეს არის კითხვა, რომელზეც პასუხი არ მაქვს. ჩემი ცხოვრება ფეხბურთის გარეშე ვერ წარმომიდგენია და ჯერ ამაზე არც ვფიქრობ.

✓ ქეთი დინოშვილი

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ღვთის სიყვარული მარტო ლაპარაკი როდია, საქმე უფრო მეტია სარწმუნოებაში

ხსენება მღვდელმოწამისა ბაგრატი ტავრომენიელი ეპისკოპოსისა

დასაწყისი

ჯ ღეს შევეცდებით, წარმოგიდგინოთ მაცხოვრისდროინდელი წმინდანი, რომელსაც, ვფიქრობთ, რომ საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს. როგორც მემატიანე აღწერს, წარმოშობით ანტიოქიიდან უნდა ყოფილიყო და მისი მშობლებიც ღვთისმოსავი ქრისტიანები უნდა ყოფილიყვნენ. ყველაზე მეტად საინტერესო ამ ისტორიიდან სხვა ყველაფერთან ერთად ის უნდა იყოს, რომ წმინდანის მშობლები ჩასულან იერუსალიმში, როცა გაიგეს იესო ნაზარეველის შესახებ და უნახავთ თვით მაცხოვარი, მისი ქადაგებებისთვისაც მოუსმენიათ და გადაუწყვეტიათ, მონათლულიყვნენ ქრისტეს სახელით.

მშობლების სახელები ცნობილი არ არის, ის კი დასტურდება, რომ შეძლებულები იყვნენ. როგორც მემატიანე მოგვითხრობს, წმინდანი პეტრე მოციქულს შეხვედრია პონტოში ქადაგებისას და დამოწაფებია კიდეც. ყველაფერი მოწყალებაში დაურიგებია, მონებიც გაუთავისუფლებია და ისე გაჰყოლია მოციქულ პეტრეს. ვიდრე მოციქულს გაჰყვებოდა, მშობლების დანატოვარ სახლში ცხოვრობდა, კითხულობდა და აღორძინდებოდა სიბრძნით და გონიერებით. საკმაოდ წიგნიერი ახალგაზრდა ყოფილა და რჩევასაც ხშირად ეკითხებოდნენ. ყველაფერთან ერთად საღვთო წერილშიც უზომოდ ყოფილა გათვითცნობიერებული, ისღა აკლდა, რომ მოგვიანებით პეტრეს შეხვედროდა და ახლა უკვე მისგან მოესმინა იმ ყველაფრის შესახებ, რაც წიგნები ჰქონდა ამოკითხული მაცხოვარსა და დანარჩენ მოციქულებზე.

როცა წმინდანმა ყველაფერი დაარიგა, თავის მსახურებს უთხრა: „თქვენ თავისუფლები ხართ და შეგიძლიათ გაინაწილოთ, რაც კი რამ გამაჩნდა, უძრავ-მოძრავი, მამულები, პირუტყვი, ვენახი. უფალი იესო ქრისტე იყოს ჩვენი ყველას მფარველი და პატრონი. მე მივემგზავრები ქრისტეს მოწაფესთან ერთად, რათა ყველას მივაწვდინოთ ხმა საღვთო წერილის შესახებ, ყველას ვახაროთ, რომ ქრისტე, ძე ღვთის განკაცდა“. ამის შემდეგ მივიდა პეტრე მოციქულთან და მოახსენა: „ღმერთის ხელში ვარ ხორცით, სულით კი შენთან ვარ. მიმსახურე, სრულიად თავისუფალი ვარ“.

მოციქულმა პირველი, რაც მოითხოვა თავისი მიმდევრებისგან, იყო ის, რომ ყოფილიყვნენ ზნეობრივი მაგალითები ყველასთვის და შეურყვნელად შეენახათ ნათლობის საიდუმლო, ვიდრე სულის ამოსვლამდე. ამ საუბრებით ბაგრატისთან ერთად მოციქული მიადგა ზღვის ნაპირს და ავიდა იმ გემზე, რომელიც მიდიოდა ანტიოქიაში. გზად კიდევ შეხვდა ერთი მოწაფეთაგანი, სახელად მარკიანე, რომელიც დაუცხრომლად ასწავლიდა ყველას ქრისტიანობის აუცილებლობაზე. მარკიანე პეტრეს მონათლული იყო და როგორც უკვე ვთქვით, ახლა თვითონ ნათლავდა სხვებს, სასწაულებსაც აღავლენდა, დემონისგან თავისუფლდებოდნენ ადამიანები.

მიმართა პეტრე მოციქულმა თავის ერთგულ მოწაფეებს, მარკიანეს და ბაგრატს: „ჩემო საყვარელო შვილებო, ახლა თქვენც უნდა ითავოთ ეპისკოპოსობის პატივი და დასავლეთში უნდა წახვიდეთ ქრისტეს სახელით, იქაც უნდა მოჰფინოთ ქრისტეს სახელი, ამის შეხსენება თქვენ უკვე აღარ გჭირდებათ“. აკურთხა ისინი ეპისკოპოსებად და გაუშვა. ღვთის განგებით იპოვეს გემი, რომელიც მიეგზავრებოდა სიცილიაში და მოახსენეს მოძღვარს, როგორ მოქცეულიყვნენ. პეტრე მოციქულმა აკურთხა ისინი და ავიდნენ გემზე.

პეტრე მოციქულთან გამომშვიდობების შემდეგ ორივემ მიიღო პიროვნული გადაწყვეტილება. მარკიანოსი გადაჯდა რომილუს გემში, ლიკაონიის გემში კი გადაჯდა ბაგრატი. იმავე დღეს წმინდა ბაგრატი მივიდა სიცილიაში, კონკრეტულად ფალკონაში, სადაც იყო ბაღი ქალბატონის, რომელსაც ერქვა ფალკონილასი. მას ვაჟი შესძენია და დაურქმევია სახელად ფალკონა, რომელიც ყოფილა საოცრად ლამაზი ვაჟკაცი. ამ ბაღში სეირნობისას უეცრად, არავინ იცის, რატომ, გარდაცვლილა და აქვე გადაუწყვეტიათ მისი დაკრძალვა. მის სახელზე აუშენებიათ უდიდესი და უმშვენიერესი ტაძარი, აგრეთვე მის საფლავზე დაუდგამთ უმშვენიერესი წარმართული კერპიც (პელეკიტოსი) ხის მჭრელის, ხუროსი, ოღონდ კერპი ყოფილა მეტალით დამზადებული. სახელად შეარქვეს ღმერთი ფალკონისა და სამ ახალგაზრდას და სამოცდაცამეტ ხარს სწირავდნენ, თანაც ნარჩევს და ნასუქარს. იმ დროიდან მოყოლებული ყოველ წელიწადს აღასრულებდნენ ამ ანომალიურ მსხვერპლშეწირვას, რომელიც იყო დემონთა მსახურება და მეტი არაფერი.

როდესაც გემიდან გადმოსული წმინდა ბაგრატი ჯვრით ხელში შეჩერდა აღნიშნულ ადგილზე, დემონებმა ხმამაღლა მორთეს ღრიალი: „ღმერთო ფალკონისაო, ცეცხლი მოგვიახლოვდა და სურს, რომ შთანგვთქას ძემ ღვთისამ, შობილმა ქალწულმარიამისგან, გამოგვიგზავნა აქ ორლესული მახვილი, როგორც ელვა და ჭექა-ქუხილი, ისეთი, რომელმაც ეს ადგილი გააბრწყინა და გააკაშკაშა, ჩვენ შიშის ზარი დაგვცა. ოხ, როგორ არ დაიწვა ის, ვინც ეგ აქ მოიყვანა“.

მაშინ წმინდა ბაგრატი შედგა იმ ადგილას, სადაც დემონთა ხმები ესმოდა და ჯვარი აღმართა. უბრძანა დემონებს, შეეწყვიტათ ყვირილი და ხმაური და დემონებიც იმ წამსვე დაემორჩილნენ და გაჩუმდნენ. ამის შემდეგ მიუახლოვდა წმინდანს გემის კაპიტანი, ვინც ის აქ მოიყვანა და სთხოვა, არ მიახლოებოდა უწმინდურ ფალკონს, რადგან, ვინც მას მიუახლოვდა, ყველა სიკვდილმა იმსხვერპლა.

წმინდა ბაგრატიმ მიუგო: „ჩვენ თან გვდევს მადლი სულისა წმინდისა და არ გვაშინებს დემონთა მუქარა. შენც თუ ეჭვი გეპარება, მოდი და ნახავ ღვთის დიდებას და წარწყმედას ფალკონისას“. აღმართა ცალ ხელში ჯვარი უძლეველი და ყოვლადძლიერი, საღვთო წერილი, სახარება და ხატი უფლისა იესო ქრისტესი. მიუახლოვდა ავადსახსენებელ ლითონის კერპს, პირით აღმოსავლეთისკენ დაიწყო ლოცვა ჭეშმარიტი ღმერთის მისამართით, რათა მიანიჭოს ძალა და სიბრძნე, ადგილობრივები დაარწმუნოს და შემოაბრუნოს ცოცხალი ღმერთისადმი თაყვანისცემისკენ, რათა განდევნოს მათგან დემონთა თაყვანისცემა. ყოვლადწმიდა სამებას სთხოვდა დახმარებას, რათა სასწაულებრივად განადგურებულიყო ფალკონის დემონური სამსხვერპლო, რათა ამ უმსგავსობას, რასაც აქამდე ჩადიოდა ადგილობრივი მოსახლეობა, ჩაენაცვლებინა ჭეშმარიტი ღმერთის რწმენა და სიყვარული.

ლოცვა დაამთავრა და უცებ მოისმა ხმაური, ცა ყვავ-ყორნებით დაიფარა, ფალკონის სამსხვერპლო ნაწილ-ნაწილ გაზიდეს ფრინველებმა და ზღვაში გადაუძახეს. უზომოდ ბედნიერი იყო ამის ხილვით ის გემის კაპიტანი, რომელმაც მოიყვანა ამ ადგილას წმინდა ბაგრატი. სთხოვა წმინდანს, თუ უფლებას მომცემ, რადგან დემონთა სამსხვერპლო აღარ აწუხებს ადგილობრივებს, იქნებ საჩუქარი მივართვათ კუნძულის მთავართ, რომელა სახელებიც არის ბონიფანტე და ავრილიანოსიო. მაშინ წმინდანმა მიუგო ლიკაონიდეს: „წადი მშვიდობით და მოიქეცი, როგორც გსურს, მხოლოდ ერთი გახსოვდეს, ნურაფერს შეეჭიდები ქვეყნად ისეთს, რაც უფალ იესო ქრისტეს დაგაშორებს“.

ამის შემდეგ ლიკაონიდესი წავიდა და მიართვა ძვირფასი ძღვენი კუნძულის მთავართ, როგორც უკვე გითხარით. მაშინ მთავრებმა ჰკითხეს, თქვენთან, აღმოსავლეთში როგორ იქცევიან მთავრები, იქაც ასეთი ძღვენით ხელდამშვენებულები მოინახულებთ ხოლმე მათაცო. ლიკაონიდესმა კი მიუგო: „მშვიდობა სუფევს ეპარქიებში, ვინაიდან მშვიდობას განაპირობებს დიდი და ჭეშმარიტი ღმერთის რწმენა, რომელიც ზრუნავს მათზე, ვისაც კი სწამს მისი“. ამ სიტყვების შემდეგ დაწვრილებით მოუყვა იმ სასწაულის შესახებ, რომელიც მოიმოქმედა წმინდა ბაგრატიმ.

ამ საუბრის დროს მოადგა ხალხი მთავართა სასახლეს და ხმამაღლა გაიძახოდნენ მღვდლებთან ერთად, რომლებიც სამსხვერპლოს ემსახურებოდნენ: „ძალიან ცუდი რამ ხდება ჩვენს თავს, რადგან, მთავარო, ჩვენი სათაყვანებელი ფალკონის სამსხვერპლო კერპთან ერთად საერთოდ აღარ არსებობს, არაფერი აღარ ემჩნევა იმ ადგილს, სადაც ტაძარი იყო განთავსებული“. ამ დროს ხალხს მიმართა ბონიფანტემ: „მოძღვარნო ტავრომენიის დიდო და ძლევამოსილი ღმერთებისანო, წადით და გამოწვლილვით შეისწავლეთ, იქნებ ღმერთებს სჭირდებოდათ უფრო მეტი მსხვერპლშეწირვა და ამიტომ გაგშორდნენ, ან იქნებ ადგილი იცვალეს და სხვა ადგილას მოისურვეს წასვლა. მეც მსურს, ვიცოდე, თუ როგორ მოხდა ეს ფაქტი, რომ ერთი ხელის მოსმით აღარ არსებობს აღარც ტაძარი, აღარც კერპი და საერთოდ აღარაფერი იმ ადგილას“.

Cyan Magenta Yellow Black

მიმართა ამ სიტყვებით მოსულ ხალხს ბონიფანტემ და გაუშვა, ლიკაონიდეს კი ქრისტეს შესახებ ეკითხებოდა, რადგან სულიერად კარგად გრძნობდა თავს, როდესაც სახარების სიტყვებს ისმენდა. დაწვრილებით მოუყვა ლიკაონიდე, რაც კი რამ ჰქონდა გაგონილი ბაგრატისგან როგორც იესო ქრისტეს, ასევე მოციქულ პეტრეს შესახებ. სწორედ ამ ბაგრატის თხოვნით უფალმა განდევნა და უხილავ ჰყო კერპიც და სამსხვერპლოც.

ამის მოსმენით კმაყოფილმა მთავარმა უთხრა ლიკაონიდეს: „გთხოვ, ჩემო მეგობარო, წადი და თაყვანი ეცი ჩემს ნაცვლად ბაგრატის ღმერთს, ხოლო თვითონ კი სთხოვე, რომ იქნებ ჩემთან მოვიდეს, რათა ახლოს გავიცნო ეს ღირსეული ადამიანი“. მაშინ უთხრა ლიკაონიდემ: „მომისმინეთ, მთავარო, თუ გიყვართ ქრისტე, უბრძანეთ ყველა ორატორს, რომ ქრისტე იქადაგონ, ყველა მოიწვიეთ და იპოდრომზე გამოაცხადეთ საყოველთაო დღესასწაული. მხედრებმა თავიანთი ცხენებით მიიღონ მონაწილეობა ამ დღესასწაულში, მაშინ უარს არ იტყვის ბაგრატიც თქვენთან მობრძანებაზე“.

მთავარს მოეწონა ლიკაონიდეს შეთავაზება საყოველთაო დღესასწაულთან დაკავშირებით და მეორე დღესვე გამოსცა მისი გამართვის განკარგულება. ორასი ათასამდე კაცმა მოიყარა თავი ამ დღესასწაულზე. როგორც ცნობილი ხდება, ლიკაონიდემ გადასცა მთავრის დანაბარები წმინდა მამას. წმინდა ბაგრატიმ თავი შეიკავა ღონისძიებაში მონაწილეობაზე იმ მიზეზით, რომ ხალხის აზრი ორად იყოფოდა. ერთი ნაწილისთვის თითქოს მისაღები იყო ქრისტიანობისადმი ლოიალური დამოკიდებულება, ხოლო ისეთებიც არსებობდნენ, რომელთათვისაც კატეგორიულად იყო მიუღებელი ტაძრის და კერპის იმ ფორმით გაქრობა, როგორც ეს მოხდა.

წმინდა ბაგრატმა უთხრა ლიკაონიდეს, იქნებ გადასცე მთავარს, როცა ღონისძიება დასრულდება, დიდი სიამოვნებით ვუმასპინძლებო. ასეც მოხდა, თვითონ მიბრძანდა წმინდანთან სასაუბროდ ბონიფანტე. არაერთი დიდი თუ მცირე სასწაული იხილა მთავარმა წმინდა ბაგრატისთან სტუმრობისას თანმხლებ პირებთან ერთად, აღიარა კიდეც იესო ქრისტეს ღვთაებრიობა და ის, რომ ნამდვილი ღმერთი არის ქრისტე და არა ფალკონი ან მისი სამსხვერპლო.

ამის შემდეგ უკვე დადგა დრო, რომ თვითონ წმინდანიც სწვეოდა ბონიფანტეს სასახლეში. როგორც კი მიიღო შეთავაზება, მაშინვე დათანხმდა, მაგრამ პირობები, რომლებიც კუნძულზე მცხოვრებ ქრისტიანებს ჰქონდათ, ჯერ არ იყო სახარბიელო და ამას სჭირდებოდა დრო, რათა განსაზღვრულიყო ქრისტიანების და წარმართების უფლებები ცალ-ცალკე. იახლა წმინდა ბაგრატიმ თავისი ერთგული ადამიანები და ესტუმრა ბონიფანტეს სასახლეში. უდიდესი პატივით მიიღეს მთელი შემადგენლობა, ვინც კი ახლდა წმინდანს.

მიმართა წმინდანმა ბონიფანტეს: „მთავარო, ლისონის დღესასწაული არანაკლები პომპეზურობით იდღესასწაულება ამ კუნძულზე, როგორც ეს ხდებოდა ფალკონის შემთხვევაში და არავინ ამ უმსგავსობაზე არ აგებს პასუხს“. მაშინ ბონიფანტემ მიმართა წმინდა ბაგრატს: „თქვენ სრული თავისუფლება გაქვთ, მოამზადოთ ქრისტიანული დღესასწაული ისეთი, როგორც თქვენ გნებავთ“. ამის შემდეგ ჰკითხა ბონიფანტემ, როგორ მოიქცევით, რას ფიქრობთ. „ამ დღის შემდეგ იქნებ აღარასდროს შესწიროთ მსხვერპლი უსულო საგნებს, ქმნილებებს. მტკიცედ დაიცავით ცოცხალი ღმერთის სარწმუნოება. თუ სურვილი გაქვთ, ნათლობითაც შეგიძლიათ დაადასტუროთ ეს ყოველივე. იქნებ ერთი ტაძარი აგეგოთ ცოცხალი ღმერთისთვის, სადაც შესაძლებელი გახდებოდა, მსხვერპლი შემეწირა ჭეშმარიტი ღმერთისთვის, რადგან მწამს, რომ თვით უფალი იესო ქრისტე იზრუნებს, მომავალში როგორ გაგვათავისუფლოს და განგვწმინდოს უხილავი მტრისაგან“. მაშინვე მიუგო ბონიფანტემ: „წმინდაო მამაო, მზად ვარ, აღვასრულო თქვენი თხოვნა მე, ცოდვილმა მონამ. მხოლოდ მიბრძანეთ, როგორი ფორმის, ზომის ნაგებობა უნდა იყოს ის, რასაც მთხოვთ, და კიდევ, იქნებ ადგილიც მიჩვენოთ, სად შეიძლება ავაშენოთ და დიდი სიამოვნებით ავასრულებ თქვენს თხოვნას“.

მართლაც აშენდა ტაძარი, როგორიც სურდა წმინდანს. თვითონვე აღავლენდა უსისხლო მსხვერპლშეწირვას, საღვთო ნათლით იყო გაბრწყინებული ეკლესია მაშინ, როცა წმინდა ბაგრატი ლოცვას აღავლენდა. წმინდა მამის გამოჩენიდან მალე კუნძულ ტავრომენიაზე თითქმის ყოველდღიურად მცირდებოდა და ქრებოდა სამსხვერპლოების რიცხვი. უკვე მონათლულ ქრისტიანებს ზიარების შესაძლებლობაც ჰქონდათ. კუნძულელთა ცხოვრება გაცილებით საინტერესო გახდა, ვიდრე ეს იყო მანამდე.

ბონიფანტეს არ აზიარებდა წმინდანი, რადგან არ იყო ნათელღებული და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ამ ყველაფრის ფონზე უკმაყოფილება ბონიფანტეს მისამართით წარმართების მხრიდან პიკს აღწევდა. აშკარად გამოხატავდნენ წარმართები უკმაყოფილებას სასახლის წინ. ეს ყოველივე ესმოდა ბონიფანტეს, რამაც საგონებელში ჩააგდო. ტავრომენიელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ წარმართი იყო და ძალაუფლებაც მათ მხარეზე იყო, ამიტომ გასათვალისწინებელი იყო მათი აზრიც. არადა ხვდებოდა, რომ ქრისტიანობა უფრო მისაღები იყო მისთვის და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

ამ დაძაბულობას განმუხტვა სჭირდებოდა. მთავარი ხვდებოდა, რომ წარმართობაც და მათი მოთხოვნებიც უსაფუძვლო იყო, ისიც კარგად ესმოდა, რომ წარმართები წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ ბაგრატის, მაგრამ იმის გამო, რომ რიცხობრივად იყვნენ ბევრნი, შეიძლებოდა დაძაბულიყო სიტუაცია.

ერთხელ, როცა წმინდა ბაგრატი საღამოს მსახურებას ასრულებდა, წარმართებმაც თავიანთ სამსხვერპლოებზე შეკრებილებმა აღასრულეს მსხვერპლშეწირვა. უეცრად მომხდარმა სასწაულმა შოკში ჩააგდო ადგილობრივი წარმართები. მიწა იძრა და ჭექა-ქუხილის ხმამ მიწასთან გაასწორა ყველა სამსხვერპლო, ნამცეცებად იქცა ყველა კერპი, დიდი თუ პატარა, იმ ტაძარს კი, რომელშიც წმინდა ბაგრატი მსახურებას ასრულებდა, საერთოდ არაფერი მოსვლია. ეს კიდევ უფრო დიდ შურს აღძრავდა წარმართებში, რადგან ადამიანები თანდათან გონს მოდიოდნენ და ქრისტიანების რიცხვი მატულობდა მთელ კუნძულზე.

ერთხელ იმ დროს მოადგა ეკლესიას ბონიფანტე თავის მსახურებთან ერთად, როცა წმინდა ბაგრატის ხელში ეჭირა წმინდა ტარიგი და საღმრთო ლიტურგიას აღასრულებდა. ამ დროს მთელი ტაძარი საღმრთო ნათელმა მოიცვა, ყველა ხედავდა, რომ რაღაც განსაკუთრებული ხდებოდა, მათ შორის ბონიფანტეც და მისი თანმხლებნიც. ვერავინ ბედავდა საზიარებლად მიახლოებას, რადგან წმინდა ბაგრატის სახე ბრწყინავდა, ელვარებდა. მან ხმამაღლა მიმართა იქ შეკრებილთ: „მომიახლოვდით, შვილებო, და ნუ შეგეშინდებათ, რადგან ეს ელვარება, რასაც ხედავთ, როდი წვავს, არამედ აბრწყინებს იმათ, რომლებიც ეზიარებიან“. უკვე თამამად ეზიარა ყველა, ვინც კი მონათლული იყო. ხოლო მათ, რომლებიც მოუნათლავები იყვნენ, ქადაგებაში კათაკმევლობისკენ მოუწოდა. მესამე დღეს მოინათლა ხუთი ათასი ადამიანი.

ნათლობის დღეს კიდევ ინახულა წმინდანი ბონიფანტემ და სთხოვა, მტერი აპირებს თავდასხმას კუნძულზე და როგორ მოვიქცეთ, როგორ არის შესაძლებელი მოძალებული მტრის მოგერიებაო. წმინდა ბაგრატიმ გეგმა შესთავაზა, ყველა მებრძოლი, ტავრომენიის დამცველი შეეკრიბა ბონიფანტეს და ყველა მათგანს დალოცავდა, რითაც უძლეველი შეიქნებოდა ტავრომენიის არმია და თვით ბონიფანტეც. მართლაც შეკრიბა ოც დღეში ბონიფანტემ მთელი არმია და მოახსენა წმინდანს. იყვნენ ათას ხუთას ორმოცი. ეს იყო ჯარი სიკელიდან, კალავრიდან, ტავრუდან და მენიიდან. ეს ხალხი ერთი მიზნისთვის ლოცულობდა, მათი კუნძული მტრისთვის ხელშეუხებელი რომ ყოფილიყო.

მეომრების გარდა ბრძოლის ველზე რიგითი მოქალაქეებიც იყვნენ მისულები. ყველას სურდა ეპისკოპოსის ხილვა, რომელმაც ახალი სარწმუნოებით ახალი ღმერთი მოუყვანა კუნძულელებს. როცა წმინდანი გამოჩნდა, სახე ისე უბრწყინავდა საღვთო ნათლით, რომ ხალხს თვით ბაგრატი ეგონა ღმერთი, მორწმუნეები კი მათ მოუწოდებდნენ: „არ არის ღმერთი, ხალხო, არამედ ჭეშმარიტი და ყოვლადძლიერი ღმერთის მსახურია“.

იმ დღეს ბევრმა, ვინც ნახა წმინდანი, ქრისტე აღიარა და მოითხოვეს, მონათლულიყვნენ. წმინდანმა გადაწყვიტა და ხალხს მოუწოდა, ჯართან ერთად აღესრულებინა უსისხლო მსხვერპლშეწირვა. მართლაც უდიდესი ინტერესით აკვირდებოდა ყველა ღვთისმსახურებას, თვით მოუნათლავებსაც კი სურდათ, ზიარებულიყვნენ, მაგრამ წმინდანმა ქადაგებით განუმარტა, რომ ნათლობამდე ასეთი რამ შეუძლებელი იყო. ამის მიზეზი ის სასწაულიც იყო, რომელიც კიდევ ერთხელ იხილა ყველა იქ შეკრებილმა: როცა წმინდა ბაგრატიმ ტარიგი ხელში აღმართა, ზეციდან სინას მთაზე ღრუბლის გაჩერების მსგავსად მოსე წინასწარმეტყველის შემთხვევაში, წმინდა ბაგრატიც ღრუბელმა დაფარა. შეშინებულმა ხალხმა ვედრება დაუწყო უფალს, მათ წმინდანს არაფერი მოსვლოდა. როგორც კი წმინდანმა ლოცვა დაამთავრა, ღრუბელი ისევ ზეცისკენ დაიძრა და წმინდა ბაგრატი გაუნძრევლად იდგა ტარიგით ხელში. გახარებული ხალხი და მთელი ჯარი ადიდებდნენ წმინდა ბაგრატის უფალს ამ სასწაულის მხილველნი.

წმინდანი წირვის შემდეგ საქადაგებლად მოემზადა, საიდანაც შეკრებილებს ღვთის ბუნებებზე და ამ ბუნებების გამოვლინებაზე ასწავლიდა. ქადაგების დასრულების შემდეგ მებრძოლების უმრავლესობამ ნათლობის სურვილი გამოთქვა, ვიდრე ბრძოლის ველზე გავიდოდნენ. სამი დღით ყველას სთხოვა მარხვა და ამის შემდეგ შეასრულა საყოველთაო ნათლობა. ამ დღეს ერთი სულიერი შვილი, სახელად ეკაგრე, მღვდლად აკურთხა დასახმარებლად. ეს არის ის ეკაგრე, რომელმაც მოგვიანებით დაწვრილებით აღწერა და შემოგვინახა წმინდა ბაგრატის მოღვაწეობა. სწორედ ეკაგრე ახლდა ჯარს ბრძოლის ველზე, რომელიც აზიარებდა მეომრებს. დროშაზე გამოსახეს იესო ქრისტეს ხატი და ამ დროშით მიუძღოდა მედროშე ჯარს ბრძოლის ველზე.

✓ ქრისტესმიერი სიყვარულით
პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

Cyan Magenta Yellow Black

„ღმერთი სწორედ მაშინაა ჩვენთან, როცა საერთოდ აღარ გვახსოვს თავი“

■ მამა გიორგი

ქრისტიანული რელიგია ყველაზე მთავარს, სიყვარულს გვასწავლის. სხვა არც ერთ კონცეფციას აქვს ღვთისადმი მინიჭებული ამგვარი ფორმულირება: „ღმერთი სიყვარულია“. ნამდვილი სიყვარული კი გამორიცხავს სიამაყესა და ქედმაღლობას. ეს უკანასკნელი ყველაზე სახიფათო ცოდვად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან მისგან წარმოიშვა ყველა სხვა ბოროტება. ხშირად ზნეობრივი ცხოვრების მიღმაც კი ამპარტავნება იმალება. ქრისტიანული თავმდაბლობისა და სიყვარულის შესახებ იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) გვესაუბრება.

— მამაო, არსებობს სხვაობა ზნეობრიობასა და სულიერებას შორის?

— ზნეობრიობა ადამიანის გარკვეულ ქმედებებთან არის დაკავშირებული. როდესაც ჩვენ ვცდილობთ, შევაფასოთ ადამიანის ესა თუ ის ქმედება, ასევე ხასიათი, საქციელი, ჩვენ ვაფასებთ მას მოქმედებების მიხედვით. როგორ ადამიანს ვუწოდებთ ზნეობრივს? ისეთს, რომელიც არ იტყუება, არ მრუშობს, არ კლავს და ა.შ. როგორც ხედავთ, ჩვენ ვაფასებთ ადამიანების საქმეებს, საქციელს, მის შემოქმედებას იმ ნორმების მიხედვით, რაც თვალშისაცემია, რომელიც შეიძლება შეამჩნიო, დაინახო, გაიგონო. გამომდინარე აქედან, ადამიანს ან ზნეობრივს ვუწოდებთ, ან უზნეოს. მაგალითად, პოულობენ ვინმესთან გარკვეულ ღია ბარათებს და ამბობენ: აჰა, გასაგებია, ის როგორი ზნეობისაა! ან, თუ როგორ ფილმს უყურებს, როგორ წიგნებს კითხულობს. შეიძლება დავასკვნათ, რომ ადამიანის ზნეობრიობის შეფასების კრიტერიუმები მისი ინტერესების სფეროებიდან გამომდინარეობს.

ზნეობრიობა ნიშნავს ჯანსაღ დამოკიდებულებას გარესამყაროს, ბუნებისა და ღვთის ქმნილებების მიმართ. სულიერება კი ისეთი რამ

„სიტყვიერად აღიარებენ, რომ ღმერთის წინაშე არარაობას წარმოადგენენ, მაგრამ გამუდმებით ელანდებათ, რომ ღმერთი მათ გამოარჩევს და ჩვეულებრივ ადამიანებზე უკეთესებად მიიჩნევს. ღმერთს მოჩვენებითი მოჩჩილებით უხდიან ხარკს. თავიანთ ნაცნობ-მეგობრებს სიამაყით ზემოდან დასცქერიან“.

არის, რაც დაფარულია თვალისათვის. იგი არსებობს თავად ადამიანის სულში და შესაძლებელია, გარეგნულად არც გამომჟღავნდეს ან გამომჟღავნდეს თითქმის შეუმჩნევლად, სულიერად გამოუცდელი თვალისათვის კი მაინც დაფარულად დარჩება.

— რიგორი შეიძლება იყოს სულიერი ფასეულობანი?

— სახარებაში მათ ეწოდებათ, მაგალითად: სიყვარული, მოწყალება, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ვინც აღასრულებს სიყვარულსა და მოწყალებას, აუცილებლად გამოვლინდება ისე, რომ ყველასათვის იქნება თვალნათელი. პირიქით, რაც უფრო დიდი სულიერი ფასეულობა მკვიდრობს ადამიანში, მით უფრო მეტად ფარავს იგი მას გარეშე თვალთაგან. გარეგნულად მე შემიძლია ვიყო უპოვართა შემწე, კაცთმოყვარე, შემიძლია გლახაკთ მატერიალურად დავეხმარო, შემიძლია გავმართო საქველმოქმედო აქციები ან გადავრიცხო ფული ბანკიდან და ა.შ., მაგრამ ისმის კითხვა: მე რას ვაკეთებ? სიკეთეს თუ ბოროტებას?

მორალური თვალსაზრისით, უდაოდ სიკეთეს ვაკეთებ. აი, სწორედ აქ დავინახავთ, რა არის სულიერება. არავინ იცის, თუ რატომ ვაკეთებ მე ამას. მე კი თურმე ეს ყოველივე მჭირდება იმისთვის, რომ პარლამენტში აღმოვჩნდე. მე წაღმა და უკუღმა ვარიგებ ფულს: წარმოვაჩენ ტელევიზიით მთელ ჩემს პიროვნებას. არავინ იცის, თუ რა ხდება ამ დროს ჩემში და წინ რა უძღვის ჩემს ამპარტავნებას და გათვლებს. ჩემს მიზნებს შესაძლებელია წარმარ-

„ჩოგორც კი ვნახავთ, რომ ჩვენი ჩელიგიური ცხოვრება გვაფიქრებინებს, კარგები ვართ და, მეტიც, სხვას ვჯობივართ, შეიძლება გულდაჯერებით ვთქვათ, რომ ეს ღმერთისგან კი არა, ეშმაკისაგან მოდის“.

თავდეს არა სრულიად კაცთმოყვარეობის მოტივი ან ღვთის მცნების შესრულება მოყვასის სიყვარულის შესახებ, ან მოწყალება უცხოთა გლახაკთა მიმართ, არამედ მიზნები, რომელიც წინააღმდეგობრივია სათნოებებისა და თავისი არსით უმსგავსო და საძაგელია, მაგრამ არავინ იცის ამის შესახებ. ეს ჩემშია, ჩემს სულში. გარეგნულად შემიძლია ვიყო წმინდა ადამიანი, მაგრამ შინაგანად ვიყო აღმასრულებელი ამპარტავნული და ქედმაღლური სურვილებისა, ადამიანებს ზემოდან დავყურებდე ან სულაც აბუჩად ვიგდებდე. სწორედ ამიტომ საკმარისზე მეტად გვხვდება იმგვარი ფაქტები, როდესაც ჩვენ გაოცებული ვამბობთ: „ასეთ ადამიანს როგორ შეეძლო ეს ჩაედინა?!“.

ჭეშმარიტი სულიერი ფასეულობა საკუთარ თავს მალავს. შემთხვევით როდი ბრძანა ქრისტემ: „ხოლო შენ რაჟამს ილოცევიდე, შევედ საუნჯესა შენსა და დახშ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად (მათე 6, 6)“.

— რომელია ყველაზე საშიში ცოდვა?

— ამპარტავნება, რომელიც წარმოშობს სიამაყეს. სამყაროს დასაბამიდან ყველა ხალხსა და ყველა ოჯახში უბედურების თავი და თავი სწორედ სიამაყეა. სხვა მანკიერებებმა ზოგჯერ ადამიანები შეიძლება გააერთიანოს. ლოთები და მრუშები შეიძლება ერთმანეთში კარგად ურთიერთობდნენ, ხუმრობდნენ, მეგობრობდნენ. სიამაყე კი ყოველთვის მტრობას გულისხმობს და არამარტო ადამიანსა და ადამიანს შორის, მტრობას ღმერთის მიმართაც. ამაყი კაცი მუდამ ზემოდან დაჰყურებს საგნებსა და ადამიანებს. რა თქმა უნდა, სანამ დაბლა იყურებით, ვერ შეამჩნევთ იმას, რაც თქვენ ზემოთთაა.

— ამაყი ადამიანი ვერ იქნება გულწრფელი, გულით მორწმუნე?

— ისინი მოჩვენებით ღმერთს სცემენ თაყვანს. სიტყვიერად აღიარებენ, რომ ღმერთის წინაშე არარაობას წარმოადგენენ, მაგრამ გამუდმებით ელანდებათ, რომ ღმერთი მათ გამოარჩევს და ჩვეულებრივ ადამიანებზე უკეთესებად მიიჩნევს. ღმერთს მოჩვენებითი მორჩილებით უხდიან ხარკს. თავიანთ ნაცნობ-მეგობრებს სიამაყით ზემოდან დასცქერიან.

— როგორ უნდა მანდეს მორწმუნე, რომ სიამაყემ შეაპარო?

— როგორც კი ვნახავთ, რომ ჩვენი რელიგიური ცხოვრება გვაფიქრებინებს, კარგები ვართ და, მეტიც, სხვას ვჯობივართ, შეიძლება გულდაჯერებით ვთქვათ, რომ ეს ღმერთისგან კი არა, ეშმაკისაგან მოდის. ღმერთი სწორედ მაშინაა ჩვენთან, როცა საერთოდ აღარ გვახსოვს თავი ან როცა თავი სრული არარაობა გვგონია. ყველაზე სახიფათო ცოდვამ შეიძლება ჩვენი რელიგიური ცხოვრების გულისგულში შემოაღწიოს. სხვა, ნაკლები ზიანის მომტანი ცოდვები ეშმაკისაგან მოდის, რომელიც ჩვენზე ჩვენივე ცხოველური ბუნების მეოხებით ზემოქმედებს. მაგრამ სიამაყე ცხოველური ბუნების წყალობით არ შემოჭრილა ჩვენში, იგი უშუალოდ ზეციდან მოდის და წმინდად სულიერი ბუნებისაა. ამიტომაც მისი ზემოქმედება გაცილებით დახვეწილია და მომაკვდინებელი. სიამაყე სულიერი კიბოა. იგი კლავს სიყვარულის, კმაყოფილების, სილამაზის შესაძლებლობასაც კი.

— არსებობს მეორე უკიდურესობაც, არა სიამაყე, არამედ სასოწარკვეთილება, როცა ადამიანი თვლის, რომ ის ვერ გახდება ცხონების დირსი.

— ამის შესახებ წმინდა სალუან ათონელი ბრძანებს: „გახსოვდეს ორი ზრახვა და გეშინოდეს მისი. ერთი ამბობს: შენ წმინდანი ხარ, მეორე — შენ ვერ გადარჩები; ორივე ეს ზრახვა მტრისგანაა და არ არის ჭეშმარიტი. შენ იფიქრე: მე დიდი ცოდვილი ვარ, მაგრამ უფალი მოწყალეა, მას ძლიერ უყვარს ადამიანები და მომიტევებს მე ცოდვებს. ერწმუნე ამას და იქნება ასე: უფალი გაპატიებს. შენს გმირობას ნუ ენდობი, თუნდაც ბევრს მოღვაწეობდე“.

— სრულიად შესაძლებელია, ვინმეს ჰქონდეს კითხვა: „რატომ უნდა ვიყო ქრისტიანი?“ მით უმეტეს, მაშინ, როცა არსებობს უამრავი რელიგია ან სულაც ათეიზმი, რომელთა მიმდევრობაც გაცილებით აადვილებს ამქვეყნიერ ცხოვრებას.

— ადამიანი აღმსარებლობას ირჩევს სინდისის, გულის კარნახის მიხედვით, მაგრამ არ გამოირიცხება გონებაც. ერთადერთი ჭეშმარიტება (ჭეშმარიტება კი უცილობლად ერთადერთია) ყველაზე ლოგიკური და გონივრულიც უნდა იყოს. თავგანწირვის განხორციელებისათვის ღვთაებრივი, უვნებო ბუნების მქონე პიროვნული ღმერთი ადამიანურ ბუნებას იღებს, რომლის ტანჯვით პიროვნულად თავად ღმერთი იტანჯება, რომლის სიკვდილით თავად ღმერთი კვდება და ამით გამოავლენს მაქსიმალურ სიყვარულს, რაც კი ერთმა პიროვნებამ მეორის მიმართ შეიძლება გამოამჟღავნოს — თავის სულს დებს ჩვენთვის. აქ ისეთი სიდიადე, სიმდაბლე, სინათლე და სიყვარულია, რომ ადამიანს არათუ ამგვარის ან მსგავსის მოფიქრება ან რაიმეს დამატება, არამედ უკვე მომხდარისა და არსებულის გააზრება და დატევნაც კი არ ძალუძს.

ქრისტიანებს წმინდა წერილში პირდაპირ გვიწერია, რომ ღმერთი სიყვარულია. ღვთის ამგვარი ფორმულირება მხოლოდ ქრისტიანობაშია. ამ საღვთისმეტყველო ფორმულის სხვა რელიგიებში არარსებობა არ არის შემთხვევითი. ასევე არ არის იგი შემთხვევითი ქრისტიანობაში. ქრისტიანობაზე უფრო აღმატებული მოძღვრების შექმნა შეუძლებელია. ერთ-ერთი საღვთისმეტყველო განმარტება, თუ რატომ არ ცხონდება ეშმაკი, ასეთია: თუ სატანა მაშინ არ ჩავარდა სინანულში, როცა კაცად მოსული სამყაროს შემოქმედი ადამიანთათვის კვდებოდა, როცა ასეთმა სიყვარულმაც არ შეაძრწუნა მისი გული, რაღამ უნდა შეძრას იგი? მსგავსი რამ ადამიანზეც შეიძლება ითქვას: თუ კაცის გული იმ ამბავმა არ შეძრა, რომ ღმერთი მის გადასარჩენად ადამიანად მოვიდა, ეწამა და მოკვდა, ღმერთი ადამიანად იქცა, სხვა რაღამ უნდა შეძრას იგი?! ღმერთმა დაგვიფაროს ამგვარი გულქვაობისგან!

✓ **მანანა ნოდია**

Cyan Magenta Yellow Black

მამა დავითი: „ყოველთვის თაბორის მთაზე, ანუ ლხინში ვერ ვიქნებით, განსაცდელებსაც უნდა გავუმკლავდეთ“

მამა დავით კუჭავას 12 წლიანი სასულიერო ცხოვრება ბევრი განსაცდელით არის სავსე, მაგრამ ყველაზე მძიმე დღეები 2008 წლის აგვისტოში ჰქონდა. როცა საქართველოს ცას რუსეთის ავიადამშენები სერავდნენ და ქართულ სოფლებს ბომბავდნენ, მამა დავითი ცხელ წერტილებში, ერგნეთსა და მეღვრეკისში იყო, ტაძრებში წირვა-ლოცვა არ შეუწყვეტია.

მამა დავითმა გორის სოფლებში 9 წელი იმსახურა, ახლა კი თბილისში, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში მსახურობს. თბილისი მისი მშობლიური ქალაქია, მაგრამ სოფლად ყოფნა ენატრება. ზოგჯერ ქალაქის ხმაურს გაერიდება ხოლმე და უჯარმაში მიდის კელიაში განსამარტოვებლად და სალოცავად.

— მამა დავით, რამ ითამაშა გადამწყვეტი როლი თქვენს არჩევანში, რომ სასულიერო პირი გამხდარიყავით?

— ბევრმა რამემ, პირველ რიგში, ბავშვობის ხანამ. დავიბადე და გავიზარდე თბილისში, ვორონცოვზე, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის გვერდით მდებარე სახლში. მთელი ბავშვობა ამ ეკლესიის ეზოში გავატარე. მაშინ ამ ადგილას მუსიკალური ცენტრი იყო. ბავშვები შევდიოდით ეზოში და მთელი დღე იმ ბაღში ვთამაშობდით.

რაც შეეხება ეკლესიაში სიარულს, ჯერ კიდევ ღრმა ბავშვობაში ბებიაჩემს კუკიის სასაფლაოზე მდებარე წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში მივყავდი ხოლმე. მახსოვს, პარაკლისის გადახდის დროს, ფურცელს მომცემდნენ, რომ გარდაცვლილი ახლობლების სახელები ჩამომეწერა. რომ წამოვიზარდე, სიონში დავდიოდი. სახლიდან ფეხით მივდიოდი და იქ იესო ქრისტეს ხატს ვთხოვდი შეწევნას. ტაძარში მხოლოდ სანთელს ვანთებდი, არც მოძღვარი მყოლია და არც აღსარება ჩამიბარებია.

„დასავლეთიდან შემოვიდა ასეთი წესი, რომ შაბათ-კვირას ახალგაზრდებმა აუცილებლად უნდა დაღიონ და ღრო ატარონ, ნაცვლად იმისა, რომ ნიკვა-ლოცვაზე ნავიდნენ. კი, ბატონო, ახალგაზრდებს არავინ უშლის, რომ მეგობრებთან ერთად ღრო ატარონ, მაგრამ ჯერ ნიკვა-ლოცვაზე დადგნენ და შემდეგ, სადაც უნდათ, იქ ნავიდნენ“.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩემი მეგობრის დეიდა კულტურის სამინისტროში მუშაობდა. ერთხელ იქ დიდი ტირაჟით მიიტანეს „ახალი აღთქმა“ და იმ ქალბატონმა ერთი ცალი მეც მაჩუქა. კითხვა დავიწყე და ვეღარ მოვცილდი. იმდენად მიმიზიდა, რომ მის გარდა არაფერი მაინტერესებდა, ოთახიდან აღარ გამოვდიოდი. „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ — ამ სიტყვების ამოკითხვის შემდეგ ჩემი ცხოვრების მიზნად დავისახე, რომ მეც ამ დევიზით მეცხოვრა, მაგრამ, რაც უფრო მეტი წელი გადის, მით უფრო რთული ხდება ამ სიტყვების შესრულება...

საეკლესიო ლიტერატურამ ძალიან გამიტაცა. მაშინ საეკლესიო ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ გამოდიოდა და მის ყველა ნომერს ვკითხულობდი.

— რიდის გახდით მრევლი, პირველი ზიარება რიდის მიიღეთ?

— ეკლესიური ცხოვრება ჩემს კლასელთან, ცნობილ პოლიტიკოს კოკა გუნცაძესთან ერთად დავიწყე. ერთად დავდიოდით ტაძარში, ერთად ვკითხულობდით საეკლესიო ლიტერატურას. როცა რაიმე საინტერესო წიგნს ან ბროშურას აღმოვაჩენდით, ძალიან გვიხაროდა. 1990 წელს ჩემს უბანში, ნინო ჩხეიძის ქუჩაზე, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია აშენდა. მე და კოკამ სწორედ იქ დავიწყეთ სიარული. ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი მამა რევაზ ოთარაშვილი იყო ჩემი პირველი მოძღვარი. კოკა ჩემზე ადრე გახდა ამ ტაძრის მრევლი, შემდეგ მეც შევუერთდი. ეს იყო ჩემი პირველი აღსარების ჩაბარებისა და პირველი ზიარების პერიოდი. ცოტა ხანში მედავითნეობაც დავიწყე და პარალელურად სტიქაროსანი გავხდი.

ამ ტაძარში 9 წელი დავდიოდი. მე და ჩემი მეგობარი აღმსარებლები რომ გავხდით, იმავე წელს ბეთანიის მონასტერში წავედით. ეს არის საოცარი ადგილი. მე და კოკამ ის ერთი კვირა საოცრებაში გავატარეთ, რადგან ეს იყო ჩვენი პირველი შეხება მონასტრულ ცხოვრებასთან და ბერ-მონაზვნებთან. იქიდან დაბრუნებულები სულ იმ ერთკვირიან ცხოვრებას ვიგონებდით, როგორ ვცხოვრობდით კელიაში, როგორ ვკითხულობდით და როგორ ვმუშაობდით ფიზიკურად. მაშინ 20-21 წლისანი ვიყავით.

— მომაყალში თქვენი და ბატონი კოკას გზები გაიყარა. ამას ხელი არ შეუშლია თქვენი მეგობრობისთვის?

— როდესაც ვხედავ სასულიერო პირებს, რომლებიც ბავშვობიდან ერთად მოდიან, მეც მინდა, ასე ვიყო. კარგი იქნებოდა, ახლაც მყავდეს გვერდით ბავშვობის მეგობარი, რომელიც მღვდელი იქნებოდა და საერთო ინტერესები გვექნებოდა. რაც შეეხება კოკას, ის ჯერ ფილოსოფიით იყო გატაცებული, მერე პოლიტიკაში ყოფნა მოისურვა. სხვადასხვა და რადიკალურად განსხვავებული გზებით წავედით, მაგრამ ჩვენი მეგობრობა დღესაც გრძელდება. გარდა ამისა, დავნათესავდით, მისი შვილის ნათლია ვარ.

„დაბომბვა მიმდინარეობდა, იჩგეზივ ყველაფერი ხანხარეზდა და მე ნიჩვას ვაყენებდი. იქ მცხოვრებ მამაკაცებს ვეუბნებოდი, ახლა მაინც შემოდით ტაძარში-მეთქი. ისინი იდგნენ და თვითმფრინავებს აგინებდნენ. ბოლოს ახლომახლო თვითმფრინავი ჩამოაგდო ქართველმა მხარემ. აი, მაშინ კი ყველანი ტაძარში შემოცვივდნენ“.

ყოველთვის კარგად მახსენდება ის დრო, როცა მე და კოკა ეკლესიის წიაღში პირველ ნაბიჯებს ვდგამდით. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს თანამოაზრის ყოლას, მასთან ერთად დადიხარ ტაძარში, გრძნობ, რომ მარტო არ ხარ.

— რამდენი წელია, რაც სასულიერო პირის ჯვრის ტარება გიწყვეთ?

— 12 წელია. 9 წელი მედავითნე და სტიქაროსანი ვიყავი. რაც უფრო ღრმად ვეცნობოდი ამ სფეროს, მით უფრო ვხვდებოდი, რომ ჩემი მომავალი ცხოვრება ამ გზით უნდა წარმემართა. მერე უკვე ყველაფერი დრომ მოიტანა. რამდენჯერმე შემომთავაზეს, დიაკვანი გავმხდარიყავი, მაგრამ იმ პერიოდში პროტესტი გამიჩნდა, რომ თბილისში ვყოფილიყავი. კახეთში, სოფელ უჯარმაში აგარაკი მაქვს და იქ წავედი. გადავწყვიტე, რომ თუ დიაკვანი გავხდებოდი, უჯარმაში ვიმსახურებდი. ვფიქრობდი, რომ თბილისში სასულიერო პირები ისედაც საკმაოდ იყვნენ და ჯობდა, სოფელს დავხმარებოდი. მიწა მქონდა, იმას დავამუშავებდი და ა.შ.

ჩავედი მეუფე ანდრიასთან (გვაზავა), რომელიც იმ დროს საგარეჯოსა და გურჯაანის ეპისკოპოსი გახლდათ. მას ცოტა ამბიციური წინადადებით მივმართე, რომ სოფელ უჯარმაში სასულიერო ცხოვრების აღორძინება მსურდა. მან მაკურთხა, როგორც ერისკაცი, რომ ჩავსულიყავი და პარაკლისები ჩამეტარებინა. ასე გავხდი მეუფე ანდრიას მორჩილი. პატარძეულის მონასტერში ვცხოვრობდი, პერიოდულად კი უჯარმაში ჩავდიოდი. მალე, 2001 წელს, მეუფემ დიაკვნად მაკურთხა გურჯაანის ყველაწმინდა ღვთისმშობლის ტაძარში. ამ დროს ძალიან დიდი სიხარული ვიგრძენი.

— გორშიც მსახურობდით. რატომ გადასწყვიტეთ კახეთიდან ქართლში?

— 2001 წელს მეუფე ანდრია სამთავისისა და გორის ეპარქიაში გადაიყვანეს. არ ვიცოდი, წავყოლოდი თუ უჯარმაში დავრჩენი-

→76

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

Cyan Magenta Yellow Black

ლიყავი. მასთან განშორება გამიჭირდებოდა. ბოლოს მაინც ვიფიქრე, რომ ჯობდა, მასთან ახლოს ვყოფილიყავი, თუნდაც ცოტა ხნით. ეს ცოტა ხანი კი 9 წელი გაგრძელდა. მთელი ეს პერიოდი ჩემი სახლისა და ჩემი ქალაქისგან შორს ვიყავი. გორში ხან ერთ ნათესავთან ვცხოვრობდი, ხან — მეორესთან. ოჯახის წევრები ვერ წავიყვანე, რადგან უფროსი შვილები უკვე დიდები იყვნენ, სკოლაში სწავლობდნენ. მათ ვერ დავაძალებდი, გარემო და სამეგობრო წრე შეეცვალათ. ჩემი ცოლიც თავისთავად შვილებს ვერ დატოვებდა. დროდადრო ჩამოვდიოდი მათ სანახავად, მაგრამ დიდი ხნით ტაძარს ვერ ვტოვებდი, სოფელში ლხინი იყო თუ ჭირი, ყველაფერზე მე მეძახდნენ. ხან ჯვრისწერა იყო, ხან ნათლობა, ხან წესის აგება.

მიუხედავად იმისა, რომ გულის სიღრმეში განვიცდიდი და ჩემი ოჯახი მენატრებოდა, სულიერად თავს მაინც მშვიდად ვგრძნობდი, განსაკუთრებით იმ პერიოდში, ატენის სიონის დედათა მონასტერში რომ ვმსახურობდი. იქ 6 წელი გავატარე, შაბათ-კვირას წირვა-ლოცვას აღვავლენდი ხოლმე. ბოლოს სოფელ მეღვრეკისში ვიმსახურე. ეს სოფელი ერგნეთის საზღვართან მდებარეობს. ერგნეთში პატარა სკოლა იყო და მისმა დირექტორმა მოძღვარი მოითხოვა, რომელიც პატარებს ღვთის სჯულს ასწავლიდა. ის წლები ჩემთვის ლამაზ მოგონებად დარჩა.

— მშობლიურ ქალაქს როდის დაუბრუნდით?

— 2009 წელს მამა გარდამეცვალა. აი, მაშინ კი გორში ყოფნა ნამდვილად გამიჭირდა. მოხუცი დედა დამრჩა, მეტი დედმამიშვილი არ მყავს და ამიტომ დედასთან უნდა ვყოფილიყავი. თანაც იმ დროს ქალიშვილი შეგვეძინა. უფროსი შვილების შემდეგ 15 წელი შვილი აღარ გვიჩნდებოდა და ამდენი ხნის შემდეგ უფალმა დაგვასაჩუქრა. ბოლოს მეუფემაც იგრძნო, რომ მთელი გული და სული ჩემი ოჯახისკენ მქონდა და მათ გარეშე ყოფნა მიჭირდა, ამიტომ მაკურთხა, რომ თბილისში წამოვსულიყავი. ღვთის ნებით, სწორედ იმ ტაძარში მოვხვდი, რომლის ეზოშიც გავიზარდე.

— 2008 წლის აგვისტოს ომის დროს შიდა ქართლში მოვლენების ეპიცენტრში იქნებოდით. როგორ გახსენდებათ ის ტრაგიკული დღეები?

— იმ პერიოდში ატენის დედათა მონასტერში ვიყავი. შემდეგ უკვე, როცა საქართველოს დაბომბვა დაიწყო, ჩვენი უწმინდესისა და მეუფე ანდრიას კურთხევით, გორის განაპირა სოფლებში ჩავედი. მდინარის ერთ მხარეს მეუფე ისაია იყო, მეორე მხარეს კი — მე. სანამ მეუფე ცხინვალიდან გორში გადმოვიდა, ერგნეთსა და მეღვრეკისში მე ვატარებდი წირვა-ლოცვას. აღარ მახსოვს, 4 თუ 5 აგვისტო იყო, როდესაც დაბომბვა მიმდინარეობდა, ირგვლივ ყველაფერი ზანზარებდა და მე წირვას ვაყენებდი. იქ მცხოვრებ მამაკაცებს ვეუბნებოდი, ახლა მაინც შემოდით ტაძარში-მეთქი. ისინი იდგნენ და თვითმფრინავებს აგინებდნენ. ბოლოს ახლომახლო თვითმფრინავი ჩამოაგდო ქართულმა მხარემ. აი, მაშინ კი ყველანი ტაძარში შემოცვივდნენ.

ამის შემდეგ დაჭრილ ჯარისკაცებთან წავედი, ვაზიარებდი მათ და შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი. სოფელი, მგონი, 7 აგვისტოს დავტოვე... იმდენად მძიმე დღეები იდგა, რომ დროის შეგრძნება დავკარგე. ამიტომ აღარ მახსოვს, რომელ რიცხვში სად ვიყავი და რას ვაკეთებდი. როდესაც ჩვენთან უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორე ჩამობრძანდა, ამან დიდი ნუგეში მოგვცა.

— რა განსხვავებას ხედავთ სოფლად მსახურებასა და ქალაქში მსახურებას შორის, თუნდაც მრევლის თვალსაზრისით?

— სოფლის ხალხი უბრალოებითა და

■ მამა დავით კუჭავა

„სოფელში ცხოვრებას სულიერი სიმშვიდე მოაქვს, თითქოს სამყაროსგან ისვენებ. აი, დედაქალაქში კი სულიერება ძნელი შესანარჩუნებელია, რადგან საცდუნებლებთან მუდმივი ბრძოლა გიწევს".

სიყვარულით გამოირჩევა. იქ ტრადიციები კარგად არის შემორჩენილი და ამიტომ ხალხიც სხვანაირია, თუმცა სოფელშიც ნელ-ნელა შეიჭრა თანამედროვეობის უარყოფითი მხარეები. რატომღაც დასავლეთიდან შემოვიდა ასეთი წესი, რომ შაბათ-კვირას ახალგაზრდებმა აუცილებლად უნდა დალიონ და დრო ატარონ, ნაცვლად იმისა, რომ წირვა-ლოცვაზე წავიდნენ. კი, ბატონო, ახალგაზრდებს არავინ უშლის, მეგობრებთან ერთად დრო ატარონ, მაგრამ ჯერ წირვა-ლოცვაზე დადგნენ და შემდეგ სადაც უნდათ, იქ წავიდნენ. ასე რომ, მსგავსი ცუდი ტენდენციები სოფლადაც იგრძნობა, ქალაქში ხომ მოდებულია მთლიანად.

და მაინც, სოფელში მეტ სითბოს ვგრძნობდი. შეიძლება ასე იმიტომაც ვფიქრობ, რომ იქ 9 წელი გავატარე. ალბათ, აქაც რომ გავა ამდენი წელი, იმავე სიყვარულს ვიგრძნობ. იმას არ ვამბობ, რომ აქაური მრევლისგან სითბოს არ ვგრძნობ, პირიქით, მაგრამ სოფელში მსახურებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მოგონებები მაქვს. სხვათა შორის, იქაური მრევლის ნაწილთან დღესაც მაქვს ურთიერთობა. ხშირად მირეკავენ, ხან ჩამოდიან და აღსარებას მაბარებენ.

— თქვენი თორმეტწლიანი საეკლესიო ცხოვრება და მსახურება სიძნელეების გარეშე არ ჩაივლიდა. ყველაზე მეტი სირთულე როდის და სად შეგხვდათ?

— რთული იყო ის, რომ ოჯახური სითბო და კერა მაკლდა. ხან სად ვრჩებოდი ღამით, ხანაც სად. შემდეგ ატენში სახლი შემომწირეს. საკმაოდ ძველი და გაუმართავი იყო. ღამეს ვათევდი და სულ მარტო ვიყავი. იმ მომენტში კი მიჭირდა, მაგრამ ახლა ნოსტალგია მომეძალება ხოლმე და ძველ სახლში ცხოვრება ტკბილად მახსენდება. სოფელში ცხოვრებას სულიერი სიმშვიდე მოაქვს. ლამაზი ბუნება, სიწყნარე თავისთავად მოქმედებს სულიერებაზე. თითქოს სამყაროსგან ისვენებ. აი, დედაქალაქში კი სულიერება ძნელი შესანარჩუნებელია, რადგან საცდუნებლებთან მუდმივი ბრძოლა გიწევს.

სოფელში მსახურებისას ჩემი ქადაგების მთავარი თემა იყო ეკლესიური ცხოვრება და მიწათმოქმედება, რომ ადგილობრივებს მეტი ყურადღება მიექციათ თავიანთი მხარისთვის და სახლ-კარი არ დაეტოვებინათ. რატომღაც ყველას დედაქალაქში უნდა, არადა დღევანდელ თბილისში მისაზიდი არაფერია. სოფელში დაბადებული კაცი უფრო შრომისუნარიანია, ვიდრე ქალაქში დაბადებული. ამიტომ მან ყველანაირად უნდა ეცადოს, არ დატოვოს სახლი და იქ იშრომოს, თუნდაც მიწაზე იმუშაოს.

— ვინ არის თქვენი მეუღლე და რამდენი შვილი იზრდება თქვენს ოჯახში?

— ჩემი მეუღლე არის მაკა მახარაძე. ჩვენ კლასელები ვიყავით და სკოლის მერხიდან გვიყვარდა ერთმანეთი. დაოჯახება ცოტა ადრე მოგვივიდა. სკოლის დამთავრებიდან მალევე სიონის ეკლესიაში ჯვარი დავიწერეთ. მე და მაკა 4 შვილს ვზრდით. უფროსი, სერგი, 26 წლის არის, ეკატერინე — 25-ის, ლუკა — 19-ის, ანასტასია კი — 5-ის, ის თხუთმეტწლიანი მოლოდინის შემდეგ გაჩნდა. დღეს ეს პატარა გოგო სახლში ყველაფრის ბატონ-პატრონია.

ჩემი მეუღლე დიასახლისია. ქვეყანაში არეულობა რომ იყო, თავისი პროფესიით ვერ იმუშავა. შემდეგ, მე რომ გორში ვიყავი, ოჯახს ის უვლიდა. ახლა კი პატარა ქალიშვილს ზრდის.

— როგორც თქვით, სოფლად პროტესტის ნიშნად წასვლით. ახლა შეიცვალა დედაქალაქში რამე თუ ისევ გაქვთ ეს განწყობა?

— კი, პროტესტი მაქვს, მაგრამ ღიად არ გამოვხატავ. გულდასაწყვეტია ბევრი რამ. ახლა თბილისში უფრო ცუდი რაღაცეები ხდება, ვიდრე 15-20 წლის წინ ხდებოდა, მით უმეტეს, სოფლად ცხოვრებას რომ მივეჩვიე, აქაურობასთან შეგუება მიჭირს. რას ვიზამთ, თანამედროვეობამ ასე მოიტანა. ისღა დაგვრჩენია, რწმენით ვიყოთ და სულიერებაზე ვიზრუნოთ, თუნდაც ამდენი სიბოროტის ფონზე. გარემოს უარყოფითი ზეგავლენისგან თავი უნდა დაიცვა. პერიოდულად განმარტოება მიყვარს. უჯარმაში ჩავდივარ, წირვას ვაყენებ და კელიაში ცოტა ხნით განვმარტოვდები ხოლმე. ზოგჯერ ჩემს მეგობრებთან ერთად ჩავდივარ და იმ ადგილებს ვუვლით, სადაც ჩვენი დიდი მეფე, ვახტანგ გორგასალი ცხოვრობდა. იქნებ მომავალში ამ ტერიტორიაზე მონასტერიც მოეწყოს.

საეკლესიო ცხოვრებას ბოლომდე რომ მიჰყვე, ამას დიდი ძალისხმევა სჭირდება. თავიდან ყველაფერი ადვილად გეჩვენება, მაგრამ მერე რთულდება. როგორც თაბორის მთაზე უფალთან ერთად უნდა ვიყოთ, ასევე გოლგოთაზეც მასთან ერთად უნდა ვიაროთ. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველთვის თაბორის მთაზე, ანუ ლხინში ვერ ვიქნებით. ზოგჯერ განსაცდელებსაც უნდა გავუმკლავდეთ.

✓ თეონა კუნჭიაშვილი

Cyan Magenta Yellow Black

ლაბირინთი

დაეხმარეთ ფისოებს, ყველა თავის სახლში მივიდეს



გააფერადეთ



Cyan Magenta Yellow Black

ბრა პლასტმასის კოვზებით

ამაზი და ორიგინალური ბრა შეგიძლიათ დაამზადოთ უბრალო, პლასტმასის თეთრი კოვზებით. ამისათვის დაგჭირდებათ: ნათურის ჩასამაგრებელი ბუდე თავისი ნათურითა (ნათურა ეკონომიური გამოიყენეთ, რათა მხურვალებამ პლასტმასის ბოთლი და კოვზები არ დაწვას) და ელექტროსადენით (შეგიძლიათ გამზადებული შეიძინოთ), ერთი პლასტმასის ბოთლი, პლასტმასის კოვზები (რაოდენობა ბოთლის ზომაზეა დამოკიდებული), საკვნეტელა, წებო („სუპერცემენტი“) და მაკრატელი.

მაშ ასე, პლასტმასის ბოთლს მაკრატლით ძირი მოაჭერით. კოვზებს საკვნეტელათი ტარები მოაჭერით. მოჭრილ ალგილზე წებო წაუსვით და ბოთლს გარშემო მიაწებეთ თანამიმდევრობით სათითაოდ ისე, როგორც ეს სურათზეა ნაჩვენები.

ცალკე ერთმანეთს დააწებეთ გადაჭრილი კოვზები, ოღონდ არა — ვერტიკალურად, არამედ ჰორიზონტალურად და წრე შეკარით (წრის დიამეტრი ბოთლის თავის დიამეტრის ტოლი უნდა იყოს. იხ. სურათი). ეს წრე პლასტმასის ბოთლის თავს მიაწებეთ იქ, სადაც ვერტიკალურად დაწებებული კოვზები თავდება.

ახლა ბოთლში ელექტროსადენიანი ნათურა მოათავსეთ. ბოთლის სახურავი გახვრიტეთ და სადენი შიგ გაატარეთ, სახურავი კი ბოთლს მიახრახნეთ. ჩამოკიდეთ ბრა ჭერზე და მიუერთეთ სადენები ელექტრულ წრედს.

თუ ყველაფერი ისე გააკეთეთ, როგორც მითითებულია, საოცრად ლამაზი ბრა გამოგივათ. გისურვებთ წარმატებას!

გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

№ 1

1	7	5	2	6	9	3	8	4
8	3	4	1	5	7	6	9	2
6	2	9	8	3	4	1	5	7
3	6	2	4	7	8	5	1	9
5	9	1	3	2	6	4	7	8
7	4	8	5	9	1	2	3	6
4	5	3	7	8	2	9	6	1
9	1	7	6	4	5	8	2	3
2	8	6	9	1	3	7	4	5

№ 2

3	1	4	6	7	5	9	8	2
5	8	7	1	9	2	6	4	3
2	6	9	3	4	8	1	5	7
8	3	5	4	6	1	2	7	9
4	9	1	8	2	7	3	6	5
7	2	6	9	5	3	8	1	4
9	4	8	7	3	6	5	2	1
1	5	3	2	8	4	7	9	6
6	7	2	5	1	9	4	3	8

ეს იცოდით?

❖ სიქსტის კაპელის მოხატვისთვის მიქელანჯელოს 4 წელი დასჭირდა.

❖ ყველაზე ახალგაზრდა რომის პაპი ბენედიქტ მეცხრე იყო. ის 11 წლის გახლდათ, როცა 1032 წელს პაპად აკურთხეს.

❖ მე-15 საუკუნის საფრანგეთის ერ-ოვნული გმირი, ჟანა დ,არკი, პირველი ქალი იყო, ვინც მამაკაცის შარვლის ჩაცმა გაბედა. ეს სამღვდელოებისთვის კიდევ ერთი მიზეზი გახდა კოცონზე მის დასაწვავად.

❖ მწერალ მარკ ტვენს საშუალო სკოლა არ დაუმთავრებია.

❖ მაფიის მამამთავარ ალ კაპონეს 215 მკვლელობაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული.

❖ მეორე მსოფლიო ომში 72 სახელმწიფო მონაწილეობდა.

❖ ყველაზე ადრეულ ასაკში პრეზიდენტის თანამდებობა გამბიის პრეზიდენტმა იაჰია ჯამემ დაიკავა. იგი მაშინ 29 წლის იყო.

❖ პირველი პრეზიდენტი, რომელმაც ავტომობილით ისარგებლა, აშშ-ის პრეზიდენტი უილიამ მაკკინლი გახლდათ.

❖ ამერიკის ყველა პრეზიდენტი სათვალეს ხმარობდა.

❖ ევროპაში პირველად პრეზიდენტის თანამდებობა შვეიცარიაში შემოიღეს და იგი იონას ფურერმა დაიკავა.

❖ ტაილანდის მეფე მოგუტს თავისი მეფობის პერიოდში 9016 ცოლი ჰყავდა.

Cyan Magenta Yellow Black

ლოს ანჯელესში პრესტიჟული მუსიკალური ჯილდო დარიგდა

ჟომღერლებს აქ მხოლოდ მსმენელები აფასებენ. ამერიკან მიუზიკ ევერდსის ცერემონიალი პირველად 1970 წელს ჩატარდა და დღემდე გრემის მთავარი კონკურენტია, ოღონდ გრემის შემთხვევაში რჩეულებს პროფესიული ჟიური ასახელებს.

წლევანდელი ცერემონიალი ტრიუმფული აღმოჩნდა 32 წლის მომღერალ ჯასტინ ტიმბერლეიკისათვის, რომელმაც უკან ჩამოიტოვა თავისი მთავარი კონკურენტები ბრუნო მარსი და რობინ ტიკი. ის საუკეთესო მომღერალ მამაკაცად დასახელეს. მომღერალმა ტეილორ სვიფტმა გაიმარჯვა ნომინაციაში საუკეთესო ქანთრი ალბომი, დისკისათვის „რედ“. საუკეთესო პოპ-როკჯგუფად „ვან დაირეფტი“ დასახელდა. საუკეთესო სოულისა და არენბის შემსრულებელი რიანა აღმოჩნდა, საუკეთესო ლათინოშემსრულებლად მარკ ენტონი გამოვლინდა.

ბუნებრივია, მნიშვნელოვანი იყო ამ ცერემონიალის წითელი ხალიჩაც, რომელიც წელს განსაკუთრებული ბრწყინვალებით იყო წარმოჩენილი. რა თქმა უნდა, ორიგინალურობა წითელ ხალიჩაზე არავის დაუთმო ლედი გაგამ, რომელმაც ეს მოდური დეფილე გიგანტური თეთრი ცხენით ჩაიარა. ცხენის ბუტაფორიის ქვეშ მისი მოცეკვავე მამაკაცები იდგნენ.

ლედი გაგა

დანარჩენი ვარსკვლავები ეპატაჟურობით ნაკლებად გამოირჩეოდნენ — არავითარი ექსპერიმენტები ჩაცმულობაში. მაილი საირუსიც კი ცერემონიალზე ვერსაჩეს თეთრი აკადემიური კოსტიუმით მივიდა, გვერდით კი მამა ახლდა. ვერსაჩე აირჩია ლედი გაგამაც, მაგრამ 2014 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციიდან. გამორჩეულად იყო ჩაცმული რიანაც, მან ჟან პოლ გოტიეს მაქმანებიან კოსტიუმს მიანიჭა უპირატესობა. კრისტინა აგილერა ისტერიკულად განაგრძობს გახდომას, მას მარია ლუსია ჰოჰანის თეთრი ქათქათა კაბა ძალიან უხდებოდა.

მარკ ენტონი

კრისტინა აგილერა

მაილი საირუსი მამასთან ერთად

რიანა


ჯენიფერ ჰადსონი

წითელ ხალიჩაზე ბრწყინავდნენ ასევე ჯენიფერ ჰადსონი კრისტიან დიორის ფორთოხლისფერ კაბაში და ტეილორ სვიფტი ჯულიენ მაკდონალდის ოქროსფერ მინი კაბაში.

2013 წელს მადონამ 125 მილიონი იშოვა

ჟურნალმა „ფიფლმა“ 2013 წლის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მუსიკოსების სია გამოაქვეყნა. აღმოჩნდა, რომ პოპდედოფალმა მადონამ წელს 125 მილიონი დოლარის მოგროვება შეძლო. ეს შემოსავალი მომღერალმა მსოფლიო საკონცერტო ტურნედან შეიძინა. ამას ემატება ტანსაცმლის ხაზი „მეთერიალ გერლ“, სუნამო და ფიტნეს კლუბი. ის 45 მილიონით მდიდარია, ვიდრე ლედი გაგა, რომელიც რეიტინგში მეორე ადგილზე აღმოჩნდა. მესამე ადგილი კი ჯონ ბონ ჯოვიმ დაიკავა 79 მილიონი დოლარით.

ყველაზე შემოსავლიანი მუსიკოსების ათეულში ასევე მოხვდნენ: ქანთრის მომღერალი ტობი კიტი 65 მილიონი დოლარით, ჯგუფი „ქოლდპლეი“ 64 მილიონი დოლარით, ჯასტინ ბიბერი 58 მილიონი დოლარით, ტეილორ სვიფტი 55 მილიონი დოლარით, ელტონ ჯონი 54 მილიონი დოლარით და ბიონსე 53 მილიონი დოლარით.

ჰიუ ჯეკმანი კიბოს ებრძვის

წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცი ჰიუ ჯეკმანი კიბოს ებრძვის. ყველა დროის სექსუალურ მამაკაცს კანის კიბო აქვს. მსახიობმა ოპერაცია გაიკეთა და სიმსივნური უჯრედები ამოიკვეთა. ოპერაციამ კარგად ჩაიარა და ჰიუ სახის კანის მოვლის განსაკუთრებულ რეჟიმზეა გადასული.

— ჩემი ცხოვრება სამუდამოდ შეიცვალა. მზე ჩემი პირველი მტერია, ამიტომ მზეთუნახავივით უნდა ვერიდო მას, რომ დაავადება საბოლოოდ დავამარცხო. ნუ იქნებით ჩემსავით უყურადღებონი და მზეზე ყოველთვის იხმარეთ დამცავი კრემები, — წერს მსახიობი თავის მიკრობლოგზე.



ბაზარზე ინტერნეტ სიჩქარე 50 მბ/წმ - მდე

მოქმედების პერიოდი: ღამის 12სთ-დან დილის 8სთ-მდე
მხოლოდ ოპტიკური ქსელის აბონენტებისთვის

ოპტიკური ტექნოლოგიები